

მწიგნობარი

საქართველოს
მწიგნობარი

1610
1990

90



1610
1990

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი



მწიგნობარი






საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
წიგნის მოყვარულთა საზოგადოება

საქართველოს
წიგნის
საზოგადოება





აღმანახი, „მწიგნობარი“ მოგვიტოვებს
წიგნებსა და წიგნის შექმნელებზე,
ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე,
ქიშპებზე წიგნის საყვაროში,
ქველ წიგნებზე,
სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის
წიგნისმოყვარელებზე.



მნიბნობარი

90

სკუპ-2000
შემოწმებულია

თბილისი
1990

002 (062) + 02 + 0001

002
76.11
002
8979



1. შენის მოყვანულთა სპოქოქოქ

2. ზიბგიოთაქეზი

3. ზიბგიოთეირი

მთავარი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო საბჭო

ლელა ბარბაქი

გურამ გუხნიასვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე)

ალექსანდრე გვასარია

გურამ გვირდუთელი

რევაზ ინანიშვილი

ელენე მაჭავარიანი

ლევან მინაგაძე

გივი მიქაძე

ედუარდ სიხარულიძე

ზაირა სტურუა

პელო ლელუყვა (პ/მგ. მდივანი)

რევაზ ლლონტი

სარგის ცაიშვილი

აკაკი ძიძიგური

ვენერა ხუდაბე

სოლომონ ხუციშვილი

ვასტანო ჯავახაძე

მხატვარი ანჟორ თორდია



მოუზუზებელი ტკივილი

საქართველო
ბიბლიოთეკა



K 213/409 25868.

მსხვირკალი საფეოგლოს ზულისთვის უოვილ-
ზვარ მსხვირკალი დილია.



სჯოგს მონოგაუი ზადიღკაციგულს, თავისუფ-
ლიბის ქიგნაუი მკვღარი.

აკაკი

ეკლიანი გზა

სიმართლე...

სიმართლე...

სიმართლე...

სიმართლის დამალვა შეუძლებელია. იგი ყველამ იცის, მაგრამ დაშინებულები და დათრგუნვილნი იღებენ ისეთ სახეს, თითქოს არაფერი იცოდნენ, თითქოს ვერაფერს ხედებოდნენ. ვერავინ ვერ ამბობს პირველი: მეფე შიშველიაო.

შიშველია, მაგრამ მეფეა...

და მაინც ითქვა...

გრძელია ის გზა, რომელმაც 9 აპრილამდე მიგვიყვანა. იქნებ ეს 69 წლის წინათ დაიწყო, იქნებ 1801 წელს, იქნებ ვახტანგ VI-ის მოტყუების, ან ტოტლებენის ლალატის შემდეგ, ან იქნებ სულაც კრწანისთან!...

„არწივი ვნახე დაჭრილი“...

დაიჭრა, მართლა დაიჭრა არწივი. მართლა დაესივნენ ყვავ-ყორნები... უკვე მერამდენედი!..

ვის არ უნდოდა ჩვენი გადაგვარება, გადაჯიშება? — არაბებს, მონღოლებს, თემურ ლენგებსა და ჯალალედინებს, სპარსეთის ვერაგ შაჰებსა და თურქეთის არანაკლებ ვერაგ სულთანებს, ბევრ სხვასაც...

„სკვითმა წაგვართვა სამშობლო“... — მოსთქვამდნენ ჩვენი წინაპრები XIX საუკუნეში.

„სკვითმა წაგვართვა სამშობლო“...

გვიღვივებდნენ მდაბალ გრძნობებს: შურსა და სიხარბეს, სიზარმაცესა და მცონარობას, თაღლითობასა და ბიუროკრატობას, ათასგვარ ოხრობას... სიკეთის ნიღბით ნერგავდნენ ბოროტებას, მეგობრობის ნიღბით — მშვიდობიან ასიმილაციას, უჯიშობას, უთვისტომობას...

ხანდახან გამოჩნდებოდა თითო მერცხალი, ხან კი — მერცხალთა გუნდიც, მაგრამ ჩრდილოეთის ყინვა აზრობდა ყველას.

ვერ დაიმალა შუბი ხალთაში. გვეკონა დათბაო. მაგრამ მანც
მოაჩინა ურჩხულმა ბჭყალი და აი, შედეგით... 9 აპრილი. მანც
სხვაც ბევრჯერ იყო... საქართველოს
საზღვრო დაცვა

მივყვეთ მოვლენებს.

ჩვენს წინაშეა ორი წიგნი. წიგნები დაფიქრებისა და განსჯისა...
წიგნები დაცემისა და აღდგომისა...

პირველ წიგნს, რომლის შემდგენელ-რედაქტორები არიან გურამ
გვერდწითელი და სარგის ცაიშვილი, ეწოდება „რა გითხრათ? რით
გაგახართ?“ იგი მოიცავს პერიოდს 1989 წლის მისამდე; გამოსცა
გამომცემლობა „მერანმა“. მეორე წიგნი „9 აპრილი“ — შედგენილია
გურამ გვერდწითელის მიერ, სპეცრედაქტორია სარგის ცაიშვილი, გა-
მოსცეს „მერანმა“, „საბჭოთა საქართველომ“ და კოოპერატივმა „ნუ-
გეშმა“. იგი მოიცავს პერიოდს 1989 წლის 11 აპრილიდან დეკემბრის
ბოლომდე. წიგნებში მოყვანილი სტატიები ამოკრებილია რესპუბლი-
კური და სსრკ ცენტრალური პრესიდან.

ორივე წიგნი ერთ საკითხს ეძღვნება — 9 აპრილის ტრაგედიას. 9
აპრილის ტრაგედია... როგორ მომზადდა იგი?

წიგნი პირველი...

დიახ, ბევრი პრობლემა დაგროვდა ქართველი ხალხის წინაშე. პა-
ტარ-პატარა და დიდ-დიდი დიქტატორების შესახებ საუბრობს მწერა-
ლი ნოდარ წულუგისკირი წერილში „მძლავრი“.

„რატომ ვცდილობთ ძველი თბილისი ვაქციით კინტოებისა და მე-
არღნეების ქალაქად?!“ — გვეკითხება მწერალი არჩილ სულაკაური.

მრავალი საჭირობოროტო საკითხი: თუ როგორ გაბატონდა საქართ-
ველოში ე. წ. „ვარსკენის კომპლექსი“, მოსწავლეთა სულის დაჩაგვრა
მასწავლებლების მიერ, ქრთამი, კორუფცია, მაქინატორობა, ფალსიფი-
ცირებული კვების პროდუქტები, მოსწავლეთა და სტუდენტთა აღზრ-
დაში დაშვებული შეცდომები, ტოპონიმების გაუმათლებელი შეცვ-
ლა, ბუნების დაცვის საკითხების უგულვებელყოფა, ქართული მიწების
გაყიდვა-გასხვისება და მრავალი სხვა სენი, რომელიც ეროვნულ
სულს წამლავდა და ათახსირებდა.

მხოლოდ ერთი ციტატა მამუკა წიკლაურის წერილიდან „დაფიქ-
რების ყამი“: „ჩნდება საშინელი ალტერნატივა: რა არის პატიოსნე-
ბა — ის, რომ წმინდა სული ატარო და ცოლ-შვილი ნახევრად მშეი-
რი გყავდეს, თუ ის — იმაქინატორო, სული გასცვალო და სახლში
მოითანო, რაც ნორმალური ცხოვრებისთვისაა საჭირო“.

წიგნში წარმოდგენილია ოთარ ჭილაძის, ლევან სანიკიძის, კობა



იმედაშვილის, დავით მჭედლურის, კობა არაბულის, ზაურ კალანდიაშვილის და სხვათა სტატიები, დიალოგები და ინტერვიუ აკაკი ბაქრაძესთან, რომელსაც
 რამ გეგეშიძესთან, გურამ პეტრიაშვილთან, ნაირა გელაშვილთან...

პრობლემები, პრობლემები, პრობლემები...

შემდეგ უკვე მკვეთრად გამოიკვეთა: ახალი ტონი, თუ როგორ ხდება სტალინიზმთან ბრძოლის საბაბით ცილისმწამებლური თავდასხმები ქართველი ერის მისამართით საკავშირო პრესის ფურცლებზე... და პასუხები ცილისწამებაზე ტ. ჭანტურიას, გ. პეტრიაშვილის, მ. გიგინეიშვილის, გ. გეგეშიძის, ვ. როდონაიას, გ. ფანჯიკიძის, ზ. ასკანელის, ლ. ბრეგაძის, რ. მიშველაძის...

თავდასხმები, თავდასხმები, თავდასხმები... რომლებზედაც პასუხს არავენ სთხოვს ცილისმწამებლებს, ისტორიის ფალსიფიკატორებს. საპასუხო წერილები იბეჭდება მხოლოდ რესპუბლიკურ პრესაში...

უკანასკნელი და უსირცხვილო „ლიხნის მიმართვა“ წაქეზებული „ფსევდო-აფხაზების“ (ტ. ჭანტურიას გამოთქმა) ანუ აფსუა ექსტრემისტებას... წერილი სიყალბე, წერილი პასკვილი (იგი წიგნში არ არის შეტანილი და, ალბათ, სწორადაც).

პოეტისა არ იყოს: „გაუმარჯოს საქართველოს მოთმინების ფილას!“

მაგრამ მოთმინების ფილა აღივსო, აღუღდა, აბობოქრდა. ეროვნულმა სულმა გაიღვიძა. ხალხი ქუჩაში გამოვიდა. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო,“ — გაიხსენა.

„მოთმინების ფილა აავსო იმან, რომ ქართველ ხალხს სწორედ ის დააბრალეს, რაც არასოდეს ახასიათებდა თავისი არსებობის ათასწლეულების მანძილზე—სხვა ერების შეუწყნარებლობა, რომ ქართველ ხალხს სწორედ იმის წართმევა მოუწოდომეს, რასაც შეალია ძალა და ღონე, რაც არასოდეს დაუთმია და ცოცხალი თავით არც არასოდეს დათმობს, დიახ, მისი მშობლიური მიწა-წყლის დაქუცმაცება და მიტაცება განიზრახეს.“ — წერს გურამ გვერდწითელი „9 აპრილის“ შესავალში — „ძვირფასო ქართველო და, მასთან ერთად, არაქართველო მკითხველო!“

დიახ, კლანჭებით გვიხვლეტდა ურჩხული, აიშალნენ ყვავ-ყორნები: ეჭვი, კედებაო არწივი, მძორი ჩვენ გვრჩებაო საჯიჯგნად. არწივი კი სიკვდილს არ აპირებდა.

„გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ — გაისმა ლოზუნგი. ან ეს უნდა მომხდარიყო, ან მტერს უნდა გადავექვლეთ, მოვესპეთ, გავენადგურებინეთ.



აიძაგრა ახალგაზრდობა. გამოაცხადეს შიმშილობა. მიტინგები... მიტინგები... მიტინგები... ხელისუფლებას არ ესმის ხალხის. გაწყდნენ შირი... შეირხა ურჩხული, კვლავ გამოაჩინა ბრქვალები: როგორ ბედავენო? როგორ ბედავენო?.. — იმან იმას დაურეკა, იმან იმას მიწერა, იმან ამას მოსწერა. დარეკეს, მისწერ-მოსწერეს... იფიქრეს... მოიფიქრეს...

უბრეცედენტო შემთხვევა მსოფლიოში — მოშიმშილე ადამიანები დაარბიეს... მოედანზე იყვნენ შვილები, შვილიშვილები, მოვიდნენ მამები, პაპები, დედები, ბებიები...

და აი 9 აპრილის დანაშაული...

„დუმბილის წუთი“.

- აზა ადამია
- ნათია ბაშაღიშვილი
- ეკა ბეჟანიშვილი
- ნატო გიორგაძე
- თამუნა დოლიძე
- თინა ენუქიძე
- ნინო თოიძე
- ზაირა კიკვიძე
- მანანა ლოლაძე
- თამარ მამულაშვილი
- მამუკა ნოზაძე
- ნანა სამარგულიანი
- მარინე ჭყონია-სამარგულიანი
- ელისო ჭიბაშვილი
- თამარ ჭოველიძე
- მზია ჯინჭარაძე
- ნოდარ ჯანგირაშვილი
- მანანა მელქაძე
- შალვა ქვასროლიაშვილი
- გია ქარსელაძე

„ახ. კომუნისტი“, 18. V. № 58“.

სტატიებში შეგუბებული ბოღმა დულს... ითხოვენ სიმართლეს, ითხოვენ სამართალს...

პირველი ყალბი ცნობები:

„წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 კაცი“...

„არის შემთხვევები, როცა ემუქრებიან სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ოჯახებს“...

„გროვდებიან ადამიანთა ჯგუფები, აგრესიულად გამოხატავენ უკმაყოფილებას მომხდარი ამბებით“...

„ნა სტრაჟე“, 12 აპრილი:
სტატია — „საბრძოლო სამსახური“.

- ქვეთავები:
- „ჩვენი დამკვრელური ვახტი“...
 - „გამძვინვარებული ბრბოს წინაღმდეგ“...
 - „თავი მსხვერპლად შესწირეს“...
 - „ქალებს დაეხმარნენ“...
 - „საკუთარი მკერდით დაიცვეს უბედურებისაგან“...
 - კომენტარი ზედმეტია.

იბრძვის დემოკრატიული აზრი: კინემატოგრაფისტთა საკავშირო სახლში ჩატარდა პრესკონფერენცია, არბატზე მოეწყო მიტინგი, მოსკოვის საზოგადოებრიობის მიმართვა სახალხო დეპუტატებს, გენერალურ პროკუტორს, მთავრობას, პარტიას, გარდაქმნის მხარდამჭერ მწერალთა მოსკოვის კომიტეტის — „აპრილის“ წევრების მიმართვა საქართველოს მწერალთა კავშირს... სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფი მოითხოვს დამნაშავეთა პასუხისმგებლობას... პროტესტები, პროტესტები... პროტესტები... სამძიმრის სიტყვები... ყვავილები...

მეორე წიგნი... 9 აპრილის ტრაგედია, პირველი ცნობები... შეხვედრები... სიცრუე... სიმართლე... მოსკოველი კორესპონდენტის იური როსტის პირველი მართალი პუბლიკაცია „მოლოდიოე გრუზიში“... ინტერვიუ იური როსტთან. გაზეთების „მოლოდიოე გრუზიისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ ნომრების დატყვევება... გვესაუბრებიან მოწმეები... „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პირუთენელი პუბლიკაციები... შეხვედრა უცხოელ ჟურნალისტებთან.

პრესკონფერენცია თბილისის IV სამმართველოს პოლიკლინიკა-სავადმყოფოში — „ა. სახაროვი: დიახ, მე ვთვლი, რომ დამნაშავე მთავრობაა.“

- შემდგომი დრამატული მოვლენები:
- ა. სობჩაკის კომისიის დასკვნა სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე...
 - ბ. ფ. კატუსევის გამოსვლა...
 - გ. გუმბარიძის გამოსვლა...

ღებუტატთა მესამედი ტოვებს ყრილობის დარბაზს...

წიგნში დაბეჭდილია ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძის, მჭებელი ქელიძის, ოთარ ჭელიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მორის ფოცხიშვილის, მიკოლას კარჩიაუსკასის და სხვათა ლექსები, რომლებიც ეძღვნება ტრაგედიას.

ორივე წიგნი ავსებს ერთმანეთს.

მძიმეა ყველაფრის გახსენება. მძიმეა, მაგრამ იგი ყველა ქართველმა და საქართველოში მცხოვრებმა ყოველმა ადამიანმა უნდა წაიკითხოს, უნდა გაიგოს.


არა, მსხვერპლი შემთხვევითი არ ყოფილა!..

ისინი სამშობლოს შეეწირნენ, ნაწამებ სამშობლოს!..

ეს წიგნები შესაძლებლობას გვაძლევენ მთელი სიგრძე-სიგანით გაანალიზოთ მომხდარი და გამოვიტანოთ სწორი დასკვნები.

ყოველი ერი, ყოველი ადამიანი თავის მიწაზე მყარად უნდა იდგეს. ყოველი ერი, ყოველი ადამიანი ღირსია თავისუფლებისა. ეს მისი უზენაესი უფლებაა.

ეკლიანია გზა თავისუფლების...



ნიბნი
ღ
სსოპრებ

ბეჭტირებოდეს — იბერი, იშვებდებ — ბიციანი!
იშრომე... — დილალიბი — დავაქ და დანიანი.



ბამარჯობა თქვენი, ახალ მოგვალნი! მე უკვე
მიმავალი ბეთხოვებით და ვწუხვარ, რომ საბუ-
ლისხმო ანდობად ვიქნას ბიტივებით, ბარდა მარტო
ხვიწნა-ვიდრებისა: ბიყვარდით თქვენი საგოგ-
ლო, თქვენი ერი, რომორც პირველი საფიქსური კა-
ცობრიობის მისწრაფებისა, რადგან სიყვარულია
ადამიანის ბედნიერება, მაგრამ იმისთანა სიყვარ-
ულში კი, რომელსაც სარჩულად სიმათლი და
ბულწრფილობა უდევს. უამისოდ ყოველგვარი
შრომა ამაოა!

აკაკი

აკაკი

„ვრცელ სასახლეში, უძირო უფსკრულის პირას, საცა უხმო სიმთა ჰარმონია იბადება, წავიღებ მე ქნარს ჩემი სიცოცხლისას, მე მოვმართავ მას უკანასკნელად, — და როცა იგი ყოველს ხმას გამოიტირებს, მე დავდებ დადუმებულ ქნარს დიდი მღუმარის ფეხთა წინ“, ჰვალობს თავის სამსხვერბლო საგალობელს ინდოეთის მგოსანი-ქურუმი.

და აქ კი მისმა მოძმემ აღმოსავლეთის დიადი შუადღისამ, მოძმემ ფიქრმორეული შუადღისამ, უკვე მიართვა დიდებული ქნარი თავისი სიცოცხლისა საიდუმლოთი მოცულს დიდ მღუმარეს... „მოჰკვდა აკაკი: ქნარი მისი სიცოცხლისა მოიმართა უკანასკნელად, გამოიტირა ყველა ხმა, და ახლა ერთვის იმ საიდუმლო უფსკრულს, საცა უხმო სიმთა ჰარმონია იბადება.

გაჰქრა აკაკი ვით სიზმარი შუადღისა. მაგრამ სხვა ქნარი მისი — აკაკის ხმოვანი სიტყვა?! თბლის საფლავზე რო საშინელი ქნარი სართანს ლერწამს არხევედა ამოსავლევად, იქ უნდა შევებულიყო ჰანგი აკაკისა. განმარტოებულმა მწყემსმა რო ლერწამისაგან ტკბილი სალამური გამოსჭრა, მისგან უნდა ქნილიყო ქნარი აკაკისა. მწყემსმა რო სალამურის დაკვრით მიწის სევდა ცათა მტრედისფერ სივრცეს მიმოსახურა, აქ უკვე უნდა ახმაურებულიყო საგალობელი აკაკისა...

და დაჰმღერს იგი თავის მარად სატრფოს, ივერიის მწვანე მდგლოთა ტურფა ასულს და აფრქვევს მას ღიმილს, სევდით შეკრულს მშვენიერს შუბლს ქალწულისას, აფრქვევს ღიმილს, უცნაურს ღიმილს...

უცნაური ღიმილი... აკაკის ღიმილი...

ღმერთებმა მოაფრქვეეს მას ყოველი: დიდი ნიჭი, სწორუბოვარი სილამაზე, გვაროვნობა, სიმდიდრე... ჰუმმარტად იგიც იყო „საყვარელი ღმერთთა და ადამიანთა“. იგი არ დადიოდა, იგი მოჰქროდა ყოველთვის, რადგან მეტად იყო მასში ანაკადულებული ღვთიური მზეობა. მუზა მისი ნაზი იყო, მსუბუქფერთოვანი, და არც იცოდა მან, რა არის



ძალაობა, რადგან ფრიად ძლიერად იყო იგი ფრთაასხმული შთაგონების მრავალფეროვან ალით... და ჰქმნიდა მგოსანი თავისუფანად აღფრთოვანებული ყოველთვის...

და თვითონ სიცოცხლე აკაკისა პოეზია იყო ნამდვილი. იგი ცოცხლობდა ყვაველთა სიცოცხლით, რომელთაც არ იციან ფიქრი სიკვდილის დაფერვლისა. რადგან იციან: „ერთი წაეა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. იგი ცოცხლობდა ბავშვთა სიცოცხლით, რომელთაც არ იციან ფიქრი გაქრობისა პირისაგან ქვეყნისა, რადგან იციან: „უსაზღვრო ქვეყანათა ზღვის ნაპირას კიდევ შეხვდებიან სათამაშოდ ერთიმეორეს“, და ცოცხლობდა მგოსანი ხალისიანი სიცოცხლით: და იცინოდა იგი ხალასი სიცილით, რომლითაც ძვირად თუ უცინია ვინმეს სამყაროში...

მაგრამ მახვილი მზერა ამ სიცილში რაღაც სხვასაც ამჩნევდა: იქ, სადაც მისი მარმარილოს ბაგეთა კუთხეს ღიმილი დაჰქროდა; იქ ოდნავ შავი სევდის ფრთის ახაზულიც მოსჩანდა... რა იყო იგი? ივერიის ტურფა ასულის სევდის ჩრდილი თუ იყო, რომელიც მგოსნის მზეობას ასეთი პირქუში ეფინებოდა? ჰო იგი იყო, ივერიის ტურფა ასულის სევდის ჩრდილი, სევდას რო ურევდა მგოსნის ღიმილს...

და „სევდის ღიმილი“ აკაკისა ნარნარ ირონიას წარმოშობდა. მქრქალ ირონიას რომანტიზმისას: მე კი მხიარული ვარ, მაგრამ ჩემი სიხარულის იქით მწუხრი იფარება, მე გამოვთქვი ჩემი შემოქმედი სახე, მაგრამ გამოუთქმელის უკან იმალება უტყვი და უთქმელი. — აი, რას ამბობდა იგი ირონია, მოლურჯო ყვაველის ირონია...

და განა ჩვენი „მრავალ-ჟამიერი“, ძალზე მხიარული და თან ნაღვლიანი შეფერილი „მრავალ-ჟამიერი“, ამასვე არ იმეორებს ყველგან და ყოველთვის?! ჰეშმარიტად აკაკის ღიმილი ქართველთა სულის სუნთქვას აცნაურებდა...

რუსთაველის შემდგომ ქართველთა სიტყვის პირველი ხელოვანი აკაკია: აკაკი, როგორც მგოსანი რუსთაველის მოციქულია. ეროვნული სულის ცოცხალი ენტელეხია ანუ ფორმა-ძალა, რომელიც ქაოსისაგან კოსმოსსა ჰქმნის, სიტყვა არის უთუოდ, და აკაკი, როგორც მსხნელი ქართული სიტყვისა, ქართველთა სულის ენტელეხიის სხეულებაა ნამდვილი. სარო ტანი, მოხდენილი ქედი, მრავალფეროვანი ფრთა, მსუბუქი ფრენა — აი მოხაზულობა აკაკის სიტყვისა...

მაგრამ მის ხელოვნებითს მქნელობაში ტანჯვასაც აქვს ადგილი. თუმცა მგოსნისთვის ეს მოვლენა შეუცნობელი დარჩა. ერთი ბრძენი ხელოვანის სიტყვით, ხელოვნებისათვის საჭიროა როგორც ცეცხლე-




აკაკის სახლ-მუზეუმი სხვიტორში



აკაკის ბიუსტი ოპერის სკვერში



აკაკისა და ილიას ძეგლი თბილისში



აკაკის საფლავი

უღი ელემენტი გენიისა, ისე სოველი და თბილი ელემენტი ტალანტისა: პირველი, როგორც შთავგონების ალი; მეორე, როგორც ალის სხე-
ული. აკაკის შემოქმედ პიროვნებაში გენიის ცეცხლეული ელემენტი უფრო ძლიერია, ვიდრე სოველი და თბილი ელემენტი ტალანტისა, —
და გენიის ალი უკვე ფერფლავდა მას მაშინ, როცა ალიანი სახენი ჯერ კიდევ ელოდნენ ტალანტის „შრომით“ სხეულებას... ესაა მიზეზი რომ აკაკი ვერ აღწევს რუსთაველობას...

გარნა, განსაცვიფრებელია მისი მგოსნური სტიქიონის „პოლიპეოსანალიზში“ — სხვად ქცევის ნიჭი. თვითონ მგოსანი გვამცნობდა, რომ ხელოვანი „ესეც“ უნდა იყოსა და „ისიც“, ცალ-ცალკე არც „მიწისა“ და არც „ცისა“; იგი უნდა იყოს ნამდვილი ექო, რომელიც მისცემს სოველს ხმას გამოძახილსა, იგი უნდა იყოს ჯადოსანი ჭურჭელი, რომელიც დაიტევს ყოველს სასმელსა... და მგოსანიც ასეთი იყო სწორედ: გული მისი ღია იყო ქალურ-პლანეტარულ ყოვლის მიმართ, საცა კი ჩქეფდა მზიური ჩქერი ღვთაებისა...

და ჭურჭელი იგი დაიმსხვრა... მაგრამ შემოქმედი ჩქერი, რომელიც იწვოდა მასში, მარადია, რადგან წყარო ჩქერისა უკვდავი ღვთაება თვითონ, დავეწაფნეთ ჩვენ ამ ჩქერს. განვიბანოთ გულნი ჩვენნი მისის ნაკადულით — და ნათელი მწუხარებით მივიღოთ მგოსნის მიცვალება.

K 213 409
258683

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის ჟურნალი

„აკაკის თვიურ კრებულს“ გამორჩეული ადგილი უკავია სამამულო პრესის ისტორიაში. ამ ჟურნალით სათავე დაედო სახელდებით გამოცემებს.

სახელდებითი გამოცემები ორგვარია: 1) ჟურნალი მთლიანად ან ძირითადად იმ მწერლის ნაწარმოებებს ეთმობა, ვის სახელსაც იგი ატარებს. 2) ნომრებში ჭარბობს სხვა ავტორთა თხზულებები, მაგრამ ისინი ამკვიდრებენ იმ მიმართულებას, სტილს, რომლის ფუძემდებელი თუ პრინციპული მიმდევარი რედაქტორ-გამომცემელია.

„აკაკის თვიური კრებული“ პირველ ჯგუფს განეკუთვნება.

ცხადია, ჟურნალის სფეციფიკა — სახელდებითობა — უთუოდ საგულისხმო და ანგარიშგასაწევია, მაგრამ იგი მაინც ფორმისეული კატეგორიაა. არსებითი და მთავარი კი ისაა, თუ რა მასშტაბისაა გამოცემა, რა როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „აკაკის თვიური კრებული“ ამ მხრივ მნიშვნელოვანია. იგი ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანოა, რომელმაც მიზნად დაისახა მოწინავე იდეების დამკვიდრება ქართველი ხალხის ცნობიერებაში და თვალსაჩინო როლიც შეასრულა დემოკრატიული მოძრაობის განვითარებაში.

საგამომცემლო საქმით აკაკის დაინტერესება პირობადებული იყო როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მოტივებით. აკაკი ღრმად სწვდებოდა ჟურნალისტიკის არსს. მან კარგად იცოდა, რომ პრესა საზოგადოებრივი აზრის შექმნის უმძლავრესი საშუალებაა და ვინც ხალხზე პერმანენტულ ზეგავლენას ესწრაფვის, იგი პირველ რიგში სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უნდა ეყრდნობოდეს. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 70-იან წლებში ა. წერეთელს, ნ. ნიკოლაძესა და ი. ჭავჭავაძეს განუზრახავთ გაზეთის გამოცემა. ამის შესახებ თვით აკაკი იუწყება: „მალე გამოვცემთ გაზეთს მე, ნიკო და

ილია¹. ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ სამი დიდი მოღვაწის შეთანხმება თავისთავად მრავლისმთქმელია როგორც მათი მომცემლო ინტერესების, ასევე ურთიერთთანამშრომლობის სურვილის გამჟღავნების თვალსაზრისით.

1883 წელს აკაკიმ დამოუკიდებლად სცადა პერიოდული ორგანოს — „გზის“ გამოცემა. იგი ჩაფიქრებული იყო როგორც ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი ფართო პროგრამითა და მრავალმხრივი განშტოებით.

როგორც ცნობილია, გაზეთის თუ ჟურნალის დაარსების ინიციატორები მთავრობას პერიოდული გამოცემის პროგრამას აცნობდნენ, მიმართულებას კი საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ. აკაკის განცხადებაშიაც ეს ტენდენცია მძლავრობს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მწერლის მსოფლმხედველობასა და ინტერესებს, „გზის“ პოლიტიკური პროფილი ადვილი ამოსაცნობი ხდება. იგი გაბატონებული სისტემის წინააღმდეგ მებრძოლი, მრავალმხრივ პროგრესული გაზეთი უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით ძალზე მეტყველად და მნიშვნელოვნად გვეჩვენება გამოცემის სახელწოდება. სათაური მიგვანიშნებს, რომ რედაქცია არ დაკმაყოფილდებოდა ვითარების განჩხრეკა-ანალიზით; მას უნდა ეჩვენებინა საქართველოს წინსვლისა და ბედნიერების ჭეშმარიტი გზა.

ერთი სიტყვით, „გზის“ რედაქცია დემოკრატიის დამცველი, არსებულის შეცვლის გულმხურვალე მოწადინე იქნებოდა.

ხელისუფლებამ შეუძლებლად ცნო აკაკის თხოვნის დაკმაყოფილება: «...Его сиятельство, приняв во внимание что кн. Церетели, состоя сотрудничком газеты «Шрома», обнаружил свонми литературными трудами направление, несогласное с видами правительства, не извоил признать возможным разрешить кн. Церетели издавать газету»².

სავარაუდოა, რომ აკაკი 15 წლის შემდეგაც ვერ მიიღებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის გამოცემის ნებართვას. ამიტომ სხვა ტაქტიკა აირჩია.

1897 წლისათვის აკაკის უამრავი ლექსი, მოთხრობა, პიესა და სხვა სახის ნაწარმოები დაუგროვდა. ბევრი მათგანი უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის. ნაწილიც მხოლოდ ერთხელ დაიბეჭდა და ბიბ-

¹ ა. წერეთელი, თბ., ტ. 15, 1963, გვ. 190.

² საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 480, აღწერა 3, საქმე № 78, ფ. 4.



ლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. მათი თავმოყრა და ამკრებელი მკითხველთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდა აკაკის უდიდეს დამსახურებად უღებელ საქმედ მიიჩნდა.

ამრიგად, „კრებულის“ დაარსების უპირველესი მიზანი იყო აკაკის ნაწარმოებების სისტემატიური, მიჯრითი პუბლიკაცია. სწორედ ესაა ხაზგასმული საცენზურო კომიტეტში წარდგენილ თხოვნაში.

თხოვნაში ყურნალის დაარსების სხვა მოტივიც არის აქცენტირებული — ხალხური შემოქმედების ნიმუშთა დასტამბვა.

აკაკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ფოლკლორს. მან ჯერ კიდევ 1882 წელს გამოაქვეყნა „განცხადება“, რომელშიც სთხოვდა ყველას, განსაკუთრებით კი სოფლის მასწავლებლებს, ჩაეწერათ ზღაპრები, გამოცანები, შაირები და გაეგზავნათ მისთვის. 1893 წელს კი წერდა: „ხალხური ლექსები, შაირები, ზღაპრები, თქმულობა, ლეგენდები, იგავ-არაკები და სხვანი, რაც კი შეადგენს ზეპირსიტყვიერებას, საზოგადოდ, ყოველი ხალხისთვის ძვირფასი განძია, როგორც მტკიცე საძირკველი მისის ისტორიისა და უტყუარი სარკე მისი წარსული ცხოვრებისა. თუ არ მომაკვდავი ხალხი, ისე ამ განძზედ ხელს ვერ აღებებს ვერც ერთი სიცოცხლის მოსურნე ერი. საქართველოს ხანგრძლივ ცხოვრებაში ამგვარი განძი დიდ-ძალი შეგროვებულა, მეტად მდიდარია; მაგრამ დღეს როცა ცხოვრებამ პირი იბრუნა და ფერი იცვალა, ეს განძიც, ზეპირსიტყვიერება, მივიწყებას ეძლევა თან-და-თან. საქმე მისწრებაზეა და თუ დავაგვიანეთ ერთ ათ წელიწადს იქით ხსენებაც აღარ იქნება!“³.

ზეპირსიტყვიერებისადმი აკაკის ინტერესი ნათლად ჩანს „კრებულის“ თანამშრომლის — თ. კიკვაძისადმი გაგზავნილ ბარათში. „გამოგიტყდები და გეტყვი, მარტო მისთვის, რომ ჩემი ნაწერები გამომეცა, მე არ ვიტვირთებდი ამ ძნელ საქმეს, მაგრამ ჩემი უმთავრესი წამახალისებელი ზეპირ-სიტყვაობაა. ამას უნდა შევწირო ჩემი უკანასკნელი ძალღონე და გაუტკულიო გზა“⁴.

გასათვალისწინებელია მესამე გარემოებაც. აკაკი ფიქრობდა, რომ სახელდებითი ყურნალი შემდგომში გაუადვილებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანოს შექმნას. მართლაც, უფრო ადვილი იყო არსებული გამოცემის შეცვლა, ვიდრე ახლის დაარსება.

ერთია რედაქტორ-გამომცემლის განწყობა-სურვილი და მეორეა მკითხველთა მისწრაფებანი. რამდენად დროული იყო „კრებულის“ დაარსება, პასუხობდა თუ არა იგი საზოგადოების მოთხოვნებს?

³ ა. წერეთელი, თხზ., ტ. 13, გვ. 75.

⁴ ა. წერეთელი, თხზ., ტ. 15, გვ. 260.

XIX საუკუნის მიწურულს სამამულო ჟურნალისტიკას გრძელდა და სახელოვანი ვზა ჰქონდა გავლილი. ისიც აღსანიშნავია, რომ 1897 წელს ათამდე ჟურნალი თუ გაზეთი იბეჭდებოდა; როგორც საერთო პოლიტიკური, ასევე დარგობრივი. ზოგიერთი მათგანი: „ივერია“, „კვალი“, ჭეჭილი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“ დიდი მოწონებითაც სარგებლობდა.

ერთი სიტყვით, არ იგრძნობოდა პერიოდულ გამოცემათა სიმცირე. ვერც იმას დადივიწყებთ, რომ ჩვენი ელიტა რუსულ და ევროპულ პრესას ეცნობოდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ძლიერი იყო ჟურნალ-გაზეთების დაარსების სურვილი. საკმარისია ითქვას, რომ იმხანად არაერთმა ქართველმა მიმართა საცენზურო კომიტეტს. ერთს „შრომის“, მეორეს „წყაროს“, მესამეს „სიმის“, მეოთხეს „ხმის“ და ა. შ. გამოცემა სურდა⁵. მთავრობის პოზიცია კი ასეთი იყო: ახალი გაზეთის დაარსება გაუმართლებელია, რადგან ქართულ ენაზე გამომავალი გაზეთები მთლიანად აკმაყოფილებენ ისედაც მცირერიცხოვან აუდიტორიას⁶.

მსგავს სიტუაციაში ძნელი იყო ახალი ორგანოს დაარსება და კიდევ უფრო ძნელი — მისი შენარჩუნება.

მაშასადამე, საჭირო იყო ორიგინალური კუთხის გამოჩენა, ჟურნალისათვის ახალი დატვირთვის მიცემა. აკაკი ალლოიანად მოქმედებდა. „კრებული“, ჭერ ერთი, განსხვავებული იქნებოდა იმით, რომ XIX საუკუნის უდიდესი და უპოპულარესი მწერლის შემოქმედებას გააცნობიერებდა. მეორეც, იგი ფოლკლორული ორგანოს ფუნქციას შეასრულებდა. ვერ ვიტყვით, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციები ინდიფერენტულნი ყოფილიყვნენ ზეპირსიტყვიერებისადმი, მაგრამ მაინც სულ სხვაა, როცა ამ საქმეს მწყობრი, სისტემატიური და პირველადი მნიშვნელობა ენიჭება.

„კრებულის“ პროფილმა ბუნებრივად განსაზღვრა მკითხველთა წრე. აკაკიმ აქცენტი აიღო დაბალი ფენების წარმომადგენლებზე. მოგვიანებით იგი წერდა: „მე მყავს მხედველობაში ჩემი მკითხველები, ჩემი წრე, და იმათთვის ვწერ და არა იმ ინტელიგენტებისათვის, რომელთაც ევროპის სიბრძნე-მეცნიერება შეუსწავლიათ და მაინც ვერ გადიან ფონს“⁷.

⁵ იხ. ჩვენი „ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ცდები XIX საუკუნის 70-90-იან წლებში“. წიგნში „ეტიუდები“; 1986.

⁶ საქ. ცსა, ფონდი 480, აღწ. 1, საქმე № 1283, ფ. 3.

⁷ „აკაკის თვითი კრებული“, 1898, № 8, გვ. 9-10.



სხვაგან კიდევ უფრო დაზუსტებულია მკითხველი აუდიტორის ვა
 ნაობა. ეს არის „დაბალი წოდების მუშა ხალხი, უმეტესად და
 და ხელმოკლე“.

ზედმეტი არ იქნება ხალხის აკაკისეული განსაზღვრაც გავიხ-
 სენოთ: „მე ხალხს ვეძახი დაბალ წრეს, იმ წრეს, რომელსაც ნიადაგი
 არ გამოსცლია ფეხ-ქვეშ და არ გაზუნებულა ზედა-პირსავით“⁸.

ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ ჟურნალი მხოლოდ ერთი
 სოციალური წრისთვის იყო განკუთვნილი. აკაკის შემოქმედება უკი-
 დეგანოა, მრავლისდამტევი და ამიტომაც ძალუმაღ იზიდავდა სხვა-
 დასახვა კლასის თუ ფენის წარმომადგენლებს.

აკაკიმ ჩაატარა დიდი წინასწარი სამუშაო. განსაზღვრა რე-
 დაქციის სამოღვაწეო ხაზი, დააზუსტა ფინანსური შესაძლებლობანი,
 ესაუბრა სტამბის ხელმძღვანელობას, მოხაზა პირველი ნომრის მაკეტი
 და ა. შ.

ამ მხრივ კიდევ ბევრი რამ რჩებოდა მოსაგვარებელი, მაგრამ ვიდრე
 გამოცემის ნებართვას არ მიიღებდა, მაინც შეზღუდულ-შეზოჭილი
 იყო.

1897 წლის 25 თებერვალს აკაკიმ თხოვნით მიმართა კავკასიის სა-
 ცენზურო კომიტეტს: „Желая самому издавать все свои сочине-
 ния старые, уже напечатанные, так и новые, не бывшие еще в
 печати, честь имею покорнейше просить Цензурный комитет хо-
 датайствовать перед Главным управлением по делам печати о
 разрешении мне издавать мои сочинения под личной моей от-
 ветственностью в ежемесячном повременном издании на гру-
 зинском языке под названием «Кребули» (Сборник) с прило-
 жением к нему произведений народного творчества, как-то: бы-
 лии, сказок, легенд, и пр.

Подписную цену исключительно на годовое издание назна-
 чено в шесть руб. (6 р.) с доставкой и пересылкой.

Издание будет печататься в типографии М. Шарадзе и К⁰
 в размере от 10—15 печатных листов⁹.

საცენზურო კომიტეტში ყურადღებით განიხილეს განცხადება და
 სხვა დოკუმენტები. ჩანს, ეს საქმე მინდობილი ჰქონდა ცენზორ ჟუ-
 რულს, რამაც, საფიქრებელია, მნიშვნელოვნად განაპირობა ბეჭდვი
 საქმის მთავარ სამმართველოში გავზავნილი წერილის ხასიათი და
 ტონი.

⁸ „აკაკის თეორი კრებული“, 1900, № 2, გვ. 4.
⁹ საქ. ცსა, ფონდი 480, აღწ. 1, საქმე № 1409, ფ. 4.

«Князь Акакий Ростомович Церетели, желая выпустить полное собрание своих сочинений по предварительной подписке в виде ежемесячного журнала, подал в вверенный мне Комитет прошение об исходатайствовании на этот предмет разрешения Главного управления.

Представляя при сем означенное прошение на благоусмотрение Вашего пр-ва, честь имею доложить, что кн. Церетели как поэт и драматург пользуется среди грузин большим уважением и псевдоним его «Акакий» одно из самых популярных имен в Закавказье. Выступив в конце пятидесятих годов борником освобождения крестьян и великих реформ, кн. Церетели в течение сорока лет обогатил грузинскую литературу разнообразными произведениями своего поэтического творчества и создал литературный грузинский язык.

Живя исключительно литературным трудом, кн. Акакий Церетели, некогда обладавший большими средствами, находится в настоящее время в стеснительных обстоятельствах. В ознаменовании его общепризнанных заслуг на пользу грузинской литературы, Кутаисский земельный банк назначил ему в год ежегодную пенсию в размере 1500 руб., но выдача таковой по настоящее время не последовала»¹⁰.

აკაკი სრულიად სამართლიანად არის წარმოჩენილი ამიერკავკასიის უპირველეს პოეტად და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლად, გლეხთა განთავისუფლების მეზაირახტრედ და დიდი რეფორმების მომხრედ.

ამ დახასიათებას ნებისმიერი პროგრესული მოღვაწე მოაწერდა ხელს. ერთგვარ გაცეხებასაც კი იწვევს ის ფაქტი, რომ საცენზურო კომიტეტიდან ასეთი დოკუმენტი გამოვიდა.

ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ „კრებული“ არაპერიოდულ გამოცემად მიიჩნია და საბოლოო დასკვნის გამოტანა კავკასიის საცენზურო კომიტეტს მიანდო. ამ უკანასკნელმა 1897 წლის 28 მარტს საკითხი დადებითად გადაწყვიტა, რაც იმავე დღესვე აცნობეს მთხოვნელს: „Вследствие прошения Вашего об исходатайствовании Вам разрешения издавать Ваши сочинения в ежемесячном издании на груз. яз. под назв. «Кребули» (Сборник) Главное уп-вл. по д. печати отзывом от 15 сего марта за № 211 уведомляет Комитет, что в удовлетворении Вашего ходатайства не встречается препятствии. Вследствие сего поверенный просит Вас пожаловать в Комитет для получения билета на предваритель-

¹⁰ საქ. ცსა, ფონდი 480, აღწ 1, საქმე № 1409, ფ. 2.

ნის ნაბორი «კრებული» იმყოფება ყოველწლიურად
ნიხსი დატყვევებით¹¹.

საქართველოს
პროცენტუალები

როგორც ვხედავთ, საქმე ერთ თვეში დამთავრდა. ეს იშვიათი
თხვევაა. ამგვარი ოპერატიულობა იმიტომ აიხსნება, რომ „კრებული“
არაპერიოდული გამოცემის სტატუსით სარგებლობდა.

გამოცემის ნებართვის მიღების შემდეგ აკაკის წინაშე მრავალი
საკითხი წამოიჭრა და ისიც მთელი ენერგიით შეუდგა მუშაო-
ბას.

უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა რედაქციის დაკომპლექტება,
უფრო ზუსტად, ერთგული თანაშემწის გამოძახება. მართალია, „კრე-
ბული“ უმთავრესად აკაკის თხოვნებისა იყო უნდა დაბეჭდილიყო. მაგ-
რამ მათი სასტამბოდ მომზადება, ბეჭდვისათვის თვალყურის დევნება,
ხელის მომწერებთან ურთიერთობა და სხვა დიდ დროსა და ენერჯის
მოითხოვდა. ამასთან ყურნალში თვალსაჩინო ადგილი უნდა დათმობო-
და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რომელთა მოპოვება და პუბლიკა-
ცია ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული.

ასე რომ, ერთი კაცი, როგორც ფენომენალური მონაცემებითაც არ
უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული, დიდხანს ვერ გაუძლებდა ამ მძიმე
ტვირთს. ეს კარგად იცოდა აკაკიმ და გულდაგულ ეძებდა თანაშემწეს.
საბოლოოდ მისი არჩევანი თევდორე გაბრიელის ძე კიკვაძეზე შეჩერ-
და. თედოს უნდა ეხელმძღვანელა ფოლკლორის განყოფილებისათვის.
საარქივო მასალებით ისიც დასტურდება, რომ მასვე ვეალებოდა კო-
რესპონდენტებთან მუშაობა და ტექნიკური საკითხების მოგვარება.

„კრებული“ ჩაფიქრებული იყო როგორც სრულიად საქართველოს
ყურნალი. ამიტომ რედაქტორი ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხის წარ-
მომადგენლებს შეეხმინა და თანადგომა სთხოვა. მას დახმარება აღუ-
თქვეს სოფრომ მგალობლიშვილმა, ზაქარია ჭიჭინაძემ, ივანე გვარამა-
ძემ და სხვ.

ქართულმა პრესამ ოპერატიულად აღწეა შეითხველებს, რომ აკაკიმ
ყურნალის გამოცემის ნებართვა მიიღო. 11 მაისს კი „ცნობის ფურ-
ცელში“ დაიბეჭდა აკაკის განცხადება: „დიდი ხნის სურვილი გამიხორ-
ციელდა და საკუთარი ყურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ
1897 წლის პირველი ენკენისთვიდან, ყოველი თვე და თვე, გამო-
ვა „კრებული“ სამ განყოფილებად. 1-ში იქნება ახალი, ჯერ დაუბეჭ-

¹¹ საქ. ცსა, ფონდი 480, აღწ. 1, საქმე № 1409, ფ. 5.

დელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადსავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახებ, შიგ და შიგ ჩართული იქნება ზელ-ახლა ყველაფერი, რაც-კი ამ ორმოცე წლის განმავლობაში მიწერია, — საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით. 3-ში ზეპირ-გადმონაცემები, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგან ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყველაფერზე, ამისათვის ყველას ვსთხოვ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში. საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მის შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერში.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ელირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ ვაგზავნით 7 მან. წელიწადში. ნახევარი წლით — კი 4 მანეთი“. შემდეგ დასახელებულია 23 ქალაქი, დაბა და სოფელი, სადაც შეიძლება ყურნალის გამოწერა.

ეს განცხადება სხვა გაზეთებშიც გამოქვეყნდა, ძირითადი ტექსტი უცვლელია. დაზუსტებულია მხოლოდ ხელმოწერის პუნქტები.

ყურნალის წარმატება მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ხელისმომწერებზე. ამას ითვალისწინებდა რედაქცია და მათ მისაზიდად არაერთი ღონისძიება ჩაატარა. მცდელობა უშედეგო როდი აღმოჩნდა. „კრებული“ არა მხოლოდ იმპერიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ვრცელდებოდა. მას კითხულობდნენ პარიზში, ლიონში, კონსტანტინოპოლში, პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, კიევში, იურიევში, ბუხარაში, აშხაბადში, ტაშკენტში, როსტოვში, ოდესაში და სხვაგან. საგულისხმოა, რომ სტავროპოლში ყურნალის 8 ეგზემპლარი იგზავნებოდა, ბაქოში — 11, განჯაში 36, თვით შორეულ ციმბირში — ირკუტსკში — 11 და ა. შ.

პირველ წელს „კრებული“ 1200 ეგზემპლარად იბეჭდებოდა. თუ ვითვალისწინებთ, რომ ამავე პერიოდში სომხური ყურნალების „მურჩის“, „აღბიურის“ და „ტარაზის“ ტირაჟი 500-ს არ აღემატებოდა, ეს დიდი ტირაჟია.

ივნისის ბოლოს აკაკი თბილისშია და პირველი ნომრის მასალებს ამზადებს. რედაქტორ-გამომცემელმა შეასრულა დანაპირები. მკითხველებმა „კრებული“ სექტემბრის დასაწყისში მიიღეს.

პირველი ნომერი იხსნება ლექსით „ფუტკარი“, რომელიც საპროგრამო ხასიათისაა. რედაქციის მრწამსის ამგვარი ფორმით გაცნობი-

ერება უჩვეულო არ არის ქართული ჟურნალისტიკისათვის. გავიხსენებ
ნოთ „ცისკარში“ გამოქვეყნებული გ. დადიანის ლექსი და სხვა ^{სხვა უჩვეულო}

„ფუტკარში“ შეწყვილების ხერხია გამოყენებული. მართალია, ^{სხვა უჩვეულო}
დარება ცალმხრივად არის გაშლილი, მაგრამ მეორე წევრი მაინც რე-
ლიეფურად წარმოჩნდება, რადგანაც პარალელის პრინციპის შესაბამი-
სად მასზე ლოგიკურად გადმოდის პირველის თვისებები.

ფუტკარი ხატის მსახურია, ზეცის მუშა. იგი არც ნიჭსა და არც
ძალას არ ზოგავს, რათა ღმერთსა და კაცს ემსახუროს. მშვიდია, მაგ-
რამ როცა შეუტევენ, უკან დახევა არ სჩვევია, მტერს თავს შეაკლავს.
აკაკის ღრმა რწმენით, ასეთივეა პოეტიც.

„შენც, მგოსანო კაცთა შორის
ფუტკარადა ხარ გაჩენილი...
თაფლს და სანთელს რომ სხვას აძლევ,
რაღა გრჩება ნათელ-ტკბილი“.

სქემა გონებისმიერია. ლექსში რელიეფურად არის გამოხატული
აკაკის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები, მკაფიოდ ჩანს
ავტორის რეალისტური თვალთახედვა, ნატურისადმი ერთგულება და
ხატვის სწორხაზოვანი მანერა. ყოველივე ეს, როგორც ცნობილია, დე-
მოკრატიული ტენდენციებით არის შეპირობებული.

მაგრამ ჩვენთვის უფრო მაინც სხვა მხარეა საინტერესო. ამ ლექს-
ით აკაკიმ, როგორც რედაქტორ-გამომცემელმა, გაამყლავნა ძირითადი
სათქმელი: „კრებული“ მამულის წინსვლა-ამაღლებისათვის გამოვანო.
ისიც არის მინიშნებული, რომ ჟურნალის გაძღოლა მძიმე და უმადური
საქმეა — შეიძლება ყველაფერი გასცე და არაფერი მიიღო. მაგრამ ეს
არ აკრთობს რედაქტორს, რადგან კარგად იცის, რომ ღვთისა და ხალ-
ხის სასარგებლოდ მუშაობს.

მსგავსი თვალსაზრისია გამოთქმული „უბრალო საუბარშიც“. ამ
დიალოგის ფორმა არის მომარჯვებული, რაც საპირისპირო შეხედულე-
ბების რელიეფურად გამოხატვას უწყობს ხელს. რედაქტორ-გამომცე-
მელი ორ ძირითად მიზანს ისახავს: გააცნობიეროს „კრებულის“ და-
ნიშნულება და აღნიშნოს მისი გამოცემის სიძნელეები.

„უბრალო საუბარში“ აკაკის განმანათლებლური შეხედულებებია
აქცენტირებული.

ოპონენტი ასე მიმართავს რედაქტორს: „მაგ შენი ახალი საშუალო-
ბით, ე .ი. მაგ „კრებულის“ გამოცემით, შენ მოძღვრებას ვერ გაამტკი-

ცემ! აგერ ორმოცი წელიწადია შეჩიხინებ ხალხს, მაგრამ ვინ რა და-
გიჯერა და ვის რა შეასწავლე? ¹²

აკაკი პასუხობს: „შენ რომ იცოდე, რა დრო იყო ჩვენში ამ მოცი წლის წინეთ და რა არის დღეს, მაგას აღარ იტყვი. მე მომს-
წრე ვარ იმ დროსი, როცა ჩვენში უბრალო ბარათის დაწერაც კი
უჭირდათ და დღეს დიდი და პატარა, ვინც ვინდა და არ ვინდა, პრო-
ზას რომ აღარ კადრულობენ, ლექსით აბუღბუღებენ სიტყვა-პასუხს“ ¹³.

მართალია, აქ ყურადღება ლექსთა თხზვაზეა გადატანილი, მაგრამ
ძირითადი დასკვნები უფრო შორს მიდის, ღრმად ფესვგადგმული და
განშტოებულია.

აკაკის თავის უმთავრეს დამსახურებად ის მიაჩნია, რომ გარკვეული
წვლილი შეიტანა განათლების გავრცელებაში, საზოგადოების გამო-
ფხიზლებასა და ინტელექტუალურ-ზნეობრივ ამაღლებაში. ამავე ამო-
ცანას უსახავს იგი „კრებულს“. ყურნალს ხელი უნდა შეეწყო მწერ-
ლობის განვითარებისათვის. ეს გულისხმობდა როგორც მხატვრული
ნაწარმოებების შექმნას, ასევე ლიტერატურული გემოვნების დახვეწას.

წერილში „ზეპირსიტყვაობის გამო“, რომლითაც იხსნება მესამე
განყოფილება, ჩამოყალიბებულია რედაქტორის ფოლკლორისტული
შეხედულებები. „არსად ისე გავრცელებული არ ყოფილა „მეზღაპრე-
ობა“, „მესტირობა“ და „მეშაირობა“, როგორც ჩვენში!.. საშვილიშ-
ვილოდ ვადმოიცემოდა ხოლმე ერთი-მეორისაგან ასისა და ათასის
წლის ამბები, და ამის გამო უმაღლეს წერტილამდე იყო აყვანილი ჩე-
ნი სახალხო პოეზია“ ¹⁴. აკაკის მტკიცებით, საქართველოში ბატონყო-
ბის დროს „...ზოგიერთ გლეხებს მთელი გვარეულობით ზღაპრებისა
და შაირების მეტი არა ემართათ რა გადასახადი“ ¹⁵. ეს თუ ასეა, მაშინ
მართლაც უნიკალურ შემთხვევასთან გვქონია საქმე. ფოლკლორის არა
მხოლოდ, რეკრეაციული, ¹⁶ არამედ შემეცნებითი და აღმზრდელი
ღირებულება ძველთაგანვე მართებულად ყოფილა გაგებული.

აკაკი ხაზს უსვამს ქართული ზეპირსიტყვიერების ზოგადსაკაცობ-
რიო მნიშვნელობასაც. რამდენადაც საქართველო ევროპა-აზიის შესა-
ყარზეა, ამდენად, ერების გადაადგილებისა და კულტურათა ურთიერთ-
გავლენის შედეგებსაც ასახვა უნდა ეპოვა ჩვენს ფოლკლორში. ისიც

¹² „აკაკის თვითი კრებული“, 1897, № 1, გვ. 7.

¹³ იქვე, გვ. 8.

¹⁴ იქვე, გვ. 1.

¹⁵ იქვე, გვ. 2.

¹⁶ დასვენების, გართობის (რედ.).

ხაზგასასმელია, მიუთითებს მწერალი, რომ ფოლკლორისტული ტრადიციები ჩვენში მეტად მყარი და ძლიერი იყო.

ამ მართებული მსჯელობის შემდეგ სრულიად ბუნებრივია იმის მოთხოვნა, რომ ეროვნული ფოლკლორისადმი დიდი გულისხმიერების გამოჩენა გვმართებს, მით უფრო, რომ ბევრი რამ იკარგება. „ერთი ათი წელწადი კიდევ და მშვიდობით!.. ჩვენი დღევანდელი დაუდევრობით დაეკარგავთ იმას, რისი მოპოვება მერე შეუძლებელი იქნება“¹⁷.

აკაკი ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებას მოითხოვს ერთი პროგრამისა და წესდების მიხედვით. ამისთვის აუცილებელია პერიოდული გამოცემა. ასეთად ესახება მას „კრებული“. „...მივმართავ ყველას, ვისაც შეუძლია დახმარება, განსაკუთრებით სოფლელ ახალგაზრდობას, რომ მხარი მოგვეცნ ამ დიდათ საჭირო საქმეში. იმათ უნდა აიღონ თავიანთი სოფლები და აგვიწერონ ამ გვარად: რა გვარის კაცები ცხოვრობენ იქ და ან რა თქმულებაა დარჩენილი მათში იმათ ძეგლებზე? დაგვისახელონ, რა და რა ფრინველები, შინაური თუ გარეული ცხოველები შენობენ იქ? რა და რა მცენარე-ბალახები იზრდებიან და რა თვისებებისა არიან ზოგიერთი მათგანი? რომელი მათგანი გამოდგება საღებავად? საწამლავად? სამკურნალოდ? რამდენი ნანგრევი ციხე-კოშკ-დარბაზებ-ტაძრებია და რა არის მათზე თქმულება? რა და რა მდინარენი ჩამოდიან? რა თევზებია შიგ? ტბები თუ აქვს? წყაროები? დღეები და სხვანი. შეკრიბონ აქვე ზეპირ-გადმონაცემებიც ყოველ გვარი: ზღაპრები, შაირები, ლექსები, ანდაზები, ზმები და სხვანი. გვარში თუ რამე გუჯრებია. აგრეთვე ყოველი სიტყვა, რომელიც ეუცხოვებათ, ჩაწერონ და მისი მნიშვნელობა გამოჰკითხონ ხალხს. შემკრებელმა, რასაკვირველია, უნდა უმეტ-ნაკლებით ჩაწეროს, როგორც გაიგონოს, ე.ი. ფონოგრაფიულათ. დაეწეროს ხოლმე სოფლის ჭირში და ღხინში, რომ მათი ზნე და ხასიათი შეინსწავლოს და აგვიწეროს. ერთს სოფელს რომ მორჩება, მერე მეორეში გადავიდეს და ამგვარათ მოიაროს ერთიმეორეზე მისი მახრა ან ხეობა. ეს ძალიან ადვილი საქმეა და ამას არც ძალიან ბევრი დრო მოუხდება. ამ საქმეს მხოლოდ გულ დადებუა უნდა და მცირეოდენი ბეჯითობა, რომ თავის საკუთარი ფანტაზია არ წაამატოს შემკრებელმა“¹⁸.

პროგრამა ვრცელია. იგი მხოლოდ ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შეკრებას როდი ითვალისწინებს.

¹⁷ „აკაკის თვითრი კრებული“, 1897, №1, გვ. 2.

¹⁸ იქვე, გვ. 5.



რედაქტორმა ამ სახელმძღვანელო მითითებების გამოქვეყნებამ
დიდი საქმე გააკეთა, ზუსტი მისამართი მისცა ენთუზიასტთა პრაქტიკულ საქმიანობას. ვერც იმას დავივიწყებთ, რომ წერილი ემოციური
გზნებით ხასიათდება.

როგორც ვხედავთ, პირველ ნომერში გამოქვეყნებული მასალები გა-
მოირჩევიან მაღალი იდეურობითა და საქმიანი ტონით.

რა შეიძლება ითქვას ჟურნალის ტექნიკურ გაფორმებაზე?

პირველი ნომერი საშუალო ფორმატის სოლიდური წიგნია. იგი სამი
განყოფილებისაგან შედგება. 1899 წლიდან მათი რიცხვი შემცირდა.
დაჯგუფება მოხდა შემდეგნაირად: არაფოლკლორული და ფოლკლო-
რული ნაწარმოებები. ეს დაყოფა გაცილებით ლოგიკური და ეფექტუ-
რი აღმოჩნდა. სატიტულო ფურცელი სადად არის გაფორმებული. პირ-
ველ ხაზზე იკითხება „აკაკი“, მეორეზე — „თვითრი“, მესამეზე „კრე-
ბული“. პირველი სტრიქონი აწყობილია გროტესკული ჩონჩხით, მე-
ორე — ვენურით, მესამე სტრიქონზე მოთავსებული სიტყვა კი კლიში-
რებულია. მხატვარს ლამაზად გამოუყვანია ასოები. შტრიხები თავთუ-
ხის, ხოლო მუხლები ყვავილის კვირტების ასოციაციას ქმნიან. გამო-
რიცხული არ არის, რომ აშკარა გაფორმებით მხატვარი შემდეგ აზრს
გვაწვდიდეს: ჟურნალი დაგვაპურებს და დაგვატკობსო.

ტექსტი სხვადასხვა გარნიტურის შრიფტით იწყობოდა, უმთავრესად
ვენურით. გამოყენებულია დედაენის გარნიტურიც, არსებითად ლექსთა
გრაფიკული გამოსახვისათვის.

ნომერში უხვადაა ბოლოსართები, რომლებიც ფაქიზი და ესთეტი-
კურია.

ტექნიკური თვალსაზრისით უფრო მდიდრულად არის გაფორმებუ-
ლი განცხადებები. ეს გასაგებიცაა. რეკლამის არსი და ძირითადი ტენ-
დენცია დაცული უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, ჟურნალი სადად და მიმზიდველად ფორმდება. გათვალის-
წინებულია მკითხველთა წრე და გემოვნება.

„კრებულის“ გამოსვლას კმაყოფილებით შეხვდა „ცნობის ფურცე-
ლი“. იგი აცნობს მკითხველებს ნომრის შინაარსს და დასძენს: „სულით
და გულით ვუსურვებთ ახალს ჟურნალს თავისი საქმე პირნათლად და
მოსალოდნელად წაეყვანოს, რაშიაც მტკიცედ დაიმედებული ვართ
თვით ჟურნალის პატრონის სიტყვებითვე (მე და ის). ძალიან კარგს
იზამდა ბ-ნი აკაკი, რომ თავის ნაწარმოებებზე აღნიშნავდეს ხოლმე,
რა დროს არის დაწერილი რომელიმე თხზულება, რითაც მკითხველთა
სამართლიანი ცნობის მოყვარეობა დაკმაყოფილებული იქნებოდა“¹⁹.

¹⁹ „ცნობის ფურცელი“, 1897, № 302.



დადებითად გამოეხმაურა ხსენებულ ფაქტს „ივერიაც“. სიამოვნებით ცაცნობებთ ჩვენს მკითხველებს, რომ გუშინ, პირველ სექტემბერს, მოვიდა აკაკის ახალი ჟურნალი „კრებული“. წიგნი საკმაოდ მოზრდილია, შეიცავს 201 ფურცლამდე და ლამაზად არის დაბეჭდილი“²⁰.

ინფორმაციები დაისტამბა „კვალსა“ და „მწყემსში“, ყველაზე ვრცელი მასალა კი „კავკასმა“ გამოაქვეყნა. მან არა მარტო ჟურნალის შინაარსი გააცნო მკითხველებს, არამედ ვრცელი ამონაწერიც მოიტანა აკაკის წერილიდან „ზეპირ სიტყვაობის გამო“. ნაწყვეტი შერჩეულია ღრმა ჩანაფიქრით. მასში ლაპარაკია ქართული ფოლკლორის არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ მსოფლიო მნიშვნელობაზე.

„კრებულის“ ტირაჟი და ხელის მომწერთა რაოდენობა იდენტური როდი იყო. რედაქტორ-გამომცემელი ზოგს მუქთად უგზავნიდა ჟურნალს, ზოგს კიდევ ნახევარფასად. 1897 წლის მეოთხე ნომერში ვკითხულობთ: „ლეჩხუმში — ვინმე სვანს. იწერებით: „თქვენი „კრებულის“ გამოწერა მსურს, მაგრამ შეძლება არ მაძლევს ნებას ერთად შემოვიტანო ფულიო“. ეს სურვილი სხვებმაც გამოაცხადეს და ჩვენც ამიტომ წესად დავდევით შემდეგი: მსურველს შეუძლია მიმართოს პირდაპირ რედაქციას, ან მის აგენტებს და წვრილ-წვრილად, წლის განმავლობაში, როცა ემარჯვებოდეს და ეხერხებოდეს. ცოტ-ცოტაობით შემოიტანოს ხოლმე. აგრეთვე, ვინც ისე ღარიბია, რომ ვერც ამას შეიძლებს და არაფერი საშუალება არა აქვს, იმან მხოლოდ თვითონვე იკისროს ფოსტის გასაგზავნი ქირის გადახდა და ჩვენი „კრებული“ კი უსასყიდლოდ მიირთვას ხოლმე ყოველ თვე და თვე. სახალხო ბიბლიოთეკებს—კი დაეთმობათ მთელი წლის ნახევარ ფასათ—4 მანეთად“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელის მომწერლებისაგან შემოსული თანხა საკმარისი არ იყო ჟურნალის გამოსაცემად და ეკონომიურად ისედაც შევიწროებულ აკაკის საკუთარი სახსრების გაღება უხდებოდა, კიდევ უფრო აშკარა გახდებოდა მისი პატრიოტიზმი და დემოკრატიზმი; სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

„კრებულის“ ისტორიიდან აღსანიშნავია 1899-1900 წლები. აკაკიმ გადაწყვიტა გაეფართოებინა ჟურნალის პროგრამა და სათანადო თხოვნით მიმართა ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს: „Имею честь всепокорнейше просить Главное управление по делам печати дозволить мне в издаваемом мною ежемесячном сборнике «Кребули» иногда помещать и чужие произведения чисто беллетри-

²⁰ „ივერია“, 1897, № 180.

стические, как старых, так и новых писателей, а также и критико-библиографические заметки»²¹.

თანხმობა მოვიდა და აკაკი გახარებული წერდა: „ჩვენი „კრებული“ მეორე წელიწადში გადადგა. ამ მეორე წლის პირველი ნომერი ენკენისთვის უნდა გამოსულიყო, მაგრამ ჩვენის ჟურნალისავე სასიკეთოდ განზრახ შევაჩერეთ გამოცემა რამდენიმე თვით და მხოლოდ იანვრიდან განვაგრძობთ გამოცემას და წელიწადიც მომავალი 1899 წ. იანვრიდან დაიწყება. დღემდე ჩვენ უფლება არ გვქონდა, რომ, გარდა ყოველგვარი ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს „კრებულში“, დღეს კი ნება გვაქვს, რომ სხვებიც ვებეჭდო ხოლმე და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთანაა კიდევ აღგვითქვეს დახმარება. ფასი იგივე დარჩება: ვაგზანით ფოსტით — 7 მან., ადგილობრივ გაუგზავნელად — 6 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურად და კერძოდ ნომერი 60 კ. რედაქცია გადატანილ იქნება დაბა ყვირილაში (ზესტაფონში), ღამბაშიძის სახლებში.

განცხადება ყოველი სახის მიიღება ჩვეულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

დასასრულ მაღლობას ვუძღვნი მათ, ვინც წარსულ წელში გვეხმარებოდა და, იმედია, რომ არც მომავალში მოგვაკლებენ თანაგრძნობას“²².

შემთხვევითი არ არის, რომ რედაქცია ზესტაფონში გადაიტანეს. ეს რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. ჯერ ერთი, აკაკი ავადმყოფობს და ექიმები მშობლიურ სოფელში ცხოვრებას ურჩევენ. სხეიტორის მახლობელ პუნქტთანაა კი, სადაც შეიძლებოდა რედაქციის მოთავსება, ყველაზე ხელსაყრელი აღმოჩნდა ზესტაფონი. იგი რკინიგზის კვანძი იყო. აქედან ადვილად შეიძლებოდა ქუთაისთან დაკავშირება და პოლიგრაფიული საკითხების მოგვარებაც.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვახტანგ ღამბაშიძემ — ფრიად განათლებულმა, ნიჭიერმა ექიმმა — უსასყიდლოდ დაუთმო რედაქციას ოთახი და სხვაგვარი დახმარებაც შესთავაზა რედაქტორს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „კრებული“ მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. იგი უფრო მრავალმხრივი და საინტერესო ხდება. რედაქტორ-გამომცემელს შესაძლებლობა ეძლევა ფართოდ წარმოაჩინოს ქართული მწერლობა და, რაც მთავარია, გარკვეული ზეგავლენა

²¹ საქ. ცსა, ფონდი 480, აღწ. 1, საქმე № 1409, ფ. 15.

²² იქვე, საქმე № 1474, ფ. 24.

ნა მოახდინოს მის განვითარებაზე. სწორედ ამ მიზნით იქმნებოდა ტიკულ-ბიბლიოგრაფიული განყოფილება.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ პროგრამის გამრავალფეროვნებას შეეძლო საგამომცემლო პორტფელის გაზრდა, რაც ყურნალის გამოცემის გახანგრძლივების ერთ-ერთი საწინდარი იქნებოდა. მარტო-ხელა მწერალს, როგორი პროდუქტიულიც არ უნდა იყოს იგი, მაინც დაუდგება ჟამი, როცა ყოველთვიური ნომრის შევსება გაუჭირდება.

ძალზე საინტერესოა ისიც, რომ აკაკი ცდილობს „კრებულს“ საკუთრივ ყურნალის ხასიათი მისცეს, რაც უთუოდ გულისხმობდა საზოგადოებაზე მეტი და პირდაპირი ზეგავლენის მოხდენას. „...ჩვენ გადავსწყვიტეთ ყოველდღიურ მოვლენას მივაქციეთ ყურადღება და ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი, გინდ წვრილმანიც იყოს, აღვნიშნოთ ზოლმე ჩვენს „კრებულში“. ეს იქნება „შიდა მარგვლა“ ანუ როგორც საზოგადოდ მიღებულია, შინაური მიმოხილვა“²³.

1899 წლის იანვარში გამოვიდა გადახალისებული „კრებული“. იგი გაცილებით მდიდარი და მიმზიდველია, ვიდრე წინა ნომრები. აქ დაიბეჭდა კოლხიდელის, მ. ჯანაშვილის, შ. არაგვისპირელის, ხომელის და სხვათა ნაწარმოებები.

მაგრამ დროთა განმავლობაში აკაკი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და 1900 წლის მარტ-აპრილის ნომრის (გამოვიდა მაისში) შემდეგ ყურნალის გამოცემა შეწყდა.

რამ გამოიწვია ყურნალის დახურვა?

გრ. ყიფშიძე ყურნალის დახურვას ხელისმომწერთა ნაკლებობით ხსნის. იგი წერდა: „В первое время сборник имел приблизительно до 1000 подписчиков, но затем количество их стало сокращаться, сборник начал выходить неаккуратно и в конце 1899 года вовсе прекратил свое существование“²⁴.

აქ დახურვის თარიღი არასწორად არის მითითებული. მაგრამ ამჯერად ჩვენს ყურადღებას სულ სხვა რამ იბყრობს. გრ. ყიფშიძე მიგვანიშნებს „კრებულის“ გამოცემის შეწყვეტის ორ მიზეზზე: 1) ხელის მომწერთა სიმცირესა და, აქედან გამომდინარე, რედაქციის მატერიალურ სივიწროვეზე. 2) ნომერთა არასისტემატურ გამოცემაზე, რაც, საფიქრებელია, გამოწვეული იყო მასალათა სიმცირით ან შედარებით დაბალი ხარისხით.

აკაკიმ უარყო გრ. ყიფშიძის მოსაზრება. მან ხაზგასმით აღნიშნა,

²³ „აკაკის თვიური კრებული“, 1899, № 1, გვ. 6.

²⁴ Кишшидзе Г. Периодическая печать на Кавказе, 1901, стр. 45—46.

რომ „მიზეზი“ „კრებულის“ შეჩერებისა სულ სხვა იყო და არა ხელის-
მომწერთა ნაკლებობა. ის მიზეზი თვით ყიფშიძემ კარგად იცოდა.
მე თვითონ ვუჩვენე საბუთი „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელა-
რიაში, მაგრამ დავიწყებია ალბათ!“²⁵.

რედაქტორ-გამომცემლის მტკიცებით, „კრებულის“ დახურვა განა-
პირობა პროგრამით გაუთვალისწინებელი მასალების პუბლიკაციამ.
„...როდესაც ზოგიერთებმა, სადაც დიახ შინაურია ბ-ნი ყიფშიძეც, ჩე-
მი საწინააღმდეგო, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩემი სადევნელი
წერილების წერა დაიწყეს „ცნობის ფურცელსა“ და „მოამბეში“, მეც
ჩემ ჟურნალში დავიწყე პასუხის წერა და გაიშართა პოლემიკა.

მე კი უფლება არ მქონდა მეხეჭედა ჩემს „კრებულში“ სხვა რამე,
გარდა ლექსებისა და მოთხრობებისა. აი რამ შეაჩერა „კრებული“²⁶.

აკაკის პასუხში იგულისხმება, რომ ჟურნალი მთავრობამ დახურა. სა-
მეცნიერო ლიტერატურაშიც ეს აზრია გატარებული. მაგალითად, აკა-
კის ერთ-ერთი ბიოგრაფი პირდაპირ მიუთითებს: „...მთავრობამ აკაკის
ორგანო იმისათვის აკრძალა, რომ წმინდა ლიტერატურულ მასალასთან
ერთად რედაქტორმა პუბლიცისტური ხასიათის ნაწერების ბეჭდვაც
დაიწყო“.

მეორე აღნიშნავს: „აკაკიმ ანგარიში არ გაუწია საცენსურო კომი-
ტეტის ვაფრთხილებას და განაგრძო პოლემიკური წერილების ბეჭდვა
ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჟურნალი სასწრაფოდ დახურა“.

ავტორს მხედველობაში აქვს საცენსურო კომიტეტის მომართვა,
რომელიც 1900 წლის 11 მაისით თარიღდება:

«Главным управлением по делам печати в 1897 г. разрешено
издавать вам на грузинском языке сборник ваших сочинений
«Кребули». Цензурный комитет принял во внимание, что Глав-
ное управление не усмотрело в представленной вами программе
характера периодического издания, признало возможным в ок-
тябре 1899 г. разрешить вам печатать в издаваемом вами сбор-
нике «Кребули» и чужие произведения как старых, так и новых
писателей, а также и критико-библиографические заметки. Не
ограничиваясь, однако, таким разрешением, вы стремитесь об-
ратить свой чисто литературный сборник в орган полемики с
вашими литературными и общественными антагонистами, при-
давая таким образом сборнику характер газеты.

Усматривая в этом новом направлении принципиальное ук-
лонение от разрешенной вам программы, Комитет постановил:

²⁵ ა. წერეთელი, თხზ., ტ. 14, გვ 70.

²⁶ იქვე.

не допускать на будущее время в издаваемом вами сборнике «Кребули» новых статей или заметок полемического характера, о чем Комитет имеет честь поставить вас в известность»²⁷.

ამ დოკუმენტიდან აშკარაა, რომ საცენზურო კომიტეტი კი არ კრძალავს „კრებულის“ გამოცემას, არამედ აუწყებს რედაქტორ-გამომცემელს, რომ არ გაუშვებს პოლემიკურ წერილებს. ე. ი. „კრებულს“ უნდა გაეგრძელებინა არსებობა დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

ამ გაფრთხილების შემდეგ აკაკის არცერთი ნომერი აღარ გამოუცია. საფიქრებელია, აკაკიმ საცენზურო კომიტეტის სწორედ ეს მოწერილობა აჩვენა გრ. ყიფშიძეს, მაგრამ მან, სრულიად სამართლიანად, იგი არ მიიჩნია ყურნალის დახურვის ბრძანებად, რადგან ხელისუფლებას არასდროს დაუმაღავს ყურნალ-გაზეთის დახურვის მიზეზი. გაეიხსენოთ „დროებისა“ და „ივერიის“ გამოცემის შეჩერების ისტორია. დოკუმენტებით არ დასტურდება, რომ „კრებული“ ხელისუფლებამ დახურა.

ფაქტობრივად „კრებულის“ დახურვა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა: ჯერ ერთი, ბოლო ხანებში „კრებულის“ რედაქტორ-გამომცემელს მატერიალურად ძლიერ გაუჭირდა. ჯერ კიდევ 1898 წელს აკაკი იტყობინებოდა: „იმდენი ხელის-მომწერლების იმედი, რომ „კრებულის“ გამოცემას ეყოს ერთი წლის განმავლობაში, არც ახლა მაქვს. საჭიროა, რომ კერძო საცადისს მივჰყო ხელი და ამიტომაც რამდენიმე თვით იძულებული ვარ შევაჩერო „კრებულის“ გამოცემა. ...მომავალი წლის პირველ იანვრიდამ გამოვსცემ და წელიც იანვრიდამ დაიწყება“²⁸.

საფიქრებელია, ეს „კერძო საცადისი“ მხოლოდ ერთი წლისათვის აღმოჩნდა საკმარისი.

„კრებულში“ დრო და დრო ქვეყნდებოდა სია იმ პირებისა, რომელთაც ეგზავნებოდათ ყურნალი. 1898 წელს 1140-მდე კაცია დასახელებული. მომდევნო წელს კი ეს რიცხვი განახევრდა (520-მდე)²⁹. გასათვალისწინებელია, რომ, ვისაც „კრებული“ ეგზავნებოდა, ყველა ხელისმომწერი როდი იყო. რედაქტორ-გამომცემელმა, როცა ერთი წლის მუშაობა შეაჯამა, თქვა: „ჩვენ გვყავდა „კრებულზე“ ხელის მომწერი სულ 1000, სრული გადამხდელი იყო 400. 300 მუქთი და დანარჩენი ნახევრისა და ზოგი მესამედ-მეოთხედისაც“³⁰.

²⁷ საქ. ცსა, ფონდი 480, აღწ. 1, საქმე № 409, ფ. 21.

²⁸ „აკაკის თვიური კრებული“, 1898, № 12, გვ. 65.

²⁹ „აკაკის თვიური კრებული“, 1899, №6, გვ. 47.

³⁰ იქვე, გვ. 65.



ასე რომ, ხელის მომწერთაგან შემოსული თანხა ვერ ფარავდა ხარჯებს და რედაქტორ-გამომცემელსაც საკუთარი ჯიბიდან უწევდა კლოსის შევსება. ამას აკაკიც ადასტურებს: „პირველ წელიწადს „კრებულს“, თუმცა მისი ფასიც მცირე იყო და შემოსატანი ფულიც ყოველთვიურად ჯავანაწილეთ, მაგრამ მაინც იმდენი ხელის-მომწერი არ ჰყოლია, რომ ხარჯი დაეფაროს“³¹. „მეორე წელიწადსაც პირვანდელზე ერთი-ორად ნაკლები ჰყავდა ხელისმომწერლები და ზარალიც ერთი-ორად მეტი ნახა“³².

ამრიგად, თავი იჩინა ქართული ჟურნალისტიკისათვის ნიშანდობლივმა სენმა — მატერიალურმა სივიწროვემ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ნომერებში გვერდთა რაოდენობა კლებულობს. მაგალითად, 1900 წლის პირველი ნომერი 148 გვერდს შეიცავს, მეორე 155, ხოლო გაერთიანებული მესამე-მეოთხე — 186. წიგნთა მოცულობა თითქმის ერთი მეოთხედით მცირდება.

ახლა ვნახოთ, რა მდგომარეობაა მასალათა მრავალფეროვნების თვალსაზრისით. თანდათან ეცემა მხატვრული ლიტერატურის ხვედრითი წილი. იმძლეა ვრცელმა სამეცნიერო გამოკვლევებმა, რომლებიც გავრძელებებად იბეჭდება რამდენიმე ნომერში. მაგალითად, მ. ჯანაშვილის „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი“ 9 ნომერში დაისტამბა, ზ. ჭიჭინაძის „მასალები ქრისტიანობის დაცემის და ისლამის გავრცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში“ — 6 ნომერში, ს. ქვარიანის „ევროპის მებაგრეშუმეობა“ 4 ნომერში და ა. შ.

ეს ნაწარმოებები უთუოდ საყურადღებო და მნიშვნელოვანია, მაგრამ ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ესოდენ ვრცელი თხზულებები ღლის მასობრივ მკითხველს და გულს უცრუებს ყოველთვიურ გამოცემაზე. როგორც ირკვევა, საყურნალო მასალები არცთუ უხვადა ჰქონდა რედაქციას.

ერთ მიზეზზედაც გვმართებს შეჩერება. იგი სიღრმისეულია და უფრო დაფარული, ვიდრე პირველი ორი. ვერც სიძლიერით მიედრება მათ, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწეია. აკაკი პროფესიონალი ლიტერატორი გახლდათ. თავის მოწოდებად მწერლობას, მხატვრული ტილოების შექმნას თვლიდა. ჟურნალის ხელმძღვანელობა კი დიდ დროს, ენერგიას და დაძაბულ მუშაობას მოითხოვდა. „კრებულის“ გამოცემის პერიოდში მწერალი ისე ვერ ახერხებდა შემოქმედებით პროცესში ჩანთქმას,

³¹ „აკაკის თვითრი კრებული“, 1899, გვ. 1.
³² იქვე.

როგორც სურდა. ამ გარემოებას უთუოდ უნდა ემოქმედა რედაქტორ პოეტზე და გარკვეულად შეემზადებინა ნიადაგი ჟურნალის გამომცემის შესაჩერებლად.

ყოველივე ზემოთქმულს ემატება ცენზურის სიმკაცრეც.

„კრებულის“ რედაქციისა და ცენზურის დაპირისპირება გარდაუვალი იყო. ცხადია, აკაკი ვერ უღალატებდა თავის მრწამსს, ვერც ცენზურა დათმობდა პოზიციას. ზემდგომი ორგანოები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს აკაკის საქმიანობას და მკაცრ ღონისძიებებსაც ატარებდნენ. ცენზურამ ათამდე ნაწარმოების დაბეჭდვა აუკრძალა რედაქციას. თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ ჟურნალის 28 ნომერი გამოვიდა, ეს არცთუ მცირედ მოგვეჩვენება.

უფრო აშკარა რომ გახდეს ცენზურის პირდაპირი თუ შენიღბული ბრძოლის არსი, გავეცნოთ რამდენიმე აკრძალულ მასალას.

„კრებულის“ პირველ ნომერში უნდა დაბეჭდილიყო აკაკის ლექსი „ვედრება“, მაგრამ ცენზურამ შეუძლებლად ცნო მისი გაშვება. ამისთვის საკმაოზე მეტი საბუთი ჰქონდა. ლექსი გამსჭვალულია არსებული ვითარების კრიტიკით, ქართველთა მონური ქედმოხრიდან მომდინარე შეშფოთება-წუხილით. დაცემულს გულგრილად ნუ ჩაუვლით, — ამბობს პოეტი. მაგრამ ისიც გაითვალისწინე, რომ დაცემულთაგან ერთს აღდგენა სურს, მეორე კი „პირუტყვებრივ“ მორჩილებას ამჯობინებს. პოეტი ზოგად სურათს კონკრეტულ მისამართს აძლევს.

„უნდა ჩავყლაპო სიტყვები ძალით,
გულს თუ დამადგა, ვერც დავახველო,
ამას კი ვიტყვი გინდა მომკალით:
„ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!“³³

მამულის სიყვარულისა და ბრძოლის ჟინის ასე მძლავრად, ეფექტურად გამოხატვა მხოლოდ დიდოსტატებს ხელეწიფებათ. აკაკიმ ბეწვის ხიდზე გაიარა, შესძლო „არაპოეტურის“ პოეტურ ჩარჩოში ჩასმა და, რაც მთავარია, მკითხველთა სათანადოდ განწყობა.

„გასაკვირი არ იქნებოდა, თუ ცენზურა „ვედრებას“ პოლიტიკურ პროკლამაციას გაუტოლებდა. ლექსში ხომ დაუმორჩილებლობისა და შეტყვისაკენ მოწოდება მძლავრობს.

„ვედრების“ ბედი ხვდა წილად ხალხურ ლექსს „შემხვდა სალდა-თობის კენჭი“. იგი აწყობილი იყო 1897 წლის „კრებულის“ მესამე

³³ ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. 1, 1950, გვ. 140.

ნომრისათვის. ლირიკული გმირი შეუფარავად მოგვეთხრობს იმ გაჭირვებაზე, რაც მან გადაიტანა.



„დამასწავლეს „უჩენია“.
„ნაპრაჲ“ და „ნაკრული“.
ოთხ წელიწადს მიმსახურეს,
გამომიშვეს გატყაული“...³⁴

ლექსი ორიგინალურად არის აგებული. ძირითად ნაწილში ქართველი ჯარისკაცის თავგადასავალია მოთხრობილი, მეტყველი დეტალებით არის გაცნობიერებული ჭაბუკის გაჭირვება. მეორე ნაწილი თავისებური მინამღერია. იგი კომენტარის ფუნქციასაც ასრულებს. მსმენელი (მახლობელი) ასე მიმართავს ნასაღდათარს:

„არ გითხარ, მშაო გიორგი,
ნუ მიხვალ თათრის ჯარშია!
რათ შეიწუხე ან თავი
ან რათ ჩამავდე ჯავრშია“³⁵.

ამგვარი შერწყმით ლექსი უფრო მეტად და შთამბეჭდავი გახდა. მოვლენა არა ინდივიდის, არამედ, საზოგადოების თვალთ არის დანახულ-კვალიფიცირებული, რაც გარკვეულად განსაზღვრავს მის გლობალურ ხასიათს და იდეურ სიძლიერეს.

სხვაგვარი შინაარსისაა მეგრულ-ქართველის „ნატვრა“. ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ ეფარება ამ ფსევდონიმს. მაგრამ ერთი აშკარაა, იგი აკაკის სკოლის წარმომადგენელია. ამდენად, მოვლენის ხატვა-შეფასებაც წერეთლისებურია. პოეტი შესტრფის თავისუფალ და ძლიერ საქართველოს. მან იცის, რომ სანუკვარი ოცნების მისაღწევად აუცილებელია ბრძოლა, ხალხის გამოფხიზლება-გამხნელება. მაგრამ ეს ხაზი შედარებით მკრთალად არის წარმოჩენილი. არსებითი მაინც სურვილის განფენა და იმის მოთხოვნაა, რომ ჩანაფიქრი ნატვრად არ დარჩეს.

მკითხველი ითავისებს პოეტის გრძნობებს, მის პოზიციასზე დგება და სასურველი მიმართულებითაც აგრძელებს ნატვრას. თავიდათავიც სწორედ ეს არის.

„ნეტავი ვიყო მერცხალი,
წინა მორბედი ზაფხულის,
რომ ჩემს სამშობლოს ვახარო
კვლავ დაბრუნება წარსულის“.

³⁴ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე № 1416, ფ. 2.

³⁵ იქვე.

ცენზურამ „ნატურა“ მთვარობის საწინააღმდეგო ლექსად მიიჩნია და დააყადაღა. რეზოლუცია ძალზე ლაკონურია: «По журналу Комитета 20 января 99 г. определено: ввиду тенденциозности напечатание воспретить»³⁶.

ასევე ტენდენციურად მიიჩნიეს თეოფილე ხუსკივაძის მოთხრობა „პროტექცია“. მართალია იგი მხატვრული თვალსაზრისით მოიკოჭლებს, ხატვას ხშირად განსჯა ცვლის, მოქმედების მოტივიზაცია სუსტია, კომპოზიციური ტენილებიც თვალსაჩინოა და ა. შ. მაგრამ იდეური თვალსაზრისით უთუოდ იმსახურებს ყურადღებას: ბელეტრისტის აზრით, არსებული სისტემა დასაგმობია. იგი გზას უხშობს პატიოსან და ნიჭიერ ხალხს, მორალურად აკინებს პიროვნებას.

ცენზურამ დააყადაღა აკაკის „ჩვენებური მანასეობა“. ამ შემთხვევაში სხვა საბუთი იყო მომარჯვებული: „...настоящая статья не соответствует характеру издания»³⁷.

ჟურნალის პროგრამის საწინააღმდეგოდ ჩათვალეს აგრეთვე ვასილ წერეთლის „კრიტიკის უქონლობა“ და სხვა მასალები.

ა. წერეთლის ქედუხრელობა მკაფიოდ გამოვლინდა ცენზურასთან ურთიერთობაშიც. თითქმის ყოველი აკრძალული ნაწარმოების გამო რედაქტორი შეტევაზე გადადიოდა, ამტკიცებდა თავისი თვალსაზრისის სისწორეს და ხელისუფალთა დასკვნის გადასინჯვას მოითხოვდა. ასეთი სისტემატიური გაბრძოლებებით იგი ზედმეტი და უცერემონიო მოქმედების სურვილს უქარგავდა ცენზორს. ზოგჯერ კი სასურველ შედეგსაც აღწევდა. მაგალითად, 1897 წლის 3 სექტემბერს ცენზურამ აკრძალა „კრებულის“ მეორე ნომრისთვის აწყობილი „ქართული ფულის თავგადასავალი“. რედაქტორი თავად ეწვია ცენზორს და ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მისი სტოიციზმი შეარყია. ნაწარმოები მესამე ნომერში დაიბეჭდა.

ასეთ წარმატებას ყოველთვის როდი აღწევდა რედაქტორი. უფრო ხშირად საცენზურო კომიტეტის გადაწყვეტილება შეუვალი იყო. კეთილმოსურნეობის შემთხვევაში შეიძლებოდა მიუღებელი ადგილების ამოღება და დანარჩენი ტექსტის გაშვება. მაგრამ კომიტეტის ინტერესებში სრულიადაც არ შედიოდა დაძაბულობის განმუხტვა. ამიტომაც ცალკეული ეპიზოდების მიმართ გამოტანილ დასკვნას მთელ ნაწარმოებზე ავრცელებდა.

³⁶ საქ. ცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე № 1542, ფ. 1.

³⁷ იქვე, ფ. 4.

1
1899 წლის მიწურულს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. დეკემბერში ცენზურამ სამი ნაწარმოები დააყადაღა და ნომერიც წაიშრა გადარჩა.

ტვინმეისტერის (აკაკის ტერმინია) ყოველი შემოტევა, მასთან გადახდილი ყოველი ომი მიძიმედ მოქმედებდა რედაქტორ-გამომცემელზე. ცენზურამ ნამდვილად შეამზადა ნიადაგი, რათა აკაკის ხელი აეღო „კრებულის“ გამოცემაზე.

ამრიგად, „კრებულის“ დახურვა განაპირობა არა ერთმა, არამედ რამდენიმე მიზეზმა, უპირველეს ყოვლისა კი ფინანსურმა სიძნელემ და ცენზურულმა სიმკაცრემ.

ვიდრე ჟურნალში გამოქვეყნებული ნაწარმოებების ანალიზს შევეუდგებოდეთ, აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ყველა პერიოდულ გამოცემას ახალი მიმართულების თუ სკოლის მესაძირკვლეობას ვერ მოვთხოვთ. ცხადია, პერიოდიკის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები მყარი უნდა იყოს, მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია დროისა და გარემოს სპეციფიკა, გამოცემის პროფილი და რედაქციის კონკრეტული მიზანდასახულობა...

რამდენადაც „კრებული“ სახელდებითი გამოცემაა, ამდენად მისი ღირსება-ნაკლოვანებები საფუძველშივე შეპირობებულია გამომცემლის შემოქმედებით. ისიც უნდა ითქვას, რომ ჟურნალში დაბეჭდილი აკაკის თხზულებათა ერთი ნაწილი ადრევე იყო გამოქვეყნებული. მაშასადამე, ყოველმხრივი აღმდარობის საკითხი არ ისმის. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს განმეორებით პუბლიკაციებს მხოლოდ ძველი შთაბეჭდილებების რეაბილიტაციის როლი ეკისრებოდეს. მათ არ დაუკარგავთ აქტუალობა და ესთეტიკური ხიბლი. რაც მთავარია, სხვადასხვა ნაწარმოების თავმოყრით მკითხველს შესაძლებლობა მიეცა არა მხოლოდ ცალკეულის ღრმად შეცნობისა, არამედ დიდი მოზაიკის ხილვისა. საქმე გვაქვს რაოდენობრივის თვისებრივი ორიგინალურ გადასვლასთან.

„კრებულში“ გამოქვეყნდა აკაკის „ჩემი თავგადასავალი“, „ბაში-აჩუკი“, „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“, „მედია“, „პატარა კახი“; „თამარ ცხიერი“, მრავალი ლექსი და პუბლიცისტური წერილი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ შ. არაგვისპირელი, დ. მიქელაძე, დ. მაჩხანელი, თ. ხუსკივაძე, დ. თომაშვილი, ხომლედი, ს. ქვარიანი, მ. ჯანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე და სხვ. ეს ჩამოთვლა მრავლისმთქმელია.

„კრებული“ გაუღწეოლია ერთი გზნებითა და მისწრაფებით, ქარ-

თველი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.
კის იდეალია ძლიერი და თავისუფალი საქართველო. ამდენად
პლანზე იწევს ეროვნული მოტივი.



„კრებულს“ წითელ ზოლად გასდევს შემდეგი ტენდენცია: არსებითი
თია ქვეყნის არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული, არამედ
სულიერი გაერთიანება. ეს იდეა განფენილია „ბაში-აჩუკში“. იმერელი
გლახუკა ბაქრაძე კახეთში მიდის და იქ მოთარეშე ირანელებს ებრძ-
ვის. ბახტრიონის ციხის აღება საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარ-
მომადგენელთა ძალისხმევით ხდება.

აკაკიმ გამოძერწა შამშლისათვის თავდადებულ გმირთა სახეები.
„თორნიკე ერისთავის“, „ნათელას“ თუ „პატარა კახის“ პერსონაჟები
მომხიბვლელნი არიან როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად. ამიტო-
მაც იბადება მათდამი მიბაძვის სურვილი. ეს კი თავიდათავია, რადგა-
ნაც ლიტერატურის ამოცანა მკითხველთა ესთეტიკური დატკობით არ
შემოიფარგლება. მან საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათ-
ვის უნდა აანთოს და აამოქმედოს ადამიანები.

„კრებულში“ დაბეჭდილი აკაკის ლექსები გამოირჩევა მაღალი მო-
ქალაქეობრივი პათოსითა და პატრიოტული ჟღერადობით. ლოცვასავით
ისმის ლირიკული გმირის სიტყვები:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.“³⁸

ამ ლოცვას იმეორებს ყველა ქართველი: იმეორებს და იწმინდება,
იმეორებს და მალღდება.

აკაკიმ მძლავრად შეარხია ეროვნული სიმები, გააძლიერა თვითმოქ-
მედების სურვილი და საასპარეზო გზებიც გამოკვეთა.

ა. წერეთელი ფიქრობს, რომ არსებულ სიტუაციაში, როცა საქარ-
თველო უფსკრულის პირას დგას, მთავარია ძალთა კონსოლიდაცია.
ამიტომაც სოციალური წინააღმდეგობების გამახვილება და კლასობრი-
ვი ბრძოლის გამწვავება გაუმართლებელია. მან მკაცრად გააკრიტიკა
ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანი „მოლიბულ გზაზე“, რადგან
ავტორს თავადაზნაურობის მიმართ მკაცრი პოზიცია უკავია. დღეს
„...როდესაც ბატონ-ყმობა გადაეარდნილია, ამაზე ლაპარაკი უბრალო

³⁸ „აკაკის თეიური კრებული“, 1898, № 12, გვ. 6.

წყლის დღობვაა. ეს არ ესმით ჩვენს კაპკაჭებს და წოდებათა შორის შურსა და მტრობას აგდებენ უსამართლო მისისინებით³⁹.

პიროვნება უნდა დაფასდეს არა ივარიშვილობით, არამედ საქმიანობით, „ჩვენი ერი დღესაც მხოლოდ იმას სცემს თაყვანს და აღიარებს თავადათ, ვინც დღევანდელ საქმეს თავში უდგია და ქვეყანას გულ-წრფელად ემსახურება“⁴⁰.

„კრებულის“ სხვა ავტორთა მხატვრული პროდუქცია სუსტია, მაგრამ საერთო დინებაში მათაც შექონდათ მცირე წვლილი.

სავანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „კრებულს“ პირველი ჟურნალია, რომელმაც დიდი ადგილი დაუთმო ქართული სტამბისა და პრესის ისტორიის შესწავლას.

საერთოდ, ჟურნალში დაბეჭდილი სამეცნიერო გამოკვლევები იმ დროისათვის მაღალ დონეზეა შესრულებული.

„კრებულის“ უდიდეს დამსახურებად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ მან ზეპირსიტყვიერების არაერთი საუკეთესო ნაწარმოები გამოაქვეყნა და მკვიდრი ნიადაგი შექმნა ფოლკლორისტიკის განვითარებისათვის.

რა გავლენა მოახდინა „კრებულმა“ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, როგორია მისი დამსახურება?

ეს კარგად არის გამოხატული რედაქციისადმი გაგზავნილ ერთ ბათში:

მასში ხატოვნად და შთამბეჭდავად არის ნათქვამი „კრებულის“ მნიშვნელობა. წერილის ავტორი ახალგაზრდა კაცია, საზოგადოებაში გამოსული და მოდას აყოლილი. ერთხელ იგი ნაცნობ მანდილოსანს ეწვია. ქალი წიგნს კითხულობდა. „...გულ-მკერდი ებერებოდა, სახე უღელავდა და მღიმარე, მედიდურ სახეზე ცრემლები მოგორავდენ. ვთქვი: აბა ეს არის მზის ჭიატს რომ იტყვიან მეთქი... დიდ ხანს შეგპყურებდი ხმა ამოუღებლათ და ვტკბებოდი მისი რალაც მედიდური შევნიერებით. მივხვდი, რომ ამალღებული გრძნობა ხორცსაც ამშვენიერებს და სახეს მომხიზლავათ ბეჭდავს... გვიან შემნიშნა და გააგლო წიგნი უკმაყოფილოთ. ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ შევიტყვე, რომ, ჰოი, საკვირველება, ქართულ წიგნს კითხულობდა და იმას აედღეღებია!... მიმითითა „კრებულზე“ და მითხრა: „როგორ მოგწონს „ბაში-აჩუკის“ საცოლოეო?“ მე თვალი დავაჭყიტე, რადგანაც არ გახლდით ქართული წიგნების მოტრფიალე და, როგორც სხვა რამ, არც ის

³⁹ იქვე, გვ. 45.

⁴⁰ „აკაკის თვითრი კრებული“, 1900, № 2, გვ. 4.

წამეკითხა. „წაიკითხეო — მითხრა — და თქვენი აზრი შემატყობინებო“.



გამოვართვი წიგნი. მეტი რაღა გზა მქონდა, უნდა წამეკითხა თავიდან ბოლომდე, მაგრამ განსაცდელში კი ჩავვარდი!.. რა ხანია მას შემდეგ რაღაი კი გიმნაზიიდან გამოვედი, ქართული აღარა წამეკითხა და კითხვას გადაჩვეული ვიყავი. დავიწყე ქაპან-წყვეტით კითხვა, შინ რომ დავბრუნდი, ჯერ თავს ძალა დავატანე, მაგრამ ბოლოს კი ნელ-ნელა წამიტყუა მოთხრობამ და, ერთხელ რომ აღარ ვიკმარე, სამჯერ ზედი-ზედ გადავიკითხე და მართლა რომ რაღაც უცნობი სიამოვნება ვიგრძენი! ის დღე იყო და ის დღე. იქიდან დაწყებული აქამდე არა თუ „კრებული“, სხვა ქართული წიგნებიც აღარა დამიგდია რა, რომ არ წამეკითხოს. შემიყვარდა კითხვა და ახლა კი ვგრძნობ რომ სამშობლო ნიადაგზე ფეხის დგმა სანატრელი და სამკურნალო ყოფილა: ნაკლი შემეგვსო და ის მოწყენა ანუ ის „სკუტა“, ზოგიერთებს რომ აღრჩობს, მე ველარ მეკარება. აი, ამის შემდეგ ვალდებულათ ვრაცხ ჩემ თავს ვისურვო წარმატება თქვენი „კრებულის“, როგორც ჩემი საკეთილ-დღეო პირველ მიზეზის და თანვე ვინატრო თქვენი დღეგრძელობაც“⁴¹.

ამ წერილიდან აშკარაა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი გატაცებული იყო „კრებულით“. ყურნალი ხელს უწყობდა ქართველთა იდეურ, ესთეტიკურ და ზნეობრივ ამაღლებას.

საგულისხმოა ზემოთხსენებული ბარათის მეორე ასპექტიც. კონკრეტულ შემთხვევას თუ განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ „კრებულმა“ ბევრი უძღვები შვილი მოაქცია, ქართული ლიტერატურისა და მამულისადმი სიყვარულით ანთო.

ამრიგად, აკაკიმ თვალსაჩინო კვალი გაავლო ქართული ყურნალისტიკის ისტორიაში. მისი „კრებული“ იმ პროგრესულ გამოცემათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ მოკლე პერიოდით არ შემოიფარგლება, რომლებიც უძღვებენ დროის გამოცდას და ახალ-ახალი თაობების ინტერესს, მოწონებას იმსახურებენ.

⁴¹ „აკაკის თეიური კრებული“, 1898, № 8, გვ. 5—6.

აკაკი — ქართული ხალხური
სიტყვიერების მოამბე

აკაკი ილიასთან ერთად მთელი ნახევარი საუკუნე ედგა სათავეში ქართველი ერის გამოფხიზლებისა და ეროვნული თვითშეგნების გაღვივების ხელშემწყობ ყოველ საქმეს. ძნელად მოიპოვება ქართველი ხალხისათვის რაიმე სასიკეთო წამოწყება, რომ ჩვენი ერის ამ ორი საამაყო შვილის მადლიანი ხელი არ ეტყობოდეს, და სწორედ მათი ამ მადლიანი ხელის შეწვევა ეტყობა ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლის საქმესაც.

აკაკიმ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი მშობლიური ხალხური პოეზია ეროვნული კულტურის საფუძვლად გამოაცხადა. მისთვის მთავარი იყო „ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი გამჯობინება“, „მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოხსნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა“¹.

აკაკი წერეთელმა დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრების, დაცვისა და გამოქვეყნების საქმეს. მისი ამ სარბიელზე მოღვაწეობა კიდევ უფრო განადიდებს მის, როგორც პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ისედაც ბრწყინვალე სახელს.

აკაკის აზრით, ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ერი თავისთავს შეისწავლის და შეიცნობს, ამისათვის კი საჭიროა ერის წარსულის შესწავლა და რადგან „ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საფუძველი“, ამიტომ „არც ერთი საქმე ისეთი სასწრაფო არ არის, როგორც ზეპირ-გადმონაცემების შეკრება-შეგროვება“².

ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლისათვის აკაკის ზრუნვა, შეიძლება ითქვას, ოთხი მთავარი სახით გამოვლინდა: 1) მისი მოწო-

¹ „საქართველოს მოამბე“, 1865, № 1.

² აკაკი, ზეპირსიტყვიერების გამო, კრებული, 1899, № 1.

დებანი ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრებისათვის, (2) როგორამო წერილები, 3) პრაქტიკული მოღვაწეობა, 4) თეორიული წერილები.

აკაკის მოწოდებებს ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება-შესწავლისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი თავის პუბლიცისტურ წერილებში იმდროინდელი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებზედაც მსჯელობს და ახერხებს საზოგადოების დაინტერესებას. მოწოდებებში ნათქვამია, რომ „ხალხური სიტყვიერების შეგროვებას დაჩქარება უნდა და სადღე-სახვალით გადასადები არ არის“, „ერთი ათი წელიწადი კიდევ და მშვიდობით“, დავიწყებას მიეცემა.

აკაკი გულისტკივილით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ „მთელი ევროპა რომ შემოიაროს ქართველმა, ვერავის წააწყდება ისეთს, რომ საქართველოს იცნობდეს“³. „უცხო ხალხმა რომ იცოდეს, თუ რა მნიშვნელოვანია ქართული სახალხო პოეზია არა მარტო ქართველებისათვის, სხვა ხალხებისათვისაც კი, მაშინ, უეჭველია, კერძო საზოგადოებას შეადგენდნენ იმის მოსაპოვებლად. ჩვენ — კი არაფრათ მიგვაჩნია და გულ-გრილად ვეკიდებით“. ამავე წერილში, ქვემოთ, ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შესაკრებად ფონდის შექმნისათვის მოუწოდებს საზოგადოებას და ბოლოს სინანულით აღნიშნავს: „სასიამოვნოა, რომ „ივერიაში“ იბეჭდება აზიური ლეგენდა „აბრეშუმის ჭიის შესახებ“, მაგრამ სამწუხაროა, რომ არ აღინიშნება, შეუგროვებლობის და გამოუტყემლობის გამო, ამგვარი ლეგენდა ქართველებსაც რომ მოგვეპოვებო“. ორმოცი წლის წინათ აკაკის გაუგონია და დაახლოებით დაუხსომებია ლექსი „იობზე“, რომელშიც აღწერილი ყოფილა როგორ ეხვეოდნენ იობს მატლები, მერე მატლებისათვის ღმერთს მადლი მიუნიჭებია, რათა ადამიანებისათვის სასარგებლონი განხდარიყვნენ და ამიტომ ზოგი მათგანი როგორ გადაქცეულა აბრეშუმის ჭიად⁴.

ხალხური სიტყვიერების მოამაგე მსჯელობს ქართული მდიდარი ფოლკლორის, ქართული ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობაზე და აღნიშნავს: „ჩვენი ქართული ზეპირგადმოცემები მით უფრო შესანიშნავი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობის გარდა, მსოფლიო ხასიათიც აქვს: საქართველო იყო ხიდათ და გზათ იმ დიდ-მოძრაობის დროს,

³ აკაკის პუბლიცისტური წერილი, კრებული, 1899, №1.

⁴ აკაკი, აზიური ლეგენდა აბრეშუმის ჭიის შესახებ, ივერია, 1889, № 216.



როდესაც სხვადასხვა ერთ აზრიდან ევროპაში გადადიოდა. მამასადაწუ, ჩვენი ქვეყანა, უძველეს დროიდანვე ბევრის მომსწრეა, მნახველი მოწამე... ამას დაუფმატოთ კიდევ ის გარემოებაც, რომ ქართველი სწავლავით ბუნება თანაზიარია და რაც უნახავს, ან გაუგონია, უყურადღებოდ არ დაუგდია: ყოველივე შეუსწავლია და საშვილიშვილოდ გადმოუცია საზებროთ“⁵.

1882 წ. „დროების“ მერვე ნომერში აკაკი ათავსებს თავის პირველ მოწოდებას — „განცხადება“ და მიმართავს ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლებს: შეაგროვონ ხალხური ზღაპრები, შაირები და ანდაზები. ამ წერილმა საზოგადოება დააფიქრა, მაგრამ ყველა ერთნაირად არ შეხვედრია ამ წამოწყებას. გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ თანამშრომელს დაუწერია: „ვინ ხალხურ ლექსებს აგროვებს, ვინ ანდაზებს, ვინ გამოცანებს და ვინ ზღაპრებს. მეც ავდექი და სიზმრები შევაგროვე, ვინც რა სიზმარი ნახოთ, ჩაიწერეთ და მე გამომიგზავნეთ“. აკაკი ამ ცინიზმმა აღაშფოთა, თავისი მოწოდება გაიმეორა: „როგორც თვით აღნიშნავს ის ისეთივე მნიშვნელობას აძლევს ამ ზებირ სიტყვაობას, როგორც სიზმრებს და ამისათვის უმჯობესათ დავინახე, რომ ყველამ ვისაც კი შეუძლიან, შემთხვევა აქვს ზღაპრებისა და ძველი ამბების მოგროვებისა, დაგვავალონ და ისევ ჩვენ გამოგვიგზავნონ და სიზმრები კი „დროების“ თანამშრომელ კიკოს“⁶.

1895 წ. „კვალის“ მეექვსე ნომერში მოთავსებულია აკაკის შედარებით უფრო ვრცელი მოწოდებითი წერილი — „განცხადებისათვის“, ხოლო მეთოთხმეტე ნომერში გამოქვეყნდა მისი საპროგრამო წერილი, რომელშიც იგი დაჟინებით მოითხოვს, რომ ქართველმა საზოგადოებამ თავისი წვლილი გაიღოს ხალხური სიტყვიერების მასალების შესაკრები ფონდის შექმნისათვის. ამ ფონდიდან გარკვეული თანხა ზებირსიტყვიერების შემკრებ ახალგაზრდობას უნდა მისცემოდა გასამრჩელოდ, ხოლო ნაწილი — დაგროვილი მასალის გამოცემას მოხმარებოდა.

ამავე აზრს ატარებს აკაკი სხვა წერილებშიც. მავალითად, ერთგან წერს: „თუ კი სხვადასხვა საქმეებისათვის გროვდება შესაწირი, ეს უფრო ღირსი არ არის თანაგრძნობის? ამიტომ მივმართოთ ყველას, ვისაც შეუძლიან დახმარება, განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდებს, რომ მხარი მოგვცენ ამ დიდათ საჭირო საქმეში“... — და კვლავ დაბეჭდითებით აღნიშნავს — „მათ უნდა დაუნიშნოთ წლიური საზრდო-საფასო და

⁵ აკაკი, ზებირსიტყვაობის გამო, კრებული, 1897. № 1.

⁶ აკაკი, სახალხო ლექსებისა და ამბების შემკრებლებს, გაზ. შრომა, 1882 წ., № 42.

გავგზავნოთ ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა მხარეში“. მეორეგან წლის/ „კდე ვარწმუნებ ყველას, რომ მოღვაწეების სადილ-ვახშმის არცაა ლიშების მართვაზე და აგრეთვე სიკვდილის შემდეგ გვირგვინების და ძეგლების აგებაზედაც, ეს უფრო სასარგებლო და სასწრაფო საქმე არის... სხვა ქვეყნებში დიდ ძალი თანხა საკუთრად ამ ზეპირსიტყვაობისათვის გადადებული და ჩვენშიაც უსასყიდლოდ ძნელი იქნება სავსებით საქმის წაყვანა“⁷.

აკაკი შავი ქვის წარმოებაში მხოლოდ იმიტომ ჩაბმულა, რომ მუდმივი თანხა ეშოვა ხალხური სიტყვიერების მასალების შეკრება-გამოცემისათვის. საჭირო იყო სისტემატური მოღვაწეობა, რის შედეგადაც რამდენიმე წლის განმავლობაში ხელთ ექნებოდათ ყოველგვარი მასალა ზეპირსიტყვიერებისა⁸.

აკაკი წერეთლის ამგვარი მოწოდებები ზოგჯერ ლოზუნგის მსგავსად ყალიბდება, მაგალითად: „ქართველებს რომ დღეს ბევრი სხვადასხვა საჭიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწევს ტვირთათ, ეს ვინ არ იცის? მაგრამ არც ერთი კი მათგანი ისეთი საჭირო და სასწრაფო არ არის, როგორც ზეპირ-გადმოცემების შეკრება და შეგროვება!.. შედარებით ამ დიდ საქმესთან ყველა თითქმის „ჩხირ-კედელაობათ“ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენ კი მაინც ამოდენი ხანია განზე ვუდგებით ამ საჭირო საქმეს“... „ჩვენი დღევანდელი დაუდევრობით შეიძლება დავკარგოთ ის, რის მოპოვება მერე შეუძლებელი იქნება“⁹. ეს საყვედური, შეიძლება, ერთი შეხედვით გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ იმ დროისათვის საქმე ახალი წამოწყებული იყო და ეს ფიციბი კილო საქმის მაშინდელ ვითარებისათვის შესაფერისი და აუცილებელიც ჩანს.

ზემოხსენებულ მოწოდებას წინ უძღვის გ. წერეთლის წერილი: „ქართული საერო საქმე“, რომელშიც თანაუგრძნობს აკაკის და თან მოითხოვს პროგრამის გაფართოებას¹⁰.

აკაკის მოწოდებებს გამოეხმაურა პროფ ალ. ხახანაშვილიც: „სიამოვნებით წავიკითხე თქვენი წერილი „კვალის“ მეექვსე ნომერში, სადაც მოუწოდეთ გულშემატკივარ ქართველებს დაეშურონ იმ ძვირფასი განძის შეკრებას, რომელსაც საერო პოეზია ეწოდება... დარწმუნებული

⁷ აკაკი, ზეპირ-სიტყვაობის გამო, კრებული, 1897 წ., № 1, თემა, 1913, № 118.

⁸ აკაკი, მოგონება მარგანეცის გამო, კვალი, 1893 წ., 34.

⁹ აკაკი, განცხადებისათვის, კვალი, 1895 წ., № 6.

¹⁰ გ. წერეთელი, ქართული საერო საქმე, კვალი, 1895 წ., № 6.

ვარ, რომ თქვენი წერილი გამოიწვევს მსურველთ დასდონ დაუვიწყარი
ღვაწლი ჩვენი წარსულის შემსწავლელთ¹¹.

„კვალის“ 1895 წ. №11 და „კრებულის“ 1897 წ. №1-ში¹² დავით
ხიზანიშვილი აქვეყნებს წერილს: „ფიქრები და შენიშვნა აკაკი წერეთ-
ლის გამო“. იმეორებს რა აკაკის აზრებს, ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს
შემდეგს: „ყოველ ქართველის მოვალეობას შეადგენს, იზრუნოს, რომ
აკაკის ხმა არ დარჩეს „ხმად მლაღადებლისა უღაბნოსა შინა“ და თავი
მოაბას ამ საქმეს“. დ. ხიზანიშვილიც, აკაკის მსგავსად ხალხური სი-
ტყვიერების მასალების შემკრებთათვის პონორარაც თანხის შეგროვებას
მოითხოვს. პროგრამად კი მელიტონ კელენჯერიძის ნარკვევი „სახალხო
პოეზია და მისი საპედაგოგიკო და საესტეტიკო მნიშვნელობა“ მიაჩ-
ნია¹². აქვე აღსანიშნავია კიდევ ამავე საკითხზე ფშავლიშვილის წერილი:
„ხალხური ზეპირ-სიტყვაობის შეკრების გამო“¹³.

ამგვარი გამოხმაურებებით კმაყოფილი აკაკი აცხადებდა: „მოხა-
რული ვარ, რომ ჩემმა შენიშვნამ ზეპირგადმონაცემების მოგროვების
შესახებ, ასეთი თანაგრძნობა გამოიწვია; შეწირულება „კვალის“ და
„მწყემსის“ რედაქციებში გაგზავნეთ, მაგრამ კი არ გეგონოთ თავიდან
ვიცილებდე და თავი არ დავდო ამ საქმისათვისა“¹⁴.

მართლაც, შესანიშნავად წერს ექვთიმე თაყაიშვილი: „არავის ისე
კარგად არ ესმოდა ჩვენში სახალხო სიტყვიერების მნიშვნელობა, რო-
გორც აკაკის. ის გრძნობდა თავის შემოქმედების ძირითად კავშირს სა-
ხალხო პოეზიასთან და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე საფუძველი
ჩაეყარა ხალხური სიტყვიერების შეკრებისათვის“¹⁵.

აკაკი წერეთელს აქვს საკუთარი საპროგრამო მითითებები,
რომელსაც წლების განმავლობაში ამაუშავებდა, უმატებდა, ასწორებდა
სხვათა მითითებების მიხედვით და ათავსებდა სხვადასხვა წერილებში.
ამ საპროგრამო წერილებს თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარ-
გავთ.

1895 წ. „კვალის“ მეექვსე ნომერში დაბეჭდილ წერილში — „გან-
ცხადებისათვის“, აკაკი ჩანასახის სახით იძლევა მითითებებს, თუ რო-
გორ უნდა ჩაიწეროს ხალხური სიტყვიერების ნიმუშები.

¹¹ ალ. ხაჩანაშვილი, ღია წერილი ბ. აკაკის მიმართ, კვალი, 1895 წ., № 13.

¹² მ. კელენჯერიძე, სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიკო და საესტე-
ტიკო მნიშვნელობა, მოამბე, 1894, № 11.

¹³ ფშავლიშვილი, ხალხური ზეპირ-სიტყვაობის შეკრების გამო, კვალი,
1896, №27.

¹⁴ აკაკი, შენიშვნები, კვალი, 1895 წ., № 22.

¹⁵ ექ. თაყაიშვილი, აკაკი და ზეპირ-სიტყვაობა, თემი, 1915, № 208.

ამ საპროგრამო წერილს გამოეხმაურა სილოვან ხუნდაძე წერილით „ქართული ლექსიკონი“ და აკაკის საპროგრამო მითითებებს სურვილიც დაუმატა. ამის შემდეგ აკაკი თავის საპროგრამო ბეჭდვებში — „როგორ უნდა შევეკრიბოთ ზეპირ გადმოცემები“¹⁶ უმატებს ლექსიკოლოგიისათვის საჭირო მასალას. ლექსიკონის შესადგენად, რასაკვირველია, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები დიდ დაზარებას გაუწევდა ლექსიკოლოგებს, მაგრამ ამ ორი დარგის სამუშაოს შეერთება ერთგვარ დაბრკოლებას ქმნიდა. მაგრამ მაშინ თვითონ აღნიშნავს აკაკი, „ჯერ კიდევ ბევრი სამკელი იყო, მუშა ხელი კი ცოტა ჩანდა“.

ამ მოწოდება-საპროგრამო წერილებს პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილიც ეხმაურება და რამდენიმე შესწორებაც შეაქვს.

1899 წლიდან აკაკი უკვე აღარ კმაყოფილდება მხოლოდ თავის საპროგრამო წერილებით და „კრებულის“ ფურცლებზე პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ შედგენილ პროგრამას ათავსებს¹⁷. ეს პროგრამა წესისამებრ კითხვარის სახით არის წარმოდგენილი და ხალხური სიტყვიერების შესწავლის მაშინდელი საფეხურისათვის გარკვეული წინსვლის მაჩვენებელია. ამით აკაკი ფოლკლორისტიკის ახლებური მეცნიერული მეთოდების დანერგვას თავისებურ ხარკს უხდის.

აკაკი წერითელი „თერგდალეულებს“ ეკუთვნის და ამიტომ, მისი შეხედულებით, პოეტს, როგორც მოქალაქეს, მართებს პრაქტიკული მოღვაწეობა და საზოგადოებრივ საკითხებზე ზრუნვა: „ახლა გვეჭირვება ერთობა და შეერთებული შრომა საქმით, თუ სიტყვით... კერძობა, პირადობა და ჩვენიან-სხვისიანობა ისეთი წვრილმანი და სუკადრისო რამ არის საზოგადო საქვეყნო საქმეში, რომ განხედ უნდა უდგებოდეთ“...¹⁸ მარტო ნაწერებით სამოციანი წლების მოღვაწეთა შეფასება დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნებოდა, აღნიშნავს აკაკი, მწერლობა მათთვის მხოლოდ ერთი სხვათაშორისი იარაღი იყო ქვეყნის სასამსახუროდ აღებული¹⁹.

ქართველი საზოგადოების განათლებული ნაწილის მომრავლებამ, როგორც აკაკი აცხადებს, უნდა გააუმჯობესოს და წინ წაიყვანოს ერის საერთო საქმე. ქართველმა ინტელიგენტებმა დაუღალავად უნდა ითანამშრომლონ: „ჩვენ ნამდვილ მოღვაწეებს ჯიბრში ვუდგევართ, სწორი

¹⁶ აკაკი, როგორ უნდა შევეკრიბოთ ზეპირ გადმოცემები, კვალი, 1895 წ., №6.


¹⁷ ალ. ხახანაშვილი, პროგრამა ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესადგენად, „კრებული“, 1899 წ., № 7, 8 და 9.

¹⁸ ა. წერეთელი, ჩვენი გულის პასუხი, დროება, 1881 წ., № 19.

¹⁹ აკაკი, სიტყვა წარმოთქმული გ. წერეთლის დასაფლავებაზე, კრებული, 1900 წ., № 2.



აქაის ძიძის სახლი სოფ. სავანეში



აქაის აკვანი



აკაკი თავის მეუღლით



ილია ქვიჭავაძე



აკაკი წერეთელი



ვაჟა-ფშაველა



აკაკის საიუბილეო პორტრეტი (1908 წ.)



შეხვედო ზარის ბუმბუკას,
ესა ზიბუჯიო ლიფორდას,
მადლა მხე ესეფბრემა
დობლა—ისა და ვარდას.


მის ფეხობებზე ათის
ველის გზა, ვაჭრო სეცია...
მიდიან, მაგრამ წყურველიან
ჯერ ახვის მიღწევა.



აკაკის მოგზაურობა რაქა-ლეჩხუმში



აკაკი სიტყვას ამბობს ილიას ძეგლის გახსნაზე 1913 წელს



აკაკი თავის ეზოში



მეგობრული შარუი ოსკარ შმერ-
ლინგისა



მეგობრული შარუი ოსკარ შმერლინგისა



აკაკი ილიაობაზე



ქართველი პოეტები.

კმა. პი. ფან. ენი ნახაბი ელი. ას სწავლ ე მონესა
+ კახაჯი. ზენ მონეს მლოდ სტან. სტან და სტან!
ემა. მ...

მეგობრული შარტი ოსკარ შვერლინგისა



ავდმუოფი აკაკი



აკაკის გასვენება









აკაკის სამუშაო კაბინეტი



აკაკის საათი. უჩვენებს პოეტის გარდაცვალების დროს

აკაკის ბიბლიოთეკის წიგნები
ავტოგრაფებით





გზით მიმავალს ჩვენ წინ ველობებით, ფეხ-ქვეშ ქვა და ლოდს ვუდარებთ და, თუ იმათაც უნებურად ფეხი წამოჰკრეს, ჩვენ მზაკვრულ სიხარულს საზღვარი არა აქვს²⁰. ერთ-ერთ წერილში მოსწავლე გაზრდობას არიგებს: „ჩვენ რომ გზა ავირჩიეთ და გამოვედით მესამოცე წლებში, ის გზა ეკალ-ნარი და შამბ-წაღებული იყო“...²¹.

ხალხური სიტყვიერების შეკრება-გამოცემა-შესწავლის საქმეში უმნიშვნელოვანეს ორგანოს წარმოადგენდა „აკაკის კრებული“, რომლის დაარსებისათვის დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა.

„კრებულის“ პირველსავე ნომერში, ხალხური სიტყვიერებისათვის განკუთვნილ განყოფილებაში მოათავსა აკაკიმ ზემოხსენებული მოწოდება-საპროგრამო წერილი „ზეპირსიტყვიანობის გამო“. პროგრამის მიხედვით დაიწყო ეთნოგრაფიული წერილების ბეჭდვა. პირველი ასეთი წერილი იყო „სოფ. სხვიტორი“ და ზღაპარი „ბროწყელის წყარო“.

ხალხური სიტყვიერებისადმი აკაკის ასეთმა მოჭირნახულებამ საზოგადოების შეგნებულ ნაწილში დიდი მოწონება გამოიწვია. აკაკი კი მიმართავს საზოგადოებას: „ყველას ვთხოვ, რომ ვინც რითაც შეძლოს ამ დიდ საქმეში დახმარებას და შემწეობას ნუ მოგვაკლებს“²².

ხალხური სიტყვიერებისადმი აკაკის სიყვარულს რომ აღმაცერად უქებროდნენ, ამის მაგალითად თვით აკაკის მიერ გადმოცემული კიდევ ერთი ამბავი შეგვიძლია დავიმოწმოთ: მამამისს მიუღია თავად კონსტანტინე აბაშიძის შემდეგი შინაარსის წერილი — „გვეგონა თქვენი შვილი, ბევრად გვარგებდა, ეგ დალოცვილი მესტვირეობას გამოუდგა, რას მიედმოედება, მტრებს რაზე ახარებს? ქვეყანა დასციინისო“²³.

მაგრამ ყველაზე მეტად აკაკის რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლების მხრით განგებ შექმნილი დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდა; ვინაიდან, მთავრობას, რასაკვირველია, არ მოსწონდა ეს, ერთი შეხედვით, თითქოს უწყინარი, მაგრამ ხალხის გათვითცნობიერებისათვის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მნიშვნელოვანი საქმე. ყველაზე მეტი დაბრკოლება მას თავისი „კრებულის“ გამოცემისას შეხვდა.

²⁰ აკაკი, სიტყვა წარმოთქმული გ. წერეთლის დასაფლავებაზე, კრებული, 1900 წ., № 2.

²¹ აკაკი, სიტყვა რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდებისადმი, წაკითხული მოსკოვში ნადიმზე, თემი, 1913 წ., № 109.

²² კრებული, 1897; № 1.

²³ აკაკი, მოგონება მარჯანეცის გამო, კვალი, 1893, № 34.

„აკაკის კრებულში“ ფოლკლორული ნიმუშების ბეჭდვამ ბევრი უკმაყოფილება გამოიწვია. აკაკიმ ვიღაც პედაგოგის წერილი რომელშიც ავტორი წერდა: ზეპირსიტყვიერების განყოფილებაში მხოლოდ უადგილოა ჟურნალში. ჩვენ აკაკისაგან საზოგადოების გამოფხიჭლებას ველოდით და არა დასაძინებელ ზღაპრებს... გამომდგარხართ და ხალხში ცრუმორწმუნეობას ავრცელებ, უაზრო შელოცვებს ბეჭდავთ.

აკაკიმ „კრებულის“ 1897 წ. №2-ში „უბრალო საუბრის“ განყოფილებაში ენაძახვილურად გაამათრახა იგი: „დარწმუნებული ვარ, რომ ზღაპრები ადრევეც გექნებოდათ გაგონილი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ გაგონება და შეგნება სულ სხვადასხვა ზმნაა... ზღაპარი „ბროწეულის წყარო“ უთავოდ არ გეჩვენებოდათ, რომ სარკის წინ არ მდგარიყავით!.. და რაც შეეხება დაძინებას, მოდი მოვიყვანოთ ყმაწვილები, ეგ „ბროწეულის წყარო“ წაუკითხოთ და თქვენი პედაგოგიური წერილებიც და რომელმაც უფრო ადრე დააძინოს, ის დარჩეს მოტყუებული“.

აკაკი თავის თხზულებებში ფოლკლორისტიკისათვის საინტერესო საკითხებს ეხება: ფოლკლორის თავისებურებად აცხადებს მის ზეპირად გავრცელების ტრადიციას და ხალხში არსებობას, რაც მას ლიტერატურისაგან განასხვავებს. მოჰყავს ცნობა პროფესიულ-შემსრულებლების შესახებ. აღნიშნავს ვარიანტების სიმრავლის მნიშვნელობას, ფოლკლორში ძველი ტრადიციების არსებობას და ლიტერატურასთან და სხვა დისციპლინებთან მის კავშირს.

დიდი ხნის დაკვირვებით, ხალხური სიტყვიერების საუკეთესო ცოდხის საფუძველზე, აკაკიმ სამართლიანად დაასკვნა, რომ ხალხური სიტყვიერების სპეციფიკურობა განსაკუთრებით გამოიხატება იმაში, რომ იგი ზეპირ მტყვევლებაში არსებობს; იგი მუდამ ხალხში ცხოვრობს და ზეპირი ტრადიციებით გადადის თაობიდან თაობაში. ერთ-ერთ წერილში იგი წერს: „საშვილიშვილით გადმოიცემოდა ხოლმე ერთი-მეორისაგან ასისა და ათასი წლის ამბები, და ამის გამო უმაღლეს წებრტილამდე იყო აყვანილი ჩვენი სახალხო პოეზია“²⁴. მეორე წერილში აკაკი სვამს კითხვას, როგორ მოაღწია ჩვენამდე ხალხური სიტყვიერების ნიმუშებმა და თვითონვე პასუხობს: „ზეპირი გადმოცემებით, მამა შვილს ეუბნებოდა, შვილი — შვილიშვილს და ამ გვარად“²⁵.

²⁴ აკაკი, ზეპირ სიტყვიერების გამო, კრებული, 1897 წ., №1.

²⁵ იქვე.



აკაკი პირველი გვაწვდის ცნობას ქართველ პროფესიულ მეზღაპრეთა შესახებ და მას ბატონ-ყმობის ინსტიტუტს უკავშირებს: „მეზღაპრე იყვნენ მისთანა გლეხებიც, რომ ზღაპარი ემართათ, სხვა ყოველგვარად თავისუფალი იყვნენ და ბატონისა და ბატონის ცოლშვილისათვის მხოლოდ ზღაპრები უნდა ეთქვათ ხოლმე. — აი ამ მეზღაპრეებს შესწავლილი ჰქონდათ დიდძალი... ყოველგვარი ზეპირსიტყვაობა მამა-პაპათაგან გადმონაცემი და იმას ავრცელებდნენ“²⁶. რა თქმა უნდა, ამგვარი წესი ხელს შეუწყობდა ხალხური სიტყვიერების აყვავება-გავრცელებას, იმდენად რამდენადაც გარკვეული პირები და მთელი ოჯახები ძალაუნებურად ამგვარი ნიმუშების დახსომებას, თავისებურ რელაქსაციას, შემოკლება-გავრცობას დაიწყებდა. აკაკი ყველა წერილში, სადაც ფოლკლორის მხატვრულობას ეხება, დიდი გატაცებით და სიყვარულით ლაპარაკობს ხალხური პოეზიის სილამაზეზე. მისი აზრით, ზოგ ლექსს, მაგალითად: „შენს ლოყას ვარდი ჰყვაროდა“... „არა თუ დღევანდელი მჯღაბნელი და მათ ორიცხეში მე — თქვენი უმორჩილესი მოხა, თვით რუსთაველიც კი მოაწერდა ხელს“²⁷. სხვაგან აღნიშნავს რომ ცნობილი ერთსტროფიანი ისტორიული ლექსი „თამარ მეფე ღმერთს უყვარდა“ — „ქართველი ერის გენიოსობის წარმონაშობია“; შავთელმა თავის ოდებით მეათედიც ვერა სთქვა თამარ მეფეზე, ხალხმა კი ორი უბრალო სიტყვით გადასჭრა და თამარის ქვეყნიური ძლიერება სავსებით დასურათებულად მოგვცა“²⁸.

საინტერესოა აკაკი წერეთლის მსჯელობა ზეპირსიტყვიერი მასალის ვარიანტულ სიმრავლეზე. ამ მოვლენას იგი, უფრო ხშირად, ქვეყნებს შორის სიუჟეტთა და მთლიანად თხზულებათა სესხებით ხსნის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ქართული ხალხური სიტყვიერების თხზულებათა უმრავლესობას ქართულ ნიადაგზე შექმნილად თვლის და სადაც კი სესხების საკითხს ეხება, თითქმის ყველგან, ქართული ფოლკლორის ნიმუში ძირითადად, ხოლო სხვა ერებისა — ჩვენგან ნასესხებად მიაჩნია.

როდესაც ამირანისა და მედეა-იაზონის თქმულებათა გენეზისს ეხება, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ: „ბერძნებმა ჩვენგან გადაიტანეს.. თავისებურად გადააკეთეს და ფერ-ცვლილი უკანვე დააბრუნეს“.

²⁶ აკაკი, ზეპირ-სიტყვაობის გამო, კრებული, 1897 წ. № 1.
²⁷ აკაკის მოხსენება წაკითხული 30 მარტს ს. აბაშელის საღამოზე, თემი, 1913, № 118.
²⁸ აკაკი, ზეპირ-სიტყვაობის გამო, კრებული, 1897 წ., № 1.

ნეს. ამას ნამდვილად გვიმტკიცებენ, სხვათა შორის, ძველის ძველი მითები „პრომეთეოსზე“ და იაზონ-მედიეაზე“. ერთიცა და მეორეცა ჩვენი ქვეყნის შვილია: აქ შობილან და კოლხეთით ასე გადასულან ზღაპრულ ელადაში“²⁹.

აკაკის მიერ სესხების თეორიის გაზიარება განსაკუთრებით მეღვინეობა სულხან-საბა ორბელიანის „იგავ-არაკების“ წარმოშობაზე მსჯელობისას: „არა თუ ბერძნების, რომაელების, არაბების, ინდოელების, სპარსელების, ებრაელების ბიბლია და სხვა, არამედ ნაკლებ მნიშვნელოვანი ძველ სახელმწიფოების ხალხურ ნაწარმოების ნაშთებსაც კი შეხვდებით ჩვენებურ ზეპირ გადმოცემებში“³⁰.

მისი აზრით, ქართული ხალხური პოეზია ეხმიანება ბევრ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას: „არც ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა არ ყოფილა ჩვენში, — წერს აკაკი, — რომ ხალხს უყურადღებოდ დაეგდოს და შიირი არ გამოეთქვას!.. აბა რომელ გმირზე არ გამოუთქვამთ შიირი?“ ამავე წერილში ქვემოთ აღნიშნავს: „ძველი ხალხების მითოლოგია სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეული, აქვე შეხვდებით ჰომეროსის და სხვა ძველი დროის მწერლობის თხზულებასაც ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, მაგრამ ქართული ხასიათით და სულით“³¹.

აკაკის „კრებულის“ რედაქციაში ახალქალაქის მაზრიდან გადმოუგზავნიათ ზღაპარი, რომელიც თავიდან ბოლომდე წააგავს ბოკაჩოს ერთ ნოველას. აკაკის აზრით, „ბოკაჩოს ნოველები ფრანგის პატრების გადმოტანილი უნდა იყოს ჩვენში და გავრცელებული“³².

ახალქალაქის მაზრის სოფ. ხიზაბავრაში მწყემსები მღეროდნენ სიმღერას, რომელიც ფრანგულ ხალხურ სიმღერას წააგავდა თავისი ჰანგითა და შინაარსით. ეს სიმღერა გადმოსცემდა ამბავს, „თუ როგორ წავიდა ჯვაროსნობის დროს რაინდი მალბურგი სარკინოზების გასაყლეთად და რა გადახდა მას“ (იქვე). აკაკის თქმით, ამ სიმღერას საფრანგეთში გამძლელები უმღერიან ყმაწვილებს. ხიზაბავრაში ამ ლექსის გმირის სახელი „მალბურგი“ ყაფლანად შეუცვლიათ და ასე იწყება: „ყაფლანი მიდის ჯარშია...“ „აქ, — წერს აკაკი, — გაფრანგებული ქართველები (ე. ი. კათოლიკე ქართველები) ცხოვრობენ და რასაკვირვე-

²⁹ აკაკი, შენიშვნა, კრებული, 1898, წ., № 2.

³⁰ იქვე, გვ. 29.

³¹ აკაკი, განცხადებისათვის, კვალი, 1895 წ., № 6.

³² აკაკი, შენიშვნა, კრებული, 1898 წ., № 8, გვ. 29.

ლია პატრებისაგან ექნებოდათ მათ ძველებს ნასწავლი ეს ლექსი და ჩარჩენილი³³.

ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს საუკუნეების განმავლობაში ზეპირად გადაცემის წყალობით, მრავალი ვარიანტი უჩნდება, რომლებიც მეცნიერებისათვის ერთნაირად ღირებულა: „უმნიშვნელო არც ერთი არ არის, — წერს აკაკი, — ყველა უმეტნაკლოდ უნდა ჩაიწეროს და გაიგზავნოს რედაქციაში“. ამიტომ „შემკრებელმა, რასაკვირველია უნდა უმეტნაკლოდ ჩაიწეროს, როგორც ვაიგონოს, ე. ი. ფონოგრაფიულად“.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს აკაკი ძალიან ხშირად იმეორებს და ჩაურთავს ხოლმე თავის წერილებში. ამ ნიმუშების უმეტესობა, ვფიქრობთ, მისივე ჩაწერილი უნდა იყოს, რასაც თვითონაც არაერთხელ აღნიშნავს: აქა და აქ გამიგია, ამისაგან და ამისაგან გამიგონიაო; ანდა ამდენი და ამდენი წლის წინათ მომისმენიაო.

ამნაირად შეკრებილი მასალის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს ის შევიდსტროფიანი ძველი ხალხური შაირი, რომელიც აკაკის მოყვანილი აქვს „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილში. შაირი იწყება სიტყვებით: „თქვენ რომ ცხენი მიწყალობეთ, ცალი თვალი აქვს თეთრია...“³⁴.

აკაკისათვის ხალხური სიტყვიერება უტყუარი სარკვე წარსული ცხოვრებისა. მისი აზრით, ბევრი ისტორიული მოვლენის დადგენა მხოლოდ ფოლკლორით შეიძლება. ეს განსაკუთრებით შეეხება საქართველოს ცხოვრების იმ ხანის ამბებს, რომელთა შესახებაც არც ჩვენი ქვეყნისა და არც ჩვენს ქვეყანასთან იმ დროს ურთიერთობის მქონე ქვეყნების წერილობით ისტორიულ ძეგლებში არავითარი ცნობა არ

³³ აკაკი, ზეპირსიტყვაობის გამო, კრებული, 1897 წ., № 1. ვფიქრობთ აქ აკაკის კომენტარი სულ მართალი არ უნდა იყოს. „მაღბურგის“ ლექსი მართლა ფრანგული ხალხური ლექსია, მაგრამ ჯვაროსნული ომების დროს, ე. ი. შუასაუკუნეებში შექმნილი არ შეიძლება იყოს, იგი შეთხზულია XVII საუკუნის ბოლოს ან XVIII საუკუნის დასაწყისში; რადგან მოხსენიებული „რაინდი“, — დუკა ჯონ ჩერჩილ მარბორო უნდა იყოს, იაკობ II-ის, უილიამ III-ის და ანა დედოფლის დროის გამოჩენილი ინგლისელი სარდალი (იგი დაიბადა 1650 წ. გარდაიცვალა 1707 წ.), რომელსაც ინდროინდელ ფრანგულ სიმღერაში მაღბურგა ეწოდება. სხვათა შორის, ლეე ტოლსტოის რომანში — „ომი და მშვიდობა“, სწორედ ამ სიმღერას წამოიწყებს ერთი გმირი. ხოლო აკაკის მიერ აღნიშნული სესხების გზა შეიძლება ამ შემთხვევაშიაც უცვლელი დარჩეს; ან უფრო შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ გვიან, ნაპოლეონთან ომების ხანაში, რუსეთის გზით შემოვიდა ჩვენში ეს მოტივი.

³⁴ აკაკი, ცხელ-ცხელი ამბები, კვალი, 1893 წ., № 7, გვ. 2.

შენახულა; ან თუ შენახულა, ერთობ ბუნდოვანია და მრავალმხრივ შემოწმებასა და ღრმად შესწავლას საჭიროებს.

აკაკის ამ თვალსაზრისის დამადასტურებელია მისი შემდეგი სიტყვები: „ზეპირ სიტყვაობა — სარკეა ქრისტიანობის წინანდელი ცხოვრების, „ეთერიანი“, „ნებროთიანი“, „ქაქეთო მეფე“, „სულა კალმახელი“, „მაკედონელი ბუჩხალო“ და სხვადასხვანი. რანი არიან ესენი, თუ არა კერპობის დროის ნაწარმოები თხზულებანი... უხსოვარ დროიდან დაწყებული მისთანა არც ჭირი ჰქონიათ საქართველოს და არც ლხინი, რომ ჩვენს ზეპირ-სიტყვაობაში არ იყოს ჩასახული. ის მოთხრობები, სადაც საჩხუბარ იარაღათ მოხსენებული არის შვილდ-ისარი და ქვა და ბრძოლის მიზეზადაც მზეთუნახავები გამოდიან, ნუ თუ წინადროების. ძველის ძველი არ არიან?“³⁵.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ იგი ხალხური სიტყვიერების მკვიდრო კავშირს ხედავს ლიტერატურასა, ისტორიასა და, მითუმეტეს, ეთნოგრაფიასთან. ფოლკლორული მასალის შესწავლის დროს საჭიროდ მიაჩნია ეთნოგრაფიული მოვლენების გათვალისწინებაც. ფოლკლორის ჩამწერ ახალგაზრდებს რჩევას აძლევს, „დაესწროს ხოლმე სოფლის ჭირში და ლხინში“... „რომ მათი ხასიათი და ზნე შეისწავლოს და აგვიწეროს“... ჩაწერისას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დარგის მოვლენებსაც მიაქციოს ყურადღება. „მაშინ ნამდვილად გვექნება გათვალისწინებული საქართველო ყოველი მხრივ: გეოგრაფიულად, ეთნოგრაფიულად, ისტორიულად, არქეოლოგიურად და სხვ.“³⁶.

აკაკი თვითონაც უკვირდება ხალხის ცხოვრებას; მის თხზულებებში ჩანს საქართველოს ყოველი კუთხის ეთნოგრაფიის ცოდნა. ამგვარ ცნობებს იგი პუბლიცისტურ წერილებშიაც გვაწვდის. მაგალითად, მოცვალბულის მოთქმით დატირების — „ზარის“ შესახებ აკაკი წერს: „იმერეთის მხარეს, შავი-ზღვის პირად, ზოგან დღესაც ჩვეულებად აქვსთ მოთქმით ტირილი და ძველად კი მთელ საქართველოში საზოგადოდ ყველგან მიღებული იყო. დღევანდელის შეხედულებით ეს ჩვეულება ახირებულებათ ჩაეთვლება ჩვენ ძველებს, მაგრამ, მაშინ კი დროთა ვითარება მოითხოვდა: ყოველი მომტირალი წარსდგებოდა მიცვალბულის წინ და მოთქმით ეტყოდა, რაც იცოდა, ან გაგონებით იმ განსვენებულის შესახებ თავგადასავალი. ერთი სიტყვით, უმოწმებდა საგმირო და საქველმოქმედო საქმეებს. ამით უკანასკნელ

³⁵ აკაკის მოხსენება, წაკითხული 30 მარტს ს. აბაშელის საღამოზე, თბი, 1913, № 118, გვ. 2.

³⁶ აკაკი, ზეპირ სიტყვაობის გამო, კრებული, 1897 წ., № 1.

პატივს მიაგებდა მიცვალებულს, ანუ გეშებდა ქირისუფლებს და ღმერთის აძლევდა მამულიშვილებს³⁷.

აკაკი წერეთლის პოეზიის თავისებურ ელფერში აუცილებლად დიდ როლს თამაშობს ხალხურ სიტყვიერებასთან სიახლოვე. მას ბევრგვარად ხალხური პანგები რომ არ შეეთვისებინა, ხალხური ზღაპრები, ლექსები და არაკები არ ჩარჩენოდა გულში, ასე მომხიბლავ პოეზიას ვერ შექმნიდა. ამ გარემოებას პოეტი თავის „ჩემ თავგადასავალში“ იხსენებს და ამასვე ადასტურებს მისი დის ანას მოგონება³⁸.

ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „აკაკის ენა გასპეტაკებული ხალხური პოეზიის ენაა, ხალხური პოეზიის შვილია, მისებრივე მსუბუქია, ხან ნაზია, ხან სულ ჯადოქარი, მაგრამ ყოველთვის საყვარელია, ყოველთვის მომხიბლავია... ის გრძნობდა თავის შემოქმედების ძირითად კავშირს სახალხო პოეზიასთან და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე საფუძველი ჩაეყარა ხალხური სიტყვიერების შეკრებისათვის“³⁹...

ამავე აზრისაა აკაკიზე პროფ. ალ. ცაგარელიც⁴⁰. ამასვე აღნიშნავს ერთ-ერთი მისი თანამედროვე: „აკაკიმ შეიტანა მწერლობაში ხალხური ენა, მან აქცია ქართული მწერლობა სახალხოთ, მან შეისისხლხორცა, ისინი. მისივე დახმარებით მოხდა ის სასწაულიც, რომ ჩვენი სამწერლო ენა იგივე სახალხო ენაა“⁴¹.

„აკაკის ჩონგური მუდამ საერო კვენესითა ეღერს, — წერს ა. ფანცხავა. — ეს საერო კვენესა კი სრულიად ადვილად, ძალ-დაუტანებლად ვრცელდება ხალხში მისი ენის წყალობით“⁴². „აკაკის სიტყვასა და ნაწერს; — აღნიშნავს სილოვან ხუნდაძე, — უფრო ხალხის მასალაზე ჰქონდა გავლენა: მგონი მთელ საქართველოში, მთელ ქართველ ხალხში ტრიალებდა, ცოცხალი სიტყვით აღვიძებდა მას“⁴³.

აკაკი წერეთელი უფრო მეტად ქართული ფოლკლორის გავლენას განიცდის, ვიდრე რომელიმე ქართველი თუ არაქართველი პოეტისას. მეორე მხრივ ქართულმა ხალხურმა სიტყვიერებამაც ყველაზე უხვად

³⁷ აკაკი, დროება, 1883 წ., № 66, გვ. 2—3.

³⁸ ს. შერკვილაძე, აკაკის უფროსი დის ანას წერეთლის ქალის გადმონაცემები, ივერია, 1904, № 181.

³⁹ ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი და ზეპირსიტყვიერება, თბი, 1915 წ. № 208.

⁴⁰ ალ. ცაგარელი, ჩვენი უბედური მწერლობა, დროება, 1870 წ., № 7, გვ. 3.

⁴¹ არიელი, აკაკი და ხალხი, ახალი აზრი, 1915 წ., 8 თებერვალი.

⁴² ა. ფანცხავა, თბი, 1915 წ., № 205.

⁴³ სილ. ხუნდაძე, ქართული ლექსიკონი, კვალი, 1895 წ., № 8.



აკაკის ლექსები შეიწოვა. ამის მაგალითად „სულიკოსა“ და „ჩემო ციციანთელას“ დასახელებაც კმარა.

აკაკის შემოქმედება მრავალმხრივ უკავშირდება ფოლკლორს: სესხულობს სიუჟეტებს, სერბებს, ან ენათესავება თემატიკურად. მის თხზულებებში უხვადაა გამოყენებული ზღაპრები, შაირები, ანდაზები და იგავ-არაკები.

აკაკი წერეთელი იგავ-არაკების თარგმნის დროსაც ახერხებს ქართული ხალხური იგავების მოხმარებას: საერთოდ მან თავისი საიგავ-არაკო შემოქმედება ხალხურ ეპოსს დაუახლოვა⁴⁴.

აკაკის ზემოთ განხილული დამოკიდებულება ქართულ ხალხურ სიტყვიერებასთან საკმაოდ ნათლად წარმოგვიდგენს მის ღვაწლს ამ ფრიადმნიშვნელოვან საქვეყნო საქმეში. იმდროინდელი პრესა სავსეა აკაკის ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრებისათვის მოწოდებებით, სამისოდ შედგენილი სახელმძღვანელო პროგრამით და რჩევა-დარიგებით. იგი აქვეყნებს მდიდარ მასალას, განიხილავს მას მხატვრული, ისტორიული და საყოველღეო ცხოვრებასთან კავშირის თვალსაზრისით; ხშირად მსოფლიო ფოლკლორულ პარალელებსაც ეძიებს და მრავალ მნიშვნელოვან მოსაზრებასაც აყენებს.

ქართული ხალხური სიტყვიერებას ნიმუშების შეკრებას, ღვაწლისა და გამოქვეყნებისათვის აკაკის სიკვდილამდე არ მოუკლია ზრუნვა. აკაკი წერეთელმა შეადგინა ანდერძი, რომელშიც წერია:

„ვენახს და დანარჩენს ჩემს უძრავ ქონებას, სრულ საკუთრებაში ვუტოვებ ქართულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, რათა მან შეკრიბოს და გამოსცეს ქართული ზღაპრები, ლექსები და საზოგადო ზეპირი თქმულებანი“... „გვირგვინით ნუ შეამკობთ კუბოს, ვისაც გვირგვინის სასყიდელი ფული ემეტება, ზეპირსიტყვიერების შაკრების საქმეს შესწიროს“... აკაკის ანდერძმა იმდროინდელ პრესაში ფართო გამოხმაურება პპოვა. მრავალი წერილი მიეძღვნა მას, რათა საზოგადოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცია დიდი პოეტის უკანასკნელი სურვილისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „უხლა კი ზნეობრივად ყველა მოვალე იყო ჯერ ანდერძზე გაეცა პასუხი, მგოსნის სურვილი და თხოვნა

⁴⁴ კრილოვის იგავების თარგმნის საკითხი აკაკის მეტად აწუხებდა. 1878 წ. „დროების“ № 109-ში წერს: „რ. ერისთავს აქვს კრილოვის ზღაპრები და ცოდვა არ არის, რომ ის ასე ხელთნაწერად რჩებოდესო“. გარდა ამისა საქ. საისტ. საეთნოგრაფიო საზოგად. ოქმი № 197-დან ჩანს, რომ 1915 წ., 2 თებერვალს წ. კ. საზოგადოებას აკაკი სთხოვს, ჩემ მიერ თარგმნილი კრილოვის არაკები გამოეცითო.

აესრულებინა, და შემდეგ სხვაზე ეზრუნა... ეხლა მაინც აუსრულდით თხოვნა, დაუმტკიცოთ პატივისცემა“⁴⁵.



„იგი ხალხში ჰპოვებდა თავისი ზე-შთაგონების წყაროსა, მასში ეძებდა შემოქმედების მასალასაც. იგივე ხალხი მიაჩნდა მას უდიდეს პოეტად და ბრძენათაც, ეს თავის შეხედულება შეინარჩუნა მან ბოლომდე, რასაც მოწმობს მისი ანდერძი“⁴⁶.

აკაკის ანდერძს ბავშვებიც კი გამოეხმაურნენ, ჟურნალ „ნაკადულის“ 1915 წლის №4-ში გამოქვეყნდა პატარა წერილი რედაქციის მიმართ, რომელშიც ნორჩი მკითხველები უთვლიან რედაქტორს: „გიგზავნით ერთ მანეთს. ჩვენ საკუთარ ფულს ჩვენი დიდი პოეტის აკაკის ფონდისათვის. ძალიან გვწყინს მისი გარდაცვალება...“

აკაკის მიერ წამოწყებული საქმე ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ ხალისით ითავა. მან ხალხური სიტყვიერების გამოცემის „საერთო ფონდს“ „აკაკის სახელობის ფონდი“ უწოდა.

1918 წელს „ძველი საქართველოს“ რედაქციამ ცალკე ტომად დასტამბა ხალხური სიტყვიერების ადრე გამოქვეყნებული მასალები. მიძღვნაში ვკითხულობ: „ხალხური სიტყვიერების დიდ მოამაგეს აკაკის ხსოვნას უძღვნის მადლიერი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“.

⁴⁵ ე ქ ე თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი, აკაკი და ზეპირ-სიტყვაობა, თეზი, 1915, № 208.

⁴⁶ ა რ ი ე ლ ი, აკაკი და ხალხი, „ახალი აზრი“, 1915, თებერვალი.

აკაკი წერეთელი ილია ზურაბიშვილის თვალთახედვით

აკაკი წერეთლის შესახებ საგანგებოდ დაწერილ მოგონებებსა, კერძო წერილებსა თუ მეძუარებში მოწოდებული ცნობების გარეშე დღეს წარმოუდგენელია XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დიდი პოეტის პიროვნული და საზოგადოებრივი პროფილის გათვალისწინება.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირთა მოგონებები, რომლებიც იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდნენ, იცნობდნენ, სწამდათ და ნამდვილი მამულიშვილური სიყვარულით უყვარდათ აკაკი წერეთელი, მისი პიროვნება და შემოქმედება. ერთ-ერთი მათგანია ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ზურაბიშვილი.

ილია ზურაბიშვილი სალიტერატურო ასპარეზზე XIX საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა. „ივერიის“ რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ თავიდანვე ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა მწერალს და სისტემატურად დაიწყო მისი მოთხრობების, ესკიზების, ფსიქოლოგიური ნოველებისა და თეატრალური რეცენზიების ბეჭდვა.

„აკაკის იმდენად კარგად ვიცნობდი, — წერს ზურაბიშვილი, — რომ, თუ ჟან ბრუსონს მივბაძევ, რომელიც ანატოლ ფრანსს „დილის ხალათში“ აგვიწერს, ე. ი. შინაურ ცხოვრებაში, თამამად შემიძლიან ვთქვა, აკაკის პერანგას ვიცნობდი-მეთქი. მართალია, თვით მე ვერ გავებდავდი ასევე ხალვათად ვჩვენებოდი, ვინაიდან ყოველთვის მახსოვდა, რომ ჩემ წინ დიდი აკაკია.“

ჩემს თვალში აკაკი მზესავით მანათობელი ადამიანი იყო. ამიტომ ძალიან გული დამწყდებოდა, ვინიციობაა ამ მანათობელში ისეთ ლაქებს შევნიშნავდი, რასაც შეეძლო ჩრდილი მიეყენებინა მისი ელვარებისათვის, ჩემს თვალში მაინც“.

პოეტთან სიახლოვე ილია ზურაბიშვილს საშუალებას აძლევდა

მხედველობიდან არ გამოჰპარვოდა ისეთი ცხოვრებისეული წვრილმანები, რომლებიც მხოლოდ ახლობლისათვის იყო შესამჩნევი.

„მეტისმეტად გულხალვათობა სჭირდა დალოცვილს და, თუ ვინდათ, სწორედ ეს იყო მისი დიდი ნაკლი. იგი ძალიან ადვილად გადადიოდა მეგობრის პოზიციაზე იმათთანაც, ვინც არც თუ ისე დაახლოებული უნდა ყოფილიყო მასთან.

ვგრძნობდი, რომ პოეტი, სიმპათიით მიყურებდა. გულახდილი იყო ჩემთან, „შენობით“ მომმართავდა, მთელი საათობით შაშს მეთამაშებოდა (მანვე მასწავლა ეს თამაშობა), ერთი სიტყვით, მიყურებდა როგორც მახლობელ ადამიანს.

სხვანაირადაც, მგონია, არ შეიძლებოდა: ჯერ კიდევ სულ პატარას მიცნობდა, ზშირად მხედავდა თეატრში, რომლის ავან-ჩავანიც მე ვიყავი. ჩვენს ოჯახშიაც დაიარებოდა და შემდეგ ხშირად ვხვდებოდი საზოგადოებაშიც. და, ბოლოს, წელიწად-ნახევარი ერთ ჰერქვეშ გცხოვრობდით მარიამ საფაროვა-აბაშიძის სახლში, სადაც როდესაც აკაკი შინ იყო ხოლმე, სადილ-ჩაიზე ერთად ვიყავით. სადამოობით კი იშვიათად იყო შინ, კლუბში რეგულარულად დაიარებოდა. ხოლო, როცა შინ რჩებოდა, რაც იშვიათი ამბავი იყო, მაშინ ვიცოდით, რომ აკაკი უფულოდაა, ან შეუძლოდ გრძნობს თავს.

ერთი სიტყვით, აკაკისა და ჩემი ურთიერთობა სრულს საშუალებას მაძლევდა, თვალყური მედევნებინა მისთვის, ასე ეთქვათ, ცხოვრების მუდამდლიურობაში და შემენიშნა „მზის ის ლაქები“ — ე. ი. მისი ადამიანური ხასიათის ის უსწორმასწორობა, რაზედაც ბევრნი აშკარად ლაპარაკობდნენ“.

ვერც ერთი პორტრეტი ალბათ ისეთ სრულყოფილ წარმოდგენას ვერ მოგვცემდა აკაკი წერეთელზე, როგორც ეს დაგვიხატეს მისმა თანამედროვეებმა. ამ მხრივ ილია ზურაბიშვილის მოგონებებს გამორჩეული ადგილი უკავია. გარეგნული და შინაგანი თვისებების ჩვენებითა და შერწყმით მან შექმნა მგოსნის შთამბეჭდავი პორტრეტი.

„მეტისმეტად იმპოზანტური ფიგურა ჰქონდა, ნამდვილი სასკულპტურო. მარტო იმიტომ კი არა, რომ ბრგე აგებულებისა იყო. იმაზე ბუმბერაზულ ტანადობისას სხვასაც ბევრს ნახავდით, მაგრამ ისინი აკაკის შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ. არამედ იმიტომ, რომ იშვიათი ჰარმონიულობა სუფევდა მის ტანსა და თავს შორის...“

აკაკი ტანსრული იყო, მხარბეჭიანი. თუ ტანწორწეა არ ეთქმოდა,

1
ლიპს მაინც ვერ შენიშნავდით, როგორც უნდა გეცქირათ პირდაპირ
თუ გვერდიდან.
ერყენული
გაგაქვიძე

საკვირველი მოყვანილობის თავი ჰქონდა, მრგვალი, თარაზოში გამოსული, არსად შეზნექილი ოდნავადაც, არსად ზედმეტად გამოწეული. თმაც რომ არა ჰქონოდა, მარტო ეს იშვიათად სწორი მოყვანილობა ყურადღებას მიიქცევდა.

ხშირი, მეტისმეტად გრუზა თმა. ისე ხშირი და ერთმანეთში ისე გადახლართულ-გადატმასნილი, რომ ნაპენტი მატყლი გეგონებოდათ. აკაკის თმის ფერი, თვით სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, იმ სითეთრემდე არ მისულა, რომელსაც თოვლის სისპეტაკეს უწოდებენ. იგი უფრო ჭაღარა იყო, ვიდრე თეთრი... ასეთივე ხშირი, შუათანა სიგრძის წვერი, ხოლო ნიკაპზევითა ღარებში ოდნავ შეთხელებული. ასევე ოდნავ თხელი უღვაშები.

ეს ბუნებაუხვი თმა შარავანდედივით ადგა მის საკვირველ დიად — არა მარტო მაღალ და განიერ, არამედ სწორედ დიად შუბლს, რომელიც ერთსადაიმავე ღროს ბრძენისაც იყო და პოეტისაც...

სახე...

მსხვილნაკეთიანი, დიდრონთვალემა. მკვეთრად მოხაზული ბაგე, მაგრამ ვნებიანობის არმჩენი ტუჩები... არც ირონიისა.

რასაკვირველია, ნაკვთთა სწორე მოხაზულობით, თვალების წყლიანი მეტყველებით, სახის კანის სისუფთავით და ფერით ილია აკაკიზე გაცილებით ლამაზი იყო. მაგრამ ამ დასკვნამდე მიხვიდოდით მხოლოდ მაშინ, თუ მათ სახეს მუშტრის თვალით ჩაკვირდებოდით. თორემ საერთო შთაბეჭდილებას მთლიანად აღებულ მათი გარეგნობის იერს სულ სხვა დასკვნამდე მიჰყავდით.

აკაკის მთელი არსებიდან ისეთი თვალისმომჭრელი, რაღაც საიდუმლო ძალით აღსავსე სხივნატი შუქი გამოჰკრთოდა, რომ ილიას სახის იშვიათ სინატიფეს ჩრდილს აყენებდა.

დარწმუნებული ვარ, სადმე საზოგადოებაში, სადაც აკაკიც იყო და რომელიმე უღამაზესი მზეთუნახავი ქალი, მათი ერთად მნახველი უცხო ვინმე უეჭველად ჯერ აკაკის ვინაობას იკითხავდა და მხოლოდ შემდეგ ამ ქალისას, რადგანაც თავისდაუნებურად განცვიფრება აიტანდა — ეს მართლა ადამიანია, თუ ოლიმპოდან ჩამოსული ღმერთკაციო...

ნიშანდობლივი კიდევ ის იყო, რომ მუდამ ხუმრობისა და სიტყვა-მახვილობის სტიქიონში იოლად მცურავ აკაკის, თითქო თავისი ბუნების უნებურად, მართლა ოლიმპიური სიღინჯე და მონუმენტალობა

ახასიათებდა: წყნარი მიხვრა-მოხვრა, მძიმე ნაბიჯი, თითქმის სრულიად შეზღუდული ექსტიკულაცია და თითქოს რაღაც ზევსურ გარინდებში ყოფნა სიჩუმის დროს.

საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ რაც უფრო ხანში შედიოდა აკაკი და რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნობას, მით უფრო მისი გარეგნობა მეტის სილამაზით იმოსებოდა... შემდეგაც კი, როდესაც ცალი თვალის ქუთუთოების მოძრაობა დაუშინდა და ცალ ფეხსაც ოდნავ გაქლასუნებით სდგამდა, მის გარეგნობას თითქო ახალი რამ გამომეტყველება შეეძინა მეტად ლამაზი მსცოვანებისა. გეგონებოდათ, სადღაც შორს გაიციქირება და სულ სხვა მსოფლიოს ხილვას ლამობსო“.

აკაკის გარეგნული იერსახის დაახასიათების აღმნიშვნელი ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ კიდევ ერთხელ მოგვცემოდა საშუალება მგოსნის სხივანათელი, ოლიმპიური სახის ხილვის სიამოვნება განგვეცადა.

აკაკი წერეთელი ის შემოქმედი იყო, რომელიც ერთნაირი გატაცებით მოღვაწეობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და თავის განუყოფელ კვალს სტოვებდა ყველგან. მისი მახვილგონიერი და ნათელი აზროვნება თანაბარი ძალით ბრწყინავდა წერილობით თუ ზეპირი შემოქმედების ყველა სფეროში. ლიტერატურული მოღვაწეობის სარბიელზე აკაკის პოეტური სიტყვა განსაკუთრებული უბრალოებით, მშვიდი დინებითა და წარმოუდგენელი ჰარმონიულობით ხასიათდებოდა¹.

ილია ზურაბიშვილი თავის მოგონებებში მოხდენილად აცოცხლებს აკაკი წერეთლის მჭევრმეტყველურ ნიჭის დამადასტურებელ ფაქტებს. „მისი საუბრის ერთი უდიდესი ღირსება ის იყო, რომ თავის მსმენელს, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, ნასწავლი, უსწავლელი, ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა, ყველას თანასწორობის თვალთ უყურებდა. ამიტომ მის საუბარს დიდაქტივზმს, ჭკუის სწავლებას ვერ შეამჩნევდით. მისი თხრობა ეპიური ხასიათისა იყო. დინჯი, წყნარი კილო, ხმის სულ მცირედი აწევ-დაწევა. და თვით სათხრობიც მეტწილ ეპიური იყო — ჩვენი ქვეყნის წარსული, რომელიც აკაკიმ ჩინებულად იცოდა“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი ბრწყინვალე ორატორი იყო. თავისი საჯარო გამოსვლებით აკაკი წერეთელი უდიდეს ზე-

¹ ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1968 წ. გვ. 377-378.

გავლენას ახდენდა მსმენელზე და იპყრობდა საზოგადოების ყურადღებ/ ^{ანტიკონტრაქტული}
ბას. მისი ქართული ენა ყველას ხიბლავდა და სიამოვნებას ანიჭებდა. ^{გვერდისკა}
ი. ზურაბიშვილის დახასიათებით „აკაკი დეკლამატორიც იყო და დღეს“
დადაც მიღებული. საზოგადოება ყოველთვის აღტაცებული ეგებებო-
და... საკმარისი იყო მარტოოდენ, რომ აკაკი მონაწილეობას იღებდა
ამა თუ იმ სალიტერატურო საღამოში და კითხულობდა თავის მშვე-
ნიერ ლექსებს. ვინ დაგიდევდათ იმას, თუ როგორ კითხულობდა?! მარ-
ტო მისი დიდებული ფიგურისა და ღვთაებრივი სახის გამოჩენა —
ისევე, ვით ილიასი, იმგვარ ენთუზიაზმს იწვევდა დამსწრე საზოგა-
დოებაში, რომ თვით დეკლამაციის ნამდვილი შეფასება ვიღას ახსოვ-
და?!..

კითხულობდა აკაკი ლექსს მკაფიოდ, ცოტა არ იყოს, მოსიმღერო
მელოდიურობით და მნიშვნელოვანი ადგილების განსაკუთრებული
ინტონაციური განფენილობით, რის გამოც მისი ხმა საკმაოდ წვრილ-
დებოდა.

სხვებთან ერთად მეც ვაგაყებით ვუკრავდი ტაშს, ვინაიდან მოწყუ-
რებული ვიყავი რაც შეიძლება მეტხანს ყოფილიყო სათაყვანებელი
ადამიანი ესტრადაზე, რაც შეიძლება მეტ ხანს მეცქირნა მისი მშვე-
ნიერი სახისათვის, მომესმინა მისი მუსიკალური ლექსები“.

ფართოდაა ცნობილი აკაკის საჯარო ლექციები, რომლებსაც პო-
ეტი კითხულობდა ხშირად, ბევრგან და ყოველთვის დიდი წარმატე-
ბით. ამ თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი უკავია აკაკის ლექ-
ციებს „ვეფხისტყაოსანზე“.

როგორც ცნობილია, 1881 წლის მარტის თვეში, აკაკიმ თბილისში
წაიკითხა ლექციები „ვეფხისტყაოსანზე“, რომელშიც გაატარა ის აზ-
რი, რომ რუსთაველმა თავის პოემაში გამოხატა საქართველოს სხვა-
დასხვა კუთხის ქართველი... რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული
ტიპები როგორც მამაკაცები, ასევე ქალები ნამდვილი ქართველები
არიან, სხვადასხვა კუთხიდან აღებული“². აღნიშნული ლექციები იმ-
თავითვე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა და აზრთა
სხვადასხვაობის ობიექტად იქცა.

პირველი გამოხმაურება, რომელიც ლექციების ქართულ ენაზე წა-
კითხვამ გამოიწვია, ეკუთვნის ა. მოჩხუბარიძეს (ალექსანდრე ყაზბეგს).

ალექსანდრე ყაზბეგი იხილავს აკაკის შესავალ ლექციას და უარ-
ყოფს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველების აკაკისეულ

² აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. 12, გვ. 66—112.

ინტერპრეტაციას, კერძოდ, არ ეთანხმება ქართლებს, იმერლებს, მეგრელების და სხვათა დახასიათებაში და აქვე დასძენს სინანულთ, რომ აკაკიმ არ მოიხსენია თავის დახასიათებაში მითულები, „რომეცა თა სახელიც პროგრამაში იყო მოყვანილი“-ო³. აკაკი წერეთელმა ამ გამოხმაურებას უპასუხა იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში, უარყო მოჩხუბარიძის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი და საყვედური გამოთქვა ავტორის მიმართ, რომელმაც სწორად ვერ აღიქვა მისი ლექციების დედააზრი და მნიშვნელობა⁴.

აკაკი წერეთელი 1887 წელს „ვეფხისტყაოსანზე“ განმეორებით კითხულობს ლექციებს, მაგრამ, ამჯერად უკვე რუსულად. აი, სწორედ ამ ლექციების გამო ილია ჭავჭავაძემ საჭიროდ ჩათვალა რამდენიმე საყურადღებო მოსაზრება გამოეთქვა. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეს შორის საზოგადო საკითხებზე კამათი ყოველთვის პრინციპულ სიმაღლეზე იდგა, არასოდეს კარგავდა ზომიერებას და ამყლავნებდა ერთმანეთის დიდ პატივისცემას. როგორც ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი არტურ ლაისტი აღნიშნავდა; „ორივენი, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსები, ისე ეპყრობოდნენ ერთმანეთს“⁵.

ილიას წერილები პოლემიკური ხასიათისა იყო. აღნიშნა რა აკაკი წერეთლის მიერ რუსთაველზე საჯარო ლექციების წაკითხვის დადებითი მნიშვნელობა, არ დაეთანხმა პოემის პერსონაჟების ქართული წარმოშობის აკაკისეულ ვერსიას. „ძნელია, იმისთანა მართლა სახელოვანი პოეტი, როგორც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფის საჩხირკედლო სკამზედ ჩამოახდინოს, ეს მეტიმეტი დაქვეითებაა პეგასზედ მჯდომი ცხენოსნისა“⁶.

ი. ზურაბიშვილი თავის მოგონებებში ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ გამართულ მათ პოლემიკურ ურთიერთობას და სათანადოდ გახაზავს იმ ფაქტს, რომ „არსად, აკაკისა და ილიას პოლემიკაში ფარგალი ლიტერატურული კილოს ზომიერებისა და ურთიერთისადმი თავაზიანობისა გადაცილებული არ შემზვედრია... მართალია ილია აკაკის ლექციებს დიდის უარყოფით შეხვდა, მაგრამ მის წერილში ვერსად ნახავთ ვერც დაცინვას, ვერც ავდებას და რაიმე ორღესულ

³ ა. მოჩხუბარიძე, ლექციები ქართულ ენაზედ. ვაზ. „დროება“, 1881 წ. № 69.

⁴ ვაზ. „დროება“, 1881 წ., № 70.

⁵ არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1963 წ., გვ. 69.

⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. 3, 1953, წ., გვ. 168.

გამოთქმას. ყველაფერში აქ დაცულია პრინციპულობა და თვალსაზრის
კილო“.

განსაკუთრებით საინტერესოა ილია ზურაბიშვილის ის მოგონებ-
ებები, სადაც იგი ილიასა და აკაკის ურთიერთობას ეხება. ქართველმა
ხალხმა თავიდანვე დააწყვილა ორი დიდი თანამედროვის ილია
ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელები. მთელი თავიანთი ხანგრძლი-
ვი ცხოვრების მანძილზე ისინი მხარში ედგნენ ერთმანეთს და სათა-
ნადოდ აფასებდნენ ერთმანეთის ღვაწლსა და დამსახურებას ქვეყნი-
სა და ქართული მწერლობის წინაშე.

ილია ზურაბიშვილი საგანგებოდ ეხება თავის მოგონებებში 1897
წელს თელავში წარმოთქმულ აკაკის სიტყვას, სადაც აკაკი განსაკუთ-
რებული ძალისხმევით წარმოაჩენს ილიას დამსახურებას: „საკვირვე-
ლია, მესამოცე, წლებშიც, როდესაც მამათა სქესის ახალთაობა გამო-
ფხიზლებას აპირებდა, ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და
ის ღრუბლის ნაგლეჯის აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია, მიხვდებით,
რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბატონი ილია ჭავჭავაძე...
სჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ სხვა კუთხეზე მეტად წამებული
კახეთი ჩვენთვის ბეთლემად დაუნიშნავს განგებას“⁷. ზურაბიშვილი
ასევე საგანგებოდ ჩერდება ილიას გარდაცვალების გამო დაწერილ
აკაკის ლექსს⁸ და გამოსათხოვარ სიტყვებზე⁹. ანალიზებს მოთხრო-
ბას „სიკვდილი“ და დასძენს: „აკაკი აგვიწერს თავის სიკვდილს, სიზ-
მარში ნახულს და გვიხატავს საზოგადოების სხვადასხვა წრის წარ-
მომადგენელთა გამოხმაურებას ამ სიკვდილის გამო. მასში მოხსენე-
ბულია რედაქტორის სახით ილია ჭავჭავაძეც, რომელიც დიდ სინა-
ნულს გამოთქვამს აკაკის სიკვდილის გამო“. ილია ზურაბიშვილის აზ-
რით აკაკიმ ამ მოკლე მხატვრული ეპიზოდით ნათლად გვიჩვენა, რომ
სიძულვილისათვის მას და ილიას შორის არავითარი საბაზი არ იყო
და არც თვით სიძულვილი იყო.

დიდად საყურადღებოა აგრეთვე ილიას აკაკისადმი დამოკიდებუ-
ლების რამდენიმე ეპიზოდი. ილია ჭავჭავაძე აღუფრთოვანებია აკაკის
პატრიოტულ სიტყვას, რომელიც მან თელავში წარმოთქვა და საგან-
გებოდ წერილიც კი მიუძღვნია მისთვის¹⁰. არანაკლები მნიშვნელობი-

⁷ აკაკი წერეთელი თხზ. სრული კრებული, 1961 წ., ტ. XII, გვ. 99.

⁸ აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული, 1954 წ., ტ. III, გვ. 221.

⁹ აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული, 1964 წ., ტ. XIV, გვ. 321.

¹⁰ ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, 1955 წ., ტ. V, გვ. 183—187.

საა, ილია ზურაბიშვილის თქმით, ილიას ცნობილი წერილი აკაკისადმი, ჟურნალში თანამშრომლობის შესახებ¹¹, რომელსაც „განმარტება არ ესაჭიროება... ვინც ილია ჭავჭავაძეს იცნობს, — წერს ი. ზურაბიშვილი, — იცის მისი მტკიცე ხასიათი და პრინციპულობა საქმეში, განსაკუთრებით კერძო ხასიათის მიწერ-მოწერაში, ის უეჭველად დამეთანხმება, რომ ამისთანა წერილს იგი არავის არ მიწერდა, მით უფრო აკაკის, თუ კი მისდამი ამ გრძნობას არ განიცდიდა, რაც ამ წერილში ნათლად ღაღადებს“. და მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ილია ზურაბიშვილი არ მალავს და აღნიშნავს, რომ „ზოგნი ქარავმულად აღნიშნავენ, რომ აკაკის ილია არ უყვარდა... და ყოველთვის ავად იხსენიებდა, როგორც პოეტსა და როგორც საზოგადო მოღვაწეს“.

ი. ზურაბიშვილი ცდილობს ამგვარ გამონათქვამთა გაქარწყლებას და თავის მებსიერებაზე დაყრდნობით, მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ „არასოდეს აკაკისაგან ძვირი სიტყვა ილიაზე არ გაუყვია“. აფასებდა თუ არა აკაკი წერეთელი ილიას მოღვაწეობას? — ილია ზურაბიშვილი პასუხობს: „ისეთი დიდი პოეტური ალღოს ადამიანს, როგორც აკაკი იყო, არ შეიძლებოდა ილია დიდ ქართველ მიწერლად და დიდ საზოგადო მოღვაწედ არ ეცნო“. მხოლოდ დასაშვებად მიიჩნევდა რაიმე დებულუბის საწინააღმდეგოდ კერძოობითი ხასიათის შენიშვნის არსებობას, რომელიც, რასაკვირველია „სრულიადაც არ არყვედა მის ზოგად წარმოდგენას ილიაზე, როგორც დიდ შემოქმედზე და დიდ ქართველ ადამიანზე“.

მაგალითად ი. ზურაბიშვილს მოჰყავს ერთი მისი საუბარი აკაკისთან ილიას „განდეგილზე“. აკაკი „განდეგილის“ ზოგიერთ ადგილს გაზვიადებულად მიიჩნევს და მიუხედავად ზურაბიშვილის მტკიცებინსა, რომ აქ მხოლოდ „პოეტურ ჰიპერბოლასთან“ გვაქვს საქმე, აკაკი მთელი გულწრფელობით ამტკიცებდა, რომ „მშვენიერია, განა მე კი არ ვიცი, როცა ილიკო მოინდომებს, ყველაფერს ლამაზად იტყვის. მაგრამ დამეთანხმე, აქაც, ცოტა არ იყოს ჭკუით დამძიმებული სინაზეა. ყოველ შემთხვევაში მე ასე არ დავწერდი“-ო.

ილია ზურაბიშვილი განსხვავებულად მიიჩნევდა მხოლოდ მათ პოეტურ მეტყველებას. მისი შეხედულებით მეტი სიმსუბუქე იგრძნობოდა აკაკისთან აზრის გამოთქმაში, მისი პოეტური ხედვა მეტისმეტად ჰაეროვანი იყო, ილიასთან სიტყვა უფრო მდორედ მოედინებო-

¹¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, 1962 წ., ვგ. 302.

და, მეტი სიღინჯე და უშფოთველობა ეტყობოდა. ყოველივე ეს სრულ-
ლიადაც არ ნიშნავდა იმას; რომ ერთი მეორეზე უფრო ნაკლები ყო-
ფილიყო. ორივე უპოპულარესი და საყვარელი პოეტი იყო ^{საქართველოში} ~~საქართველოში~~
გელოში.

„ისინი სხვადასხვა ჯურის შემოქმედნი იყვნენ, — ამბობს ი. ზუ-
რაბიშვილი — ერთი თუ ვიოლინოსავით გამჭვირვალედ წკრიალებდა,
მეორე ვიოლონჩელოსავით მღორედ ქდებდა. ერთი თუ წუხილით ოხ-
რავდა, მეორე ღრმად შფოთავდა. მაგრამ ერთის საოხრავიც და მე-
ორის საშფოთველიც ერთიდაიმავე გრძნობიდან მომდინარეობდა —
სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულიდან. და ეს ორივე შესანიშნავი
ხმა სხვადასხვა ტემბრისა, კეთილხმოვნად და ძლიერად გაისმოდა მათ
ქვეყანაში, ვით სხვადასხვა ხასიათის დიდებული მუსიკა მოცარტისა
და ბეთხოვენისა მთელს მსოფლიოში...

გულმართალ ხალხს სურდა; რომ ილია და აკაკი ყველაფერში
თანამდგომელნი და თანამყოფელნი ყოფილიყვნენ და მის წარმოდ-
გენაში ეს სურვილი თითქო განხორციელებულიც იყო. მისთვის არა-
ვითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმას, რომ ამა თუ იმ საზოგადო-
ებრივ მოვლენას, შეიძლება, ილია და აკაკი სულ სხვადასხვა საზომით
უდგებოდნენ. მისთვის ერთი რამ იყო ნიშანდობლივი, რომ საერთო
წუხილი და სიხარული თანაბარ გამოძახილს ჰპოვებდა ორივე მგოსნის
გულში, ხოლო რა სახით აირეკლებოდა ეს მათ შემოქმედებაში — თი-
თოეულის ნიჭისა და უნარის საქმე იყო. ისიც სწამდა ხალხს, რომ რა
სახისაც უნდა ყოფილიყო იგი, ორივე ტურფა და მომხიბვლელი იქნე-
ბოდა, ხალხისათვის თანასწორად სანუკვარი და სასარგებლო“¹².

მაგრამ „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“ — იმოწმებს ხალ-
ხურ ანდაზას ი. ზურაბიშვილი და ზოგიერთ ვაი-ადამიანის დახასია-
თებას იძლევა. „ესენი ადამიანები კი არა, კაცუნები არიან, ადამიან-
ის ანაფხეკები, ზოგი აკაკისაგან ნაწკიპურტები, ზოგი ილიასაგან ნა-

¹² საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ილიასა და აკაკის ეს მსგავსება-განსხვა-
ვებანი არაერთხელ აღნიშნულა, როგორც მის თანამედროვეთაგან, ისე შემდგომი
პერიოდის მკვლევართა ნააზრევში. საგანგებოდ შეიძლება დავასახელოთ: არტურ
ლაისტი, საქართველოს გული, თბ., 1963 წ. შეადგინა, ბოლოსიტყვაობა და შენიშე-
ნები დაურთო თ. ფირალიშვილმა; გ. რობაქიძე, აკაკი და ილია, ფასკუნჯი, 1908 წ.
№ 5; ნ. ნიკოლაძე, კ. აბაშიძე, ა. ხახანაშვილი, ა. თორაძე, ს. დადიანი, ი. გომარ-
თელი, ვ. კოტეტიშვილი, სილ. ხუნდაძე, წერილები. იხ. კრებული: ა. წერეთელი
რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, შეადგინა, წინასიტყვაობა,
შესავალი წერილი, კომენტარები და საძიებელი დაურთო მ. გომაძემ, თბ., 1985 წ.

ქიმუხვევი, ზოგიც ბუნებით „მაამებლიდ“ და „ენატანიად“ დაბადებული და ამით მღვრიე წყალში თევზის მჭერავეი, რომელთაც არაფერი დაზოგეს, რათა ცხოვრებაში მაინც განეთვისებინათ ეს ორი დიდგნობის მესაიდუმლე ჩვენი ქვეყნისა და თუმცა ხალხის წარმოდგენა მათზე ვერ შეცვალეს, მაგრამ თვით ილიასა და აკაკის თავზე მოახვეეს ის აზრი, რომ ისინი მტრები არიან ერთმანეთისა“.

ილია ზურაბიშვილი აღუშფოთებია ამ ორი მამულიშვილის მიმართ ზოგიერთთაგან გამოვლენილ უკიდურეს სიძულვილს და გაკვირვებით კითხულობს: „ბოლოს და ბოლოს, საიდან წარმოიშვა ეს საზიზღარი ლეგენდა, რომლის კუდიც იმდენად ძლიერია, რომ ხანდახან ჩვენ დრომდეც აღწევს. რა რეალური საფუძველი უდევს ამ ლეგენდას? მე მგონი, არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს! იგი მოგონილია ბუნებით მახინჯი, მეჭორე ადამიანებისაგან. იგი ემყარება პირად მძულვარებას აკაკისადმი და არც თუ დიდ სიყვარულს ილიასადმი.“

მართლაც და... რა ჰქონდა სადავო და საცილო ილიასა და აკაკის? სად და რაში გადაჯვარდინებულა მათი გზები? მხოლოდ ერთში. — სამშობლო ქვეყნის სიყვარულში, მისთვის მტლედ დადებაში!... არასოდეს ილია აკაკის და აკაკი ილიას არ შესცილებია საპირადო საქმეში. არსად ისინი ერთმანეთის მოწინააღმდეგედ არ გამოსულან არც პირად, არც საზოგადოებრივ საქმეში“.

თავის მოგონებებში ი. ზურაბიშვილი საგანგებოდ ხაზს უსვამს აკაკი წერეთლის კეთილშობილებას. „აკაკი ზღელვაშლილი იყო და გაჭირვებულს უარს არ ეტყოდა, თუ კი იმ წამს დახმარება შეეძლო. ამას ამოწმებს მაკოს მიერ არაერთხელ ნათქვამი სიტყვები: რამდენი გაჭირვებული ხალხი დადის აკაკისთან, ან როგორ აღდის ამოდენა მთხოვნელებსაო? და როდესაც იგი შეეკითხა აკაკის ამის თაობაზე, აკაკიმ ღიმილით თურმე უპასუხა — შე ქალო, აბა ჩემთან ვინ მოვა, თუ არა გაჭირვებულიო. ის მაწუხებს მხოლოდ, რომ თვით ზღელმოკლე, ვის რა იარას გავუმთელებო.“

მაკოს ეთქვა, ბიჭს ვუბრძანებ, აღარ მიიღოს თქვენი შემწუხებლებიო. — არა, ღვთის გულისათვის, ეგ არა ქნა... აბა, რა საკადრისია, კარზე გაჭირვებული მოგადგეს და იმის ნაცვლად, რომ დაეხმარო, შენ არც კი გინდა მიიღო და თანაგრძნობის სიტყვა მაინც უთხრა, — უპასუხა თურმე აკაკიმ... მაკოს აზრით, აკაკი იშვიათი კეთილი გულის ბატონი იყო და არასოდეს გაჭირვებულს დახმარებაზე უარს არ ეტყოდა, თუ კი გარემოება ხელს უწყობდა, თვითონ გაიჭირვებდა და სხვას განიკითხავდა“.

საყოველთაოდაა ცნობილი აკაკის დაინტერესება სოციალურ-კითხით, მისი დიდი სიმპატიები შრომისა და მშრომელი ადამიანებისადმი. 60-იან წლებში შრომისა და ყმა-გლეხის გათავისუფლების მომავალი ცხოვრების მოწესრიგების საკითხი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იდგა. აკაკი წერეთელიც ამ მეტად საჭირობო-საზოგადოებრივ მოვლენას გამუდმებით ეხმაურებოდა და თავის ნაწარმოებებში იძლეოდა გლეხის უმწეო მდგომარეობის ამსახველ ცოცხალ სურათებს. აკაკის ზოგიერთ ლექსში პირდაპირ ჩანდა, რომ პოეტი ბატონყმური ურთიერთობის მოწინააღმდეგე იყო.

ი. ზურაბიშვილი მიზნად არ ისახავს დაწვრილებით შეეხოს აკაკის სოციალურ სიმპათიებს, მაგრამ გარკვეულ დაინტერესებას მაინც ამჟღავნებს, როცა წერს: „აკაკი ბატონყმობის საშინელი მოწინააღმდეგე იყო და იგი დიდ უბედურებად თვლიდა ქვეყნისათვის ფეოდალიზმს. ისე გარეშე მტრებმა არ შეუწყვეს ხელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობას, როგორც ფეოდალებმაო. ამიტომაც დავით აღმაშენებელს აკაკი გენიოს პოლიტიკოსად აღიარებდა. ვინაიდან მან პირველმა გამოუცხადა ბრძოლა ფეოდალებს, შექმნა რა მუდმივი ჯარი და მით განამტკიცა ერთმეფობის ძალაო“.

ი. ზურაბიშვილი ეხება აგრეთვე აკაკის დამოკიდებულებას ქალის პრობლემისადმი. მისი თქმით, თუმცა ქალები უკმაყოფილონი იყვნენ აკაკისა, რადგან მათი კილეა და დაცივნა იცოდა, მაგრამ „ჩვენს საზოგადო მოღვაწეთა შორის არავის პყლია ქალებში იმდენი თავყანისმცემელი და მეგობარი, როგორც აკაკის“. ამას მოგონებების ავტორი ხსნის იმით, რომ მისი პოეტური ნიჭი, მახვილი სიტყვა, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა ყველას ხიბლავდა. მით უფრო ქალებს. ავტორი საგანგებოდ გახაზავს იმ ფაქტს, რომ აკაკის ჰქონდა საოცარი უნარი ადამიანებთან სიახლოვისა და მათ სულში წვდომისა. მაგალითად ასახელებს დიალოგს ერთ ნაცნობ ქალთან. მისთვის აკაკი ჩვეულებრივ სიყვარულზე და მეგობრობაზე უფრო ამაღლებულ გრძნობათა მატარებელი იყო. „აკაკი იყო სასურველი ადამიანი, რომელიც უფერულ მუდამდღეტურობას აცხოველებდა აზრიანობით, საზოგადოებრივი ინტერესით. მასთან საუბარში ყოველთვის რაღაც ახალს იძენდი... და მოქალაქეობრივი მოვალეობის აღსრულების გარდა, პირად მორალურ კმაყოფილებასაც გაგრძობინებდა ადამიანს. უცნობი ქალის სიტყვით „აკაკის ყოველთვის უყვარდა ვინმე, ან ეგონა რომ უყვარს. ეს არ იყო უბრალო მამაკაცური ჟინი. არა, ეს სიყვა-

რული სულ სხვანაირი იყო. ეს იყო, თუ გინდათ, მხატვრული სიყვარული, რაც თითქო მის შემოქმედებას ანაყოფიერებდა.

როდესაც აკაკის მოეწონებოდა რითიმე ესა თუ ის ქალი, ეს მოწონება კვესივით მოხდებოდა ხოლმე მის არსებაში, როგორც ტალში ჩაღვენილი პოეტურ ცეცხლს და აანაპერწყლებდა მას. და იმ დროს აკაკი როდი დაგიდევდათ, ნამდვილად მოიბოვებოდა თუ არა იმ ქალში ყველა ის გარეგანი და შინაგანი ღირსება და თვისება, რასაც იგი მას აკუთვნებდა. მაშინ აკაკის უყვარდა ის ქალი. არა, ის ქალი კი არა, მისი ნამდვილი ზორციელი და სულიერი ავლადიდებით, არამედ თავისი მხატვრული წარმოდგენა, ვითომ იმ ქალში განსახიერებული... ხოლო, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ნატურა და მხატვრული წარმოდგენა ერთმანეთზე შორიშორ იყვნენ, აკაკი იოლად იცრუებდა გულს მისი შემოქმედების აღმძვრელ საგანზე და ახლა სხვისაკენ მიმართავდა თავის ოცნებას“.

ასეთია ილია ზურაბიშვილის თვლით დანახული აკაკი.

აკაკისა და ვაჟას კოლმეიკის გავლ

აკაკის ცნობილი ლექსი „ვაჟა-ფშაველას“ 1913 წლით არის დათარიღებული. აკაკის ლექსებზე „ცნობილის“ დამატება იქნებ ზედმეტიც იყოს, რადგან დიდი მგოსნის თითქმის არც ერთ ლექსს არასოდეს მოჰკლებია მკითხველი და თაყვანისმცემელი. მაგრამ ლექსი, რომელიც მან ვაჟა-ფშაველას მიუძღვნა, მაშინვე განსაკუთრებით გახმაურდა, რადგან შემდეგში მას მოჰყვა ვაჟას პასუხი და სენსაციისმოყვარულ საზოგადოებაში ამ ორი დიდი პოეტის პაექრობა პოეტურ შუღლად, მათ შორის განხეთქილებად იქნა მიჩნეული. საზოგადოების ამ თვალსაზრისს გამოხატავდა ლევან ასათიანი წიგნში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, როდესაც წერდა: „...ასე დაიწყო ეს უაღრესად პრინციპულ ნიადაგზე აღმოცენებული სამღურავი ორ უდიდეს ქართველ პოეტს შორის“.

თითქმის ერთი საუკუნე გვაშორებს ამ „უაღრესად პრინციპულ ნიადაგზე აღმოცენებული სამღურავის“ დასაწყისს. ხალხმა და ისტორიამ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, აკაკიც და ვაჟაც თავის დიდ მგოსნებად და ეროვნულ ჭირისუფლებად აღიარა, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილი იმ აზრისაა, რომ აკაკისა და ვაჟას შორის არსებობდა განხეთქილება, სერიოზული უთანხმოება, რაც ორი პოეტის ორ ცნობილ ლექსში გამოიხატა.

დღეს იქნებ ღირდეს ამ დამკვიდრებული აზრის გადასინჯვა, იქნებ ერთხელ კიდევ ვცადოთ აკაკის დამოკიდებულების გარკვევა ვაჟას პოეზიის მიმართ ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსის მიხედვით, რადგან ეს აკაკის ერთ-ერთი ბოლო ლექსია და ბუნებრივია, მის ბოლო თვალსაზრისს გამოხატავს ვაჟა-ფშაველაზე.

საკითხის ისტორიისათვის უნდა გავიხსენოთ, რომ აკაკი, როგორც დიდი სამოციანელი, პრინციპულად იბრძოდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის, ებრძოდა კუთხურ პარ-

ტიკულარიზმს და საქართველოს სულიერი მთლიანობის უმთავრეს ნიშნად საერთო ქართულ სალიტერატურო ენას მიიჩნევდა.



ამ ფონზე ვაჟა-ფშაველას ენა, რომელიც მკითხველისა და ლიტერატურული საზოგადოების აზრით, ფშაურ დიალექტს ემყარებოდა. დავას იწვევდა, თუმცა ვაჟა-ფშაველა სამართლიანად განმარტავდა, რომ ფშაურ დიალექტად მიჩნეული მეტყველება სინამდვილეში ძველ ქართულ სალიტერატურო ენას ეფუძნებოდა.

ვაჟა-ფშაველას სამწერლო ენის გამო გაჩაღებული დავა იმდენად მწვავე იყო, რომ ერთხანს „ივერიაში“ თურმე მუქარის წერილებიც კი მოდიოდა — თუ ვაჟა-ფშაველას ნაწერების გამოქვეყნებას არ შეწყვეტო, გაზეთს აღარ გამოვიწერთო. ამ ფონზე აკაკის დამოკიდებულება ვაჟასადმი მეტად კორექტული იყო. აკაკის კეთილგანწყობილება თანდათან მატულობდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი წინსვლის კვალობაზე. ამას ნათლად ადასტურებს რამდენიმე ფაქტი.

1894 წელს, აკაკიმ, როგორც „კვალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა, ხელი შეუშალა ვაჟას ნაწერების გამოქვეყნებას ენობრივი პოზიციის გამო. ამ დროს აკაკის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ თუ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, ჯერ ისევ ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა სალიტერატურო ქართულზე გადავიდოდა და ფშაურ დიალექტზე წერას მიატოვებდა. აკაკის ამ მოქმედებამ ვაჟა განაწყენა, მაგრამ რაიმე საპასუხო მოქმედებისთვის არ მიუმართავს, არც საჯაროდ გამოუთქვამს პროტესტი, მხოლოდ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას მისწერა პირად წერილში: „მე თვითონ დიდ პატივს ვცემ აკაკის ნიჭსა და მოღვაწეობას, მაგრამ ისე კი არა, არც აკაკის და არც სხვას, რომ საკუთარის თავის პატივისცემაზე ხელი ავილო, ან საკუთარს მსჯელობაზე, საკუთარს შეხედულებებზე ამა თუ იმ საგანზე“. ამ სიტყვებში სწორედ ის ვაჟა ჩანს, რომელსაც გვიხასიათებენ მისი თანამედროვენი — თავისი შეხედულებების სიჯიუტემდე მისული პრინციპულობით დამცველი. ამ სიტყვებშიც უფრო წყენა და გაღიზიანება კი არ იგრძნობა, არამედ თავისი „შეხედულებისა“ და „მსჯელობის“ დაცვის წადილი. ჩანს, რომ პოეტი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს თავის ენობრივ პოზიციას.

1908 წელს ვაჟა-ფშაველამ ლექსით მიულოცა აკაკის იუბილე. ამ ლექსის დასაწყისშივე, აკაკისადმი დიდად პატივისცემელი დამოკიდებულების მიღმა, იგრძნობა ერთგვარი პოლემიკურობა, როცა ვაჟა ამბობს:

მშობელი ქვეყნის მოზარცე
უნდა გიმღერო მთურადა,
იმავე ჭირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წყლულადა.

აქ ყურადღებას იქცევს სტრიქონი: „უნდა გიმღერო მთურადა“, რომლითაც პოეტი ხაზს უსვამს, რომ მას მხოლოდ „მთურად“ სიმღერას სურს და ხელეწიფება, თავის მშობლიურ დიალექტზე უნდა უთხრას აკაკის სამადლობელი. ამით ვაჟა შეფარვით ეპაექრება დიდ იუბილარს, თუმცა თავს მის თანამებრძოლად და თანამოზარედ მიიჩნევს („იმავე ჭირით ვარ სნეული, რაც შენ გატყვია წყლულადა“). ეს პოლემიკა კიდევ უფრო მძაფრდება შემდეგ სტრიქონებში:

თუნდ არ მოგწონდეს იქნება
ჩემი ფანდურის ჩხაკენი.

აქ ვაჟა ჭეშმარიტი რაინდის თავმდაბლობით იქცევა, რათა აღამაღლოს აკაკის პიროვნება და ღვაწლი, ფანდურის მოჩხაკუნე, უბირ მოლექსედ წარმოადგენს თავის თავს. თითქოს დასაშვებად მიიჩნევს, რომ დიდ მგოსანს, შესაძლოა, სწორედ ასეთი აზრი ჰქონდეს მის შესახებ, და ამას ერთგვარად შერიგებულიც კი არის, თითქოს მობოდიშებით გამოხატავს თავის გამოსვლის მიზეზს:

დღევანდელ დღესა არ ძალმიძს
არ ჟღერდეს ჩემი ფანდური.

ამ სიმღერას, ანუ „ფანდურის ჟღარუნის“ მიზეზად ვაჟა-ფშაველა აკაკის პოეზიის მაღალეროვნულობით აღტაცებას თვლის:

წყლულები საქართველოსი
გაიგო შენმა ენამა,
მეც ამატირა ბევრჯელა
შენა თვალზე ცრემლის დენამა.

ერთი სიტყვით, ამ ლექსში ერთგვარად შეჭამებულია ვაჟას დამოკიდებულება აკაკისადმი, გამეორებულია ის აზრი აკაკისადმი პატივისცემის შესახებ, რაც პირად წერილში მისწერა ა. თუმანიშვილ-წერეთლისას.

ვაჟას აზრით, აკაკი დიდი ეროვნული პოეტია, შეურყვეველი ავტორიტეტი და პოეზიის მეტრი. მას აქვს თავისი საყოველთაოდ ცნობილი შეხედულებები, თუმცა ვაჟა ყოველთვის არ იზიარებს მათ. მაგრამ არც აკაკისთან აპირებს კამათს, არც აკაკის მიერ მისი ენობრივი

პოზიციის კრიტიკა სწყინს, უბრალოდ, აღონებს ის ამბავი, რომ დიდი მგოსანი ვაგებთ არ ეკიდება ფშაური დილაქტის ხმარებას, მაგნიტის სხვაგვარად ვერ შეიქმნება ვაჟს გმირების სამყარო, არაბუნებრივი, მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილნი აღმოჩნდებიან ისინი და ვერავეითარ კვალს ვერ დატოვებენ მკითხველის გრძნობა-გონებაში.

ეს იყო რაინდული ქედის მოხრა აკაკის ტალანტისა და ავტორიტეტის წინაშე. ვაჟა არ ჩაბმულა მასთან კამათში, თუმცა პოლემისტური ხელოვნების დიდოსტატიც იყო და ყველა სხვა შემთხვევაში მტკიცედ იცავდა თავის შეხედულებებსა და პოზიციას.

გაივლის ხუთი წელი და აკაკი აქვეყნებს ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსს. ამ ლექსის დაწერის მიზეზად ვაჟას იუბილეისათვის მზადებას ასახელებენ, რაც, ლექსის ანალიზიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული.

მართლაც, ეს ლექსი ვაჟას შემოქმედების შეფასება და აღორძინებაა. თუ არა დასაწყისის ერთი სტრიქონი „ენას გიწუნებ ფშაველო“ — ლექსის მომდევნო სტრიქონები ვაჟა-ფშაველას პოეტური ღვაწლის დაფასებას ემსახურება. აკაკი თავის უმცროს თანამებრძოლსა და კოლეგას „მარგალიტების მთესველს“ უწოდებს, თუმცა „ფშავეთში“ არა ვარ ნამყოფიო, ეუბნება, მაგრამ „შენ დამიხატე ის მხარე ფშაურის ჭკუა-გრძნობითაო“. მომდევნო სტრიქონში ემოცია უფრო მძაფრდება, აკაკი გამოუტყდება ლექსის ადრესატს, რომ შენ რაც არ გითქვამს, შენი აღმაფრენის წყალობით, იმასაც კი მივხვდიო. აქ აკაკი თავად გამოუტყვევს იმერულ „ყოლიფერს“ („მე თვითონ მივხვდი ყოლიფერს“), მაგრამ ძნელია იმის თქმა, ეს განგებ დაუშვა, როგორც პოლემიკური დეტალი, თუ უნებლიედ გაეპარა დილაქტი.

ერთი სიტყვით, ამ ლექსში არაფერია ისეთი, რაც აკაკისგან ვაჟასადმი, უპატივცემულობას ამყვანებდეს. თვით პოლემიკური სტრიქონიც „ენას გიწუნებ ფშაველო“, იმგვარ კონტექსტშია მოქცეული, რომ არ შეიძლებოდა ვაჟა-ფშაველას საწყენად დარჩენოდა. იგი მომდევნო სტრიქონებში „მაღალ მთის მგოსნად“, „მარგალიტების მთესველად“ არის აღიარებული.

და რაც უნდა პარადოქსი იყოს. მაშინ ვაჟას არც გამოუმყვანებია რაიმე უკმაყოფილება ამ სტრიქონის გამო. ყოველ შემთხვევაში, საჭაროდ არ გამოუტყვამს თავისი დამოკიდებულება. აკაკის მიერ გამოთქმულმა შენიშვნამ „ენას გიწუნებ ფშაველო“, ვაჟა-ფშაველას უფრო მოგვიანებით გაუღვიძა პოლემიკის სურვილი.

მინც რატომ მოხდა, რომ ვაჟა-ფშაველამ მოგვიანებით უპასუხა აკაკის და თავის ლექსსაც „დაგვიანებული პასუხი აკაკის“ უფრო მეტიც, ლექსს ეპიგრაფად წაუშმძღვარა აკაკისავე სტრიქონები:

ენას გიწუნებ ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუც კი გვითესავ მარგალიტს,
მკითხველიც იმას მკისაო.

თითქოს მკითხველს ამით შეახსენა აკაკის მიერ კარგა ხნის წინათ ლექსად გამოთქმული საყვედური მისდამი, რომელიც მარტო აკაკის დამოკიდებულებას არ გამოხატავდა ვაჟას ენობრივი პოზიციისაღმის.

საქმე ის იყო, რომ სწორედ იმ ზანებში, თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში, ვაჟა-ფშაველა ერთობ დიდ უსიამოვნებებს წააწყდა თავისი ენობრივი პოზიციის გამო, რაც მას გაუგებრობის ნაყოფად, უსამართლობად მიაჩნდა და მწვავედ განიცდიდა. უკვე ნახევარ საუკუნეს გადაცილებული პოეტი გრძნობდა, რომ მიუხედავად მკითხველთა აღიარებისა, ლიტერატურული საზოგადოების ერთი ნაწილი მას უმნიშვნელო პოეტად მიიჩნევდა. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა იმ საღამოებისა და შეხვედრების სამზადისში, რომელიც პოეტისათვის სურდათ გაემართათ მისი ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავად. თანამედროვეთა გადმოცემით, ვაჟა იმ წლებში ერთობ გულგატეხილი იყო და თავის პოეტობაზე დაცინვით ლაპარაკობდა. მაგალითად, ნინო ნაკაშიძის მოგონებით, როცა ერთხელ მათს ოჯახში ილია ნაკაშიძემ სცადა ვაჟას სიმღერაში აყოლიება, პოეტს მასპინძლისათვის უთქვამს: „ჯერ ვისწავლო სიმღერები ილიკო... შენთან და ილია ქურბულთან წამოვალ, ეზო-ეზო ვიაროთ და ვიმღეროთ, ბევრ ფულსაც მოვაგროვებთ, კარგი სანახავებიც ვიქნებით. მე ჩემი ძველი ჩოხით... ყველას თვალი ჩვენზე დარჩება, მერე ჩემმა ღმერთმა, პოეტობას ის აჯობებს“.

შემდეგ ნინო ნაკაშიძე იგონებს: „ნაკადულის“ რედაქციაში ვაჟას სტუმრობისას საუბარი ჩამოვარდნილა ვაჟას ძმა სანდროზე. როცა ვაუგიათ, რომ ძმებისგან განსხვავებით, სანდრო მწერლობას არ მისდევდა და ტელეგრაფისტად მუშაობდა, ვაჟას თანამოსაუბრეებს გაკვირვება გამოუთქვამთ. „ვაჟამ ოდნავ ამოიოხრა და ნელა წარმოთქვა: — მე და ჩემმა ღმერთმა, პოეტობას ტელეგრაფისტობა სჯობია, ჩვენ თუ პოეტები ვართ, რა ოქროს ჯიდა გვადგია თავზეო“.

ალექსანდრე მიქაბერიძე იგონებს ვაჟასთან შეხვედრას ლაზარეთ-



ში, სადაც მძიმედ დაფიქრებული ავადმყოფი პოეტი მას გულახდილად უამბობდა თავის გულსტიკივლს: „გულახდილად უნდა გითხროს რომ ჩემი ნაწერები თავისი მხატვრული ღირებულებით არც ისე დაბალი ხარისხისაა, რომ საზოგადოებამ ქვა და გუნდა მიაყაროს, არ გამიკითხოს, არ შეიტყოს ჩემი უკანასკნელი დღეების სულისკვეთება, ...ვინა ოდესმე ვიფიქრებდი, რომ საზოგადოება ასე დამიფიქვებდა, ასე უპატრონოდ დამტოვებდა ამ დაუძლურების დროს?..“

ვაჟას ეს გულსტიკივილი მხოლოდ ავადმყოფობისა და უძლურების ნაყოფი არ არის! იგი უკანასკნელ წუთამდე იმედს არ ჰკარგავდა, რომ მშობლიურ ჩარგალში დაბრუნდებოდა, ლაზარეთიდან მალე გაწერას ივედრებოდა, ოსტატისთვის ფანჯარა შეუკვეთია და ჩარგალში გაუგზავნია, ჩემს ქოხს უნდა გაეფუკეთო, რათა ბევრი სინათლე შემოვიდეს წერის დროსო, ცოლს შეუთვალა — სათიბები საქონელმა არ წაახდინოს, მალე ამოვალ, თიბვის დრო დგებაო. ერთი სიტყვით მისი ავადმყოფობის მთელი პერიოდი აღსავსე იყო იმედი-თა და, აქედან გამომდინარე, მწერლური და ადამიანური საზრუნავით.

გულდაწყვეტა და მელანქოლია საზოგადოებისგან მისი შემოქმედების დაუფასებლობის გამო დასჩემდა პოეტს და ამას ახლობელ ადამიანებთან არც მალავდა. ვაჟა-ფშაველა თვალნათლივ ხედავდა, რომ მისი შემოქმედება გაუგებარი და დაუფასებელი რჩებოდა, მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა მისი ფასი, თუმცა თავადაც გადაჭარბებული წარმოდგენა არასოდეს ჰქონია თავის შემოქმედებაზე („ჩემი ნაწერები არც ისე დაბალი ხარისხისაა“). საზოგადოების ერთ ნაწილს კი არ ესმოდა ვაჟას ენობრივი პოზიცია და ვიწრო, კუთხურ ჩარჩოებში ჩაკეტილ მოლექსედ მიაჩნდა, რომლის თვალსაწიერი მთის პატრიარქალურ ცხოვრებასა და ადამ-წესების ნატურალურ აღწერას ვერ სცილდებოდა. ვაჟა ვრძნობდა, რომ კვდებოდა როგორც საშუალო რანგის პოეტი, არაფრით გამორჩეული მისი დროის ბევრი სხვა ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწისაგან. ამის შეგრძნებას ზედ ერთვოდა ჯანგატეხილობა და ბოლო წლების ნივთიერი გაჭირვება, რაც ისევ იმის ფიქრს აღუძრავდა, რომ მისი პოეტური მოღვაწეობა მაინც და მაინც არ სჭირდებოდა მის თანამემამულეებს. ამიტომაც პოეტის ხელობას სიცოცხლის ბოლო წლებში ერთგვარი ირონიით იხსენიებდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის შეგრძნებამ პოლემიკურად განაწყობ პოეტი არა მარტო აკაკისადმი, საერთოდ, საზოგადოების იმ ნაწილი-

სადმი, ვისაც არ შესწევდა მისი შემოქმედების, მისი ენობრივი ცილის გაგებისა და დაფასების უნარი.

და აი, ვაჟამ პოლემიკის ობიექტად აირჩია აკაკი, — ყველაზე დიდი ფიგურა იმ დროის ლიტერატურაში. საბაბიც ჰქონდა აკაკის მიერ ნათქვამი შენიშვნის სახით — ენას გიწუნებო.

ეს ლექსი რომ მხოლოდ აკაკისადმი არ არის მიმართული, თვით ლექსის ხასიათი ადასტურებს. ამ პოლემიკის გამო სხვა და სხვა აზრი არსებობს. მათი აქ მოტანა, რასაკვირველია, შორს წავიყვანს, და თუმცა ორიგინალურობის პრეტენზია არა გვაქვს, უმჯობესია ისევ ვაყას ამ ლექსის ანალიზით გავაკეთოთ გარკვეული დასკვნა.

ვაყას ლექსში იგრძნობა, რომ პოეტი დასაწყისიდანვე მთელ საზოგადოებას, მთელ საქართველოს ელაპარაკება:

რაღა? რა ღმერთი გამიწყრა,
მარგალიტების მფლობელსა,
რომ თავის უშნო ენითა
ვერას ვაგონებ მშობელსა?!

შემდეგ ვაჟა ეპაექრება ანონიმ მეჭორეებს, რომელნიც მის შემოქმედებაში მხოლოდ მთის პატარა პრობლემებს ხედავენ. მათ შორის არ არის და, რასაკვირველია, არც შეიძლება იყოს აკაკი წერეთელი, პირიქით, აკაკისგან ბოძებული მარგალიტების მთესველის ეპითეტს ვაჟა ხილულ თუ უხილავ მეჭორეთა წინააღმდეგ იყენებს:

და როცა მარგალიტს სთესავს,
ან თუ აგებს ყორღა,
მაინც ის არი, რაც არი,
ჭორები მოაშორეთა.

მომდევნო სტრიქონებში კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა გაღიზიანება იმ გულგრილი საზოგადოებისადმი, რომელსაც არ სურს გაუგოს მას, არ სურს აღიქვას საქართველოს მესიტყვედ და ჭირისუფლად:

რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი
ამ ჰანგს ბუნება ბარისა?!
აქაც ხომ ქართველები ვართ,
ყვავილი აქაც ჰყვავისა.

ამ სტრიქონების ადრესატი არ შეიძლება იყოს აკაკი წერეთელი, რადგან მას არასდროს უთქვამს ვაჟა-ფშაველას ლექსებს ვერ «გუუ-

ობო“, მისი პოზიცია ენის საკითხში უფრო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათისა იყო, ვიდრე მხატვრულ-ესთეტიკური.

ამას მოსდევს ვაჟას პოზიციის შეუვალობა ენის საკითხში. ზიცია სრულიად უკომპრომისოა და პოეტი მას მეტად მკაცრი ტონით ამჟღავნებს, რაც ასევე არ შეიძლება აკაკისადმი იყოს მიმართული:

მაინც წინ მივალ, მაინცა,
არ მეშინია შარისა,
გულს მისვენია ხატადა,
ენა მთისა და ბარისა,
მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ
თუა ქართული გვარისა.

ასევე არ შეიძლება აკაკისადმი იყოს მიმართული შეგონება, რომ სამშობლოს სხვა მხრიდან ემუქრება მომაკვდინებელი საფრთხე, რასაც ქართველთა დიდი ნაწილი ვერ ხედავს და ვერ მიმხვდარა:

სხვა რამ მაშინებს, ისა ვთქვათ,
დამხშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხობელი,
და გამომჭრელი კარისა.

ამ სტრიქონების ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად შეიძლება. ვინ იგულისხმება ამ „სამშობლოს დამამხობელ“ ძალაში. რუსეთის იმპერია? ახალი, მოდერნი კოსმოპოლიტური იდეები? რომელთა წინააღმდეგ ვაჟა მრავალი წლის მანძილზე, განსაკუთრებით ილიას მკვლელობის შემდეგ იბრძოდა? მაგრამ ამ ბრძოლაში ხომ აკაკიც მის გვერდით იდგა. ორნივე გრძნობდნენ, რომ ახალ დროში სამშობლოს ახალი საფრთხე დაემუქრა, როცა მარქსისტულ მოძღვრებაზე დაფუძნებული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ეპიდემიისავით მოედო რუსეთის იმპერიას, გაჩაღდა კოსმოპოლიტური კამპანია, დაიწყო შეტევა ეროვნულ მოძრაობაზე. აკაკი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ფხიზლად ეხმარებოდა პოლიტიკური ამინდის ყოველ ცვალეზადობას და ვაჟას არც საფუძველი ჰქონდა და არც აკადრებდა აკაკისათვის სამშობლოს მტერზე მიეთითებინა, რადგან ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ილიასთან ერთად, აკაკისაც თავის მასწავლებლად თვლიდა („მეც ამატირა ბევრჯელა შენს თვალზე, ცრემლის დენამა“).

და ბოლოს, ლექსის დასკვნითი სტრიქონები ერთგვარ ირონიასაც კი შეიცავს:

ეს ირონია, ასევე არ შეიძლება აკაკისადმი იყოს მიმართული, რადგან აკაკის არასოდეს გამოუთქვამს შიში, რომ ვაჟას ენა ზიანს მიუყენებდა საქართველოს. ის, უბრალოდ, არ იზიარებდა მის პოზიციას, თუმცა ვაჟას შემოქმედებას, როგორც ზემოთ ითქვა, დიდად აფასებდა.

ყოველივე ამის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსი — „დაგვიანებული პასუხი აკაკის“, არის ზოგადი პოლემიკა ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილთან. იგი შორს სცილდება აკაკის ერთ სტრიქონში მოქცეულ კრიტიკას („ენას გიწუნებ ფშაველო“), და არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ამ მძაფრი და უკომპრომისო გამოსვლის ობიექტად მივიჩნიოთ აკაკი. აკაკის სტრიქონმა სტიმული მისცა ვაჟა-ფშაველას გამოეთქვა თავისი გულისწყრომა საზოგადოების იმ ნაწილისადმი, რომელმაც ვერ დაინახა და ვერ გაიგო, რომ მათ გვერდით დიდი პოეტი ცხოვრობდა. ეს ჩვეულებრივი კონფლიქტია დიდ პიროვნებასა და მეშინურ საზოგადოებას შორის, რომელიც ჯერ ვერ ამაღლებულა გენიალური პოეტის იდეების გაგებამდე. ხოლო აკაკისადმი პატივისცემა და მოწიწება ვაჟამ სიცოცხლის ბოლო წუთამდე შეინარჩუნა.

აკაკი და ილია

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ძნელია მოიძებნოს სამშობლოსათვის თავდადებულ მოღვაწეთა უანგარო მეგობრობის ისეთი ნიმუში, როგორც ორ დიდ ბუმბერაზს, სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ფაზაზე აკაკის და ილიას ჰქონდათ. 1927 წელს აკაკის სამშობლოში სტუმრად მყოფმა ქართველთა თანამემამულემ იენის უნივერსიტეტის დოქტორმა პერმოკრატ თალაკვაძემ შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „აკაკის ოთახის ნახვამ ჩემში გამოიწვია ისეთი შთაბეჭდილებები, როგორც გოეთესა და შილერის ოთახებმა ქალაქ ვაიმარში. საჩხერეც ხომ წაავს ქალაქ ვაიმარს და მასზე უფრო ლამაზიცაა თავისი მომხიბლავი მოდინახეთი. გოეთე და შილერი გერმანიაში, აკაკი და ილია საქართველოში“.

აკაკის და ილიას მეგობრობა სტუდენტობის პერიოდიდან იწყება. აკაკი რომ პეტერბურგში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად, ილია უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი და ავტორიტეტული სტუდენტი იყო და ქართველ სტუდენტთა ლიდერის როლსაც თამაშად ასრულებდა.

პეტერბურგში ჩასვლამდე აკაკი წერეთელს გადაწყვეტილი ჰქონდა სამხედრო სასწავლებელში შესულიყო, ამ გადაწყვეტილებას ზურგს ისიც უმაგრებდა, რომ როსტომ წერეთლის ოჯახს საამისოდ დიდი ტრადიცია ჰქონდა (აკაკის ორივე ძმა ხომ სამხედრო მოსამსახურე იყო), მაგრამ პეტერბურგში ჩასვლისას ერთი მხრივ ძმის (ილიკოს) სამხედრო სამსახურის შინაარსის გაცნობამ და მეორეს მხრივ კი ქართველ სტუდენტთა რჩევის გამო, გადაწყვეტილება შეცვალა და მისაღები გამოცდები ჩააბარა უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. ამ გადაწყვეტილების შეცვლაში ქართველ სტუდენტთა შორის ერთ-ერთი მთავარი როლი ილია ქავჭავაძემ შეასრულა.

აკაკი და ილია მართალია არ შეხვედრიან სტუდენტობის პერიოდამდე, მაგრამ შორიდან კი იცნობდნენ ერთმანეთს ყურნალ „ცის-

კრის“ საშუალებით, სადაც პერიოდულად იბეჭდებოდა მათი პირველი ტურის ნიჭის ნაყოფი.

სამშობლოში დაბრუნებულ ილიას ძველი თაობის წინააღმდეგ ბრძოლაში იმთავითვე დაუდგა მხარში აკაკი წერეთელი და პეტერბურგიდან გამოგზავნა ყურნალ „ცისკარში“ ილიას შეხედულებებისა და პოზიციის დაცვის მიზნით პირველი კრიტიკული სტატია „ახრებული ფურცელი“. პოეტური თანამეგობრობა კი უფრო ადრე, 1859 წლიდან დაიწყო და მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთიანი მიზნით ანთებული შემოქმედებითი გზა არც გაყოფილა.

ამ ორმა ბუმბერაზმა მოღვაწემ კარგად იცოდა თითოეული მათგანის როლი და მნიშვნელობა სამშობლოსათვის და საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირი პოლემიკის მიუხედავად, მოწინებით ეპყრობოდნენ ერთმანეთის ავტორიტეტს. აკაკი წერეთელმა კრიტიკულად განიხილა რა ილიას ლექსი „ხმა სამარიდამ“, პირუთვნელი შეფასება მისცა და ხაზი გაუსვა მის ლეიტმოტივს, საზოგადო ღირსებას: „როგორც ლექსი, ძალიან სუსტია, მაგრამ ამის ერთ სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძოთ, ჩვენი ბუღბუღების ნაწერში, რომელშიც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი, და მიზეზიც ის არის, რომ ამ ლექსში ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველდღიურ ჭეშმარიტებას, ჩვენს ნაკლოვანებას და ჩვენს საჭიროებას (ვხედავთ) და ამისათვის მოგვწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც... თუ ჭავჭავაძის ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება, მაგრამ ჩვენ მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ, ჩვენ ვეძებთ ჭკვიან აზრებს და ამას კიდევაც ვპოულობთ ჭავჭავაძის ლექსებში“.

აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძის პროზის კიდევ უფრო მაღალ შემფასებლად გვევლინება. „ჩემი აზრით, — ამბობს აკაკი, — მისი „კაცია ადამიანი?! და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტებად რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში“.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა რა აკაკი წერეთლის სამშობლოსადმი უანგარო სამსახურს, სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ აკაკიმ სიცოცხლეშივე მოიმიკო დათესილი სიკეთის ნაყოფი: „...ბედნიერია ჩვენის ფიქრით აკაკი, რომ იღვაწა და თავის ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლეშივე თავის საკუთარს თვალთ ინახულა, ვამბობთ ინახულა, იმიტომ რომ საქართველოს და ქართველის სიყვარულისგან არის წარმომდგარი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს



პოეტს გორსა და თელავში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ აკაკი წერეთელს არაერთხელ დაუკვნესებია თავისი ტუბერკულოზური ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარლიანი სიტყვა, თავისი სიტუარფით სავსე ქართული. საცა წავიდა ბატონი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთასსმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსა და ქართველისა, წინ დახვდა ვულწრფელი პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულითა, აგრეთვე თვითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა“:

ამ ორი სახელოვანი მამულიშვილის ურთიერთპატივისცემისა და შემოქმედებითი შესაძლებლობის დაფასების უტყუარი მაგალითი ილიას სადარბაზო ბარათი და განსაკუთრებული წერილი აკაკისადმი: როდესაც ჟურნალ ივერიის ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთება გადაწყდა, ოლიამ თავის მეგობარ-ამხანაგებს (ვისაც ღირსად ცნობდა) ტრაფარეტული წერილები დაუგზავნა და სთხოვა ეთანამშრომლა გაზეთში. აკაკის კი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, განსაკუთრებული წერილით მიმართა: „ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გაუგზავნე: სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც გარდა ჩემის საკუთარბ. წადილისა, მოვალეობამ მამულის-შვილობისამ მიიძღლა ჩვენი ქვეყნის რჩეულთათვის. რჩეული, განსაკუთრებული წერილი მომერთმია და მეთხოვა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ჩამუქითა. თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავგუნებთან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენის ქვეყნის ბედნაერებისათვის თავგანწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალი წლის წინა ღამეს მოგიწვიე და პასუხად მომიტანეს, — ქალაქში აღარ არისო. დღეს შევიტყვე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდევ.“

გწერ და არ ვიცი რა გთხოვო და როგორ გთხოვო...

...გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი. გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმად აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობრივი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმაც გაუძნელო და არასიცა-მეთქი.

მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ ვუმატებ, რომ უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება.

ეხლა შენ იცი. მაინცდამაინც გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ მეწვევი თუ არ შემეწვევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათაშორის ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი 25 წლის ღვაწლისა ეყოფილვარ, ვარ და ვიქნები“.

ილია რომ დიდად აფასებდა აკაკის ნიჭს და შემოქმედებით შესაძლებლობას, ამასთან პირუთენელი შემფასებელი რომ იყო მისი დიდი ღვაწლისა, ამის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტები სხვაც მრავლად მოიპოვება. 90-იან წლებში თელავის საზოგადოებამ აკაკის პატივსაცემად დიდი წვეულება გამართა, მგოსანმა ჩვეული ტკბილქართულით მოაჯადოვა დამსწრე საზოგადოება; პატრიოტული გრძნობით გამოთბარი აკაკის სიტყვით აღფრთოვანებული ილია წერდა: „ამაზე მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულ ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტუარფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნების დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია“.

აკაკის და ილიას, ამ ორი დიდი მოღვაწის მეგობრობა, რომელიც პეტერბურგიდან დაიწყო, ტრიუმფალურად გრძელდებოდა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

აკაკიმ მძიმედ განიცადა თანამებრძოლის ტრაგიკული ხვედრი და ცრემლნარევ სტრიქონებად ააქვითინა თავისი გულისთქმა:

„ნუ მიწამლავთ მოხუც გრძნობას
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!..
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედისწერა?“

ხოლო შემდეგ კი, როცა ილიას ცხედარს მთაწმინდის მყუდრო საფლავისკენ აცილებდა ქართველი ერი, აკაკი სულისშემძვრელი სიტყვებით გამოეთხოვა ძვირფას მეგობარს:

„მშვიდობით, ძმაო! გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტო დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეკ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა...“

თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად



შენც უკვდავი იქნები. და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავე შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით ნაუსწარ მის სიკვდილს და თვალთ ვეღარ ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი ვახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“!..

1909 წლის შემოდგომაზე, ილიას მკვლელობიდან ორი წლის შემდეგ, პეტერბურგში ჩატარებულ სახელმწიფო საბჭოს არჩევნებზე საბჭოს წევრთა ერთმა ნაწილმა ილიას წინააღმდეგ გაილაშქრა და აღნიშნა, რომ მისი (ილიას) არჩევა წინა არჩევნების შეცდომა იყო, არჩევნების მონაწილე ქართველმა მოღვაწემ, მიხეილ მაჩაბელმა, მეტად გაბედული სიტყვა წარმოთქვა ილიას სასარგებლოდ და როცა პრესაში გამოქვეყნებულმა მისმა სიტყვამ პარიზში მყოფ აკაკიმდე მიაღწია, მცოვანმა პოეტმა სამადლობელი ბარათი გაუგზავნა მიხეილ მაჩაბელს: „ძმაო მიშო! ჩემ ხანგრძლივ სიცოცხლეში ბევრჯერ არ დავმტკბარვარ სიამოვნებით და ერთი იმ წამთაგანი მერგო, როცა წავიკითხე შენი სიტყვა „სახელმწიფო რჩევაში“ წარმოთქმული: რომ სიტყვა აღარ იგუავრძელო, გადაგეხვევი და გადაგკოცნი სიყვარულით. შენი აკაკი“

მეგობრისადმი ერთგულება და სიყვარული აკაკიმ განუხრებლად გააგრძელა ილიას გარდაცვალების შემდეგ. ამის ნათელი დასტურია აკაკის გულშიჩამწვდომი, მაგრამ გულისტყვილით აღვსილი სიტყვა მეგობრის გარდაცვალების 3 წლის აღსანიშნავ პანაშვიდზე.

„...მას აქეთ სამი წელიწადია, რაც ამ დიდბუნებოვან ადამიანს ვმარხავდით და ვინ იცის, რა პირობას არ ვღებდით მაშინ? დღეს რას ვხედავთ? აგვისრულებია ან ერთი? სად არიან დღეს ის ქართველები, რატომ არსად სჩანს ის მაღალი წოდება, რომელსაც ჰევჰეაძის სუფრაზე პირველი ადგილი ეჭირა და განსვენებულის, ვითომ თაყვანისმცემელიც იყო?.. ვაი ქართველების გულგრილობას და მარტო ენის გადაყოლებას! მაგრამ რას ვამბობთ? ხალხის რა ბრალია? ჩვენი დაბალი, ღარიბი ხალხი კეთილ გრძნობებით არის გამსჭვალული, რაც კი შეუძლია, თავს არ იზოგავს, მაგრამ მეთაურები არ ჰყავს შესაფერი!.. ის ვაჟბატონები, რომელთაც ჩვენი დაცემული ცხოვრების სათავე უჭირავს ხელში, ერთი ერთმანეთს მიდგომით ირჩევენ და საზოგადოებაზე არა პფიქრობენ!.. საკუთარი, საპირადო ხაზი და ღარი გაჰყავთ

ცხოვრებაში და საქმის მაგიერ ენას ატრიალებენ, — და მაშ როდის? როგორღა უნდა დადგეს ის დრო, რომელსაც ნატრობდა განსჯენისა და რომელსაც თავი შესწირა? დიახ თავი შესწირა და კურთხეულიც იყოს მისი სახსენებელი“.

1913 წელს მადლიერმა შთამომავლობამ ილიას ძეგლი დაუდგა, რომლის ოფიციალურ გახსნაზე იმავე წლის 5 მაისს აკაკიმ თავის სიტყვაში ჩვეული ორატორობით ერთხელ კიდევ შეაჩვენა ყველა ის, ვინც ილიას ვერაგული მკვლელობა ჩაიდინა. „ბატონებო! მრავალ მტყვევლება და ბევრი მითითება არ არის საჭირო იმისათვის, ვინც სიცოცხლეშივე ძალაუვნებურად ჩაესახა თვალსა და გულში მის თანამედრობას. — ამისთანას ეკუთვნოდა ისიც, ვის პატივსაცემლად დღეს აქ შეგკრებილვართ. თვალწინ გვიდგია მისი ვერაგული სიკვდილი და გვიკვირს, თუმცა კი გასაკვირი არ არის-რა: ქრისტე მაცხოვარმა თორმეტი მოციქული აირჩია მთელს კაცობრიობაში და იმათაგანი ერთი იღუპა გამოდგა, — სადაც ვარდი იფურჩქნება, იქ ეკალიც ამოდის. აღმნიანებშიც ასეა: შეგნებულებს შეუგნებლები უდგიან გვერდში და აი, სწორედ ამისთანებმაც ჩაიდინეს უსამართლობა. დიახ, ჩაიდინეს, მაგრამ მათდა უნებურად შესძინეს კიდევ ერთი გვირგვინი მწუხარებისა და გულდაწყვეტისა“..

ქართველი კაცი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს აკაკის და ილიას ცალ-ცალკე, რადგან როგორც პოეტი გრიგოლ ცეცხლადე ამბობს:

„ერთი გზა ჰქონდათ, ერთი სავალი,
ქართული მიწის ცოცხლობდნენ ბედით
და მადლიერი შთამომავალი
მათ ჰმოსავს უკვდავ შარავანდედით“.

საქართველოს გულში — თბილისის უპირველეს პროსპექტზე დადგმული მათი მონუმენტური ქანდაკებაც მათი მიზნებისა და ღვაწლის ერთიანობის დასტურია.

კოეტი

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა.

ნუ მკითხავ, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირებ ბრძნობასა:
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.

ეს გული, სარკედ ქცეული
ბუნების ნათავხედია;
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია;

ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია!

თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუაკაცი ვარ, უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

უპანასკნელი ლექსი

ალარ გსურს ჩემი ანთება,
მნათე ხარ სხვისი ლამპრისა!..
დამწუნებელი ბულბულის,
გიყვარს კაჭკაჭი სხვა მხრისა!..

უშენოდ ველარ ჭიკჭიკობს,
ენა ჩავარდა ბულბულსა,
მოუახლოვდა სიკვდილი,
შხამი აკურა მის გულსა.

მაგრამ ეს შენთვის ერთია:
ცოცხალი ვიყო, გინდ მკვდარი!..
ალარ აენთვის აწ სხვისგან
ჩემი დამჭრალი ლამპარი!!



ყალბით
და
ფუხვით

დღივი ზქუა და მაღალი ნიჭი უკვლად ბამო-
უსადებარია, თუ აღამიანი კითილად არ ხმარობს!
რუსთაველს რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ მანდობ-
ქებია ჩვიენტვის, მას ბენიოსობა ისე ჩაყვიბოდა
საფლავში, როგორც დავყვა... კაცს ბანყენიბული
ზქუა და ნიჭი კი არ ამაღლებს ქვიყნის თვალში,
მხოლოდ ურობა და ნაღვაწი კითილად მიქღვნი-
ლი მრისათვის, ესე იგი ქვიყნისათვის.

ვანი იმ მის, რომელსაც სჯერა, რომ დღვიანდო-
ლი ჩვიანი მოქღვრები და ბიბრები უკანასკნელები
არინანო! მისი წარმატება უმფიჩხიბულია, — რო-
გორც ყოველი მერი, რასაკვირველია, ჩვინც უნდა
მოკვილოდით ჩვინის მომავლისაგან უკითეს მო-
ქღვრებას და ბიბრებს!

აკაკი

ქართული წიგნის გრაფიკის ფუძემდებელი —
მხატვარი და ქსილოგრაფი

ქართველ სამოციანელთა კულტურულ-საგანმანათლებლო და სა-
გამომცემლო საქმის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა თვითნა-
წავლმა მხატვარმა და გრაფიკორული ხელოვნების — ქსილოგრაფიის
ფუძემდებელმა საქართველოში გრიგოლ ტატიშვილმა. იაკობ გოგე-
ბაშვილთან ერთად მან განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო საყმაწვი-
ლო წიგნების მაღალმხატვრულ დონეზე გამოცემის საქმეს. ამასთან,
საფუძველი ჩაუყარა ბექტურ წიგნში ქართული ორნამენტების გამო-
ყენებას, დიდი ყურადღება დაუთმო ბექტურ და ხელნაწერი შრიფ-
ტის დახვეწა-განვითარებას.

გრიგოლ ტატიშვილის დაბადების თარიღად 1838 წელი იყო მი-
ღებული¹, მაგრამ მკვლევარმა მურმან ურუშაძემ გრ. ტატიშვილის
არქივში დაცული მასალის გაცნობა-განალიზების შემდეგ დაბადების
უფრო სწორ თარიღად 1848 წელი ჩათვალა². გრიგოლი ბავშვობიდან-
ვე ნიჭით და სწავლის სიყვარულით ყოფილა გამორჩეული, მაგრამ
მას მხოლოდ ორი წელი უსწავლია გორის სასწავლებელში. უსახს-
რობის გამო იძულებული გამხდარა სასწავლებლისათვის თავი დაენე-
ბებინა. შემდეგ ოჯახი თბილისში გადმოსახლებულა. მამას მეფისნაც-
ვლის სამზარეულოში დაუწყია მუშაობა. გიგა კი ქარვასლაში შევირ-
დად მიუბარებია ვაჭართან.

რუსეთის მეფისნაცვლის, გრაფ მიხეილ ვორონცოვის ხელისშე-
წყობით თბილისში 1851 წელს აშენდა თეატრის შენობა, აქ მუშა-
ობდა იტალიური ოპერის დასი. მაძიებელი ბუნების გრიგოლ ტატი-
შვილი ვაჭრობაზე უფრო მსახიობთა ცხოვრებამ გაიტაცა, მათთან
ურთიერთობაში გაუღვივდა ხელოვნებისადმი სიყვარული და სწრაფ-
ვა და იწყება გრიგოლის აქტიური კავშირი ხელოვნებასთან. იგი იწყებს

¹ ბ. გორდენიანი, გრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1957, გვ. 14.

² მ. ურუშაძე, პირველი ქართველი გრაფიკორი. თბ., 1958, გვ. 14.

მუშაობას თეატრის დეკორატორებთან, სწავლობს ფერების მუშაობას, ეტყობა აქვე იგებს თუ რა არის და როგორ გამოიყენება გრაფიის ტექნიკა. იწყებს დაკვირვებას ქართველი ოქრომჭედლების მუშაობაზე. „დავაკვირდი ქართველი ოქრომჭედელი გრაფიკის მუშაობას, წიგნებში ნახატებს, ზოგი რამ გამოვკითხე იტალიელ მხატვრებს, ზოგი რამ წიგნებში წავიკითხე, მოვისაზრე, მივხვდი, შრომა დავდე და მოვახერხე“, გრიგოლის სიტყვებით ასეა ახსნილი მის ცხოვრებაში არჩეული გზა³. ძირითადად ეს იყო გრ. ტატიშვილის განათლება. იგი ცდილობდა აეთვისებია ყველანაირი ცოდნა, რაც მას აინტერესებდა და რაზედაც ხელი მიუწვდებოდა. უცხოელ მსახიობებთან კონტაქტში სწავლობდა ფრანგულ და იტალიურ ენებსაც.

ერთი პერიოდი გრიგოლ ტატიშვილი ცირკშიც მონაწილეობდა აკრობატად თავისი გაწვრთნილი ძაღლით. სწორედ ამ დროს ეკუთვნის მის მიერ საცირკო წარმოდგენისათვის შექმნილი აფიშა (1863 წ. ზომა: 44×45 სმ), რომელიც მნიშვნელოვანია თავისი არსით არა მარტო იმიტომ, რომ იგი ქსილოგრაფიის რთული ტექნიკითაა განხორციელებული, არამედ იმიტაც, რომ ფაქტიურად ეს არის ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული დასურათებული აფიშა. მართალია იგი ჯერ კიდევ შორს დგას სააფიშო ხელოვნების სპეციფიკისაგან, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ მხატვარი ქსილოგრაფიის რთული ტექნიკით ცდილობს შეასრულოს აფიშა, მეტყველებს გრიგოლ ტატიშვილის მაძიებელ, შემოქმედებით ბუნებაზე.

გრიგოლ ტატიშვილმა ცირკში მუშაობასაც მალე დაანება თავი. იგი თანდათან დარწმუნდა, რომ მისი საბოლოო საქმე მაინც მხატვრობაა. დაიწყო დაუღალავი შრომისა და ძიების პერიოდი მხატვრობისა და ქსილოგრაფიის ტექნიკის დაუფლებისათვის.

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ გრ. ტატიშვილმა 1869 წელს დააარსა საკუთარი საგრავეურო ფირმა⁴, მაგრამ ეს აზრი სამართლიანად აქვს უარყოფილი მ. ურუშაძეს⁵ და მიიჩნევს, რომ ამ წლებში გრიგოლი ვერ შეძლებდა საკუთარი საგრავეურო ფირმის შექმნას, რადგან ჯერ თვითონვე არ იყო ჩამოყალიბებული სრულყოფილ ქსილოგრაფად, წესიერი სამუშაო იარაღიც კი არ გააჩნდა და ხეზე ჭრას უბრალო „ჯიბის დანით“ ანხორციელებდა. საგრავეურო ხელოვნებაში

³ ი. ტატიშვილი, გრ. ტატიშვილი. „მნათობი“, 1943, № 8.

⁴ ბ. გორდეზიანი — გრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1957, გვ. 18.

⁵ მ. დუდუჩავა — ახალი ქართული ხელოვნება, თბ., 1950, გვ. 34—35.

⁶ მ. ურუშაძე — პირველი ქართველი გრაფიკოსი, თბ., 1958, გვ. 31.



გრიგოლ ტატიშვილი

გრ. ტატიშვილის შემდგომი წარმატება დავით ერისთავის მიერ 1871 წელს პეტერბურგიდან გრავირებისათვის საჭირო საჭრელი იარაღების ჩამოტანამ განაპირობა. ამის შემდეგ გრიგოლმა საბოლოოდ აირჩია ცხოვრების გზა და დაიწყო ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა. განსაკუთრებით აქტიურად კი წიგნის მხატვრობას, მის მხატვრულ გაფორმებას და სრულყოფას მოჰკიდა ხელი.

გრიგოლი დიდი სიყვარულითა და სიფაქიზით ეპყრობა ქართულ შრიფტს. მხატვარმა შეისწავლა და აითვისა ქართული არქიტექტურისა ღრნამენტი, ქვაში ნაკვეთი ასომთავრული წარწერები, ქართული ხელნაწერი წიგნების შრიფტი, კალიგრაფი ოსტატების დახვეწილი ხელწერა და დამოუკიდებლად იწყო შემოქმედებითი მუშაობა. ქართული ასოები მის ხელში ორნამენტის ჩასიათს იქნეს.

გრ. ტატიშვილის მიერ გაფორმებული ჟურნალ „კრებულის“ ყდაზე (1871 წ.) გადაბმული ასოებით შესრულებულ სათაურზე ქართული შრიფტის სილამაზეა ამეტყველებული, თუმცა კი ასოთა ერთმანეთში გადახლართვით, მჭიდროდ შეკრული კომპოზიციის მიღწევით გატაცებული მხატვარი, რამდენადმე კარგავს წარწერისათვის აუცილებელ უპირველეს დანიშნულებას — შრიფტი იყოს ადვილად წასაკითხი. აქ მხატვარს უფრო ასოთა ურთიერთშერწყმის ორნამენტულობამდე მიყვანილი სილამაზე იტაცებს.

1875—1876 წლებში გრიგოლ ტატიშვილი ნიკოლოზ კობალაძის დაკვეთით მუშაობს „ყარამანიანის“ დასურათებაზე. ფაქტურად ეს იყო პირველი დიდი სერიოზული ნამუშევარი, რომელიც გრ. ტატიშვილმა წიგნის გრაფიკაში შექმნა. მაგრამ მხატვრის ხელი ჯერ კიდევ გაუწაფავია და სუსტი, მაგრამ ამ ნამუშევრის შექმნას უდიდესი შრომა და ენერჯია შეაღია და შეიძინა მუშაობის დიდი პრაქტიკა, რაც შემდგომი წლების ნამუშევრებში განაეითარა.

მეტხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში „თერგდალეულთა“ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ წიგნის გამოცემის ფართოდ გავრცელებასაც შეუწყო ხელი.

წიგნის ბეჭდვის ადრინდელ მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვები: „პ. იოსელიანმა 1842 წელს ერთი პატარა ქართული ანბანი დაბეჭდა, მთელს საქართველოში წიგნის ჰაჭანება არ იყო, დაბეჭდილი წიგნები სიხმრათ ეჩვენებოდა ხოლმე ხალხსა“⁶.

ყმაწვილთა სწავლების რთულ საქმეს სათავეში ჩაუდგა იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ მისი პირველი წიგნი „ქართული ანბანი“ დაუსურათებლად გამოვიდა და ვერც „ბუნების კარის“ სათანადოდ დასურათება მოახერხა, რასაც შემდეგ სინანულით იგონებდა. ქართველი გრაფიკოსი მხატვრისა და ქსილოგრაფის თბილისში გამოჩენამ ყვე-

⁶ ზ. ჭიჭინაძე, პლატონ იოსელიანი (სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები), 1893.

ლახე მეტად იაკობ გოგებაშვილი გაახარა. ამიერიდან აღარ დასჭირდებოდა ხის კლიშეების პეტერბურგში შეკვეთა.

„გოგებაშვილმა, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა და გაღვივებით მოითხოვდა წესიერ, შინაარსის ზუსტად ამსახველ და მხატვრული ღირებულებითაც მაღალ დონეზე მდგარ ილუსტრაციებს, თავისი გამოცემის ილუსტრირების საქმე ძირითადად გრ. ტატიშვილს მიანდო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ტატიშვილი შეძლებდა ამ მეტად საპასუხისმგებლო დავალების ღირსეულად შესრულებას“⁷.

სწორედ ი. გოგებაშვილთან ერთად მუშაობის პროცესში გამოვლინდა გრ. ტატიშვილის ნიჭი. თედო სახოკია იგონებდა: „გარდა იმისა, რომ გიგა და იაკობი მეტად კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან, მას შემდეგ, რაც მათ დაიწყეს მუშაობა, მათი შემოქმედებითი მეგობრობაც სამაგალითო გახდა, ისინი სულ ერთად იყვნენ და ერთთავად გოგებაშვილის წიგნის მოხატულობაზე საუბრობდნენ. მათ ნავსაყუდელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, წიგნის მაღაზია და კანცელარია წარმოადგენდა. მე, აკაკი, ყაზბეგი, ვაჟა, შიო მღვიმელი, მეორე შიო და ბევრი სხვა ხშირი სტუმარი ვიყავით ამ ადგილისა, გიგას თავის ნახატები სწორედ აქ მოჰქონდა. იაკობი დიდხანს გულისყურით ათვალიერებდა მათ და თუ მოიწონებდა, სულ გიგას ქებაში იყო, რადგან იცოდა, რომ ტკბილი სიტყვა მეტად ახალისებდა მის მეგობარს. შენიშვნებზე გიგას კამათი უყვარდა, მაგრამ ბოლოს მაინც იაკობის თვალსაზრისზე დგებოდა და შეცდომებს ამ მითითებების მიხედვით ასწორებდა“⁸. და კიდევ ერთი ციტატა: „გიგო ტატიშვილი უეჭველად იაკობ გოგებაშვილს უნდა სჯდომოდა გვერდით და ერთმანეთთან ლაპარაკი უნდა ჰქონოდათ „დედა ენაში“ დასაბეჭდი სურათების შესახებ, რომელიც გრ. ტატიშვილს უნდა ამოეჭრა ხეზე. იაკობ გოგებაშვილი „დედა ენას“ ყოველ წელიწადს ახალ-ახალ სურათებს უმატებდა. მაშინ იაკობ გოგებაშვილი უტატიშვილოდ და გიგო ტატიშვილი უგოგებაშვილოდ ვერაგვის წარმოედგინა.

ი. გოგებაშვილს, როგორც „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნების გამომცემელს და შემკვეთს დღითი დღე ემატებოდა სამუშაო, განსაკუთრებით მაშინ გაიზარდა ამ სამუშაოთა რიცხვი, როცა ილიას, აკაკის, ალ. ყაზბეგის, რაფიელ ერისთავის და სხვათა ნაწერების ტო-

⁷ მ. ურუშაძე, პირველი ქართველი გრაფიკი, თბ., 1958, გვ. 49.

⁸ იქვე, გვ. 50.

მებად გამოცემა გადაწყდა. „ამხანაგობამ“ პირველი ყურადღება აქცია წიგნის ლაზათს, გარეგნულ გაფორმებას, ხოლო ლაზათს შემდეგში გამოფორმებელი ქართული წიგნისა იყო ჩვენი გიგა ტატიშვილი. ვის არ ახსოვს იმ დროის გამოცემებში წითავსებული ეშშიანი სათაური ასოები, რომლებიც ამჟღავნებდა წიგნებს და მკითხველს უმეტესის ხალისიანობით აკითხვინებდა ამ წიგნებს“⁹.

იაკობ გოგებაშვილისა და გრიგოლ ტატიშვილის ერთობლივი შრომით შექმნილ „დედა ენას“ დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და ძირითადად გოგებაშვილის მიერ შემუშავებული სწავლების კურსი უდევს საფუძვლად ქართველი ყმაწვილების სწავლა-აღზრდის საქმეს.

ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ წარმოადგენს შრიფტისა და ნახატის ურთიერთშერწყმით მიღწეულ შეკრულ, მთლიან კომპოზიციას, ერთი ამოსუნთქვით, ერთმანეთზე ურთიერთგადაჯაჭვითაა შესრულებული თითოეული ფურცელი. გარდა ლამაზად შერწყმული მშვენიერი მოხაზულობის შრიფტისა და ნახატებისა, გვხვბლავს და გვაოცებს პოლიგრაფიული ბეჭდვის მაღალი დონე, რითაც სამწუხაროდ დღეს ვერ დავიტრბახებთ, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ საუკუნეზე მეტია გასული და ჩვენი ბავშვებისათვის დღეს გამოცემული სახელმძღვანელოების დონე არც თუ მთლად სახარბიელოა, როგორც პოლიგრაფიულად, ასევე მხატვრულად. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო მეტადაა ღირებული დღევანდელი თვალთახედვიდან ის დიდი საშვილი-შვილო საქმე, რაც ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემით განხორციელდა.

გრ. ტატიშვილის გარდა „დედა ენის“ დასურათებაში მონაწილეობდნენ ალექსანდრე ბერიძე, ალექსანდრე მრეველიშვილი, ოსკარ შმერლინგი, მაგრამ ძირითადი სამუშაოები მაინც გრიგოლმა შეასრულა და მათ მიერ შექმნილი სურათებისათვის კლიშეებიც გრიგოლმა დაამზადა¹⁰.

გოგებაშვილისეული დედა ენა პირველად 1876 წელს გამოვიდა და

⁹ ბ. გორდენიანი, გრიგოლ ტატიშვილი, 1957, გვ. 24.

¹⁰ ი. შმერლინგს ეკუთვნის ილუსტრაციები: „რწყილი და ქიანჭველა“, „მელია და მწყერჩიტა“, „თხა და ვენახი“, „ნუცას სკოლა“, „ოთხი დრო“, „ყმაწვილი და პეპელა“, „მონადირე და მტრედი“, „ქართველი გლეხი“, „მებადური“, „ნიბლია“, ა. გოგებაშვილის ეკუთვნის ბახტრიონის ილუსტრაციები, რ. ერისთავის ლექსებისა და ი. ჰავჭავაძის „განდევლის“ ილუსტრაციები; მ. თოიძეს „საწყალი დედაბრის კალოს“ ნახატები.

შემდეგ 1912 წლამდე (ი. გოგებაშვილის გარდაცვალებამდე) 27-ჯერ გამოიცა.



გრ. ტატიშვილს დიდი წვლილი აქვს შეტანილი „ბუნების კარის“ გაფორმებაშიც. ამ წიგნში მრავლადაა გამოყენებული ილუსტრაციები, რომლებიც ეკუთვნით მხატვრებს: ალექსანდრე მრეელიშვილს, მოსე თოიძეს, ოსკარ შმერლინგს და სხვებს¹¹. ყველა ილუსტრაციის კლიშე გრივოლ ტატიშვილმა დაამზადა. გრივოლი უბრალო კოპირებას კი არ ახდენდა მზა ნახატიდან, არამედ შეჰქონდა შესწორებები, საკუთარ ხელწერას აჩვენებდა თითქმის ყველა ილუსტრაციას. ამ წიგნს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ყმაწვილების სწორად აღზრდისათვის. ეს იყო „სკოლებისა და ოჯახებისათვის სახელმძღვანელო წიგნი, დამყარებული პედაგოგიურ ჭეშმარიტ პრინციპებზე და საესებით შეესაბამებოდა ცხოვრებას, სკოლას და მეტადრე იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა იმ დროს ქართული ენა“¹².

ასევე იაკობ გოგებაშვილისა და გრივოლ ტატიშვილის ერთობლივი მუშაობით დაიბეჭდა „რუსსკოე სლოვო“ 1887 წელს. ამ დასურათებულმა გამოცემამ ყმაწვილებს გაუადვილა უცხო ენის შესწავლა.

ი. გოგებაშვილმა და გრ. ტატიშვილმა ურთიერთთანამშრომლობით მრავალი საუკეთესო და მეტად საჭირო წიგნები შექმნეს ყმაწვილებისათვის (გარდა ზემოთ ნახსენები გამოცემებისა მათი ღვაწლით გამოიცა აგრეთვე „კოკორი“ 1885 წელს, „იავნანამ რა ჰქმნა“ 1890 წელს, „თავდადებული ქართველი“ 1895 წელს, ქ. ანდერსენის „გედები“ 1897 წელს და სხვა მრავალი). ამ წიგნებს დღესაც უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქართველი ხალხისათვის. ი. გოგებაშვილის მიერ 1896 წელს გამოცემულ წიგნში „მოსავლის მცველი“ ანუ „სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“ ავტორი სვამს კითხვას, რა მიზეზის გამო ხდება, რომ ქართველ გლეხს ყოველთვის ძალიან უჭირდა არსებობა, და იქვე პასუხობს: „იმის გამო, რომ ჩვენს ხალხს თავისი მდიდარი ბუნებისა არაფერი გაეგება, იმდენად არა-

¹¹ „ბუნების კარში“ შევიდა მიხეილ საბინინის მიერ შესრულებული ისტორიულ პირთა პორტრეტები, მისივე „საქართველოს სამოთხიდან“, აგრეთვე ქართული არქიტექტურული ძეგლების ხედები, ეთნოგრაფიული ტიპაჟი: იმერელის, სვანის, მეგრელის, კახელის, ხევსურის და სხვათა გადმოღებული იყო ა. როინაშვილის ფოტოებიდან.

¹² ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლას-შა სახელმძღვანელოდ. მე-11 შეესებული გამოცემა, ტფ. 1911, გვ. 1.

ფერი, რომ ხშირად იგი ებრძვის იმისთანა ბუნების ძალებს, რომელნიც მისთვის მეტად სასარგებლონი არიან, ხოლო ხელს უწყობს ესაზღვება იმისთანა რამეებს, რომელნიც ზარალის მეტს არას სძლვნიან მას“. როდენ აქტუალურია დღეს ეს სიტყვები, როდესაც ქართველმა კაცმა საკუთარი დაუდევრობითა და უცოდინარობით, ბუნებისადმი უსულგულო დამოკიდებულებით ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა თავისი ქვეყანა.

რაკობ გოგებაშვილმა დიდი სამსახური გაუწია ქართველ ერს, მაგრამ მისი საქმის განხორციელებაში უეჭველად დიდი ღვაწლი მიუძღვის გრიგოლ ტატიშვილს, რომელმაც ხატოვნად აამეტყველა იაკობის მიერ სიტყვით მოწვედილი მასალა.

* * *

გრ. ტატიშვილი 1878 წლიდან ყველა გაზეთისა და ჟურნალის გამოცემაში იღებს მონაწილეობას (გაზეთები: „კვალი“, „დროება“, „გლეხი“, „დრო“, და სხვ. ჟურნალები: „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „მოამბე“, ასევე სომხური ჟურნალები „მშაკი“, „თარზი“ და სხვა). გრიგოლ ტატიშვილი ამ გამოცემებს ამკობს ლამაზი სასათაურო შრიფტით, თავსართ-ბოლოსართებით და საზედაო ასო-ნიშნებით. 1883 წლის დეკემბერში კი მთლიანად აფორმებს ჟურნალ „ნობათის“ პირველ ნომერს. ეს ჟურნალი მხოლოდ 1885 წლამდე გამოდიოდა. მისმა გამოცემამ დიდად შეუწყო ხელი ხალხში განათლების შეტანას. ჟურნალში თანამშრომლობდნენ ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, გ. წერეთელი და ერისთავი და სხვა საზოგადო მოღვაწეები. იბეჭდებოდა როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგისადმი მიძღვნილი წერილები. თავსართები და ბოლოსართები, საზედაო ასო-ნიშნები უფრო დახვეწილია. „ნობათის“ მხატვრულ ღირსებას ი. გოგებაშვილი 1884 წლის იანვარში, გაზეთ „დროებაში“ ასე აფასებდა: „საბავშვო“ ჟურნალში გარეგან სახეს, შეხედულებას, ცოტა მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ ორიოდ სიტყვას ვიტყვით „ნობათის“ გარეგნობაზეც. ამ მხრივ ფრიად მოსაწონია სათაური ფურცელი ლამაზი და ხელოვნურად შემკული სურათებით, ქაღალდი ძალიან კარგი, შრიფტი გარკვეული, ტექსტს შემოვლებული აქვს გარშემო ორკეცი წითელი არშია, საჭირო სურათები არა ერთს ადგილას არის ჩართული და ზოგიერთთა წერილებს დასაწყისში ამშვენებს ახლად შემოღებული დიდი მთავრული ასოები...“¹³.

¹³ „დროება“, 1884, № 13.



იაკობ გოგებაშვილი

დღეა ენა

ანუ


ანბანი და კირველი საკითხავი წიგნი
სახალხო შრომებისათვის

შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან.




ზამოცემა კირველი. სურათები
ფასი ექვსი შაური.


თბილისი
პელიქაშვილის და კაპ. სტამბაში
1876



იაკობ გოგებაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ჩვენს ვაჟოლია პესტილოცი,—
 უფაქიზებს ბოეშეებს კელას
 და არიგებს არ გაირუენენ,
 არ ეწაიონ ტბილ ნუნუს!..

ამიტომაც კურდღლის ზურგსა
 შოაილა მან შაქარი,
 ნაცვლად აქიდა კომპოსტო
 ნორჩი, შწვანე და ახალი.



მეგობრული შარჟი მხატვარ მ. ლებევებისა



იაკობ გოგებაშვილის ძეგლი ვარიანში



გრ. ტატიშვილის ნახატი აფიშა. გრავიურა ხეზე—მისივე

ვ ა ნ ო

I

ქვენს ჰაწაწა მოუსვენარ,
ქეზობლის შვილს, ერქვა ვანო;
წუალზე ეოფნა, თევზაობა
იუო მისი სათაყვანო.
რა კი დილით მზის სხივებით
მოირთოდა მთა და ველი,





„ხუმარა სპილოები“. ილ. და გრავიურა ხეზე გრ. ტატიშვილისა

უღბრა: „ჩა შენთვის შიშივა,
აქ მიზოჭვეი, დედაო,
შე წამოვიღებ, ორივეს
გაღვაბამ ზედი-ზედაო.“



—ღმერთიმეც გიშველის! მართლაც რომ
მეტი არ უმბილანო;

ახლო ვარ, სახლი რომ მოსჩანს
აიპა ვღვევარ, ღვთიანო.
შოლოდ მოქანცულმა ბებერმა
მისკა ჩა სინარ-ულითა,
მოელი გზა ჩუმად ჩიჟიდიო,
ბავშვსა ლოკავდა გულითა.
სადაც სცხოვრობდა ბებერი,
იქ ორნივ მალე მივიდნენ.
ბავშვმა გაღასკა მოხუცსა
და გამოსწია შინისკენ.



შ. მღვიმელის „ოქროს თავთავი“ ილ. და გრავიურა ხეზე
გრ. ტატიშვილისა


მ. მღვიმელი

„სამი ცელქი“


საყმაწვილო წიგნი სურათებით



ქართველიშვილისეული „ვეფხის-
ტყაოსნის“ საზედაო ასო



ქართველიშვილისეული „ვეფხის-
ტყაოსნის“ ბოლოკაჟმულობა



„ჩართული ანბანი“ გრ. ტატიშვილისა



შხატვრული ასო „რა“ (გრაფიურა ზეზე).

საზედაო ასო-ნიშნების მხატვრულ დახვეწას გრ. ტატიშვილმა „ვესტნიკ რამიანის“ გამოცემაში მიაღწია (1884 წ.). ამ გამოცემისთვის გრიგოლმა მხოლოდ მთავრული ასოები გააფორმა და დიდი მოწონებების დაიმსახურა.

1885—1886 წლებში გრ. ტატიშვილი აფორმებს აგრეთვე ყოველკვირულ ლიტერატურულ და მხატვრულ გაზეთ „თეატრს“. გაზეთისათვის ქმნის როგორც ლამაზი შრიფტით შესრულებულ სათაურებს, ასევე ილუსტრაციებსაც.

1885 წელს გამოდის სურათებიანი წიგნი „შალვას თავგადასავალი“. ამ წიგნმა განსაკუთრებით გაუთქვა სახელი გრიგოლ ტატიშვილს. წიგნი რუსული მოთხრობის მიხედვით იქნა გადმოკეთებული პ. ცახელის (თვალჭრელიძის) მიერ. პანოვის ილუსტრაციები გადმოაკეთა გრ. ტატიშვილმა. გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ წერდა „...სურათები ამოჭრილია გრ. ტატიშვილის მიერ, როდესაც ჩვენ ვაკვირდებით კარგად მოაზრებულ და ოსტატურად შესრულებულ სურათებს, ვწუხვართ, რომ ეს ნიჭიერი ადამიანი თავის თავზეა მინდობილი, მას არ ჰყავს ხელმძღვანელი და წამქეზებელი“¹⁴. გაზეთ „სახალხო ფურცელში“ კი ვკითხულობთ: „ქსილოგრაფია სრულიად უცნობი იყო არამც თუ ქართველებისათვის, არამედ თვით კავკასიაშიც იშვიათად მოიძებნებოდა ამგვარი ხელოსნები. ეს კი უსაჭიროესი იყო მაშინ; ცინკოგრაფია ჯერ არ არსებობდა ჩვენში და თუ რომელიმე გამომცემელი მოინდომებდა თავისი გამოცემა სურათებითა და ნახატებით გაელამაზებინა, კლიშეები საზღვარგარეთ უნდა შეეკვეთა, ეს კი ძალიან ძვირი ჯდებოდა და არც მსურველის გემოვნებაზე კეთდებოდა... ქართველი საზოგადოება ნელ-ნელა დაინტერესდა ტატიშვილის შრომით, განსაკუთრებით 1885 წელს, როდესაც მან გამოსცა პირველი დასურათებული საბავშვო წიგნი „შალვას თავგადასავალი“, რომელმაც დიდი აღტაცება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში... მას მიმართვდნენ ხოლმე რუსეთის სხვადასხვა გამომცემელი, რომელნიც მუდამ მადლობით და ქებით იხსენიებდნენ მის შრომას“¹⁵.

გრიგოლ ტატიშვილმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის გაფორმების საქმეში. მართალია, წიგნის ილუსტრაციების შექმნა უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ იკისრა და მისი კლიშეები საზღვარგარეთ დაამზადეს,

¹⁴ Новое обозрение, 1886, 15, II.

¹⁵ სახალხო განათლება, 1911, № 367.

საქართველოს
გაფორმების
გაფორმების

მაგრამ წიგნის მხატვრული გაფორმება — ყდის, სატიტულო ფურცლის, ტექსტის თითოეული გვერდის შემკობა არშეიძლება, საზედაო ასოებით, თავსართ-ბოლოსართებით, მთლიანად მაკეტის გაფორმება გოლ ტატიშვილს დაევალა და მან წარმატებით განახორციელა ეს მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმე.

1885 წელს გაზეთი „დროება“ (№ 94) იტყობინებოდა, რომ „ტატიშვილი ამჟამად ხატავს და მალე ამოჭრასაც შეუდგება სურათებიანი „ვეფხისტყაოსნისათვის“ სათაურ ასოებს. ეს ასოები მორთულნი იქნებიან სხვადასხვანაირი ქართული ჩუქურთმებით“. „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმების განსახორციელებლად გრ. ტატიშვილმა გრანდიოზული მუშაობა ჩაატარა. გულმოდგინედ შეისწავლა ქართული არქიტექტურული თუ ფერწერული ორნამენტი, ქართული ასომთავრული შრიფტი. „არშიები, სათაურის ასოები და საბოლოოები შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა და ამოჭრეს პეტერბურგში ლემანმა და მეიმ“, კვითხულობთ 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში. ამ გამოცემისათვის გრ. ტატიშვილმა შექმნა რვა არშია, 28 საზედაო ასო, 45 ბოლოსართი, მონუმენტური ყდა ყუით და რუსთაველის პორტრეტი გადმოდებული უძველესი ხელნაწერებიდან. ეს წიგნი დღემდე ინარჩუნებს თავის სიდიადეს და არის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტალური გამოცემა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს შორის.

ქართველიშვილისეულმა „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი მოწონება დამსახურა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. იგი წიგნის მხატვრული გაფორმებისა და დასურათების ბრწყინვალე ნიმუშად იქნა აღიარებული. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ წიგნი საჩუქრად გაუგზავნია ქალაქ მაინცში, გუტენბერგის საიუბილეო გამოფენასა და მის სახელზე შექმნილ მუზეუმისათვის. ამ ქალაქის თავს კი წერილობით გამოუხატავს სამადლობელი სიტყვები. წერილში იგი ასე მიმართავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას:

„დიდად პატივცემულო ბატონებო!

თქვენ თქვენი უმშვენიერესი საჩუქრით მეტად დირსეულად პატივი ვცით გუტენბერგის მუზეუმს. მიიღეთ უმხურვალესი მადლობა თქვენი მშვენიერი საჩუქრისათვის, რომელიც სასახელოა ქართული სტამბისათვის და რომელიც თქვენი მაღალი სულოვნების ნიშნად დარჩება მუდამ გუტენბერგის ქალაქში.

ეს მშვენიერი ნაწარმოები ჯერ ჩვენ დიდ გამოფენას დაამშვენებს, შემდეგ კი იგი შეიქმნება მშვენებათ გუტენბერგის მუზეუმისა. ერთხელ კიდევ ვიდვნით უგულითადეს მადლობას ქ. მაინცის მის დიდებული შვილის მაგიერ.

უგულწრფელესი პატივისცემით მაინცის თავი
დოქტორი ვასსნერი¹⁵.

90-იან წლებში გრ. ტატიშვილი იწყებს შიო მღვიმელის ნაწარმოებების გაფორმებას. ამ მცირეფორმატიანი წიგნების გამოცემა წლების მანძილზე მეორდებოდა. გრ. ტატიშვილის მიერ გაფორმებული „სამი ცელქი“ ნახატის შესრულების თვალსაზრისით ჯერ კიდევ რამდენადმე სუსტია. გარეკანზე გამოსახული გოგონას სხეულის პროპორციები დარღვეულია. მოძრაობაც შეზოგნილია და ხელოვნური, მაგრამ ამავე წიგნში საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული წიგნის ფურცლების კომპოზიციური აგება, ტექსტისა და ნახატის ურთიერთშეთანხმება. წიგნის ფურცლების კომპოზიციური სრულყოფით გამოირჩევა აგრეთვე გრ. ტატიშვილის მიერ გაფორმებული შ. მღვიმელის „ოქროს თავთავის“ გამოცემაც. მხატვარი ითვალისწინებს გადაშლილი წიგნის ფურცლების ურთიერთშეთანხმებას, მათ სრულყოფას, ტექსტის თხრობაში ჩართული ილუსტრაციები წარმოგვიდგენენ გადმოცემულ ამბავს.

გრ. ტატიშვილი მხატვრულ გაფორმებასთან ერთად ხელს კიდებს მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. 1897 წელს თარგმნის და ილუსტრაციები გადმოაქვს საბავშვო სურათებიანი წიგნიდან „ხუმარა სპილოები“. წიგნი ილუსტრირებულია ტექნიკურად მაღალ დონეზე შესრულებული ნახატებით, გაანგარიშებულია ფურცლის ზომასთან შრიფტისა და ნახატის პროპორციული შეფარდება. ამ ნახატებში ბევრად უფრო დახვეწილია ფიგურათა მოძრაობები, კარგადაა გადმოცემული განწყობილება, სპილოების ცხოვრების სურათები. სვედიანი მზერით, ცხოველთა გამომეტყველებაც კი არის მიღწეული. წიგნის ტექსტი და ილუსტრაციები იმდენად ავსებენ ერთმანეთს, რომ იკარგება ზღვარი—რომელია პირველადი. გრავიურების ტექნიკური შესრულების დონეც მაღალია, ნახატი მკაფიოა და უმრავლეს შემთხვევაში ფიგურები პროპორციულად სწორადაა აგებული, წიგნი პოლიგრაფიულადაც მაღალ დონეზეა დაბეჭდილი.

1885 წლიდან გრიგოლ ტატიშვილი ქართული ანბანის დახვეწასა

¹⁵ მ. უ რ უ შ ა ძ ე, პირველი ქართველი გრაფიკოსი, თბ., 1958, გვ. 104.

და დამუშავებას ჰკიდებს ხელს, ქმნის ქართული შრიფტის ნაირნაირ ვარიანტებს. გამოსაცემად ამზადებს შრიფტის ალბომს, რომელსაც „ქართული ანბანის თაიგული“ უწოდა, მაგრამ უსახსრობის გამოცემის დაბეჭდვა იმ დროისათვის არ მოხერხდა. 1888 წელს გამოიცა მხოლოდ პატარა წიგნი „კანვაზედ საკერი ანბანი“, ეს წიგნი განსაზღვრული იყო ქართველი ქალებისათვის. მხატვარი ზრუნავს იმისათვის, რომ არ დაიკარგოს ქარგვაში ქართული ანბანის გამოყენების ტრადიცია.

გაზეთი „ივერია“ (1888, № 16) წერდა: „ქართველ ქალებს სასიამოვნოდ დარჩებათ ის გარემოება, რომ ბ-ნ ტატიშვილს შეუდგენია ქართულად „კანვაზედ საკერი ანბანი“, რომელზეც სხვადასხვა ზომის ქართული ასოებია გამოყვანილი. წიგნი ძალიან ლაზათიანად არის გამოცემული, ყდაზე ოქროს ვარაყიანი ასოებია ამოჭრილი. ეს ძვირფასი შრომა ბ-ნ ტატიშვილისა უეჭველია დიდს ყურადღებას მიიქცევს ქართველ ქალების მხრივ და მალეც გავრცელდება ჩვენში“.

ამის შემდეგ გამოიცა „ქართული ანბანის თაიგულიც“ (1892 წლის აგვისტოში), რომელსაც ასევე მოჰყვა გრ. ტატიშვილის მიერ თავის მეუღლესთან ერთად შექმნილი ალბომი „ჩართული ანბანი“. ალბომის წინასიტყვაობაში გრ. ტატიშვილი აღნიშნავს: „სრული თორმეტი წელიწადი ვიშრომე ამ ჩართულ ანბანზე (მონოგრაფიებზე) და ჩემი თავისუფალი დრო მთლიანად მის შედგენა-ამოჭრას მოვანდომე. ეს ჩემი განზრახვა 1882 წელს განსვენებულმა დავით ერისთავმა, რომელსაც ხელოვნება უყვარდა და რომელიც მისი დიდი თაყვანისმცემელი იყო, ძალიან მომიწონა და უფრო წამახალისა კიდევ იმით, რომ შემეიკვეთდა ხოლმე სხვადასხვა ჩართულ ასოებს, ზოგს თავისთვის და ზოგს სხვისთვის. ამასთანავე მეტყუოდა ხოლმე, რომ ჩვენ ქართველებს არა გვაქვს ხელოვნური ანბანიო სხვადასხვა ლითონის ნივთებზე ამოსაჭრელად და ქსოვილებზე დასითვით (გლადით) ამოსაკერადო. განსვენებულის ერისთავისაგან წახალისებულმა, რაც კი შემეძლო ვიშრომე და დავამთავრე კიდევ“. ალბომში მოცემული იყო 518 მონოგრამა.

ანბანის ამ გამოცემებმა გაზარდა საზოგადოების ინტერესი ქართული შრიფტის მიმართ.

„ჩართული ანბანის“ შემდეგ 1900 წელს გრ. ტატიშვილმა კიდევ ერთი ალბომი — „ქართული ჩუქურთმა“ გამოსცა, რომელშიც თავი მოუყარა 1888 წელს ქართველიშვილისეულ „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ მხატვრულ ელემენტებს. 1900 წელს ეს ალბომი პარიზის

მსოფლიო გამოფენაზე გაგზავნა. ამ ნაშრომისათვის იგი ქების სიგელი და დიდი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა, რაც ქართველი მხატვრისა და ქსილოგრაფის ღვაწლის დიდი აღიარება იყო.

მწერალი ნინო ნაკაშიძე იგონებს: „ერთხელ ჩვენს რედაქციაში აკაკი იჯდა. ამ დროს გრიგოლი და შიო მღვიმელი შემოვიდნენ.

— აა! — შესძახა აკაკიმ, — ორ ჩვენს სასიქადულო ადამიანს გაუშარჯოს, ბავშვების საყვარელ მგოსანს და უყვდავ გრიგოლს!

გრიგოლმა ორივე ხელი ჩამოართვა აკაკის და სიცილით უთხრა:

— უყვდავი თქვენ ბრძანდებით, ბატონო აკაკი, მე კი მოყვდავი ვარ ყოველის მხრით, ჩემი მხატვრობა და კლიშეები არაფერს უნდა

— არა ძმაო. „ვეფხისტყაოსნის ჩუქურთმების გამკეთებელთან სიკვდილს რა უნდა... — ამბობდა თავისი მომზიბლავი სიცილით აკაკი“¹⁷.

დიდა გრიგოლ ტატიშვილის დამსახურება ქართული ბეჭდური შრიფტის შექმნის საქმეშიც. მან გადაამუშავა ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული შრიფტი და შექმნა შედარებით მოზრდილი ზომის ბეჭდური შრიფტი, მასვე ეკუთვნის შრიფტი, რომელიც „ტატიშვილის ჩონჩხის“ სახელითაა ცნობილი.

სიცოცხლის ბოლო წლები გრიგოლ ტატიშვილისათვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა. იგი ხშირად ავადმყოფობდა და ძალიან უჭირდა მუშაობა, ამას დაემატა ისიც, რომ პოლიგრაფიაში თანდათან გაბატონდა ცინკოგრაფია. თ. სახოკია იგონებს: „როცა ვაჩნდა „ქართული ამხანაგობის“ ცინკოგრაფია, ტატიშვილის ხელობას სულ დაეკარგა ფასი და უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა გიგო ტატიშვილისათვის იყო ერთი დაუსრულებელი ტანჯვა-წამება, რადგან მის ხელობას გასაჯალი აღარ ჰქონდა და თვითონ იმდენად მოხუცი იყო, რომ სხვა ხელობას ვერ მოჰკიდებდა ხელს“¹⁸.

გრიგოლ ტატიშვილი გარდაიცვალა 1911 წლის 29 ივლისს 63 წლის ასაკში. (1903—1904 წლებიდან იგი ავადმყოფობდა და ბოლო წლებში ლოგინად იყო ჩაჯარდნილი).

მისი გარდაცვალების გამო ნეკროლოგები დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო ფურცელში“, „თემში“, ყურნალ „ნაკადულში“, სომხურ ყურნალებში „თარზი“ და „ალბიური“.

ნ. ნაკაშიძე თავის მოგონებებში წერს: „1911 წელს ივლისში გარდაიცვალა ქართული წიგნის დასურათების საქმიანობაში ცნობილი მხატ-

¹⁷ ნინო ნაკაშიძე, მოგონებანი, საბლიტგამი, 1956, გვ. 262.

¹⁸ ბ. გორდუხიანი, გრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1957, გვ. 25—26.



ვარი და პირველი ქართველი ქსილოგრაფი გრიგოლ ტატიშვილი. დიდი დამსახურება მიუძღვის გრიგოლს ქართველი ხალხის და განსაკუთრებით ბავშვების წინაშე. ჩვენ ჟურნალში თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა მის მიერ დახატული სურათები და ხეზე ამოჭრილი კლიშეები — ჩუქურთმიანი თავსართები, ბოლოსართები და განსაკუთრებით ასოები. ზრდილობიანი და რბილი ხასიათის ადამიანი იყო გრიგოლი, მშრომელი და დაუზარელი. მე არ ვიცი ისეთი ადამიანი, რომელიც დიდის პატივისცემით არ იგონებდეს მას¹⁹.

მკვლევარი ბ. გორდენიანი აფასებს რა გრ. ტატიშვილის მოღვაწეობას, აღნიშნავს: „გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტატიშვილი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი საგამომცემლო საქმე იმ ცოტადენი კარგად გაფორმებული წიგნებითაც კი ვერ იამაყებდა, რომლებიც ჩვენ დღეს მოგვეპოვება იმ დროიდან“²⁰.

დღეს, როდესაც გრიგოლ ტატიშვილის მოღვაწეობიდან ერთი საუკუნე გავიდა, კიდევ უფრო ნათლად ჩანს ის დიდი წვლილი, რაც ამ დიდმა ხელოვანმა ქართული კულტურის ისტორიაში შეიტანა. გრიგოლ ტატიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ბეჭდური წიგნის დასურათება-შემკობის საქმეს. მართალია ქართულ ბეჭდურ გამოცემებში, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, იტალიაში განხორციელდა, წიგნის ყდა და ფურცლები დეკორით იყო შემკული, მაგრამ ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპასა და თვით იტალიაში XV საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის 50-იანი წლების ჩათვლით ვითარდება წიგნის გრაფიურის და ე. წ. გამოყენებითი ხასიათის გრაფიურის ხელოვნება²¹. ამიტომ პირველნაბეჭდი ქართული წიგნების დეკორიც დასავლეთ ევროპის ტრადიციებით იყო განხორციელებული. ევროპული გრაფიურის გავლენა ჰქონდა ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილ წიგნების შემკულობასაც.

გრიგოლ ტატიშვილი იყო პირველი ქართველი გრაფიორი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ბეჭდურ წიგნში ქართული ეროვნული ორნამენტისა და შრიფტის გამოყენებას და ამით დასაბამი მისცა ქართული წიგნის გრაფიკის ეროვნულ ნიადაგზე წარმართვას, რაც შემდგომ წარმატებით განხორციელა ქართველ მხატვართა მომავალმა თაობამ.

¹⁹ ნ. ნაკაშიძე, მოგონებანი, თბ., 1956, გვ. 162.

²⁰ ბ. გორდენიანი, გრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1957, გვ. 26.

²¹ ა. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983, გვ. 48.



ბიბლიოთეკები
და
ბიბლიოფილები

ვისაც სამოგზლო არა სწამს, ვისაც მოგბილი,
ნაწოგი, თანმოგილი არ უყვარს და თავს მითი
მართლულობს, რომ მე განუჩივლად მთელი
მსოფლიო მწამს და მთელი კაცობრიობა განუჩ-
ჩივლად მიყვარსო, ის უმეცდარია.

თუ იდეალი მწერლისა,
მხოლოდ პური და გროშია,
რა არის თუ არ წუპაკი,
პურისთვის მყეფი გოშია?

ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის დედა-ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
მდულარე ცრემლთა დენასა!

აქაკი წერეთლის პირადი ბიბლიოთეკა

ყოველი დროის დიდი მწერალი გამოჩენილი მწიგნობარიც იყო. ამ მხრივ აქაკი წერეთელს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ზეპირი გადმოცემით და თანამედროვეთა მოგონებებით, მის ბიბლიოთეკაში რამდენიმე ათასი წიგნი იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ვერ იქნა მთლიანად შენარჩუნებული, აქაკის მიერ დატოვებულ ანდერძში, რომელიც 1912 წელს დაუწერია, ვკითხულობთ: „სამოსახლო ადგილს შენობით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მახრამში, საკუთრებად ვუტოვებ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ იქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემის სახელობისა; ვენახსა და დანარჩენ ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას... დანარჩენ ჩემს მოძრავ ქონებას ვუტოვებ ჩემს მეუღლესა და შვილს...“ ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სეით იაშვილი იგონებს: „1920 წელს ზაფხულში ექვთ. თაყაიშვილი—თავმჯდომარე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და მე, როგორც წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის წევრი, ჩავედით სოფელ სხვიტორში და აქაკი წერეთლის მიერ დატოვებული ანდერძის მიხედვით ჩავიბარეთ ჩვენი წილი“. ამ დოკუმენტებში წიგნები არ არის მოხსენიებული. იმდროინდელი კატალოგი ან რაიმე სხვა მასალა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესახებ არ არსებობს. უნდა ვიფიქროთ, რომ ნაწილი წიგნებისა აქაკის შვილმა ალექსიმ თან წაიღო საფრანგეთში, ნაწილი კი არაკეთილშობილურად ადამიანებს ჩაუვარდათ ზელში. ამჟამად აქაკის პირადი ბიბლიოთეკიდან პოეტის სახლ-მუზეუმში დაცულია 1749 წიგნი და ჟურნალი.

წიგნის სიყვარული პატარა აქაკის დედამისმა ჩაუწერა და ეს სიყვარული მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. პოეტის დედა ეკატერინე ივანეს ასული აბაშიძე, აღზრდილი იყო გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია გურიელის ოჯახში და იმ დროის კვალობაზე საკმაოდ



ფართო განათლება ჰქონდა მიღებული. იგი დაჯილდოებული იყო დაგოგიურბ ალლოთი და შვილების აღზრდას სწორი გზით წარმოაჩინავდა. თავის მემუარულ ნაშრომში „ჩემი თავგადასავალი“ აკაკი დედის შესახებ ვადმოგვცემს: „რაც-კი იმ დროში ქართველი ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელსაქნარე და მასთან კარგი აღმზრდელი. ცნობისმოყვარეობასთან შრომისმოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა“. აკაკის უკვე 6-7 წლის ასაკში ზეპირად სცოდნია სხვადასხვა ლოცვები: „მწრამსი“, „მიწყალე“, „მამაო ჩვენო“, „წმინდაო ღმერთო“ და ისე გაუტაცნია ცოდნის წყურვილს, რომ წერა-კითხვის შესწავლაც მოუნდომებია. ინტერესის გაძლიერების მიზნით დედას თავისებური ხერხი გამოუყენებია და უთქვამს: ჯერ ბრიყვი ხარ, არ შეგფერის წერა-კითხვის ცოდნაო. „თავგადასავალში“ აკაკი იგონებს: „ჩემს უფროს დას კალთა დავაგლიჯე ხვეწნით: „კითხვა მასწავლე-მეთქი“. იმანაც დამარიგა „დედამ არ გაგვიგოსო“, და ჩუმად დამაწყებინა კითხვა. მოკლე ხანში ანბანიც ვისწავლე და ამოსაღებიც დავიწყე. „თუ აგრე კარგად და ცუდმოუდგინედ ისწავლი, მალე სამოცოქეთულოსაც დავასწავლი და საყდარში წაგაკითხვებო — მეუბნებოდა ჩემი და — დედას ძალიან გაუკვირდებო და მოგიწონებო“. მე ამ იმედით წახალისებულს დღედაღამ მეტი აღარა მეფიქრებოდა-და. რა ვიცოდი, თუ ეს სულ დედაჩემის ხერხი იყო, რომ წერა-კითხვა შემეყარებოდა“. ჯერ კიდევ გიმნაზიაში შესვლამდე აკაკი უფრო სერიოზულ ნაშრომებსაც ვასცნობია. „თავშესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა მომწყინდა, — წერს პოეტი, — და უფრო სხვა საფიქრალს გადავყევი. ამის მიზეზი იყო „ვეფხისტყაოსანი“. წავიკითხე თავიდან ბოლომდე, და თუმცა ზღაპრული მხარის მეტი არა გამიგია-რა, მაგრამ მაინც ძალიან გატაცებული ვიყავი. იმას მივყოლე სხვა საკითხავებიც და მთელი ქრესტომატია, ჩუბინაშვილისაგან პეტერბურგში გამოცემული, რამდენჯერმე გადავიკითხე“.

ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში აკაკი აგრძელებს წიგნზე ინტენსიურ მუშაობას. მის პირად ბიბლიოთეკაში ახლაც ინახება წიგნები (სახელმძღვანელოები, სკოლისგარეშე საკითხავი ლიტერატურა), რომელიც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ აკაკის ინტერესთა სფერო ფართო და მრავალმხრივი იყო. გიმნაზიაში აკაკი პირველ მოწაფედ ითვლებოდა, კლასიდან კლასში გადასვლისას ჯილდო! იმსახურებდა და მისი სახელი ოქროს დაფაზე იყო შეტანილი. მუზე-

უმში დაცულია 1825 წელს პეტერბურგში გამოცემული წიგნი პრეტორიული სათაურით: краткое учение о христианской нравственности, изложенное в духе Греко-Российской церкви“, რომლითაც მეოთხე კლასში სწავლისას დაუჭილდობიანთ აკაკი წიგნის სატიტულო გვერდზე ასეთი წარწერაა: „1854 генваря 4 дня по определению Педагогического совета Кутаисской гимназии дается книга за благонравие и отличные успехи в науках ученику 4 класса Акакию Церетели“. ჯილდო დადასტურებულია გიმნაზიის დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს წევრთა ხელმოწერით.

როგორც ცნობილია, გიმნაზიის შემდეგ აკაკი სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. აქ იგი ჩვეული გატაცებით სწავლობს რუსულ მწერლობას, დასავლეთ ევროპულ და აღმოსავლურ ლიტერატურას, ეუფლება უცხო ენებს, მცირედი დანაზოგით იძენს წიგნებს და ამდიდრებს პირად ბიბლიოთეკას. დედისადმი ვაგზავნილ წერილში, რომელიც 1860 წლის 25 აპრილითაა დათარიღებული, წერს: „უძვირფასესო ბატონო დედა!.. ქართული ისტორია, გეოგრაფია და სხვა წიგნები ვიყიდე მანდ გამოსავსავნათ სამ თუმნად. მაგრამ ველარ ვავახერხე გამოგზავნა...“ წიგნების შეძენაზე და გამოგზავნაზეა ლაპარაკი შემდეგ წერილშიდაც (1860 წ. 27 ოქტომბერი): „უსაყვარლესო დედა ბატონო! მხედრულ დავითნს, სათვალეს, ქართულ ისტორიას თეიმურაზისას და ჩაის მალე გამოგიგზავნი. მზად მაქვს და ერთ კანფოთგანს გამოვატან“.

სტუდენტობის დროს აკაკი არა მარტო საუნივერსიტეტო საგნებს ეუფლებოდა და უცხოურ ლიტერატურას სწავლობდა, არამედ ღრმად ეცნობოდა პეტერბურგში არსებულ ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს. მშობლიური კულტურის მიდიარი მემკვიდრეობის ათვისებაში მას დიდად შეუწყო ხელი სალომე ბატონიშვილის ბიბლიოთეკამ.

სამწუხაროდ, აკაკი წერეთლის პირადი ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ არაა შესწავლილი და მეცნიერულად დამუშავებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლევან ასათიანის ზოგადად ამ საკითხზე შეჩერებას. გამოჩენილი მკვლევარი თავის ფასდაუდებელ წიგნში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ წერს: „აკაკის ბიბლიოთეკაში დაცულ თხზულებათა ავტორებიდან დავასახელებთ ზოგიერთს, ესენი არიან: ბელინსკი, პისარევი, ტრედიაკოვსკი, პუშკინი, შევჩენკო, კოლცოვი, მარლინსკი, პლეჩკევი, მეი, ფეტი, მირზა-ფატალი ახუნდოვი, ჰომეროსი, პლუტარხი, რასინი, მოლიერი, შექსპირი, ალ. დიუმა, ვ. პიუგო, ჰენინე,



დენ სიუ, ფ. კუბერი, ა. გუცოვი და სხვა. არის ცალკეული მწერების ლექსებიც, მაგალითად: ჰერცინუსის — „შექსპირი“, ცებრიკოვის — „შელი“, პოლევოს — „ნაპოლეონის ცხოვრება“ და სხვა. აქვე ვხვდებით კარლ ფოტის — „ფიზიოლოგიურ წერილებს“, ვირხოვის, კლოდ ბერნარის, მოლემოტისა და სხვათა თხზულებებს“.

პოეტის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც გამოირჩევა თემატიკური მრავალფეროვნებით, მდიდარია უნიკალური გამოცემებით. აქ გვხვდება მხატვრული, ენათმეცნიერული, ფილოსოფიური, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, სოფლის მეურნეობის, პედაგოგიური, სოციოლოგიური, თეოლოგიური, ასტროლოგიური ლიტერატურა. საყმაოდ უხვადაა წარმოდგენილი საცნობარო გამოცემები, ჯანმრთელობის დაცვა, ისტორია, ივანთლება და კულტურა. ეს უნივერსალური ხასიათის ბიბლიოთეკა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს აკაკის ინტერესების მრავალმხრივობაზე, მის ფართო განათლებაზე. აკაკი წერეთლის მრავალმხრივ ინტერესებზე მეტყველებს მის ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური ხელნაწერი წიგნები, რომლებითაც უსარგებლიათ გამოჩენილ მეცნიერებს. ხელნაწერ „ქართლის ცხოვრებაზე“ კ. ბაქრაძეს მუზეუმის დირექტორის თხოვნით ხელნაწერის შესახებ უბრალო ფანქრით ნაწერი მცირე ცნობა დაუტოვებია: „ქართლის ცხოვრება“: 642 ფ. ტყავგადაკრულ ხის ტვიფრულ ყდაში. დაზიანებულია. ზედა ყდა სრულიად მოცილებულია და თანაც გატეხილია. ყუაც მოგლეჯილია. შიგნითაც აკინძულობა დარღვეულია თავსა და ბოლოში. ხელნაწერი თავნაკლულია. ეს ქართლის ცხოვრება — ვახტანგისეული რედაქციისა, გადაწერილია XVIII საუკუნეში“.

მუყაოს ტყავგადაკრულ ყდაშია აკინძული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ხელნაწერი (563 ფურცელი), რომელიც გადაწერილია 1854 წელს. ლექსიკონის გამომწერს წიგნის ბოლო ფურცელზე მიუწერია: „რაც დედანში იყო მეც ის დავსწერე, მაგრამ სიჩქარისა გამო და სისუსტისა, სიტყვაში მრავალგან ასო საცილობელად გამიხდა. ამისათვის ნუ მწყევთ. წელთა ჩყნდ-სა თებერვლის 3“. ეს წიგნი აკაკის თავისი უფროსი ძმისათვის უჩუქებია, შემდეგ, აკაკისეული ბიბლიოთეკის აღდგენისას კვლავ მუზეუმისათვის დაუბრუნებიათ. წიგნის უკანასკნელ თავისუფალ ფურცელზე ასეთი მინაწერია: „ეს ლექსიკონი მომცა ჩემმა ძმამ აკაკიმ 1889 წელსა. დავით წერეთელი“. იქვეა დავითის ასეთი ჩანიშვნა: „1889 წელსა მამის ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილთა კრებამ: ე. ი. იმერეთის, ოდიშის და გურიის თავად აზნაურობამ ერთხმად გადაუწყვიტა აკაკის 1500 მან. ეძლეოდეს

საზღაური ბანკიდან მისდღეში, ნაცვლად მისდამი პატივისცემისა რთ-
გორც პირველ საქართველოს შვილს! თ. დავით წერეთელი“. აქვეა
დაცული საჩხერის სტამბაში დაბეჭდილი „სახარების“ ერთი ეგზემპლარი.
გამოცემა მინიატურულია (10×6), დაბეჭდილია წვრილი ნუს-
ხა-ხუცური შრიფტით, ნახმარია წითელი და შავი საღებავი, საკმაოდ
მდიდარია ორნამენტებით და სხვა შემკულობით. თავფურცელზე სტამ-
ბის გამმართველისა და გამომცემლის სახელებია მოხსენიებული: „და-
ბეჭდა წიგნი ესე საღმრთო სახარება საჩხერეს, სასახლესა სარდალ-
სახლთხუცის წერეთლისასა. საფასის წარგებითა თავადის შაიორის და
კავალერის წერეთლის გრიგოლისათა“. ზოლო ტექსტის ბოლოში და-
ბეჭდილია: „უფალნო და ძმანო! მომიხსენეთ მე მდაბალი და უღირ-
სი არხიმანდრიტი გაენათისა ცოდვილი ზაქარია, რომელმან ფრიადი
შრომა თავს-ვიდეე წმინდისა ამის სახარებისათვის და მრავლითა ღუ-
აწლითა აღვასრულე. წიგნზე აკაკის უფროსი ძმის ხელით მიწერილია:
„ეს პატარა სახარება არის მამა ჩემის საკითხავი. მუდამ თავქვეშ ედ-
ვა და კითხულობდა ამას და ისტორიას თეიმურაზისას. თავად დავით
წერეთელი“.

აკაკი წერეთლის პირად ბიბლიოთეკაში ინახება მეცხრამეტე სა-
უკუნის პირველ ნახევარში დაბეჭდილი წიგნებიც. ვრცელია გამოცე-
მათა გეოგრაფიაც (ლონდონი, პარიზი, პეტერბურგი, მოსკოვი, თბი-
ლისი, რომი, ვლადიკავკაზი, ოდესა, ბაქო, ქუთაისი, ზესტაფონი და
სხვ.). როგორც ჩანს, პოეტი ზოგიერთ გამოცემას თვალის არედან არ
იშორებდა და მაგიდის წიგნად მიაჩნდა (ოთხთავი, ვეფხისტყაოსანი,
ქართლის ცხოვრება). ლევან ასათიანი წერს: „სხვიტორში დღემდე
ინახება „კობზარის“ გაყვითლებული ტომი, გამოცემული 1860 წელს,
ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, სიკვდილამდე, აკაკი არ იშო-
რებდა ამ წიგნს და ინახავდა მას სხვა რუსი და დასავლეთევროპელი
კლასიკოსების წიგნებთან ერთად“, 1909 წელს აკაკი სამკურნალოდ
პარიზში იმყოფებოდა. აქედან იგი რომში ცნობილ ისტორიკოსს და
საზოგადო მოღვაწეს, ღვთისმეტყველების დოქტორ მიხეილ თამა-
რაშვილს წერდა: „ძმაო მიხაილ!.. თქვენი ნაწერები კათოლიკების შე-
სახებ ფასდაღებით გამომიგზავნეთ. დიდად საჭიროა... აკაკი“. გამო-
ჩენილი მეცნიერის 556-გვერდიანი ნაშრომი — „ისტორია კათოლი-
კობისა ქართველთა შორის ნამდვილი საბუთების შემოტანით და გან-
მარტებით XII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე“, მართლაც ინა-
ხება აკაკის მუზეუმში, მაგრამ დაღუპნილი არაა, აკაკის შექმნილია იგი
თუ თამარაშვილის ცამოგზავნილი.

როგორც ცნობილია, მაღლიერმა საქართველომ 1908 წელს სომეხ-წერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეზე დაუ-უხანდა ერის დიდებებსა და სიამაყეს აკაკი წერეთელს. იუბილემ საზოგადოებრივი საქმის ხეობის ხასიათი მიიღო, აღინიშნა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და ვასცდა მის ფარგლებსაც. პირველი საიუბილეო საღამო თბილისის სახაზინო თეატრში (ახლანდელი ოპერისა და ბალეტის თეატრი) გაიმართა. სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენელთა მხურვალე მილოცვების, დელეგაციების, აღრესების და ძვირფასი საჩუქრების ნაკადს ბოლო არ უჩანდა. ამასთან დაკავშირებით ერთ ფაქტზე შევჩერებთ მკითხველის ყურადღებას: თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებამ საყვარელ მგოსანს მიაართვა ირმის ტყავის ყდაში ჩასმული შოთა რუსთაველის ივენიკლური „ვეფხისტყაოსანი“ (ქართველიმედიისეული გამოცემა).

წიგნის ფორზაცზე ოქროს ვარაყიანი ასოებით აწერია:

„სულმნათო შენც ხომ ისწავლე
ის საიდუმლო ძღერისა,
აწ ავისრულდა წადილი,
მგოსანი გახდი ერისა.“

თბილისის ქართველ ქალთაგან. 1908 წლის დეკემბრის 7“.

მხატვრულად უზადოდ გაფორმებულ ამ ძვირფასი გამოცემის ყდაზე ამობურცული, ვერტიკალურად დალაგებული ვარაყიანი ასოებით ერთი სიტყვა აწერია: „აკაკი“.

სხვა გამოცემებთან ერთად ბიბლიოთეკაში მრავლადაა სასაჩუქრო წარწერიანი წიგნები. ავტორები უსახლგრო პატივისცემას, მოწიწებას და სიყვარულს გამოხატავენ ერის საამაყო შვილისადმი. მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნოს რამდენიმე მათგანს: „უდიდესად დამსახურებულს პოეტს — მოღვაწეს აკაკის უღრმესი პატივისცემით ეძღვნას დამწერისაგან“ (ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში. თბილისი, 1903 წ.); „ჩვენს საყვარელ მოღვაწე-მგოსანს აკაკის თავაზით დამწერისაგან“ (ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ივანე გვარამაძე, თბილისი, 1904 წ.); „ქართველთ უსაყვარლეს მგოსანს აკაკის პატივისცემით ეძღვნას ავტორისაგან“ (იოსებ ი ს ა კ ა ძ ე, მცხეთელი ანდრია, თბილისი, 1901 წ.); „დიდებულ მგოსანს და უცვდავ ქართველს აკაკის მოსე ყარბისაგან“ (მ. ჟ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი 3); „ნიშნად ღრმა პატივისცემისა ჩვენს სასიქადულო მგოსანს აკაკის. ნ. ვიგაური“ (ნ. ვიგაური, ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა. ქუთაისი, 1901 წ.); „თავად აკაკი წერეთელს პატივისცემით. ივანე აბ-



ხ ა ზ ი 26 თიბათვე 1904 წ.“ (ივ. ა ბ ხ ა ზ ი, განთიადი, 1904 წ.), „საერთო საყვარელს ჩვენს პოეტს აკაკის ავტორისაგან“ (ა. ფ უ რ ც ხ ე ლ ა ძ ე, ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად და საქართველოს საერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო. ტფილისი, 1892 წ.), „ჩვენს ყველაფერს. ავტორისაგან“ (ა. წ უ ლ ა ძ ე, ფუტყარი და მეფუტყარობა). „ბატონ აკაკის მოწიწებით, ავტორისაგან“ (თხზულება-ნი ეკ. ვ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა, თბილისი, 1904 წ.).

გამოჩენილი ისტორიკოსი და ფილოლოგი თედო ჟორდანიას თავის წიგნზე (ქართული ენისათვის ბრძოლა 1882—1910 წლებში) ვრცელი წარწერით მგოსანს სთხოვს თავისი მოსაზრება გამოთქვას ნაშრომის თაობაზე. აი, ეს ავტოგრაფიც: „ჩვენს სახელოვან ვარსკვლავს აკაკის უმდაბლესად უძღვნი. ავტორი გულდადებით წაკითხვას ეთხოვ ამ წიგნისათვის... ყოველს შენიშვნაზე დიდის სიამოვნებით ცალკე წერილობით განმარტებას მოგართმევთ თუ ინებებთ და გამაგებინებთ. იცოცხლეთ ქართველთა გასამხნეველად, სულის ჩამდგმულად, მრავალყამიერ. თ. ჟ.“.

სულ პოეტის პირად ბიბლიოთეკაში 32 სასაჩუქრო წარწერიანი წიგნია. შეიძლება ვიფიქროთ, ასეთი წიგნები გაცილებით მეტი იქნებოდა. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი მაგალითები: ცნობილია, რომ გალაკტიონ ტაბიძე აღმერთებდა აკაკის და მისთვის წმინდა იდეალი იყო. 1914 წელს გამოიცა გალაკტიონის ნაწერების პირველი კრებული. „ლექსების პირველი წიგნი გალაკტიონმა პირადად მიართვა აკაკი წერეთელს სხვიტორში. უდიდესი პოეტი აკაკი წერეთელი აღელვებული პირველი მიესალმა ამ წიგნის გამოსვლას“. გალაკტიონის მეუღლე ქალბატონი ნინო კვიციანიც გადმოგვცემს: „გალაკტიონის უახლოესი მეგობარი იყო გიორგი ქუჩიშვილი. მისი საყვარელი მწერლები რუსთაველი და აკაკი. სულ იგონებდა, თუ როგორ უწინასწარმეტყველა აკაკიმ გალაკტიონს დიდი მომავალი“. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აკაკისადმი მიძღვნილ პირველ წიგნს თავისებური გულთბილი პოეტური წარწერით დაამშვენებდა. ასევე შეიძლება ითქვას აკაკის ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის, გამოჩენილი საბავშვო მწერლისა და პუბლიცისტის (ამავე დროს აკაკის მკურნალი ექიმის) ივანე ელიაშვილის წიგნზე — „სამშობლო ბუნების სარკე“, რომელიც 1911 წელს გამოიცა და რომელსაც პოეტმა მალალი შეფასება მისცა: „მალალის ნიჭის უნდა იყო მწერალი და ნიჭიც განვითარებული უნდა გქონდეს, რომ ასე ტკბილად ჩასჩუროს ყმაწვილს და ამავე დროს დიდებით გაიტაცოს!.. ეს სამავალითო წიგნი ყოველი ქართველის ოჯახ-

ში უნდა იყოს შეტანილი განძად და საწიგნეს დასამშვენებლად. გორც „ვეფხისტყაოსანი“. ამავე მოსაზრებას ადასტურებს აკაკის წერილები, რომელთა ადრესატები დიდი მამულიშვილები ეტის ახლო მეგობრები გახლავან. 1910 წელს აკაკი წერს იაკობ გოგებაშვილს: „ბატონო იაკობ, ხანდახან რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მიკეთებ!.. აი ახლაც შენმა წერილმა და თან მოყოლებულმა წიგნმა გულს გადამყარეს მოწოლილი სევდა!.. გადავიკითხე, გადავთვალიერე მუშტრის თვალით, ავწონ-დავწონე და შიგ ჭეშმარიტებისა და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვე რა. კურთხეულ იყოს არა თუ მართო შენი შრომა, ყოველი ბიჯის გადადგმაც კი!.. მარად შენი მოყვარული აკაკი“. ანტონ ფურცელაძის „დიდი მოუტრავი“ ისე მოსწონებია აკაკის, რომ რამდენჯერმე გადაუკითხავს და ავტორისათვის კმაყოფილებით მიუწერია: „ძმავ ანტონ! მაპატივე ამდენი ხანია, ჯერ კიდევ შენი „დიდი მოუტრავი“ ვერ დაგიბრუნე. ეს მეოთხედაა რომ შეგუდექი ისევ კითხვას, მაგრამ კითხვას ჩემებურად და არა ფაციფუცით, ამდენ ძალღებს შუა, მხოლოდ ეს ერთად-ერთი სამკურნალო მალამოა ჩემთვის რომ გულს მიბრუნებს და მამხნევებს. მალე გავათავებ და გაახლებ. შენი მარად აკაკი“.

მსცოვან პოეტს წიგნებს სათანადო წარწერით სთავაზობდნენ არა მხოლოდ ავტორები, არამედ რედაქტორები, გამომცემლები, მთარგმნელები, შემდგენლები. აი, ეს წარწერები და გამოცემები: „პატივცემულ აკაკის შემდგენლისაგან“ (წყარო, სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის შედგენილი რ. ქუთათელაძისაგან. ტფილისი, 1891 წ.), „აკაკი როსტომის ძე წერეთელს გამომცემლისაგან“ (აღწერა საქართველოსი. ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. გამოცემა მოსე ჯანაშვილისა) „აკაკის რედაქცია“ (ს. ხვიჩია, ძველი და ახალი. 1912 წ. ქუთაისი). „საყვარელს და დიდად პატივცემულს პოეტს და უკეთეს მამულიშვილს ბატონს აკაკის ჩ.ყ.პ. ვ.წ. ა. თებერ. შემდგენელი“ (საქართველოს საეკლესიო ისტორია. მოსე ჯანაშვილის გამომცემული, მწყემსის რედაქციისა, ტფილისი, 1886 წ.); „ღრმად პატივცემულს ბ-ნს აკაკის. გამომცემლისაგან. 20—V—1913 წ.“ (ლ. ბოცვაძე. იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად. გარდა სახელწოდებისა წიგნის ყდაზე დაბეჭდილია: „წმინდა შემოსავალი ამ კრებულისა მოხმარდება სახალხო განათლების ფონდს, რომელც განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა დააარსა“. თბილისი, 1913 წ.) „დამონებული ერის მგოსანს აკაკის, ღრმა პატივისცემით გამომცემლისაგან“ (ს. ფირცხალავა. ნაწერები სერგეი მესხისა. 1908 წ.). „ერის სიმწარისა და

ვაების დიდებულს მგოსანს ბ-ს აკაკის. მოწინებით საშა ფირცხალ-
 ვასაგან“ (გრ. რობაქიძე, შოთა რუსთაველი. მიხ. წერეთელი,
 სუმერული ქართული. სოფოკლე, ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძენ-
 ლით პეტ. ქავთარაძისა. ალ. შანშიაშვილი, მეფე მგოსანი. სამ.
 ფირცხალავა. ღამე. სამ. ფირცხალავა, გლოვის ზარი. სა-
 ტიტულო გვერდზე დაბეჭდილია: ამ წიგნს ვუძღვნით კუპია მიქელა-
 ძის ძვირფას ხსოვნას“. ხელს აწერენ: გრ. რობაქიძე, მ. წერეთელი,
 პ. ქავთარაძე, ა. შანშიაშვილი, სამ. ფირცხალავა); „უძვირფასეს ჩვენს
 საამაყო უროვნულ მგოსანს აკაკის „თემის“ რედაქციისაგან. 1913 წ.
 19 ივლისი ქ. თბილისი (ს. აბაშელი მზის სიცილი, თბილისი. 1913
 წ.); „დიდათ პატივცემულს და ყველასათვის ძვირფას აკაკი წერეთელს
 ნიშნად ღრმა სიყვარულისა სახსოვრად მთარგმნელისაგან, 1903 წ.
 გიორგობის 8 დღესა ქ. თბილისი“ (კულტურა ანუ კაცობრიობის გო-
 ნებრივი და ზნეობრივი განათლება, თხზულება ლიპპერტისა გადმო-
 ქართულებული კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანისა, ტფილისი,
 1895 წ.); „ძღვნად ჩვენს სასიქადულო მგოსანს აკაკის რედაქტორ-გა-
 მომცემლისაგან 31—XII, 1911 წ.“ („ეურნალ განათლების“ კომპლექ-
 ტი); თავადს აკაკი წერეთელს პეტრე მირიანაშვილისაგან (კურანი მუ-
 ჰამადისა, ტფილისი, 1906 წ.). ამ წიგნის სატიტულო ფურცელზე
 ასეთი წარწერაა: დიდ მადლობას ვსწირავთ ამის გადმოქართულე-
 ბელს. ჩემთვის ახლა უფრო ცხადი შეიქმნა თუ რა „მეცნიერი“ ყო-
 ფილა მახმადი. 25 ივლისი, 1908 წ. მღ. გ. ზაბახიძე ვუბრუნებ აკა-
 კის ბიბლიოთეკას“.

პოეტის პირად ბიბლიოთეკაში გვხვდება წიგნები და ეურნალები
 იმდროინდელი სხვაგვარი წარწერებით. გავუცნოთ უფრო საყურად-
 ლებო მაგალითებს: მ. სუზმანოვის წიგნზე „Аптека-самопомощь“
 (პეტერბურგი, 1832 წ.) 30-ე გვერდზე წარწერილია: „ამ წიგნით სა-
 რგებლობდა ანა (აკაკის უფროსი და), რომელმაც იცოდა შინაუ-
 რი წამლების დამზადება“. წიგნზე „Теория словесности. Риторика
 (Петербург 1852 г.) მიწერილია, რომ მით ხელმძღვანელობდნენ აკა-
 კი და მისი უმცროსი და მავრა. საინტერესოა საკმაოდ სქელტანიან
 გამოცემაზე („მოხილვა წმინდათა და სხუთთა აღმოსავლეთისა ადგილ-
 თა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ ეპისკოპოსისა დაბეჭდილი თბი-
 ლისის შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისა, 1852“) აკაკის ხელით
 წარწერილია შემდეგი სიტყვები: „სკლიაროს, სევიატაფორი, იოანე მა-
 ხარობლისა, ბასილ და კონსტანტინე პარიკემომონ“. სხვათა შორის, ეს
 ერთადერთი წიგნია შემორჩენილი აკაკის ბიბლიოთეკაში, რომელზეც

უმჯავლად აკაკის ხელითაა წარწერილი სიტყვები. ფაქტით შესულ/ ლეხული წარწერა ძნელად იკითხება და ალბათ სულ რომ ვინმესაი კარგულიყო, მკვლევარ პ. კეკელიძეს და მუზეუმის მეცნიერ თაბა- მშრამელს პ. ასანიძეს 1945 წლის 18 აგვისტოს იგივე სიტყვები იქვე მელნით მიუწერიათ. წიგნის შინაარსიდან და ყდაზე წარწერილი სიტყვებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ დროს აკაკი მუშაობდა თავის ისტორიულ პოემაზე „თორნიკე ერისთავი“. არის წიგნები, რომლებიც, როგორც ჩანს, აკაკის ნათხოვარი ჰქონია და შემორჩა მის ბიბლიოთეკას. მაგალითად, როგორც წარწერიდან ჩანს, ექვთიმე თაყაიშვილს „სიბრძნე ბალავარისა“ (ტფილისი, 1895 წ.) უსახსოვრებია გიორგი წერეთლისათვის, შემდეგ კი აკაკისთან მოხვედრილა. 1885 წლის ერთ-ერთ ჟურნალს აწერია: „ეს „ივერია“ ეკუთვნის მამია გურიელს“. ჟურნალ „ივერიის“ 1881 წლის ნომრის ყდაზე აწერია „Акакий Церетели“, მაგრამ დაუდგენელია ეს წარწერა ეკუთვნის თუ არა თვითონ აკაკის. ასეთები სხვაც ბევრია. წიგნზე — „На берегах Куры“ წარწერილია: „Многоуважаемому князю Акакию Ростовичу Церетели 10. II—1901. Тифлис“, მაგრამ არ ჩანს, ვისგანაა იგი მიძღვნილი. აკაკის უფროსი ძმისადმი ნაჩუქარი წიგნიც („Коронавание императора Александра II“) აკაკის ბიბლიოთეკაში დაცულია ასეთი წარწერით: „ნიშნად სახსოვრობის და ნათესაობის სიყვარულისა თავადს ილიკოს როსტომის ძეს წერეთელს, თავადის ნესტორ წერეთლის მიერ ჩ ყ 53 წელსა იანვრის ქ-ს დღესა“.

აკაკის პირველი წიგნი „საახალწლო ხუმრობა“ 1874 წელს დაიბეჭდა ექვთიმე ხელაძის სტამბაში (თბილისი). აქედან მოყოლებული პოეტის სიცოცხლეში სულ გამოიცა 72 წიგნი (ცალკე ნაწარმოები, კრებული, თხზულება). მათგან უმეტესი ნაწილი (51 დასახელების წიგნი) დაცულია პოეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოში უაღკოპოლო სასმელების ფუძემდებელი მიტროფანე ლალიძე თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე გახლდათ. იგი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების წევრი და ეწეოდა ნაყოფიერ კულტურულ საქმიანობას. მან დააარსა სტამბა, ბეჭდავდა ქართველ მწერალთა თხზულებებს, მონაწილეობდა თითქმის ყველა საქველმოქმედო წამოწყებაში. მ. ლალიძე დიდ პატივს სცემდა აკაკის და ახლო მეგობრობა ჰქონდა მასთან (მისი შეილები ჯუანშერი და თორნიკე აკაკის მონათლული იყვნენ). მიტროფანე ლალიძეს აკაკის წიგნიც გამოუტია თავისი საფასით. აკაკი ვალერიან გუნიას სწერდა: „ძმომ ვალიკო! მიტროფანე ლალიძემ განიძარბა, რომ ჩემი უკანასკნე-

ლი ჰოვმა „საქართველოზე გაქრისტიანება ანუ „წმინდა ნინო“ დაბეჭდონ თავისი ხარჯით ზუთი ათასი ეგზემპლარი და მომეძღვნას ნიშნად თანაგრძნობისა, როგორც იუბილარს. ბეჭდვას უკვე შეუდგენი შენი აკაკი“. წიგნი გამოიცა ქუთაისში 1908 წელს ივანე კილაძის სტამბაში. გარდა სახელწოდებისა, წიგნის ყდაზე დაბეჭდილია: „საიუბილეო გამოცემა. მთელი ამ გამოცემის ღირებულებას ნიშნად ღრმა პატივისცემისა ვუძღვნო დიდებულ იუბილარს აკაკის 50 წ. მოღვაწეობის სახსოვრად. მიტროფანე ლალიძე“.

ამ წელს რამდენიმე წიგნი გამოვიდა საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით. საგულისხმოა, რომ თბილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოებამ გამოსცა აკაკის „რჩეული ლექსები მისი ცხოვრების მოკლე აღწერით“, რომელიც ხალხში უფასოდ გავრცელდა. ეს წიგნი, გარდა აკაკი წერეთლის მუზეუმისა, დაცულია მხოლოდ სალტიკოვ-შჩედრინის, სან. ზიბლიოთეკაში.

აკაკი წერეთელი თანამშრომლობდა იმდროინდელ თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემაში (ეჟრნალი, ვაზეთი, აღმანახი, კრებული). მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა „ცისკარში“, „დროებაში“, „მნათობში“, „ივერიაში“, „მრომაში“, „თეატრში“, „ჯეჯილში“, „კვალში“, „ნაკადულში“, „პატარა ვაზეთში“, „განათლებაში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, „თემში“, „ნიშადურში“, „მოამბეში“ და სხვა. საუკუნის მიწურულს აკაკიმ დაიწყო საკუთარი ეჟრნალის „აკაკის კრებული“ გამოცემა, რომელშიც თავის ნაწარმოებებთან ერთად ბეჭდავდა ზეპირსიტყვიერებას.

აკაკი მუდამ ხელმოკლეობას განიცდიდა და ცხადია, ყველა პერიოდულ გამოცემას ვერ გამოიწერდა (ესეც ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს იმისა, რომ პოეტის ბიბლიოთეკაში პერიოდულ გამოცემათა ერთგვარი სიღარიბე იგრძნობა). რედაქტორები კი ხშირად იმ ნომრებსაც არ უგზავნიდნენ, რომელშიც მისი ნაწარმოები იყო დაბეჭდილი. ამით უკმაყოფილო პოეტი, დროგამოშვებით თავის მეგობრებს გამოუტყუდებოდა ხოლმე. 1891 წლის 4 ივლისს პეტერბურგიდან იაკობ გოგებაშვილს წერდა: „ძმაო იაკობ! „ივერია“ არ წამიკითხავს 15 აპრილს აქეთ. არც „ჯეჯილი“ და ცოტა გული მწყდება და სახსარი არცა მაქვს რომ გამოვიწერო. ამდენ მგლებს, ე. ი. ექიმებსა და აფთიაქებს რა გაუძლებდა... პატივისცემით შენი მარად აკაკი“. ამავე საგანზეა ლაპარაკი მეორე წერილში, რომელსაც მისთვის ჩვეული იუმორით იოსებ იმედაშვილს უგზავნის: „ძმაო იოსებ! შენი ვაზეთის ნომრები, სადაც ჩემი სტენები იყო, ახლა მივიღე და გმადლობ. სხვები კი არ

მიგზავნიან, გარდა გოთუასი. „დროება“ რომ არ მომდის არ მიგვიწერა/ მაგრამ „მათრახი“ მაინც რატომ ენანებათ ჩემთვის, აღარ ვიცნობ/ ვხედავ/ მოყვარული აკაკი“.

გენერალური
შეფარება

დიდებულ პოეტს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა წიგნის მალაზი-
ის მეპატრონეებთან როგორც თბილისში, ისე ქუთაისში (ვასილ ბეჟა-
ნიშვილი, იოსებ მერკვილაძე, გრიგოლ ჩარკვიანი და სხვ.). აკაკისაც
უცდია საკუთარი წიგნის კიოსკის გახსნა, რის შესახებაც იუწყება გა-
ზეთი „სახალხო საქმე“: „მცხოვანმა პოეტმა აკაკიმ ტფ. ქალაქის გამ-
გეობას იჯარით თხოვა გოლოვინის პროსპექტზე ერთი საყენი ადგილი
კიოსკის დასადგმელად, სადაც მხოლოდ ამ მწერლის ნაწარმოებები
უნდა გაიყიდოს. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა შეიწყნარა და
ადგილი დაუთმო 8 წლით, თვეში ორ მანეთად, იმ პირობით კი, რომ
პოეტის სიკვდილის შემდეგ კიოსკი უფასოდ უნდა დარჩეს ქალაქს...“.
როგორც ჩანს, სახალხო მგოსნის ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი
დარჩა. აკაკი დიდად აფასებდა ნაბეჭდ პროდუქციას, წიგნს განძს, ოჯა-
ხის საუნჯეს უწოდებდა და იგი ყველაზე ძვირფას საჩუქრად მიაჩნდა.
ამიტომ იყო, რომ მას გულწრფელად სიამოვნებდა საჩუქრად მიღე-
ბული ყოველი წიგნი და თავის მხრივაც სიყვარულით უძღვნიდა ახ-
ლობებს საკუთარ წიგნებს. ცნობილი პუბლიცისტი და დრამატურ-
გი ნატალია აზიანი იგონებს: „...ერთხელ, ანასტასია წერეთლისას სა-
დილის შემდეგ ჩემი სურათი უჩვენეს წიგნში აკაკის. ამ სურათში,
მართლაც ძალიან გაველამაზებინე ფოტოგრაფს. აკაკიმ დახედა სუ-
რათს, მერე მე შემომხედა, თავი გადააქნ-გადმოაქნია ეჭვიანად და წა-
მოიძახა: წადი და ამიერიდან ფოტოგრაფებს დაუჯერო“. მე საშინ-
ლად მეწყინა, სხვები კი სიცილით კვდებოდნენ, რამაც უფრო გა-
მაწიწმატა. მეორე დღეს დიდებულმა პოეტმა ისე გამაბედნიერა, რომ
მთლად გამიქარწყლდა ჩემი მისდამი სამღურავი. შემოვიდა თუ არა
დრამატიული საზოგადოების კანტორაში, სადაც ბიბლიოთეკა იყო
მოთავსებული, თავის ლექსების კრებული გამომიშვირა და მითხრა:
„ჩემს სახსოვრად გქონდესო ესაო“. ჩემ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონ-
და, მეტადრე, როცა ყდა გადავშალე და აკაკის ხელით წარწერილი
ლექსი წავიკითხე:

„მწერალ ქალსა აზიანსა,
ნიჭიერს და აზრიანსა,
თანაც დიდად ბრაზიანსა!
თუ არ არგებს არ რას აწყენს
არ მოუტანს მას ზიანსა!“



ეს „აზრიანი“ და „ნიჭიერი“, ისე მეამა, რომ მაჭარივით თავში ამივარდა და ცა ქუდათ აღარ მიმაჩნდა, დედა-მიწა ქალამნათა, რამ რაც შეეხება „თანაც დიდად ბრაზიანსა“ სწორე მოგახსენოთ, არაფრად მეჭაშნიკა, მაგრამ მაინც დიდი მადლობა გადაუხუხადე. თითონ მეც მამა-შვილურად მეპყრობოდა და მაქვსებდა ჰიესების წერა განმეგრძო“.

დიდ მგოსანს პატარა ნიკო მაჩაბლისათვის (ივანე მაჩაბლის შვილი, აკაკის ნათლული) უჩუქებია წიგნი (კრილოვის იგავ-არაკების აკაკისეული თარგმანები, 1893 წ.). რომელზეც ლექსი წაუწერია:

ნიკო ამ იგავ-არაკებს
გაიხეპირებს ყველასა
და შერე ზღაპრად გადსცემს
მის დას... პატარა ელასა.

რომ გაათავეს წიგნს მომწერს:
„ვისწავლე ჩემო ძიო!
აწ სხვა წიგნს ველი! არ კმარა,
რაც დღემდე მოგიციო!“

მეც აფსრულე სურვილსა,
არ გაფუტყუნებ გულისთქმას,
როგორც ისწავლის გულდაგულ
და გაახარებს დედ-მამას!

სოფელ სავანეში, გრ. აბაშიძის ოჯახში ახლაც ინახება „თორნიკე ვრისთავის“ პირველი გამოცემა (1884 წ.), რომელიც სათანადო წარწერით აკაკის მიუზრთმევეა მარიამ აბაშიძისათვის.

აკაკის წიგნსაცავში დაცულია აგრეთვე ოჯახის წევრებისა და ახლობლების პირადი წერილები, საზოგადო მოღვაწეთა მოგონებები, სიგელები, თამასუქები, განჩინების ფურცლები, ადრესები. საინტერესოა აკაკის სახლ-მუზეუმში დაცული რელიქვია — ოდიკი. საბას განმარტებით ოდიკი ეს არის „წმინდა ბარძიძის ქუეშ საფენი“. მხატვრულად გაფორმებულ ოდიკზე დაბეჭდილია: „დროსა უკეთილმსახურესისა თვითმპყრობელისა დიდისა ხელმწიფისა იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძისა სრულიად როსიისა და სხვათა და სხვათა დაიბეჭდა წმინდა ესე ოდიკი საჩხერეს ნებითა და კურთხევითა ყოვლად უსამღვდელოესის საიმერეთოს არქიეპისკოპოსის და კავალერის სოფრონიოსის მიერ წელსა ჩუკბ, იანვრის კ-დღესა (1822 წ. იანვრის 20). ოდიკი საყურადღებოა იმით, რომ 1815 წელს საჩხერეში გამართული

იმერეთის სამეფო სტამბა მოქმედებას განაგრძობდა 1822 წელს, როდესაც იმერეთის სამეფო სტამბა დაუდგენელა.



სოფელ სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახლში მუზეუმი გაიხსნა 1939 წელს. მანამდე პოეტის სახლს და მის კარმიდამოს განაგებდა ჯერ ყოფილი მოურავი კოტე აბდუშელიშვილი (1929 წლამდე), შემდეგ კი კოტეს მეუღლე ანიკო თარხნიშვილი-აბდუშელიშვილისა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუზეუმს სათავეში ჩაუდგა ფრიად განათლებული და ენერგიული ადამიანი კოკი კეცერაძე, დაიწყო მუზეუმის წესრიგში მოყვანა და აკაკის პირადი ბიბლიოთეკის აღდგენა. ბევრი აკაკისეული წიგნი დაუბრუნდა მის ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკას ამჟამად ხელმძღვანელობს მუზეუმის ფონდის გამგე კლარა მაქარაშვილი, რომელიც რამდენიმე წელია ერთვულად ემსახურება ფონდის გამდიდრებისა და ბიბლიოთეკის დაცვის საქმეს. მუზეუმის ფონდი ივსება შეძენილი ახალი გამოცემებით და საჩუქრად მიღებული ლიტერატურით. ეს წიგნები აკაკის პირადი ბიბლიოთეკიდან ცალკეა გამოყოფილი და იმავე პირის გამგებლობაში იმყოფება. გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების შოღვაწენი მუზეუმს სთავაზობენ თავიანთ ნაშრომებს გულითადი ავტოგრაფებით. საჭიროდ მიმაჩნია მადლიერებით მოვიხსენიოთ იმათი სახელები, ვინც ასეთი განსაკუთრებული ყურადღება და გულისხმობა გამოიჩინა აკაკის მუზეუმის მიმართ. მუზეუმის წიგნად ფონდს ამშვენებს: ალექსანდრე კოჭლავაშვილის „აკაკი და ჭიათურის მარგანეცი“, კოტე კახიანის „გლეხის კარმიდამო იმერეთში“, ირაკლი გეშაბიძის „ზმნის წინი ძველ ქართულ ენაში“, უშანგი ობოლადის „აკაკი და ახალგაზრდობა“, დავით ჯამეზარდაშვილის „ილია და აკაკი“, მუხრან მაქავარიანის „ერთ-ტომეული“, მერი გუგუშვილის „რუსთაველი ვალაკტიონის პოეზიაში“, აპოლონ მახარაძის „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, აკაკი ხინთიბიძის „ლექსები“, ლევან ასათიანის „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, დავით ფანიშვილის „აკაკი წერეთელი საფრანგეთში“, ალექსანდრე ქუთელიას „აკაკი წერეთლის ფილოსოფიური და საზოგადო პოლიტიკური შეხედულებანი“ (რუსულ ენაზე), რადიელ შამელაშვილის „აკაკი წერეთლის ენის შესწავლა“, დავით ჩაქვეტაძის „აკაკი და საქართველოს ისტორია“, ვლადიმერ ზამბახიძის „ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური იდეები“.

კოკი კეყერაძემ, რომელიც ღრმობით წლის მანძილზე (გარდაცვა-
ლებამდე) გულმშურვალედ უძღვებოდა ერის სასიქადულო მგობრის
სახელმწიფო მუზეუმს, წიგნსაცავს ანდერძით დაუტოვა ორასი ცალი
ძვირფასი გამოცემა. მუზეუმს წიგნები და ძველი პერიოდული გამო-
ცემები აგრეთვე შემოსწირეს: მიხეილ დადიანმა, ნუგზარ ფოფხაძემ,
იპოლიტე ლამბაშიძემ, ნარგიზა ნადირაძემ, ნელი ახვლედიანმა.

მართალია, აკაკის წიგნსაცავი მასობრივი ბიბლიოთეკის როლს არ
ასრულებს (ასეთი ფუნქცია მას არც აქვს დაკისრებული), მაგრამ იგი
მნიშვნელოვან სამსახურს უწევს დაინტერესებულ მკვლევარებს და
მუზეუმის თანამშრომლებს. სხვადასხვა დროს აკაკის პირადი ბიბლი-
ოთეკით უსარგებლიათ გამოჩენილ მეცნიერებს, მკვლევარებს, მწერ-
ლებს: სიმონ ყაუხჩიშვილს, კოტე ბაქრაძეს, ალექსანდრე კოკლავა-
შვილს, ამბერკი გაჩეჩილაძეს, გიორგი ლეონიძეს, ირაკლი აბაშიძეს
და სხვებს.

აკაკის ბიბლიოთეკის ღრმად შესწავლა მომავლის საქმეა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აკაკი წერეთელი, თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. VII, 1959 წ.
2. სეთ იაშვილი, ჩემი წარსულიდან, 1965 წ.
3. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. IV.
4. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XV, 1963 წ.
5. ლევან ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1963 წ.
6. თეიმურაზ ჭანგულაშვილი (შემდგენელი) — წიგნი... წიგნი... წიგნი. 1981 წ.
7. იოსებ ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბილისი, 1968 წ.
8. გაზეთი „თბილისი“, 10 თებერვალი, 1990 წ.
9. ს. ზუციშვილი, ჯ. ქორჩილაძე, გ. შენგელია, ივანე ელიაშვილი, თბ., 1980 წ.
10. ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია), თბილისი, 1941 წ.
11. იოსებ იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი, თბილისი, 1978 წ.
12. გაზეთი „სახალხო საქმე“, 10 დეკემბერი, 1910 წ.
13. ლიტერატურის მატჩანე. წიგნი 3—4, 1942 წ. თბილისი.
14. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. II, 1941 წ.
15. მუზეუმის ფონდი, № 1808.

აპაკის

გული უზომო ტანჯვით მევესება,
თვალთაგან მცვივა მღულარე ცრემლი,
მას შემდეგ, რაც რომ ვადავიკითხე
მე შენი ლექსი „უკანასკნელი“.

რამ დავაღონა გმირო მგოსანო?
რამ შეარყია ეგ მტკიცე გული,
არა ერთგვარი ჭირის მნახველი
რისვან ხარ აგრე შეშინებული?

ნუთუ მისვან, რომ ავადმყოფობამ
მცირე რამ ხნობით მოგაკლო ძალი?
არა, მან ყველას უნდა გაუძლოს,
შენებრ ვისიც სჭირს გონების თვალი.

მიეშურები შენ წინაპრებთან,
ვინდა მოგვაკლო შენი ნათელი
და მის სანაცვლოდ გსურს დავვიტოვო
მხოლოდ და მარტო „უკანასკნელი“?

მაგრამ მგოსანო, ვერ ვაგიმეტებთ,
ჯერ ჩვენ არ ძალგვიძს შენი შელევა,
და მისთვის მარად გავედრებ ჯვარცმულს,
რომ იმან მოგცეს შენ ჭირთა ძლევა!

ოპარ ხაიაში ჩემს გიგლიოთეკაში

სამამულო ომის წლებია...

უნივერსიტეტი სულ ერთი წლის დამთავრებული მაქვს და თბილისის ქალთა მე-10 სკოლაში ვმუშაობ მასწავლებლად.

სკოლის შენობა, ახლა რომ სპორტის სასახლეა, იქიდან ცოტა მოშორებით იდგა. სპორტის სასახლე მოგვიანებით ააშენეს, იშვანად კი მის ადგილზე ყველა თბილისელისათვის კარგად ცნობილი „საბურთალოს ბაზარი“ იყო.

სკოლაში მიმავალსა და სკოლიდან მომავალს ბაზრის ტერიტორიაზე მიხდებოდა გავლა.

ბაზარი, რომ იტყვიან, დუღდა და გადმოდუღდა...

ღმერთო ჩემო! — რას არ ნახავდით იქ: ნახარ და ახალ ტანსაცმელსა თუ ფეხსაცმელს, უცხოურ წინდებს, საზეინკლო თუ სადურგლო ხელსაწყოებს, ჯამ-ჭურჭელსა თუ დანა-ჩანგალს, რვეულებსა თუ ფანქრებს...

უჭირდა ხალხს, უჭირდა და ყველაფერს, რასაც იმ დღისთვის მეტნაკლებად ზედმეტად მიიჩნევდა, ჰყიდდა. ჰყიდდა, რათა აღებული ფულით სურსათ-სანოვაგე შეეძინა.

და აი, ერთ დღეს მოვდივარ სკოლიდან და ვხედავ: ვიღაცას მიწაზე გაზეთი გაუშლია და ზედ გასაყიდად გამოტანილი წიგნები დაულაგებია. დავინტერესდი, მივედი ახლოს და თვალი გადავაკლე — ნაცნობი წიგნებია, თითქმის ყველა მაქვს... მაგრამ ეს, ეს ნაცრისფერყდიანი წიგნი, რომელსაც არც ავტორის გვარი აწერია და არც სახელწოდება, რა არის ნეტავი?

ავიღე წიგნი და გადავშალე.

სატიტულო გვერდი:

„ირანელი ლირიკოსები. თარგმანი ირანულიდან ამ. ჭელიძის მიერ. ფედერაცია, 1936“.

სარჩევში მითითებულია: - ომარ ხაიამი, ფირდოუსი, საადრ, ლალედინ რუმი ჰაფიზი და ასე შემდეგ — სამ ათეულზე მეტი ცოდვა გამხელილი ჯობს — უმეტესის სახელი ვაგონილიც და...

კიდევ ერთი გვერდი გადავფურცლე და ხაიამის პირველივე რობაიმ გამოაოგნა:

ორ დღის თავშესაზი თუ გაქვს ერთი პური,
ყელმოტეხილ დოჭში წყალი ცივი, საამური,
რატომ უნდა ემსახურო სხვა კაცს, შენზე მცირეს,
ან თვითონ შენ რაღად გინდა სხვისი სამსახური?

ეს რამოდენა სიბრძნეა ჩატეული ამ ოთხად-ოთხ სტრიქონში?! — გავიფიქრე ჩემთვის.

შემდეგი რობაი თითქოს აგრძელებს ამ, თუ შეიძლება ითქვას, თავისუფლების იდეას:

ვისაც ხელში ნახევარი პური აქვს,
და თავისთვის დასაჯდომი ყურე აქვს,
არც მონა ჰყავს და არც სხვას ემონება,
ქვეყნად იმას რაღა დასამღური აქვს.

გავაგრძელე კითხვა და... ჩემდაუნებურად კოტე ბაქრაძის ლექციები გამახსენდა ლოგიკისა, უნივერსიტეტში რომ მქონდა მოსმენილი: თითოეული რობაი სილოგიზმია — ორი წინამძღვარი და დანასკვი (მოგვიანებით შევიტყვე, რომ რობაი, საზოგადოდ, ფილოსოფიური ან ლირიკული ხასიათის ოთხსტრიქონიანი ლექსია სილოგიზმის მსგავსი და ჩემი იმდღევანდელი „აღმოჩენა“ თურმე სულაც არ ყოფილა აღმოჩენა...).

რაღა თავი შეგაწყინოთ, ბევრი აღარ მიფიქრია, მოვიჩხრიკე ჯიბეები და წიგნი შევიძინე. ახლა მას საპატიო ადგილი უკავია ჩემს ბიბლიოთეკაში. აქვე ვიტყვი, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, არცთუ დიდი ტირაჟით (3800) გამოცემული ეს წიგნი დიდი ხანია უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა...

ის დღე იყო და ის დღე — ხაიამის ტყვე გავხდი და მის წიგნებზე „ნადირობა“ დავიწყე. ამჟამად პირად ბიბლიოთეკაში ხაიამის რობაიების ოცდაათზე მეტი სხვადასხვა გამოცემა მაქვს — ზოგი ცელკე წიგნად, ზოგიც — კრებულებში. ორიოდე სიტყვას ვიტყვი რამდენიმე მათგანზე.

ალბათ აღმოსავლური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ 1959 წელს გამოშვებული ორ წიგნით უნდა დავიწყო (თითოეულის ტირაჟი — 10 000).

ჩემს ამ არჩევანს თუნდაც ის ამართლებს, რომ პირველ წიგნში მოთავსებულია ხაიამის რობაიების უძველესი — 1207 წლით დათარიღებული ხელნაწრის ფაქსიმილე, რომლის დედანი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საკუთრებაა. (დარწმუნებული ვარ, ზედებით, რომ ხელნაწრისა არაფერი გამეგება, მაგრამ ამ ძველი დამწერლობის თვალჩინება მაინც სიამოვნებას მგვრის და პერიოდულად ვადმოვიღებ ხოლმე წიგნის თაროდან).

რაც შეეხება მეორე წიგნს, აქ არის საკმაოდ სოლიდური გამოკვლევა რ. ალიევისა და მ. ნ. ოსმანოვისა, 293 რობაის რუსული პუკარედი და, აგრეთვე, ტექსტი თანამედროვე სპარსულ ენაზე. ამ შემთხვევაშიც არცთუ იშვიათად ვათვალისწინებ უცხო ენაზე დაწერილ ტექსტს, უფროაწმირად კი პუკარედს ვკითხულობ. ვკითხულობ და ვცდილობ აღვადგინო სათანადო რობაის ქართული ან რუსული პოეტური თარგმანი...

ორივე წიგნის რედაქტორია ცნობილი ორიენტალისტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ევგ. ბერტელსი (1890—1958). ვტიკრობ, ინტერესმოკლებული არ არის შემადგენი ნაწყვეტი მისი წინასიტყვაობიდან:

„...დაკვირვებულმა მკითხველმა არ შეიძლება არ შენიშნოს, რომ რობაიებს შორის მრავლადაა ისეთები, რომლებშიც ერთი და იგივე ფემაა გაშუქებული. ჩვენ გვხვდება თითქოსდა „კონები“ ოთხტაყბიანი ლექსებისა, ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდგომნი შინაარსით და განსხვავებულნი მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებით. ჩემი აზრით, შემდეგ პიპოთეზას შეუძლია ახსნას ხაიამის რობაიების ეს თავისებურება.

ცნობილია, რა ძნელ ვითარებაში მიმდინარეობდა მთელი მისი მოღვაწეობა. თუკი „მშვიდი“ ისტორიკოსებიც მის ლექსებს აღარებენ „შხამიან გველებს, რომლებიც შარიათს სუსხავენ“, გასაგებია, რა საშიშროება ემუქრებოდა მას ფანატიკურ ღვთისმეტყველთა მხრიდან. ხაიამს, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოუვიდოდა თავისი ლექსების შეკრება და გავრცელება, მით უმეტეს, რომ მათი თხზვა მას — დიდ მათემატიკოსს, სერიოზულ საქმედ არ მიაჩნდა. შესაძლოა ის წერდა



ქალაქის ნაგლეჯებზე და როდესაც მასთან მის თანამოაზრე სწავლულთა ჯგუფი იკრიბებოდა, ღვინის ჯამთან საუბრის დროს თხავდა მათ თავის უკანასკნელ ქმნილებებს. წარმოვიდგინოთ, რომ ხაიამის ხუთი მეგობარი, შინ მისვლისას ჩაიწერდა გავონილ ლექსებს, თითოეული მცირე გადახრით, ამა თუ იმ სიტყვის შეცვლით. ასე შეიქმნებოდა სულ ცოტა ექვსი ვარიანტი რობაისა, რომელთაგან თითოეულს, მათი შეკრებას შემდეგ ცალკე ლექსად იღებდნენ. ვარიანტების რაოდენობა გადაწერის დროსაც იზრდებოდა.

ამ მსჯელობიდან შემდეგი დასკვნა გვაქვს: როდესაც ჩვენ გვხვდება რობაიების „კონა“, ცხადია, რომ მისი აზრი, თემა თავად ხაიამს ეკუთვნის; ამა თუ იმ ვარიანტის „გაფორმების“ უტყუარობის დადგენა ახლა უკვე შეუძლებელია“.



ქართულად ხაიამი პირველად იუსტინე აბულაძემ თარგმნა („კავკასიონი“, 1—2, 1924). თარგმანს წინ უძღვის ჟურნალის რედაქტორის, პავლე ინგოროყვას წერილი — „ომარ ხაიამი“, რომელშიც იგი, კერძოდ, წერს:

„პირდაპირ საოცარია, რომ ქართულ ლიტერატურაში, მიუხედავად სპარსული მწერლობის დიდი გავლენისა, ომარ ხაიამის პოეზიამ სრულიად შეუმჩნეველად ჩაიარა. თვით ხაიამის სახელიც კი არ ყოფილა მოხსენებული ქართულად, და ეს გაკვირვითი შენიშვნა პირველია ამ მხრით.“

ხაიამის უქონლობა ქართულ ენაზე რასაკვირველია დიდ დანაკლისად უნდა ჩაგვეთვალა. ამიტომ „კავკასიონის“ რედაქციამ მიმართა წინადადებით სპარსოლოგ იუსტინე აბულაძეს დაემზადებინა ომარ ხაიამის სრული ქართული თარგმანი.

ეს თარგმანი შესრულებულია პროზით, იგი სიტყვა-სიტყვით თარგმანის ჩასიათს ატარებს, და რასაკვირველია ასეთ თარგმანში იჩრდილება პოეტური ელიბატიური სტილი ხაიამისა. მაგრამ როგორც დასაწყისი ხაიამის შესწავლისა ქართულად, ეს თარგმანი უთუოდ მისაღებაა“.

მართლაც, პროზაული თარგმანი ნაკლებად ემოციურია და, უდავოდ, ისეთი შთამბეჭდავი არ არის, როგორც პოეტური! მხოლოდ ერთი მაგალითით დავკმაყოფილდები.

აბულაძისეული თარგმანი:

ეს სურა, ისე ვით მე, ოდესღაც მწველი სიყვარულით
გამსჭვალული მიჯნური იყო;
იგი ტურფა თავის ზილფებისკენ მორჩილებით გადახრილიყო;
ხელი, რომელსაც ხედავ სურის ყელზედ ასე ნაზად მოხვეულს, —
საყვარელ არსების ყელს არა ერთგზის მოხვევია იგი.

ახლა მოუსმინეთ, როგორ უღერს იმავე რობაის პოეტური თარგ-
მანი შესრულებული ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ:

ერთ დროს ეს ჩემი ხელადა ალბათ ჩემსავით დელავდა,
მზეთუნახავის ნაწნავი ბორკავდა ქცეულს ხელადა,
ხელი რომ უდევს დონიჯად, ასე არ ჰქონდა ძველად,
მიჯნურის ყელზე ეხვია ლაღად და უღარდელად.

ქუეშმარიტად, დიდი ძალა პოეზიისა!

ამრიგად, ხაიაშის პირველ თარგმანებს შშობლიურ ენაზე ქართველი
ხალხი გაეცნო მხოლოდ 1924 წელს — ხაიაშის გარდაცვალებიდან თი-
თქმის რვა საუკუნის შემდეგ!

ეს თარგმანები, როგორც ვთქვი, პროზაული იყო. რაც შეეხება რო-
ბაიების პოეტურ თარგმანებს, მათ შხის სინათლე 1936 წელს იხილეს —
გამომცემლობა „ფედერაციის“ მიერ გამოშვებულ ზემოთ დასახელებ-
ბულ წიგნში — ირანელი ლირიკოსები, რომელშიც ხაიაშის 483 რო-
ბაია წარმოდგენილი. თავს ნებას მიცემ და რამდენიმე სიტყვას ვი-
ტყვი მათ მთარგმნელზე — ამბაკო ჭელიძეზე. ვფიქრობ, ეს საჭიროა,
რადგან ცოტა ვინმე თუ იცნობს ამ საზოგადო მოღვაწესა და მწე-
რალს.

ამბაკო ჭელიძე დაიბადა 1878 წელს სოფ. ბაჯში (ახლანდელი ამბ-
როლაურის რაიონი). 1895 წელს მუშაობდა „ივერიის“ რედაქციაში.
მოგვიანებით, როგორც ფინანსისტმა, ექვსი წელი (1923—1929) დაჰყო
ირანში, სადაც მონაწილეობა მიიღო რუსეთ-სპარსეთის ბანკის დაარ-
სებაში. აღმოსავლური ენების შესანიშნავმა მცოდნემ დიდი მთარგმნე-
ლობითი სამუშაო შეასრულა, რითაც აღადგინა სპარსულიდან ქარ-
თულად თარგმნის საუკუნეების მანძილზე მივიწყებული ტრადიცია.
კერძოდ, სპარსულ და ირანულ ლირიკოსებს გარდა, მან თარგმნა ნი-
ზამის პოემები „ლეილი და მეჯუნნი“, „ხოსროვ და შირინი“, საადის
„ბუსთანი“ და სხვა. დიდი ინტერესით იკითხება მისი მოგონებანი —
„ექვსი წელი სპარსეთში“. გარდაიცვალა ამბაკო ჭელიძე თბილისში,
1940 წელს.

„ირანელი ლირიკოსების“ შემდეგ, 1946 წელს გამოიცა კვლავ ქე-
ლიძისეული თარგმანები ხაიაშისა, ახლა უკვე ცალკე წიგნად: ომარ

ხაიამი, „რობაიათი“. იგი ძირითადად აღრიხნდელ თარგმანებს
ცავდა.

მოვიდა მთარგმნელთა ახალი თაობა — მაგალი თოდუა, ვახუშტი
კოტეტიშვილი, თამაზ ჩხენკელი, ნომადი ბართაია, გივლა სარიშვილი
და ქართველმა მკითხველმა მიიღო ხაიამის რობაიების ახალი თარგმა-
ნები. მათი უმრავლესობა შესულის კრებულში: „ალმოსაქლური
პოეზია“, „არმალანი“, „სპარსული პოეზიის ნიმუშები“, „ირანული
პოეზია“...

დიდი კმაყოფილება მომანიჭა „ნაკადულის“ მიერ 1963 წელს
ომარ ხაიამის „რობაიათის“ გამოცემა. ამ პატარა წიგნში, რომელიც
„მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოვიდა, წარმოდგენი-
ლია ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანები — სულ 150 რობაი, რო-
მელთაგან თითოეული ცხოვრებისეული სიბრძნით არის აღსაყვ-
დიდ გოეთეს უთქვამს, — თარგმანი შუშის ხუფქვეშ მოთავსებული
თაიგულიაო, მაგრამ ამჯერად.. ეს მგონი ასე არ არის: ბატონ ვახუშ-
ტის თარგმანები ისეთი ოსტატობითაა შესრულებული, რომ სურნე-
ლების მფრქვევ თაიგულს მოგვაგონებენ. მჯერა, რომ ყველა, ვინც
მათ იცნობს, გაიზიარებს ამ აზრს.

კიდევ ორი წიგნი მიწა დავასახელო. ერთი — „ირანული პოეზია“,
რომელიც „მსოფლიო ლიტერატურის“ სერიით გამოსცა „საბჭოთა სა-
ქართველომ“ 1977 წელს, ხოლო მეორე — კვლავ „ნაკადულის“ მიერ
გამოცემული, ახლა უკვე მინიატურული წიგნი: ომარ ხაიამი, რობა-
იები. ეს უკანასკნელი, პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე შესრულე-
ბული, სამწუხაროდ ძალიან მცირე ტირაჟით (5000) გამოვიდა. ეჭვი
არ მეპარება, რომ ტირაჟის გაზრდა ოთხჯერ და მეტჯერაც კი შეიძ-
ლებოდა! (ხომ არ გაიმეორებს „ნაკადული“ ამ გამოცემას? — ეს შე-
სანიშნავი საჩუქარი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის).

ახლა ხაიამის რუსული თარგმანების შესახებ.

იმ წიგნებს შორის, რომლებიც ჩემს ბიბლიოთეკაშია, არის მოსკოვ-
ში, ბაქოში, ტაშკენტსა და ლუშანბეში გამოცემული ხაიამის რობაიათე-
ბი. მაქვს აგრეთვე კრებულები, რომლებშიც რობაიების თარგმანებია.

ყველა წიგნზე, ცხადია, ვერ ვილაპარაკებ, — ეს აღბათ, არცაა სა-
ჭირო, — მაგრამ ორზე კი აუცილებლად უნდა შევჩქერდე, ესაა:

1. ომარ ხაიამი; როზაიები. თარგმანი რუმერისა და ტხორევესკისა, გამომც. „ხუდოესტვენნაია ლიტერატურა“, მოსკოვი, 1955.

2. ომარ ხაიამი; „როზაიათი“. თარგმანი გერმანე პლისეცისა, გამომც. „ნაუკა“, მოსკოვი, 1975.

ხაიამის რუსულ თარგმანებს სწორედ პირველი წიგნით გავეცანი და ეს არის მიზეზი იმისა, რომ ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ გამორცემული ეს წიგნი ჩემთვის ასე ძვირფასია. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლი მთარგმნელთა ოსტატობამაც ითამაშა!

მეორე წიგნთან დაკავშირებით ვიტყვი შემდეგს: სამოციანი წლების ბოლოს, გამომცემლობა „ნაუკას“ აღმოსავლური ლიტერატურის მთავარმა რედაქციამ გამოაცხადა კონკურსი ხაიამის ახალ თარგმანებზე. კონკურსში ბევრმა მიიღო მონაწილეობა, ზოგი მათგანი მეტად გამოცდილი იყო, ზოგიც — ნაკლებად. პირველი პრემია მიენიჭა თითქმის უცნობ პოეტს — გერმანე პლისეცის, რომელმაც, რამდენადაც მე შემიძლია ამაზე ვიმსჯელო, მართლაცდა მშვენივრად თარგმნა ჩემისაყვარელი პოეტის 450 როზაი.

სულ მალე — 1972 წელს გამომცემლობამ დასტამბა პლისეცისეული თარგმანი „როზაიათისა“ (ალბათ ეჭვი არ გეპარებათ, რომ წიგნი უმალ შევიძინე). სამი წლის შემდეგ კი გამოვიდა მეორე გამოცემა ამ წიგნისა, სწორედ ის, რომელიც ზემოთ ვახსენე.

იშვიათად მინახავს ასე კარგად გამოცემული წიგნი! იგი მცირე ზომისაა (13×11 სმ), დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე, ჩასმულთა მაგარ შინდისფერ ყდაში, აქვს სიმპათიური სუბერი, დამშვენებულია გრაფიკის შესანიშნავი ოსტატის — ან. კალაშნიკოვის ორიგინალური ნამუშევრებით და... ძალზე მცირე ტირაჟით — სულ 5000 ცალი! — არის გამოცემული.

ალბათ ყველა ბიბლიოფილი მიხვდება, თუ რატომ ვამყობ იმით, რომ ასეთი წიგნის მფლობელი ვარ...



ქართულისა და რუსულის შემდეგ, ბუნებრივია შევეხო ხაიამის თარგმანებს უცხოურ ენებზე.

სამწუხაროდ, ამ მხრივ ძალზე ღარიბი ვარ — მაქვს მხოლოდ ერთი წიგნი: ედვარდ ფიცჯერალდის მიერ ინგლისურად თარგმნილი 75 როზაი, გამოცემული ნიუ-იორკში.

ღიას, მხოლოდ ერთი წიგნი მაქვს, მაგრამ მაინც ვფვლი, რომ ის

ჩემი ბიბლიოთეკის მშვენიერებაა. ასეთი შეხედულებისა შემდეგი ^{ორი} ფაქტის გამო ვარ.

ჯერ-ერთი, ხაიამი ევროპას გააცნო სწორედ ფიცქერალდმა, რომ მელმაც 1859 წელს გამოაქვეყნა დასავლეთისთვის სრულიად უცნობი პოეტის ასამდე რომაის ინგლისური თარგმანი.

მეორეც, წიგნი კარგად, მაღალხარისხოვნადაა გამოცემული — დაბეჭდილია მეტად კარგ ქაღალდზე, ამასთანავე ყოველ ლუწნომრიან გვერდზე მხოლოდ ერთი რომაია, ხოლო მომდევნო — კენტნომრიან გვერდზე შესაბამისი ილუსტრაცია.

წერილის წერა რომ დავიწყებ, გადაწყვეტილი მქონდა მხოლოდ წიგნებზე მესაუბრა და წერტილი დამესვა. მაგრამ შემდეგ, წერის პროცესში, კიდევ და კიდევ რომ ვათვალისწინებდი ამა თუ იმ გამოცემას და, ჩემდაუნებურად, ვკითხულობდი რომაიებს, ვიფიქრე: განა შეიძლება არაფერი ვთქვა ზოგ იმ იდეაზე მაინც, ასე ბრწყინვალედ რომ არის გადმოცემული ამ ოთხტაეპიან ლექსებში?!

მერე ისიც უპრიანად ჩათვალე, წინასწარ თუნდაც მოკლედ მომეთხრო ხაიამის ცხოვრებასა და მეცნიერულ მოღვაწეობაზე.

ამიტომაც მკითხველთან ბოდვის ვიხდი, თუ წერილი ცოტა დიდი გამოვიდა. დამიჯერეთ, სხვანაირად არ შემეძლო — დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მექნებოდა!..

ომარ ხაიამის სრული სახელია: ყიას ედ-დინ აბუ-ლ-ფათჰ ომარ იბნ იბრაჰიმ ხაიამ ნიშაბური.

ომარი მისი საკუთარი სახელია, ყიას ედ-დინ — საპატიო მეტსახელი, რომელიც მას, როგორც მეცნიერს შემდგომში მიუღია, აბუ-ლ-ფათჰ ნიშნავს ფათჰის მამას (თუმცა სრულიადაც არაა სავალდებულო, რომ მას შვილი ჰყოლოდა სახელად ფათჰ — ეს იმდროინდელი ტრადიციაა), იბნ იბრაჰიმ — იბრაჰიმის ძეს, ნიშაბური ქალაქია, რომელშიც იგი დაიბადა (და გარდაიცვალა კიდევ). დაბოლოს, ხაიამ სიტყვა-სიტყვით მეკარგეა და მიუთითებს მის წინაპართა ხელობაზე. (სხვათა შორის, ქართულად რომ ვამბობთ ხამი ქსოვილიაო, ესე იგი, დაუმუშავებელი, გამოუყვანელი, ეს ხამი სწორედ ამ სპარსული სიტყვისაგანაა წარმოშობილი).

ომარ ხაიამის წიგნები ბიბლიოფილ ა. ბენდუქიძის კოლექციიდან





დიდხანს ხაიამის დაბადების წლად 1040, ხოლო გარდაცვალებით
სა — 1123 იყო მიჩნეული. მაგრამ ახლა დადგენილია, რომ ომარ ხაიამის
იამი დაიბადა 1048 წლის 18 მაისს და გარდაიცვალა 1131 წლის 4 დე-
კემბერს.

საიდან ასეთი სიზუსტე? — იკითხავს მკითხველი.

დაბადების თარიღი დადგენილი იყო პოეტის ჰოროსკოპის მიხედ-
ვით, ხოლო რაც შეეხება გარდაცვალების თარიღს, იგი ნიჰამი სამარ-
ყანდელის მონათხრობის, XV საუკუნის ერთი ხელნაწერისა და სხვა
მონაცემთა შეჯერებით იქნა დაზუსტებული. საინტერესოა, რომ ამ
კვლევისას არსებითი როლი შეასრულა ხაიამის გარდაცვალების
დღის — ხუთშაბათის ცოდნამ! (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ
მითხრობილია მათემატიკის ცნობილი ისტორიკოსების ბ. ა. როზენ-
ფელდისა და ა. პ. იუშკევიჩის წიგნში: „ომარ ხაიამი“, რომელიც
1965 წელს გამოიცა მოსკოვში. შევნიშნავ, რომ ეს წიგნი, სპეცია-
ლისტთა აზრით, ერთი საუკეთესო მონოგრაფიაა ომარ ხაიამის შესა-
ხებზე).

ზემოთ ვთქვი, რომ 1859 წელს გამოვიდა ცნობილი ინგლისელი
პოეტის ფიცჯერალდის თარგმანი ხაიამის „რობაიათისა“. მან იმთა-
ვითვე მიიქცია ყურადღება. ერთ ინგლისელ პოეტს უთქვამს, რომ ეს
თარგმანი არის „მზისაღარი პლანეტა, რომელიც მზემ სივრცეში გა-
დატყორცნა“.

გასულ საუკუნეში ფიცჯერალდის თარგმანი კიდევ რამდენჯერმე გა-
მოიცა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ხაიამის პოეზიის ფართო სარ-
ბიელზე გავლას. ხაიამით დაინტერესდნენ, იგი ითარგმნა სხვა ენებ-
ზეც და სულ მალე მთელმა მსოფლიომ გაიცნო მანამდე უცნობი პო-
ეტი.

ხაიამი-პოეტი ამჟამად მეტად პოპულარული ფიგურაა. ამასთა-
ნავე, ბევრმა არ იცის, რომ რობაიების თხზვა მისთვის ერთგვარი ჰო-
ბი იყო და ის უწინარესად მეცნიერია, თანაც თავისი დროის ერთი
უდიდესი მეცნიერი — მათემატიკოსი, ასტრონომი, ფილოსოფოსი...

რამდენადაც ხაიამის ახალგაზრდობის წლების შესახებ, სამწუხა-
ნაროდ, არავითარი ცნობა არ მოიპოვება, ამიტომ არავინ იცის სად
და რას სწავლობდა იგი. მაგრამ მისი მათემატიკური, ასტრონომიული,
ფილოსოფიური და, აგრეთვე, ფიზიკური ტრაქტატები გვარწმუნებენ,
რომ განსწავლისას ის საფუძვლიანად გაცნობია მეცნიერების კლა-
სიკოსებს — არისტოტელეს, არქიმედეს, ევკლიდეს, აპოლონიოსის,
პტოლემეოსის, ალ-ხორეზმისა და სხვათა შრომებს. ამას გარდა, ერთი

გადმოცემა გვამცნობს, რომ იგი ყურანის ბრწყინვალე მკოდნე ფილა.

პირველი დამოუკიდებელი ნაშრომი ხაიამს 21—22 წლის ასაკში დაუწერია. იგი დაკარგულია, მაგრამ, რამდენადაც მისსავე ერთ ალგებრულ ტრაქტატში არის საუბარი ამ ნაშრომზე და შიღებულ შედეგზეც, მეცნიერების ისტორიკოსები ასკვნიათ, რომ მასში ხაიამს რიცხვიდან ნებისმიერი ხარისხის ფესვის ამოღების ალგორითმი აქვს მოცემული. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული ალგორითმის დასადგენად იუტილებელია ეგრეთ წოდებული ბინომის ფორმულის ცოდნა. ამ ფორმულას, როგორც წესი, ნიუტონის სახელს უკავშირებენ („ნიუტონის ბინომი“), რადგან იგი არის ნიუტონის მიერ დადგენილი ზოგადი ფორმულის კერძო შემთხვევა. ამრიგად, დაბეჭდილებით შეიძლება ითქვას, რომ ბინომის ფორმულა ან ხაიამამდე იყო ცნობილი ან, რაც უფრო სარწმუნოა, თავად მის მიერაა მიღებული.

ამ ნაშრომს მოჰყოლია ალგებრული ტრაქტატი, რომელიც მეორე და მესამე ხარისხის განტოლებათა ამოხსნას ეძღვნება. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მესამე ხარისხის განტოლებათა შემთხვევა. საქმე ის არის, რომ მეორე ხარისხის, ანუ კვადრატული განტოლება, როგორც ეს, მკითხველო, ალბათ გახსოვთ, ალგებრის სასკოლო კურსში შეისწავლება და საფუძვლიანადაც, სულ სხვაა მესამე ხარისხის განტოლება. საკმარისია ითქვას, რომ მის ზოგად ალგებრულ ამოხსნას მათემატიკოსებმა მხოლოდ XVI საუკუნეში მიაღწეს! ხაიამი თავის ტრაქტატში ახდენს ასეთ განტოლებათა კლასიფიკაციას და იძლევა მათი ამოხსნის გეომეტრიულ მეთოდს.

ახალგაზრდა კაცის მეცნიერული მიღწევები შეუთმჩნეველი არ დარჩენია შაჰს. 1074 წელს იგი კარზე მიუწვევია და მალე ისპაანის ობსერვატორიას ჩასდგომია სათავეში. ხაიამმა თავის თანამშრომლებთან ერთად შეიმუშავა ახალი კალენდარი, რომელიც არამცთუ იმ დროს მოქმედ, არამედ ამჟამინდელ — გრიგორიანულ კალენდარზე უფსტია. სამწუხაროდ, საკალენდრო რეფორმის გატარება ვერ მოხერხდა — ხაიამის მფარველი ვეზირი მოკლეს, შაჰი გარდაიცვალა და ობსერვატორია დაიხურა. ხაიამი, რომელსაც ახალი მბრძანებლის რისხვა არ ასცდებოდა, გაშორდა იქაურობას — მექაში წავიდა სალოცავად.

შემდგომში ხაიამი მაინც შეეცადა ახალ მმართველთა ყურადღება მიექცია საკალენდრო რეფორმისთვის და ამ მიზნით დაწერა სპეციალური წიგნი — „ნავრუზ-ნამე“ (ნავრუზი ახალი წლის დღესასწა-

ულია). მასში მიმოხილულია სხვადასხვა კალენდარი, მოთხრობილია ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებული მრავალი გადმოცემა. მოცემულია სამედიცინო ხასიათის რჩევები და სხვა. მეცნიერის ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

ისპანის პერიოდი ყველაზე ნაყოფიერი იყო ხაიამის მეცნიერულ მოღვაწეობაში. გარდა ზემოხსენებული ასტრონომიული გამოკვლევებისა, აქ დაწერა მან ფილოსოფიური ტრაქტატები და დიდად საგულისხმო გეომეტრიული ტრაქტატი — „ევკლიდეს წიგნების ძნელი პოსტულატების კომენტარები“.

როგორც არასპეციალისტი, თავს ვიკავებ ფილოსოფიურ ტრაქტატთა განხილვისგან. ვიტყვი მხოლოდ, რომ მათი რუსული თარგმანები დამატების სახით დართული აქვს 1957 წელს სტალინბადში გამოცემულ ს. ბ. მოროჩნიკისა და ბ. ა. როზენფელდის წიგნს: „ომარ ხაიამი — პოეტი, მოაზროვნე, მეცნიერი“.

რაც შეეხება გეომეტრიულ ტრაქტატს, მასზე დაწვრილებით საუბარს არ ვაპირებ. — კარგად მესმის, რომ აქ ამის ადგილი არ არის, — მაგრამ არც ის შემიძლია, არაფერი თქვა მის შესახებ.

ძველი წელთაღრიცხვის IV და III საუკუნეების მიჯნაზე დაწერილი ევკლიდეს „საწყისები“ უჭკნობი მათემატიკური თხზულებაა. იგი ცამეტი წიგნისგან შედგება, მაგრამ ეს არის ერთიანი, ფუნდამენტური გამოკვლევა, რომლის ავტორმა მიზნად დაისახა — და კიდევ მიაღწია ამ მიზანს! — სულ რამდენიმე აქსიომასა და პოსტულატზე დაყრდნობით, მკაცრი ლოგიკური მსჯელობით დაედგინა ძველი ბერძენი-სათვის ცნობილი თითქმის ყველა გეომეტრიული და არითმეტიკული ჭეშმარიტება.

ევკლიდეს მიერ ჩამოყალიბებულ პოსტულატებს შორის უკანასკნელმა — მეხუთემ. თავიდანვე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება. ამის მიზეზი ის არის, რომ იგი ისე ლაკონიური არ არის, როგორც დანარჩენები და, გარდა ამისა, ნაკლებად თვალსაჩინოა. ბევრი ფიქრობდა, რომ ეს პოსტულატი ზედმეტია და შეიძლება დამტკიცებულ იქნეს დანარჩენებზე დაყრდნობით. საოცარია, მაგრამ ოც (!) საუკუნეზე მეტი დასჭირდა იმის დადგენას, რომ ეს ასე არ არის.

აი, სწორედ ამ პოსტულატზე მსჯელობს ხაიამი ტრაქტატის პირველ წიგნში (ტრაქტატში სულ სამი წიგნია). ხაიამს არ ეპარება ეჭვი მის ჭეშმარიტებაში, მაგრამ თვლის, რომ იგი ნაკლებად თვალსაჩინოა ვიდრე ზოგიერთი თეორემა, რომელსაც ევკლიდე ამტკიცებს. იგი

აყალიბებს „ფილოსოფიურ პრინციპებს“ და შემდეგ იკვლევს მის
მეხუთე პოსტულატის შესახებ.

ტრაქტატის მეორე და მესამე წიგნებში შეფარდებებსა და რიცხ-
ვებზეა საუბარი. ესეც ერთ-ერთი ურთულესი საკითხია „საწყისებში“
და აქაც საბოლოოდ იგი მხოლოდ XIX საუკუნეში იყო გარკვეული,
თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხისადმი მიძღვნილ კვლევათა
ჯაჭვში ხაიმის მოსაზრებებს უთუოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკა-
ვიათ.

ისპანიდან იძულებით წამოსვლის შემდეგ, ხაიმის ცხოვრება
აიწყწა: შერისხული, ის იძულებულია ქალაქიდან ქალაქში გადავიდეს,
რათა მოერიდოს მისი დამი მტრულად განწყობილთ.

სიცოცხლის ბოლო ათი-თხუთმეტი წელი იგი მშობლიურ ქალაქ
ნიშაბურში განმარტოვდა. მას ისლა დარჩენია წარსული დიდება გა-
იხსენოს და თავისი გულისტკივილი ქალაქს გაანდოს:

რადგან ჩვენს დროში არცინ ფასობს ჰუა-გონებით,
მხოლოდ უგუნური ნებივრობენ ქვეყნის კონებით,
მომეცი ღვინო, ისეთი, რომ ჰუა წამართვას,
ბედი მომხედავს და უთუოდ მოვეწონები.

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა)

ან კიდევ:

ფუჰად ირჯება ის, ვინც იღვწის ჰუა-გონებით,
ძროხის მაგივრად ხარსა სწველის თავმომწონებით,
სჯობს, რომ უგუნურად შეიმოსოს, რადგან ჩვენს დროში
ქვეყნად სიბრძნეზე მეტად ფასობს პრასის კონები.

(თარგმანი მისივე)

ხაიმის ცხოვრებას რომ ეცნობი, გაკვირვებულნი რჩები ამ ბრძენი
ადამიანის ბედით და ცდილობ ყოველივე ეს იმით ახსნა, რომ მაშინ
მეცნიერთა აღზევება თუ შერისხვა მმართველთა ხელთ იყო. მაგრამ...
განა შემდეგშიც არ მეორდება იგივე?! განა აღორძინების ხანის უთ-
ვალსაჩინოესი წარმომადგენლების გალილეო გალილეის და ჯორდანო
ბრუნოს ხვედრი უარესი არ იყო? ანდა ჩვენი თანამედროვე — აკადე-
მიკოსი სახაროვი ცოტა ხანს იყო შერისხული და განდევნილი?

როგორც ჩანს, რალაც საოცარი და აუხსნელი კანონზომიერების
ძალით მსგავსი შემთხვევები ყველა დროსა თუ ეპოქაში ხდება...

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ხაიამის ფილოსოფიურ ტრაქტატებზე საუბრისაგან თავს ვიკავებ-მეთქი ჩემი არაპროფესიულობის გამო. დამატებით ვიტყვი, რომ შვედევართა აზრით, ხაიამის მსოფლმხედველობაზე შესჯელობა მისი ფილოსოფიური შრომების მიხედვით, ერთობ ძნელია — შკაცრი რელიგიური ცენზურა აიძულებდა მას ფრთხილი ყოფილიყო და ბოლომდე არ ეთქვა ყველაფერი. სამაგიეროდ რობაიებში, რომელთაც ის თავისუფალ დროს თხზავდა და, ბერტელსის ვარაუდით, თანამოაზრეებს უკითხავდა, იგი არაფრით არ იყო შეზღუდული...

ერთ-ერთი ძირითადი თემა, რომელსაც ხაიამის პოეზიაში ვხვდებით, ესაა თავისუფლების თემა. მისი აზრით, ყველა ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს, დაკმაყოფილდეს იმით, რაცა აქვს და არ ისწრაფვოდეს მომხვეჭელობისაკენ. ორი რობაი, რომლებშიც ეს თემა მართლაცდა შთამბეჭდავად არის გახსნილი, წერილის დასაწყისშივე მოვიყვანე. აი, კიდევ ორი:

ისინი, ვინც ამ ქვეყნის დოვლათს შეისყიდიან,
ოცნების რაშზე ცის სფეროში ამაყად ზიან...
და თუ განვსჯით იმათ ყოფას გონების თვალთ,
ვნახათ: ისინი, ვით ცის თალი, თავქვე ჰკიდიან.
(თარგმანი ამბ. ჭელიძისა)

როდესაც ვინმე თავს წამოჰყოფს, იტყვის — ეს მე ვარ!
ოქრო და ვერცხლით იამაყებს, იტყვის — ეს მე ვარ!
როცა მთლიანად მისი საქმე აეწყო თითქოს,
მოვა სიკვდილი, მიამიტად იტყვის — ეს მე ვარ!
(თარგმანი ნ. ბართაიასი)

ხაიამს არ მოსწონს, რომ ადამიანის ყოფა ბედზეა დამოკიდებული:

ბედო, არ მომწონს შენი ჩარხის ბრუნვა ცბიერი,
გამააზატე, საბორკილე არ მაქვს იერი,
შენ თუ მარტოდენ უგნურს და უვიცს უღიმი,
მოდი, არც მე ვარ დიდად ბრძენი და გონიერი.
(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა)

ანდა:

ბედი ჰადრაკს თამაშობს, ჩვენ კი ვგავართ პაიკებს,
ტყუილს კი არ გეუბნები, მართალს ვამბობ, გაიგე!

მთელი ჩვენი ცხოვრება ერთი სათამაშოა,
დრო მოვა და აქედან გუდა-ნაბადს აიკრეფ!

(თარგმანი მ. თოღუასი)



ბევრ რობაიში ხაიამი ღვინის სმისკენ მოუწოდებს — დალიე ღვინო, ნუ ფიქრობ მომავალზე! გაკვირვებას იწვევს, რომ ისეთი ბრძენი კაცი, როგორც ხაიამია ამგვარ რამეს ქადაგებს. ალბათ ეს მისთვის არის ერთი საშუალება ალაპთან ბრძოლისა, რომელიც, როგორც ცნობილია, მორწმუნეთ ღვინის სმას უკრძალავს. უსმინეთ, რას ამბობს პოეტი:

მას შემდეგ, რაც კი მზე და მთვარე ცაზე ჰკიდია,
მადლი ღვინისა ამა ქვეყნად დიდზე დიდია.
ისინი, ღვინოს გასაყიდად რომ იმეტებენ,
ვერ გამოიგია, ღვინოზე კარგს რას იყიდიან.

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა)

ღვინო ანელებს ქედმაღლობას ამაყთა ზედა,
მას ძალუძს ახსნა და დამსხვრევა ბორკილთა მძლეთა,
ეშმაკს ამ ღვინის ერთი წვეთიც რომ დაეღია,
მორჩილი მონა იქნებოდა ადამის ძეთა.

(თარგმანი მისივე)

რაც არ უნდა აძაგონ, ვამბობ: ღვინო კარგია!
და ვინც ამას უარყოფს, ჰკუა დაუკარგია.
ზოგჯერ, რასაც კრძალავენ, სწორედ იგი გვეპირდება
და რასაც არ კრძალავენ, ის არაფრად გვარგია.

(თარგმანი მ. თოღუასი)

ამბაკო ტელიძეს მოჰყავს ერთი ლეგენდა, რომელიც „სისწორით ახასიათებს ხაიამს, როგორც პირდაპირი სიტყვის ოსტატს, ღმერთთან მებრძოლს...“ აი, ეს ლეგენდა:

„ხაიამი ღვინოს სვამდა. უცებ ქარმა წამოუბერა, დოჭი გაუტეხა და ღვინო დაუღვარა. ხაიამმა მიმართა ღმერთს საყვედურით:

საღვინე დოჭი ჩემი რისთვის გატეხე, ღმერთო,
დამიხშე კარი სიხარულის, ლხენა წამერთო,
ლალივით ღვინო, შენ უფალო, ძირს დამიდვარე,
მიწა ჩემს ენას! ვაჰ, ნუთუ შენც დათვერი ღმერთო?

ღმერთი გაჯაერდა. ხაიამს სახე მოუქცია. ხაიამმა ისევ ლექსით მიმართა ღმერთს:

ვინც იყო ქვეყნად, ვინ გადარჩა აქ უცოდველი,
ვინც არ შესცოლა, როგორ განვლო წუთისოფელი.
მე ვქენი ცული, შენაც ცულად გადამიხადე,
სადაა ჩვენში განსხვავება, მე პასუხს ველი..

ამის შემდეგ ხაიამს ისევე გაუსწორდა სახე. ერთი სიტყვით, ხალხის
გაგებით ხაიამმა ღმერთი შეარცხვინა, დაამარცხა“.

ხაიამს არ მოსწონს ეს ქვეყანა, თვლის, რომ შემოქმედს იგი უკე-
თესიად უნდა მოეწყოს:

რომელმან შექმნა ეს სამყარო და ცის თაღები,
თავის ქმნილებებს არსებობას უსპობს განგებით.
თუ ცულად შექმნა, ვის მიუძღვის ამაში ბრალი?
და თუ კარგია, რაღად ამსხვრევს მათ ხელაღებით?

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა)

ღმერთი რომ ვიყო, მექნებოდა ერთი წადილი,
რომ ამა ქვეყნად მომეყვანა წარღვნა ნამდვილი
და კვლავ შემექმნა სხვა სამყარო, სადაც ცხოვრება
ხალხს თავისუფალს ექნებოდა უფრო ადვილი.

(თარგმანი მისივე)

ხაიამს სძულს სიცრუე, იგი თვლის, რომ აღამიანმა სხვებზეც და
თავის თავზეც მხოლოდ სიმართლე უნდა თქვას:

შეიხმა მეძავს უთხრა: „ქალო, ავი ზნისა ხარ,
ხან ერთისა ხარ, ხან მეორის, ხან კი სხვისა ხარ“.
„ჰო, მართალია, — თქვა მეძავმა, — მე არა ვფარავ,
მაგრამ შენ რაც ხარ გარეგნობით, შიგნიც ისა ხარ?“

(თარგმანი ამბ. ქელიძისა)

ერთი უსაყვარლესი თემა ხაიამისა მატერიის მუდმივი მიმოქცე-
ვაა და ამ თემას ის მეტად მოხდენილად უკავშირებს ჩვენს ცხოვრე-
ბას:

ოდეს ღვინით შევზარბოშდი და შევიქენ ხელად,
გამოვცალე ხელადა და ქვას ვახლე ხელად.
შენც ასეთი დღე გელისო, შემომესმა უცებ,
ვინაიდან მეც შენებრი ვიყავიო ძველად.

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა)

გუშინ ბაზარში ჩავიარე და მეცა ელდა.
მეჭოთნე ვინმე მიწას ფეხით უხეშად ზელდა.

გმინავდა მიწა: მეც შენსავით კაცი ვიყავი,
ფრთხილად, შენც მიწად გადაგაქცევს სიმრავლე წელთა.
(თარგმანი მისივე)



შენ კარგად იყავ, ეს ქვეყანა ასე იქნება,
ამ ვარსკვლავთაგან ყველა ისევ ცაზე იქნება,
შენი ნეშტისგან აზელილი აგურებით კი
სხვათა და სხვათა სასახლენი სავსე იქნება.

(თარგმანი მისივე)

დაბოლოს, მინდა ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმნილი კიდევ ერთი რობაი მოვიყვანო, რომლითაც ზაიაში თავისებურად ამშვიდებს მკითხველს — ნუ გეშინია, დიდი ხარ თუ პატარა, მაინც იმქვეყნად მოგიწევს წასვლაო:

დიდნიც, მცირენიც ამ ცხოვრების ჰაანს გასწევენ
და სათითაოდ მოუსვლელი გზისკენ გასწევენ.
საწუთრო ესე, სამუდამოდ ვის დარჩენია?
წავიდნენ, წავალთ, კვლავ მოვლენ და წავლენ ასევე.

ზაიამის შემოქმედებას არა ერთი და ორი გამოკვლევა მიეძღვნა. პოეტებიც არ დარჩენილან გულგრილნი ზაიამისადმი. კერძოდ, ანა კალანდაძემ უძღვნა მას ჩვეული ოსტატობით დაწერილი ლექსი „ამ სურით სვამენ“, გთავაზობთ მის ერთ ტაეპს:

ეს სურა შექმნეს შენი ტალახით, —
ქართულ მარანში დანახანია
ყელმოქარგული ლერწმის ტოტებით...
და რა ხანია
ამ სურით სვამენ ღვინოს ლოთები,
ომარ ზაიამ!

მაცნიერის წიგნების სამყაროში

ფილოსოფოსს, ლიტერატურის ისტორიკოსსა და მთარგმნელს — შალვა ნუცუბიძეს პირველი ზიარება წიგნის სამყაროსთან აღწერილი აქვს თავის მემუარულ ჩანაწერებში. ბაბუამისს, დედის ძამას, მღვდელ ფილიპე დათიაშვილს ტყავის ყდებში აკინძული ხუცური წიგნების მთელი ბიბლიოთეკა ჰქონია. „ბავშვობიდანვე მიზიდავდა ამ წიგნების სუნი, გაუგებარი სიამის მომგვრელი, — იგონებს შ. ნუცუბიძე, — მახსოვრობაში წიგნების სიძველის ეშხი ჩამრჩა... ჩემი თაობა განვითარების ვზაზე ცხრაასხუთის რევოლუციის სამზადის პერიოდშია გამოსული. წიგნი და გარემო იქცა მთავარ მოვლენად, წიგნების შერჩევას კი გარემო კარნახობდა...“

თაობა, რომელსაც წილად ხვდა უნივერსიტეტის დაარსების, ეროვნულ მეცნიერებასა და კულტურაში ახალი გზების გაკვლევის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტში მონაწილეობის ბედნიერება, ცხოვრების ასპარეზზე ინტელექტუალური სამყაროდან მოვიდა. მათი სიყრმე და ახალგაზრდობა ცანუყრელად იყო დაკავშირებული წიგნთან, ცოდნის შეძენასთან.

ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს შალვა ნუცუბიძე ნათესავეებთან ცხოვრობდა. იგი ღამეებს ათენებდა წიგნის კითხვაში, რაზეც ოჯახის უფროსს უთქვამს: ეს ბიჭი ბევრ ნავის მიწვავს, მაგრამ მისგან აშკარად კაცი დადგებაო. პეტერბურგში ფილოსოფიურ ფაკულტეტზე სასწავლებლად წასული, საჯარო ბიბლიოთეკაში აღამებდა. სხვათაშორის ამავე ბიბლიოთეკაში დაუმეგობრდა იგი ასევე ცოდნას დაწაფებულ სანდრო ახმეტელს. როდესაც უნივერსიტეტის პროფესორს მისთვის თემისათვის სავალდებულო წიგნები დაუსახელებია, მათ შორის არცერთი არ ყოფილა ისეთი, ფილოსოფიის ფაკულტეტის 17 წლის სტუდენტმა რომ არ იცოდა.

წიგნები დახმარებია შ. ნუცუბიძეს იმ ხანებში, როდესაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთ ხანს რუსეთის ერთ-ერთ მი-



გარდნილ სტანიცაში მოუწია მასწავლებლობა. სტანიცის ინტელექტუალური ვაკუუმის გადატანა ისევ წიგნებმა გაუადვილეს. „წიგნები შალე, — იგონებს იგი, — და ვიგრძენი, მათი იმედით ყველგან გაიღებოდა“.

40-იანი წლებიდან, სიცოცხლის ბოლომდე, ზამთრის დადგომამდე შ. ნუცუბიძე ძირითადად გლდანში ცხოვრობდა თავის აგარაკზე. აქ მოიყარა თავი მისთვის განსაკუთრებით საჭირო წიგნებმა. ეს არის სხვადასხვა გერმანული გამოკვლევები რენესანსის საკითხებზე, არეოპაგატიკის პრობლემატიკასთან დაკავშირებული ნაშრომები და ეგზისტენციალისტთა გამოკვლევები.

60-იან წლებში, რეაბილიტაციის შემდეგ, შ. ნუცუბიძეს მისცეს ცოტაოდენი ვალუტა უცხოეთიდან წიგნების გამოსაწერად. ასე მიიღო მან ჰაიდეგერის, სარტრისა და სხვა უახლეს ფილოსოფოსთა ნაშრომები.

მისთვის უცხო არ ყოფილა არც „გასართობი ლიტერატურა“. მას-სოვს ბოლო დროს სასათუმალთან დიუმას „გრადი მონტე-კრისტოს“ ფრანგული ორტომეული ედო. ამბობდა: მხატვრული ლიტერატურა ორიგინალის ენაზე უნდა იკითხოო.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე წიგნი შალვა ნუცუბიძის განუყრელი თანამგზავრი იყო, ბიბლიოფილი ის არასდროს ყოფილა. მასზე ვერ ვიტყვი, რომ იგი ამა თუ იმ ტიპის გამოცემების კოლექციონერ-შემგროვებელი იყო. თავისი შინაგანი სტრუქტურით, მოუსვენარი ტემპერამენტით, ძნელად წარმოსადგენია ბუკინისტურ მაღაზიაში მოთმინებით ეთვლიერებინა წიგნების თაროები. მის სამუშაო კაბინეტში მოსულ სტუმარს თვალში როდი ეცემოდა წიგნებით გაშვდილი კარადები და თაროები, მაგიდაზეც ერთდროულად ორიოდე წიგნს თუ დაიდებდა. მას არ ჰქონია „მდიდარი“ ბიბლიოთეკა. გარემომორტყმული იყო არა მრავალრიცხოვანი, არამედ საყვარელი და სამუშაოდ აუცილებელი წიგნებით. როცა საჭირო იყო, ბიბლიოთეკას შიშვურებდა. უყვარდა ბიბლიოთეკაში მუშაობა.

რასაკვირველია, ალბათ უფრო დიდი იქნებოდა მისი პირადი ბიბლიოთეკა, ვიდრე ის, რომელსაც მე მოვესწარი, მაგრამ მშფოთვარე ეპოქამ მისი წიგნების სამყაროსაც დაუნდობლად შეახო სასტიკი ხელი.

შალვა ნუცუბიძე ორსართულიან კერძო სახლში ცხოვრობდა „ზემელთან“ ახლოს. თავის სამუშაო კაბინეტში მეორე სართულზე ძირითადად სამეცნიერო ლიტერატურა ჰქონდა, ხოლო მხატვრული ლი-



შალვა ნუცუბიძე

ტერატურის შესანიშნავი გამოცემები პირველ სართულზე, სადაც მისი უფროსი ქალიშვილი ცხოვრობდა ოჯახით (ამჟამად შ. ნუცუბიძის ეს წიგნები ეკუთვნის მის შვილიშვილს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს). 1938 წელს მამა დააბატონრეს სოფორც „გერმანიის აგენტი“. ახლა შეუძლებელია იმის დადგენა, რა მოხდა ჩხრეკის დროს, რა წაიღეს და რა მოისპო. ერთი კი ვიცი: მეორე სართული ჩამოართვეს და შინსახკომის თანამშრომლის ოჯახს გადასცეს. მის კაბინეტა და წიგნებს ახალი მფლობელი გაუჩნდა, რომელმაც ფილოსოფიური ლიტერატურა იმდროისათვის შესაფერისი დანიშნულებით გამოიყენა — 1942 წელს რუსეთიდან შინ დაბრუნებულ პროფესორს თავისი კანტისა თუ შოპენჰაუერის იშვიათი გამოცემები ტულეტში დახვდა. დღესაც შემორჩენილია არაერთი წიგნი, რომლებშიც დაუნდობლად არის ამოგლეჯილი ფურცლები. ყველაფრის „გამოყენება“ ვერ მო-



ასწრეს. მაინც გადაარჩა მრავალი წიგნი ბერძნულ, ლათინურ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, რომელთაც ცუბიძე თანაბრად ფლობდა. ეს არის ულამაზესი, მაღალ დონეზე რულებული გამოცემები, როგორც წესი, მაგარ ყდამი ჩასმული და ოქროს ვარაყით ნაბეჭდი სათაურებით. თავბრუდამხვევია და წარბა-ცი ავტორთა სახელები: პლატონი, არისტოტელე, დემოკრიტე, პლოტინი, ბერკლი, სპენსერი, იუმი, დეკარტე, კანტი, ჰეგელი, ბრუნო, შოპენჰაუერი, კიერკეგორი, ცელერი, კაიზერლინგი, ჰარტმანი, ბერგსონი, ვინდელბანდი, ჰუსერლი, ჰაიდეგერი, ... ეპოქის განუმეორებელი დაღით არის აღბეჭდილი 1900-იან წლებში გერმანიაში დაბეჭდილი გოეთესა და შილერის ტომეულები.

მის პირად ბიბლიოთეკაში ინახება აგრეთვე ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ყურნალები ფილოსოფიისა და ესთეტიკის დარგში, მაგრამ ეს კომპლექტები არ არის სრული, არ ჩანს ის ნომრები, რომლებშიც თავის დროზე დასაველეთში გამოქვეყნდა რეცენზიები ნუცუბიძის მიერ გერმანიაში გამოქვეყნებულ ორ წიგნზე — „ჰეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“ (1926) და „ფილოსოფია და სიბრძნე“ (1931). მოხდა ისე, რომ მის პირად ბიბლიოთეკაში არ არის დაცული აგრეთვე ის გაზეთები, რომლებშიც თავის დროზე ქვეყნდებოდა ნუცუბიძის პოლიტიკური სტატიები. ვგულისხმობთ გაზეთებს „სოციალ-ფედერალისტი“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“. აქ იბეჭდებოდა დამფუძნებელ კრებებზე და პარლამენტში წარმოთქმული ნუცუბიძის სიტყვები. არ ჩანს აგრეთვე 1910-იანი წლების ქუთაისში გამოცემული გაზეთები, რომლებშიაც ასახულია შალვა ნუცუბიძისა და გრიგოლ რობაქიძის პოლემიკა ფილოსოფიის საკითხებზე. ამ გაზეთებში კარგად ჩანს თუ რა მაღალი სტატიკური მოთხოვნილებებით ცხოვრობდა იმდროინდელი ქუთაისი და აღნიშნული პოლემიკა 1900-იანი წლების ქართული ინტელიგენციის ისტორიის საინტერესო მომენტს წარმოადგენს.

ბუნებრივია, რომ შ. ნუცუბიძის ბიბლიოთეკაში მრავლად არის სხვადასხვა ავტორთა მიერ ნაჩუქარი წიგნები. მათ შორის ყველაზე აღრიხდელია 1910 წელს პეტერბურგში გამოცემული წიგნი „სხვისი მე-ს პრობლემა უახლეს ფილოსოფიაში“, რომელიც ავტორს, რუს ფილოსოფოსს ი. ლაპშინს უჩუქებია მისთვის წარწერით 1910 წელს. ამ დროს იგი 22 წლისა იყო. ფრანგულ ენაზე გაუკეთებია მისთვის წარწერა პროფ. ა. მაკოველსკის თავის წიგნზე „დემოკრიტე“. სხვათაშორის ეს წიგნი იშვიათობაა იმ მხრივ, რომ მისი ტირაჟი სულ 100



ცალია. იგი ბაქოშია გამოცემული 1926 წელს. იმხანად ბაქოს უნი-
ვერსიტეტში ბევრი რუსი რევოლუციამდელი მეცნიერი მოღვაწეობდა.
ავტორთა მიერ ნაბოძებ წიგნებს შორის ყურადღებას იქცევს ირაკ-
ლი ანდრონიკოვის „ლერმონტოვი საქართველოში“ (1958) წარწერით:
„ღრმად პატივცემულ შალვა ნუცუბიძეს მაღლობის ნიშნად ჩვენი ოჯა-
ხისადმი 1922 წელს გაწეული დიდი დახმარებისათვის. ი. ანდრონი-
კოვი“.

ავტორისეული წარწერებით არის შ. ნუცუბიძის პირად ბიბლიოთეკა-
ში მრავალი მეცნიერისა და მწერლის წიგნები, მათ შორის კ. კაპანე-
ლის, კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, ლ. გოციელის, ლ. მელიქსეთ-ბე-
გის, ალ. წერეთლის, გ. ახვლედიანის, ალ. ბარამიძის, ვ. კუპრაძის,
ნ. კეცხოველის, ალ. ჯანელიძის და მრავალი მისი კოლეგისა თუ მო-
წაფის წიგნები. ზოგჯერ წიგნები შორეული მხრიდან მოდიოდა. პარი-
ზელმა ქართველოლოგმა ნინო სალიამ თავისი ნაშრომი ასეთი წარწე-
რით გამოუგზავნა: „დიდ ქართველ მეცნიერს აკადემიკოს შალვა ნუ-
ცუბიძეს მისი თაყვანისმცემელისაგან ნინო სალიასაგან. 1966 წ. პა-
რიზი“.

დამახასიათებელია ქართველ მწერალთა მიერ ნაჩუქარი წიგნების
წარწერები: „პროფესორ შალვა ნუცუბიძეს, ქართული სულობის
აღორძინების ბრწყინვალე ტრიუმფს, დიდი პატივისცემით და ძმური
სიყვარულით. კონსტანტინე გამსახურდია“; „გასაოცარს, განუმეო-
რებელს შალვა ნუცუბიძეს, პოეტს, ოქროპირსა და ჩემი პოეზიის ერთ-
გულ მეგობარს. იოსებ გრიშაშვილი“. „პეტრე იბერისა და პეტრიწო-
ნელის თანამდგომს, ჩვენი დღეების ოქროპირს, პოეტსა და ვაჟკაცს,
შალვა ნუცუბიძეს — სიყვარულით, გოგლა ლეონიძე“.

შალვა ნუცუბიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული მართლ-
მადიდებლური ეკლესიის წინამძღვრებთან. ამ ურთიერთობის ხასიათ-
ზე მეტყველებს მათ მიერ ნაჩუქარი წიგნები. ბიბლიის შიდა ყდაზე
გვიტხულობთ: „ორთა ხუცესთა ნაშიერსა და სიბრძნისა მოყვარესა,
ჯურღმულსა ამას სიბრძნისასა მიუძღვნის ხუცესთა უხუცესი. 25. V.
1951“. ეს „ხუცესთა უხუცესი“ ბრძანდება კათალიკოს-პატრიარქი
კალისტრატე. „ახალი აღთქმის“ გამოცემა ეფრემ II-მ ასეთი წარწე-
რით უბოძა: „ჩემს ძვირფას მასწავლებელს შალვა ნუცუბიძეს უღირსი
შეგირდისაგან. ეფრემ II სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრი-
არქი. 1963“.

ძნელი სათქმელია, რა გზით მოხვდა ნუცუბიძის წიგნებს შორის
ჰ. რიკერტის „ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის“ გერმანული გა-



მოცემა წარწერით, რომელიც ეძღვნება არა შალვას, არამედ ვინმე მიხას: „ჩემს ძმას და მეგობარს მიხას სამახსოვროდ ერთად ბრძოლის და ტანჯვის ჩვენი უბედური სამშობლოსათვის. ლეო კერესელიძე. ბერლინი, 1916 წ., 25 ქრისტესობა“. ვფიქრობთ, ხსენებული მიხა უნდა იყოს ცნობილი შუმეროლოგი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, რომელიც 1910-იან წლებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ალბათ ეს წიგნი მან შალვას გადასცა, როგორც ფილოსოფოსს.

მოლდაწეობის რუსთველოლოგიურმა მხარემ ნუცუბიძე „ვეფხისტყაოსნის“ არაერთ უცხო ენებზე მთარგმნელთან დააკავშირა. რუსთაველის პოემის იაპონელი მთარგმნელი იანეი ფუკურო, რუმინელი მთარგმნელი ვ. კერნახი, გერმანელი მთარგმნელი, ავსტრიელი პოეტი — ჰ. ჰუპერტი, პოლონელი — ი. სიკირიციკი თავიანთ თარგმანების გამოცემებზე წარწერებში მადლობის გრძნობით მოიხსენიებენ პოემის ნუცუბიძისეულ რუსულ თარგმანსა და წინასიტყვაობას.

ცალკე უნდა შევჩერდეთ „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული რუსული თარგმანის პირველ გამოცემაზე მოსკოვში 1941 წელს. ამ გამოცემის სასტამბო ეგზემპლარი, როგორც ცნობილია, სტალინმა ჩაასწორა და ნუცუბიძეს მისცა სამახსოვროდ. სიცოცხლის ბოლო წელს ნუცუბიძემ ეს წიგნი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს გადასცა და ამჟამად, რამდენადაც ვიცით, ყოფილი „იმელის“ ბიბლიოთეკაში ინახება.

ბუნებრივია, რომ წიგნები, პირადი ბიბლიოთეკის შედგენილობა მისი მფლობელის ინტერესების სფეროს უნდა ასახავდეს. შალვა ნუცუბიძის წიგნები ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა სფეროს მოიცავს: ფილოსოფია, ესთეტიკა, ლოგიკა, ხელოვნებისა და კულტურის ისტორია, მხატვრული ლიტერატურა. ნუცუბიძე მრავალი წლის მანძილზე ფილოსოფიის გარდა თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიასა და სამართალმცოდნეობას.

ფოგტისა და კოხის, ჟირმუნსკის, ფრანც შილერის, ოვეტის, გასპარის, ბიოკლის და სხვა ავტორთა ნაშრომები, რომელთა სქოლიოები აჭრელებულია სხვადასხვა შენიშვნებითა და მინაწერებით, ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რაოდენ გულდასმით ამუშავენს მეცნიერი ევროპის სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურათა ისტორიას. ამავე მიზნით იყენებდა იგი იტალიური, ფრანგული, ინგლისური ლიტერატურის ანთოლოგიებს. იურისპრუდენციის საკითხებზე შ. ნუცუბიძე

ძირითადად გერმანული სამეცნიერო ლიტერატურით სარგებლობდა.

შალვა ნუცუბიძის დღემდე შემორჩენილ წიგნების ერთ ნაწილს ლექსიკონები წარმოადგენს. ყველა ისინი სიყმაწვილეში შეუქმნია, როდესაც ევროპულ ენებს ეუფლებოდა. მათ შორის არის გერმანულ-ფრანგული, გერმანულ-იტალიური, ლათინურ-გერმანული, ბერძნულ-გერმანული ლექსიკონები. შემორჩენილია რამდენიმე სახელმძღვანელო, რომლითაც იგი ლათინურსა და ბერძნულს სწავლობდა. აქ ყოველი ცალკეული სიტყვა გახაზულია და გვერდით მიწერილი აქვს თარგმანი ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. ყოველივე ეს გიმნაზიაში ყოფნისა და სტუდენტობის პერიოდს განეკუთვნება.

შალვა ნუცუბიძე „აქტიური“ მკითხველი იყო. წიგნის სქოლიოები აჭრელებულია მინაწერებით სხვადასხვა ენებზე. ამ მინაწერების ხასიათის საჩვენებლად ვიმოწმებთ ცალკეულ მაგალითებს. არისტოტელეს ნაშრომი — „სულისათვის“ — გერმანული თარგმანი, როგორც ჩანს, დედნისათვის უდარბია. სქოლიოზე გამოტანილია სხვადასხვა გერმანული სიტყვების ბერძნული შესატყვისები, არის ასეთი მინაწერებიც: „არასწორად თარგმნის“, „თარგმანი“, „შდრ. ნიკომაქეს „ეთიკა“. სქოლიოებში ხშირად შეიმჩნევა ევროპული ფილოსოფიის ტერმინებისა და ცნებებისადმი ქართული შესატყვისების ძიება. ფრანგი ფილოსოფოსის მ. კორტეს წიგნში „ჰაიდელგერის ფილოსოფია“ (1961) ცალკეული ფრანგული სიტყვების გასწვრივ მიწერილია შესატყვისები: „დაფარულის გაცხადება“, „წარმოება“.

ბ. რასელის „დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიის“ სქოლიოზე ერთგან მიწერილია: „აქ-მყო“ და „აწ-მყო“. ამავე წიგნში, როგორც ეს ხაზგასმული ადგილებიდან ჩანს, მისი განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია დასავლურ ფილოსოფიაში ფსევდო-დიონისე არეობაველის იდეათა გავრცელებაზე.

ფილოსოფიურ ნაშრომებში ხშირად აქვს ისეთი მინაწერები, რომლებშიც ამქდავენებს თავის დამოკიდებულებას ტექსტისადმი: „სწორია“, „არა“, „ილიოტობა“, „შეცდომა“, „რა შუაშია აქ ავერეოსი?“, „სქოლასტიკის მეთოდი“, „ავტორის არგუმენტი სუსტია“, „არ ესმის ნეგატიური თეოლოგია“, „შდრ. არეობაველის ანგეოლოგია“, „ღმერთს არა აქვს ყოფიერება (არეობაგეტიკა)“, „საინტერესოა“ და სხვ.


რასაკვირველია, ამა თუ იმ საკითხებზე მუშაობისას ნუცუბიძე სარგებლობდა აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნებითაც. მის წიგნებს შო-



რის შემორჩენილია რამოდენიმე ისეთი, რომელთაც აქვს დასახელება „საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა“.

ეროვნული კულტურა გვინდობს არა მხოლოდ ლიტერატურისა და ხელოვნების ძეგლებითა და მეცნიერულ მონაპოვართა სახით, არამედ იმ შემოქმედებით და მეცნიერული ლაბორატორიითაც, რომელშიც ყოველივე ეს იქმნებოდა. მეცნიერისათვის უპირველეს ყოვლისა ეს არის მისი კაბინეტი, რომლის განუყრელი ატრიბუტი წიგნებია.

შალვა ნუცუბიძის პირადი ბიბლიოთეკა ერთგვარი სარკეა იმ ეპოქისა, რომლის მკაცრი ქროლვა მეცნიერის წიგნების სამყაროშიც აღწევდა. დღეს, როდესაც უყურებ კარადების თაროებზე შემორჩენილ შ. ნუცუბიძის წიგნებს და ათვალიერებ ავტორთა გვარებსა და სათაურებს და როდესაც იცი, რომ ყოველივე ეს იყო არა ზინის ინტერიერის ერთგვარი სამკაული, არამედ ის, რაც საფუძვლად დაედო მეცნიერის გზას უნივერსიტეტის ტაძრისაკენ, არ შეიძლება არ გაიფიქრო: რა კარგი იქნებოდა, რომ დღევანდელი ქართული ოჯახის საგალდებულო ატრიბუტი — ლამაზყდიანი წიგნები — ქართველი ახალგაზრდობის ცხოვრების ისეთივე აუცილებელი საზრდო და მოთხოვნილება გახდებოდა, როგორც იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში ფილოსოფიის არსისა და აზრის დასაუფლებლად გამგზავრებული ქუთაისელი გიმნაზისტის — შალვა ნუცუბიძისათვის.



მსოფლიოს
პერიდი-
ანეგზე

არ ივიწყებდეთ მამების
ნათქვამს და განაგონებსა:
„ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა“
ეს ხერხი მხოლოდ სწავლაა,
მომავლის გზა და ხილია!
არც მოიშლება ბრძანებით,
არც ფულად გასაყილია!

ჩვენი თაობა რომ კიდევ დამარცხდეს ძველ
თაობასთან ბრძოლაში და ჯერჯერობით ვერ გა-
იმარჯვოს, ეს კიდევ არ ნიშნავს დამარცხებას,
თუ კი სწორი გზით უმოკვედია, რადგანაც უმე-
დევ თაობას მათი ზნეობით ძალა ემატება...

აკაკი

„მადლიანი მჩხრეპელი“

(ვიკტორ ნოზაძე)

ჩვენი თანამემამულე შესანიშნავი მკვლევარი, ყურნალისტი და მწერალი ვიკტორ ივანეს ძე ნოზაძე დაიბადა 1893 წლის 17 სექტემბერს საჩხერეს მახლობლად მდებარე სოფელ მოძვში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო საჩხერეში. 1913 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში. იქ მოუხსწრო თებერვლის რევოლუციამ. მალე ვიკტორი სამშობლოში დაბრუნდა და შეუდგა ყურნალისტურ მოღვაწეობას, თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატთა გაზეთ „ერთობაში“, შემდეგ სათავეში ჩაუდგა ქუთაისის გაზეთ „სოციალ-დემოკრატს“. ერთხანს, 1918 წელს, რედაქტორობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალურ ორგანოს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“. იმავე 1918 წლის შემოდგომაზე მთავრობამ ვიკტორ ნოზაძე ნიჭიერ ახალგაზრდათა დიდ ჯგუფთან ერთად საზღვარგარეთ მიაგლინა სწავლის გასაგრძელებლად. ვიკტორი ჯერ ინგლისში სწავლობდა, შემდეგ ვერმანიაში. 1926 წელს დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი ფილოსოფიის დოქტორის დიპლომით. იგი საქართველოში აღარ დაბრუნებულა და უცხოეთში დარჩა ემიგრანტად. „ოცდაათი წელიწადი იხეტიალა“ სხვადასხვა ქვეყანაში — გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, არგენტინაში, ჩილეში, ესპანეთში. ხშირად უხდებოდა ყოფნა შვეიცარიაში. ეხმარებოდა შვეიცარიელ ქართველოლოგ მანდილოსნებს (ლვა ფლურს, რუთ ნოიკომს, იოლანდა მარშეცს). 1960 წლიდან საბოლოოდ დაემკვიდრა პარიზში, გარდაიცვალა 1975 წლის 24 აპრილს პარიზის მახლობლად, სოფელ ლევილში და იქვეა დასაფლავებული. საერთოდ, ლევილი გახდა ბევრი ქართველი ემიგრანტის საცხოვრებელი, სამოღვაწეო და საუკუნოდ განსასვენებელი ადგილი. მეტის თქმაც შეიძლება, ლევილი ახალი ქართული საზღვარგარეთული (ემიგრანტული) კულტურის თავისებური კერაა.

ვიკტორ ნოზაძე ფართო საზოგადოებრივ და სამეცნიერო-კვლევით



მოღვაწეობას ეწეოდა. ხელმძღვანელობდა (სცემდა და რედაქტი-
რობდა) არა ერთსა და ორ პერიოდულ ორგანოსა თუ ცალკეულ პუბლიკაცი-
ბულს. დიდი ძალდონე შეაღია მან სქელტანიანი, სოლიდური, სამეც-
ნიერო-პოლიტიკური და სალიტერატურო ჟურნალის „კავკასიონის“
გამოცემას. ცხოვრობდა ძლიერ ხელმოკლედ, შრომობდა თავდაუზო-
გავად, არასოდეს უშახურია, მთელ დროსა და ენერგიას ანდომებდა
საზოგადოებრივ საქმიანობას და სამეცნიერო კვლევა-ძიებას. თავის
ნაწერებს დასაბეჭდად თვითონ აწყობდა ლინოტიპზე, თვითონვე იყო
კორექტორი, ამკინძავი, ექსპედიტორი. უზომო შრომამ, გარჯამ და
ჯაფამ გატეხა მისი საერთოდ ჯანმრთელი ორგანიზმი. ვიკტორ ნო-
ზაძის უახლოესი მეგობარი მიხეილ ქავთარაძე გვიამბობს: „სიცოცხ-
ლის უკანასკნელ თვეებში ვიკტორს დაღლილობა შეეტყო, ნერვიუ-
ლობა ემატებოდა, ზოგჯერ სიანჩხლესაც იჩენდა, მაგრამ მუშაობის
ტიპში არ შეუწელებია“. სიცხიანი ავადმყოფი, ძლივს რომ ლაპარა-
კობდა, ლინოტიპს უჯდა და ჯიუტად განაგრძობდა მუშაობას, ღელა-
ვდა, ჩქარობდა, „ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დაეასრულო ეს წიგ-
ნიო“ (საუბარია მის წიგნზე — „ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყვე-
ლება“). ვერ დაასრულა, სიკვდილმა უსწრო.

გარდაცვალებამდე ცოტათი ადრე ვიკტორ ნოზაძეს დაუწერია ან-
დერძი თავისი ძმის გიორგის და რძლის ლიდა შარაშიძე-ნოზაძის სა-
ხელზე (ანდერძის ტექსტი-ფაქსიმილე, იხე როგორც ნოზაძის საბი-
ოგრაფიო მასალები პარიზიდან გამოგვიგზავნა მიხეილ ქავთარაძემ).
ანდერძში ვკითხულობთ განმაცვიფრებელ და ამბულეგებულ სათხო-
ვარს: „ლევლის სასაფლაოზე უკვე მზად არის სავეარეულო აკლდა-
მა. ჩემი გარდაცვალებისთანავე უნდა ჩამსვენოთ სამარეში, — საჭი-
რო არ არის წესის აგება, არც პანაშვიდი, არც ვალობა, არც ყვავილი,
არც გვირგვინი. გასვენება უნდა მოხდეს დილით 8 ან 9 საათზე. არა-
ვინ წარმოთქვას სამგლოვიარო სიტყვა და, რასაკვირველია, არ უნდა
მოეწყოს ქეღები. დასაფლავების რამდენიმე დღის შემდეგ უნდა
აიწყოს და დაიბეჭდოს სამგლოვიარო ბარათი შემდეგი შინაარსისა
(და დაეგზავნოს ნაცნობებს) — ამით გაუწყებთ, რომ ამდაამ დღეს
გარდაიცვალა ვიკტორ ნოზაძე, დასაფლავებულია ლევლის სასაფ-
ლაოზე. კეთილი იყოს ხსენება მისი!“

როგორც ჩანს, საანდერძო დანაბარები ვიკტორ ნოზაძეს ზუსტად
შეუსრულეს. მხოლოდ უახლოესი ადამიანების თანადასწრებით, უხ-
მაუროდ, უსიტყვოდ, მაგრამ უღრმესი მწუხარებით მიაბარეს უცხო-
ეთის ცივ მიწას სამშობლოს ხილვას დანატრებული, გულანთებული

დიდი პატრიოტი, თავდაუზოგავი ეროვნული მოღვაწე, გამოჩენილი მკვლევარი და მწერალი ვიქტორ ივანეს ძე ნოზაძე. „კეთილი ხსენება მისი!“

ვიქტორ ნოზაძეს პირადად არ ვიცნობდი. ჩემთან კონტაქტის დამყარება თვითონ ითავა. გარემოებამ აიძულა, თორემ მასთან მიმოწერა რომ სასიფათო იყო, კარგად იცოდა. ერთ თავის თბილისელ ნაცნობს გამოტეხილად სწერდა: „მეშინია ჩემმა წერილებმა არავის ავნოს... ვერიდები მანდაურებთან მიწერ-მოწერას, გასაგები მიზეზების გამო“ (ლიტერატურული საქართველო, 27. XI. 88). ვიქტორ ნოზაძის თანამებრძოლი, მწერალ-პროზაიკოსი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე აკაკი პაპავა (გარდ. 1964 წ.) ჩივის: „სახლვარჯართ მყოფი ემიგრანტი... სრულ უმწეობას განიცდის. მას იმის საშუალებაც კი მოკლებული აქვს, რომ ან უნივერსიტეტს, ან რომელიმე საკვლევო ინსტიტუტს, თუ მის თანამშრომელს, ან რომელიმე მეცნიერს შეეკითხოს წერილობით და სთხოვოს ამა თუ იმ ამონაწერის მიღება... ყოველივე ასეთი ცდა სამარისებური სიჩუმით გვირგვინდება და — შესაძლოა — დიდი უსიამოვნებით აღრესატისათვის... (მრავალწერტილი ავტორისა, ა. ბ.). აი, ამ პირობებში უხდება ჩვენს ემიგრანტ მკვლევარს მუშაობა“ (კავკასიონი, XI, პარიზი, 1966, გვ. 141).

ვიქტორ ნოზაძის პირველი წერილი, რომლითაც მისთვის საჭირო საკითხის თაობაზე მასალის მიწოდებას მთხოვდა, 1960 წლის 9 ივლისით არის დათარიღებული და სანტიაგოდან (ჩილედან) არის გამოგზავნილი. იმავე წლის 4 აგვისტოს კი მატყობინებდა, რომ თვის ბოლოს აპირებდა ჩილეს დატოვებას და მიმოწერისათვის პარიზის მისამართს მთავაზობდა. ჩვენი მიმოწერა ათი წელიწადი გაგრძელდა. უკანასკნელი წერილი მისგან მივიღე 1971 წელს (გარდაცვალებამდე ოთხი წლით ადრე). ეჭვი არ მეპარება, რომ მისი შემდეგდროინდელი წერილები ჩემამდის არ აღწევდა. საქმე ისაა, რომ ბოლო დროს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ჩამოგვართვა „კავკასიონის“ XII ნომერი და აგვიკრძალა შემდეგი ნომრების მიღება.

ვიქტორ ნოზაძე იყო დიდად განათლებული, განსწავლული და ერუდირებული მკვლევარი. იგი თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას. ფართო იყო მისი სამეცნიერო და სალიტერატურო ინტერესები, მაგრამ სახელი გაითქვა უპირატესად როგორც რუსთველოლოგმა. „ყმაწვილობიდანვე ვეფხისტყაოსანს ვსწავლობ და გაგიჟებით მიყვარს იგიო“, ამბობს ერთგან. მიხეილ ქავთარაძის სიტყვითაც, ვ. ნოზაძე ყოფილა ვეფხისტყაოსნის გახელებული მიჯნური. მისივე

მოწმობით, პოემის სერიოზული შესწავლა დაუწყია ბერლინში რე მსოფლიო ომის დროს.

თავისი რუსთველოლოგიური ნაშრომების გამოქვეყნება ნოზაძეს განზრახული ჰქონია ათ ტომად. მოასწრო მხოლოდ ექვსი ტომის დაბეჭდვა (მეექვსის ნაწილობრივ). ნოზაძისეულ რუსთველოლოგიურ ნაშრომთა საერთო სათაურია „ვეფხისტყაოსანის განკითხვანი“. ცალკეულ პუბლიკაციათა სათაურები კი შემდეგია:

1. ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება (ბუენოს აირესი, 1954).
2. ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება (სანტიაგო დე ჩილე, 1957).
3. ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება (სანტიაგო დე ჩილე, 1958).
4. ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება (სანტიაგო დე ჩილე, 1958).
5. ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება (პარიზი, 1963).
6. ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება (პარიზი, 1974/1975).

„ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველების“ ორი მესამედი ჰქონია დაბეჭდილი, როცა ავტორი გარდაიცვალა. წიგნის ბეჭდვა განაგრძეს და გაასრულეს გიორგი ნოზაძემ და მიხეილ ქავთარაძემ (ტექსტი მთარამუნდამე შეუმოკლებიათ).

გიორგი ნოზაძის გადმოცემით, ვიკტორს დარჩენია დაუმუშავებელი თუ ნაწილობრივ დამუშავებული სხვა რუსთველოლოგიური ნაშრომებიც. ამთაგან დამთავრებული ჩანს „ვეფხისტყაოსანის სიბრძნისმეტყველება“, ხოლო დაუმუშავებელი — „ვეფხისტყაოსანის მკვერთმეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის სულთმეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის ტანთმეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის ესთეტიკა“ და სხვანი. ისიც სათქმელია, რომ ვიკტორ ნოზაძეს დაბეჭდილი აქვს სხვადასხვა დროს სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში თუ სპეციალურ კრებულში რუსთველოლოგიური ხასიათის არაერთი საყურადღებო ნარკვევი. მაგალითად, მისი ვრცელი ნაშრომი — „შოთა რუსთაველი“ მოთავსებულია ჟურნალ „კავკასიონის“ XI წიგნში („კავკასიონის“ ეს ნომერი გამოვიდა პარიზში 1966 წელს და მთლიანად ეძღვნება რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს).

ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიურ ნაშრომთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი მონუმენტური გამოკვლევა — „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“ და „ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება“. მკვლევარი თვლის (სავსებით სამართლიანად), რომ ვეფხისტყაოსანი არის „მიჯნურობა-სიყვარულის პოემა-რომანი“, ან, უფ-

რო მოკლედ, „მიჯნურობის პოემა“. რუსთველის თხზულების ეს პან-რობრივი სტატუსი უკვე განსაზღვრავს მის სიუჟეტურ სტრუქტურას და იდეურ-მხატვრულ შინაარსს. ვ. ნოზაძე შენიშნავს: „სიყვარული ყველა ხალხმა იცის, მას ყველა განიცდის, ყველა — თავისებურად... და თუ სიყვარულის ნიშნები და მოტივები ერთი ხალხის ცხოვრებაში და მწერლობაში მეორე ხალხისას ჰგავს — ეს არ არის ზეგავლენის ან ზემოქმედების ძალით, არამედ აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ადამიანი და მისი სიყვარული ყველგან არსებობს...“ სიყვარული უნივერსალურია თავისი ხასიათით და ბუნებით. ვ. ნოზაძე საინტერესოდ აანალიზებს ვეფხისტყაოსანში ასახული სიყვარულის რაობას, უდარებს მას აღმოსავლური და დასავლური წარმოშობის სანიმუშო სალიტერატურო ძეგლებს და ის დასკვნა გამოაქვს, რომ რუსთველური სიყვარულის არსი არ ჰგავს არც აღმოსავლურს და არც დასავლურს, არ არის არც „ორიენტული და არც ოქციდენტური“ ტიპისა, იგი არის მხოლოდ და მხოლოდ ვეფხისტყაოსნური, ქართული, „თავისთავადი, თვითმყოფი“, „ქართული და ქართული“, „რუსთველური“. ვეფხისტყაოსნით გამოხატული სიყვარული არის „განთავისუფლება ადამიანთა გრძნობისა საზოგადოებრივი არტახებიდან, არის პიროვნულობის აღმალღება და მის უფლებათა განმტკიცება. ეს არის ვეფხისტყაოსანის იდეალი, რაც სიყვარულს განადიდებს, ადიდებულებს და ამგვარად ადამიანის ბუნებას აღამაღლებს“.

ვიქტორ ნოზაძე გვთავაზობს თუმცა ორიგინალურ, მაგრამ ჩემი ფიქრით საცილობელ თვალსაზრისს ფატმანის სახის ვაგების თაობაზე. იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფატმანის სიყვარულიც „წმინდა სიყვარულამდე არის აყვანილი“. ფატმანის სიყვარულის შეფასებაში იგი ეკამათება არა მარტო მკვლევარებს, კერძოდ, ნიკო მარს და ამ ნარკვევის ავტორს, არამედ თვითონ შოთა რუსთველს. როგორც ვიცით, ფატმანის გამო რუსთველი ამბობს: „თუ ყვავი (ე. ი. ფატმანი, — ა. ბ.) ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“. „მე კი მგონია, — წერს ვ. ნოზაძე, — რომ არც რუსთაველის დაფასება არის მართებული, რადგან ფატმანი გულწრფელად არის გატაცებული, მას გულწრფელად უყვარს ავთანდილი და მისი ჩამოქვეითება ყვავამდე არა ჭეროვანია“.

„ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველების“ გამოკვლევაზე მუშაობის დროს მოუხდა ვიქტორ ნოზაძეს ჩემთან წერილობითი კონტაქტის დამყარება. 1960 წლის 9 აგვისტოს თარიღით ჩილედან მომწერა: „...გთხოვთ მბატივით ამ ჩემი თხოვნისათვის, რაც მგონია, თქვენ



თუ არ შეგაწუხებთ, დროს მაინც წაგართმევთ. ქართულ ვისრამიანში ხშირად არის ნახმარი ცნება: „მას საუკუნოსა“. თავის-თავად უცხო ოლოგიური ცნება, უეჭველად ქრისტიანული. დიდი ეჭვი მაქვს: არის ეს ცნება სპარსულ „ვის ო რამინში“? მე არ შემიძლია ეს გამოვარკვიო, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ გამომირკვიოთ: ქართული ვისრამიანის ეს ცნება „მას საუკუნოსა“ ზუსტად შეესატყვისება თუ არა სპარსული ვისრამიანის იმავე ადგილს? თუ ეს „მას საუკუნოსა“ არის ქართველი მთარგმნელის მიერ თვითნებურად შეტანილი ქართულ თარგმანში? თუ თქვენ დროს დაიზოგავთ, მაშინ იქნება ამ საკითხის გამორკვევა რომელიმე თქვენს მოწაფეს დაავალოთ. კიდევ ბოდიშს ვიხდი თქვენი შეწუხებისათვის. ღრმა პატივისცემით ვ. ნოზაძე“. წერილს თან ახლდა ცალკე ფურცელზე ამოწერილი შესადარებელი მაგალითები „ვისრამიანიდან“, სათანადო გვერდების ჩვენებით.

ვ. ნოზაძის ეს წერილი რომ მივიღე, მაშინ ავად ვიყავი, მუშაობა აკრძალული მქონდა. ქართული ვისრამიანიდან ამოწერილი მასალების სპარსულ დედანთან შეწამება ვთხოვე ალექსანდრე გვახარიას. მან დაუზარელად და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შეასრულა ჩემი თხოვნა. მთელი მასალა ჩემი დასკვნით და მოკლე ბარათით დაუგვიანებლად გავუგზავნე ბატონ ვიკტორს. ჩემი დასკვნა-წერილის პირი როგორღაც გამეზნა და ველარ ვიპოვე. მაგრამ, საბედნიეროდ, ამ საკითხთან დაკავშირებული მასალა, მათ შორის ჩემი წერილის ტექსტი ვიკტორ ნოზაძემ მთლიანად გამოაქვეყნა თავის მონოგრაფიაში — „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“ (პარიზი, 1963, გვ. 408—410). ესარგებლობ შემთხვევით და აქვე მომაქვს ვიკტორ ნოზაძის წიგნიდან წერილის საინცორმაციო ნაწილი. ვ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ მას დასჭირდა გარკვეული დასკვნის მისაღებად შეედარებინა ერთმანეთისათვის ვისრამიანისა და ვეფხისტყაოსნის გამოთქმები: მას საუკუნოსა/მას საუკუნესა.

„...მე ამის გამორკვევა არ შემეძლო, რადგან აუცილებელი იყო ქართული ვისრამიანის სპარსულ ვისრამიანთან შედარება და შედარება სწორედ იმ ადგილებისა, სადაც ცნება „მას საუკუნოსა“ არის გამოყენებული. არ შემეძლო ეს შედარება მომეხდინა, ვინაიდან ჩემთვის სპარსული ვისრამიანი ხელმოუწოდომი იყო. და ეს წიგნი კიდევ რომ მქონოდა, შედარებისათვის სპარსული ენის კარგ მცოდნესათვის უნდა მიმემართა და იგი შემეწუხებინა.

გადავწყვიტე ამ საკითხისა გამო მიმეწერა ჩინებულ რუსთველოლოგისათვის და ქართული ლიტერატურის მაღალხარისხიანი მეცნი-

ერისათვის. ეს გახლდათ აკადემიკოსი, პროფესორი ალ. ბარამიძე თვით ქართული ვისრამიანის ერთ გამომცემელთაგანი. მოუთმენენდი მოველოდი პასუხს და თან მრწამდა: რუსთველოლოგიის გულისათვის პროფ. ალ. ბარამიძე შრომას არ დაიზარებდა გამოერკვია საკითხი „მას საუკუნოსა“. იმედი მალე გამიზარტლდა და ამან ძალზე მასიამოვნა, რის გამო ჩვენს მეცნიერს უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

აკად. პროფ. ალ. ბარამიძემ მომწერა (ჩილეში) — „სამწუხაროდ ეს ერთი თვეა ავად ვარ გულის (სნეულებით). მუშაობა აკრძალული მაქვს. თქვენთვის საჭირო მასალების შემოწმება დაევალე სპარსული ენის მშვენიერ მცოდნე ახალგაზრდა მკვლევარ ალექსანდრე გვახარიას, სათანადო ტექსტები შეუდარა სპარსულ ორივე გამოცემას (კალკუტურსა და თეირანულს). შემოწმების შედეგებს აქვე ვურთავ. ქართული „მას საუკუნოსა“ ჩვეულებრივად უდრის სპარსულის „იმ ქვეყანაში“, საჩიოში. აზრი სწორადაა გადმოცემული. ტერმინი კი მართლაც ქართველი მთარგმნელისაა და, შეიძლება ითქვას, ერთგვარად ქრისტიანული აღმსარებლობის იერი დაჰკრავს“.

ასეთია პროფ. ალ. ბარამიძის პასუხი და როგორც ხედავთ, იგი ერთგვარ სიფრთხილეს იჩენს. მას შემდეგ რაც მე ცნება „მას საუკუნოსა“ ვავიცანი, ასეთ სიფრთხილეს ვერ გამოვიჩინე: ქართულ ვისრამიანში ცნებას „მას საუკუნოსა“ არამც თუ „ქრისტიანული აღმსარებლობის იერი დაჰკრავს“, არამედ იგი არის სავსებით ქრისტიანული ცნება, როგორც ეს არის თვით ვეფხისტყაოსანში“ (მე ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ უნებლიეთ მომიხდა ვიკტორ ნოზაძის მხრივ ჩემი მეცნიერული სახის გაზვიადებულად შეფასების დამოწმება. ა. ბ.).

კერძო წერილშიც (სანტიაგო დე ჩილე. 4. VIII. 60) ვ. ნოზაძე მწერდა, „თქვენმა წერილმა მეტისმეტად გამახარაო“, მადლობას მიხდიდა და დასძენდა, „მგონია, წინააღმდეგი არ იქნებით, თუ თქვენს დასკვნას და ა. გვახარიას ნარკვევს ჩემს წიგნში დავბეჭდავო“. დასასრულ ვ. ნოზაძე აღფრთოვანებას გამოთქვამდა: „დიდებული საქმე წამოუწყია თქვენს ინსტიტუტს: ვეფხისტყაოსნის ვარიანტთა სრული კრებულის გამოქვეყნება. უმორჩილესად გთხოვთ მომაწოდოთ ეს გამოცემა, ოღონდ არა ჩილეში (რომელსაც ამ თვის ბოლოს მივატოვებ), არამედ პარიზში“.

ვიკტორ ნოზაძის ნაშრომების ექვსივე ტომში თანმიმდევრულად და ბეჯითად ის აზრია გატარებული, რომ რუსთველის სარწმუნოებრივი აღმსარებლობა არის ქრისტიანობა, ქრისტიანობაა ვეფხისტყა-



ოსნის თეოლოგიისა და ფილოსოფიის საფუძველთა საფუძველი ამ კონცეფციის დასაბუთებას ეძღვნება ავტორისეული დიდი მონაწილეობაა ფია „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“.

ჩვენ ვერ შევუდგებით მონოგრაფიაში განვითარებულ მოსაზრებათა ვრცელ მიმოხილვას, ვიტყვიტ მხოლოდ: „ღმრთისმეტყველების“ ჯედააზრი ისაა, რომ „რუსთველის პოემას თავიდან ბოლომდე მსკეა-ლაეს მართლმადიდებლური ქრისტოლოგიის მრწამსი და ქართველი პოეტი-მოაზროვნის რელიგია და ფილოსოფია არის „ხალასი ქრისტიანობა“,—წერდა მკვლევარი „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველებაში“. (სანტიაგო დე ჩილე, 1957), ხოლო „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველების“ (პარიზი, 1963) ბოლო სიტყვაში თავმდაბლურად აცხადებს: „მთელი ეს წინამდებარე ჩემი წიგნი ვეფხისტყაოსანის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ საკითხთა გამორკვევას მიეძღვნა და შეძლებისამებრ დავადგინე, რომ ვეფხისტყაოსანის რელიგია არის ქრისტიანული“. ვიკტორ ნოზაძის შეხედულებათა თანახმად, რუსთველის „ხალასი ქრისტიანობა“ ეფუძნება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის („ბრძენი დიენოსის“) ქრისტოლოგიურ თეოლოგიას. მისი აზრით, რუსთველის მოწმობა „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიენოს გააცხადებს“, არის ვეფხისტყაოსანის „რელიგიურ-ფილოსოფიური შეგნებისა და გაგების ბოქლომი“. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მოსაზრება დიონისე არეოპაგელის მოძღვრების ვეფხისტყაოსანში წარმოჩენის თაობაზე ჯერ კიდევ ვახტანგ მეექვსემ გამოთქვა თავის კომენტარებში, პოემის მისეულ გამოცემას რომ დაუტოო 1712 წელს. მეცნიერთლად ეს დებულება განავითარა და დაასაბუთა შალვა ნუცუბიძემ, მაგრამ უწყებული კონცეფციის სისწორე ახალი არგუმენტებით საბოლოოდ განამტკიცა ვიკტორ ნოზაძემ. ნუცუბიძისაგან განსხვავებით ნოზაძე იმ აზრისაა, რომ დიონისე არეოპაგელს (ნუცუბიძის თვალსაზრისით დიონისე არეოპაგელი პეტრე იბერის ფსევდონიმია) არ გადაუხვევია ქრისტიანული დოგმებისაგან და იგი ერეტიკოსად ვერ ჩაითვლება; პროფესორ ნუცუბიძეს დიონისე არეოპაგელის „მისტიკოსური და ასკეტოსური მოძღვრება“ ერეტიკულად იმიტომ მიაჩნია, რომ „გამართლოს თავისი დებულება, თითქოს მისტიკა და ერესი იყო რენესანსის საფუძველი, მისი გამომწვევი“.

საინტერესოა და ანვარიშვასაწევი ვიკტორ ნოზაძის მოსაზრებანი თვითონ რენესანსისა და ჰუმანიზმის შესახებ. იგი ამბობს, რომ ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად რუსთველი

„რენესანსისა და ჰუმანიზმის წინამორბედად არის დასახული“. მკვლევარი აღიარებს, რომ პირობითად მსგავსი მოსაზრება მასაც აქვს მოთქმული: „მეც მითქვამს ვანა და დამიწერია კიდევ, რუსთაველმა რამოდენიმე საუკუნით გაუსწრო ევროპის ჰუმანიზმს-მეტეი“, მაგრამ არსებითად „საქართველოს კულტურის ისტორიაში არც რენესანსი და არც ჰუმანიზმი არ არსებობდა“ ამ ცნებათა პირდაპირი მნიშვნელობით, ისე კი ჰუმანისტურ-რენესანსული მოტივები უცხო არ ყოფილა ძველი ქართული სულიერი კულტურისათვის.

ვიკტორ ნოზაძის შეხედულებით, ვეფხისტყაოსნის ქვეყნების (არაბეთის, ინდოეთის, მულღანხანარის) სოციალ-პოლიტიკური წყობა და ამ წყობის საზოგადოება „პატრონყმულ-ფეოდალურია“ (ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება“, გვ. 28, 136—137). ამგვარი ვითარება „ცნობილია ევროპაში და საქართველოში“. პატრონყმური სოციალური წყობილება ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული და შესაფერისადგევა ასახული რუსთაველის პოემაში. მკვლევრისეული დასკვნით: „უქვევლია ქართული პატრონყმობა არის მხოლოდ ქართული და ეს ქართული ფეოდალიზმი აღმოცენებულია ქართულ ნიადაგზე და მას არა აქვს კავშირი არც სპარსულ, არც არაბულ, არც ბიზანტიურ და არც სომხურ წესწყობილებასთან; იგი ენათესავება მხოლოდ ევროპულს და მისგან დამოუკიდებლად განვითარებულია. ეს ქართული ფეოდალიზმი, რომელსაც ჩვენი ისტორიული მასალებით ვიცნობთ, წარმოდგენილია ვეფხისტყაოსანში... ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის შეხედულება, რომ ვეფხისტყაოსანი არის ქართული ცხოვრების რომანი და მას არც შინაარსობრივ და არც მსოფლმხედველობით არავითარი კავშირი არა აქვს არც სპარსულ, არც ინდურ, არც არაბულ და არც სხვა რომელიმე ერის ცხოვრებასთან“ (იქვე, გვ. 28).

მართალია, გარეგნულად ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური ამბავი უცხოეთის გეოგრაფიულ სივრცეებშია გაშლილი, მაგრამ პოემა რომ ქართული სინამდვილითაა შთაგონებული და ქართველობის ეროვნულ იდეალებს ასახავს, ეს დღეს სადავო აღარაა. სადავო აღარაა, რომ რუსთაველისეული კონცეფცია სიყვარულისა უფრო ბუნებრივი, ადამიანური და ცხოვრებისეულია, ვიდრე დიდი იტალიელი პოეტისა და მოაზროვნის დანტე ალიგიერის კონცეფცია. მშენიერად ამბობს ვიკტორ ნოზაძე: „დანტე რელიგიური დოგმის სიმკაცრითა და პირქუშობით მოკლულ, ან მკვდარ შეყვარებულთ ჯოჯოხეთში აგზავნის, ხოლო რუსთაველი და ქართველი ხალხი ამ სოფლად დაღუპულ შეყვარებულთ ზეცაში სიხარულის მინიჭებას აღუთქვამენ“ (ვეფხისტყაო-

ოსანის ღმრთისმეტყველება, გვ. 193). სხვა ნესტანი და სხვა ბეატ-
რიჩე, ისე როგორც სხვანი არიან ამ უკვდავი სახეების შემქმნელები,
ღენიოსი ავტორები.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ნამდვილად უმართებულოა ის ბრალ-
დება, რასაც საერთოდ განაწყენებული ვ. ნოზაძე, სამწუხაროდ, ზოგ-
ჯერ მიაწერდა ქართველ მეცნიერულ საზოგადოებას. რუსთველის და-
ბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო წერილში ვიკ-
ტორ ნოზაძე წერს: „დანტეს შვიდასი წლის თავზე მისი მღვივე ქრის-
ტიანობა ყველამ აღნიშნა. რუსთაველის რვაასი წლის თავზე **თბილის-
ში, რუსთაველის ქრისტიანობაზე კრინტასაც არ დაძრავენ**. მაგრამ, აქ,
პარიზში მაინც, ეს უნდა ითქვას და უნდა ვაქოთ და ვადიდოთ რუს-
თაველი, როგორც დიდი მორწმუნე, ვით დიდი და მღვივე ქრისტიანი.
„ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“, გვ. 111. კურსივი ჩემია, —
ა. ბ.).

საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ ვიკტორ ნოზაძეს შესაშური გატა-
ყებით, ცოდნითა და საფუძვლიანობით აქვს შესწავლილი, გამოკვ-
ლეულ-გამოძიებული, გააზრებული და გაშუქებული რუსთველოლო-
გიური პრობლემეტიკის არაერთი თავსატეხი საკითხი. ფასდაუდებელია
მისი ინფორმაციული მასალები ჩვენთვის ხელმიუწვდომელი წყარო-
ებიდან. მაგრამ, რა თქმა უნდა, მას გამოთქმული და განვითარებული
აქვს არაერთი სათუო, საცილობელი თუ მიუღებელი და მცდარი მო-
საზრება. ისიც სათქმელია, რომ ვიკტორ ნოზაძე იყო უაღრესად მკაც-
რი, დაუნდობელი, ენაწარე და აგრესიული კილოს პატრონი პოლე-
მისტი. იგი ხშირად სრულიად შეუფერებელი ფორმით აკრიტიკებდა
ბევრ ქართველ დამსახურებულ მეცნიერ-რუსთველოლოგს. აღიარებდა
კიდევაც: „ვით შეყვარებული ველარ ვითმენ იმ უხამსობასა და უმს-
გავსობას, სირევენეს, რომლის მსხვერპლი ვეფხისტყაოსანი გამზდა-
რა“ (ფერთამეტყველება, 1954, გვ. 201). შეიძლება კაცს ეფიქრა ვიკ-
ტორ ნოზაძის ამგვარი პაექრობის ხასიათს აპირობებდა თუ ფსიქო-
ლოგიურ ნიადაგს უქმნიდა მისი ხანგრძლივი (და უსასრულო) ემიგ-
რანტული ყოფის სიღუხჭირე, უსაშველო ნოსტალგია და უზომო „პა-
იმ-ვეს“ (სამშობლოს სევდის) მოძალეება. ისიც უნდა ვთქვა, რომ პა-
ექრობისას ვიკტორ ნოზაძე საკმაოდ მოურიდებელი იყო მისი კოლეგა
ემიგრანტი მკვლევრების, მაგალითად, ზურაბ ავალიშვილისა და მი-
ხეილ (მიხაკო) წერეთლის მიმართ.

ასეა თუ ისე, ვიკტორ ნოზაძის გამომწვევი კილო აღიზიანებდა
ზოგ ჩვენ მეცნიერს, მასთან ურთიერთობის საქმეს აძნელებდა და ხელს



უწყობდა უსიამო დაძაბულობის წარმოშობას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა იცხადებდა (თუ აკისრებინეს?) ერთგვარად გამოსარჩლებოდა უკმაყოფილება და დაეგმო ვიკტორ ნოზაძის თითქოს ნიპილისტური პოზიცია.

ვ. ნოზაძე დიდი გულსტკივილით წერს: „საბჭოთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარე აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი უმართებულოდ ჩენს კინ-მცირეთ უმცირეს პიროვნებას შეეხებო. თბილისის რუსულ გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ ოქტომბრის დამლევის ნომერში დაბეჭდილია აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის წერილი სათაურით „სახელოვანი გზა ქართული საბჭოური მეცნიერებისა“. აქ აღნიშნულია, რომ საზღვარგარეთ აღიარებენ ქართული საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს, იმას „შეიძლება დაფუძირისპიროთ ბოროტად მსუნთქავი (злыххательское) თქმა ვინმე ვ. ნოზაძისა“... (ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, უწყებულება მკითხველისათვის).

დამოწმებულ წერილში ნიკო მუსხელიშვილი იმდროისათვის დამახასიათებელი ამაღლებული ფორმით სახავს ქართული საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს, ხოლო მკაცრად კიცხავს „ვინმე“ (ანტისაბჭოთა ემიგრანტ. — ა. ბ.) ვ. ნოზაძის მხრივ ამ მიღწევათა სრულ იგნორირებას და ნეგატიურ შეფასებას (ბატონმა ნიკომ მიიხრა, რომ გაზეთის რედაქციამ გაამძაფრა ჩემი წერილის კილო). პოლიტიკურად კი ვ. ნოზაძე უაღრესად ოდიოზურ პირად ითვლებოდა. ყოველივე ამის შედეგად ბოლოსა და ბოლოს ვიკტორ ნოზაძის სახელს დაედო ტაბუ და სასტიკად აიკრძალა მისი ხსენება კრიტიკული ფორმით დამოწმების შემთხვევაშიც. ცენზურის თვალის ასახვევად მხოლოდ მოარაკებითა და დაქარაგმებით თუ ვახერხებდით მის შრომებზე მითითებას. ერთი სიტყვით, აიკრძალა ვ. ნოზაძის წიგნები. აიკრძალა მისი „კავკასიონი“, აიკრძალა მისი ხსენება.

მე ყოველთვის გულწრფელად ვაფასებდი ვიკტორ ნოზაძის მეცნიერულ ღვაწლს და მის სახელზე ტაბუს დადების შემდეგაც არ შემიწყვეტია მასთან სახიფათო წერილობითი კონტაქტები.

ვიკტორ ნოზაძის დიდი დამფასებელი იყო ემიგრანტი მწერალი და მკვლევარი აკაკი პაპავა. იგი ნოზაძეს უწოდებდა „მადლიან მხტრეკელს“. სწორედ „მადლიანი მხტრეკელის“ სათაურით მიუძღვნა აკაკი პაპავამ აღტაცებული რეცენზია ვიკტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველებას“ (კავკასიონი, XI, 1966). ამ რეცენზიის წერა ავტორს დაუმთავრებია 1964 წლის 27 ივნისს და მეორე დღეს, 28 ივ-

ნისს, მოულოდნელად გარდაიცვალა. რეცენზიის ტექსტში აღნიშნულია, რომ: „საქართველოში ჩვენდა საბედნიეროდ, უნდა ითქვას, დღე-ღამე გაცხოველებული ლიტერატურულ-მეცნიერული მუშაობის განაღებულ რუსთველოლოგიაში და მრავალგვარ დაბრკოლებათა მიუხედავად ზოგი რამ ამის თაობაზე მაინც აღწევს ჩვენამდე“, რის საილუსტრაციოდაც ასახელებს ორ კონკრეტულ ფაქტს. „ჩვენ დიდის ინტერესით ველოდებით ქართველ რუსთველოლოგთა გამოხმაურებას ავტორის (ე. ი. ვ. ნოზაძის,—ა. ბ.) ამ დიდ საპატივო შრომაზე.—წერს აკაკი პაპავა და შენიშნავს — უკვე მივიღე ერთი სასიამოვნო ცნობა: 29 მაისს 1964 წლისა უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე წაკითხული იქმნა ვრცელი დადებითი რეცენზია დოქტორ ვიქტორ ნოზაძის მეხუთე წიგნზე („ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“) და თუ ის გამოქვეყნდება, მაშინვე გაახლებთ“ (გვ. 146). მე სიამოვნებით უნდა დავადასტურო, რომ აკაკი პაპავას ინფორმაცია სწორია და შეეხება ჩემს მოხსენებას, რომელიც წავიკითხე თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე 1964 წლის 25 (და არა 29) მაისს — „ერთი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომის შესახებ“. სამწუხაროდ, ამ მოხსენება-რეცენზიის დაბეჭდვა მაშინ არ მოხერხდა. იგი შემოკლებული სახით გვიან გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (7. 7; 87). ჩემს რეცენზიაში აღნუსხულია ვ. ნოზაძის ამ შესანიშნავი ნაშრომის დადებითი მზარეები, გაზიარებულია მისი კონცეფცია და მითითებულია სადავო თუ მიუღებელ მოსაზრებებზე (რასაკვირველია, ავტორს არ მოეუწონე პოლემიკის კილო). მაგალითად, ვ. ნოზაძე ხელალებით უარყოფს ვეფხისტყაოსანის გარშემო იდეური ბრძოლის არსებობას. ერთგვარად ამართლებს კიდევაც ბერმონაზვნების მხრივ პოემის უარყოფლობას და საგანგებოდ შენიშნავს: „სრულებითაც არ არის ვასაკიცხი და ქოქოლა დასაყრელი ის ორიოდვე სასულიერო პირი და ისიც ბერმონაზონი, თუ რუსთაველს უარსა ჰყოფდა და ჰვმობდა“ (გვ. 14). „ამგვარი მოვლენა სხვაგანაც ყოფილა და უფრო ხშირად, ძალიან ხშირად, ვიდრე ეს საქართველოში იყო“, ურთავს მკვლევარი. მერმე რა? განა ვეფხისტყაოსანის უარისყოფლებსა და მგმობართ ის გაამართლებს, ანდა მდგომარეობას შეუღმსუბუქებს, რომ ანალოგიური ფაქტები სხვაგანაც ყოფილა?

ვეფხისტყაოსანის პროლოგის მეთორმეტე სტროფის მესამე ტაბების („კვლა აქაცა ეამების“) განხილვისას ვ. ნოზაძე წერს: „ამგვარად, რუსთაველი აღიარებს სამონასტრო პოეზიას, რომელიც საამებე-



ლია აგრეთვე გამგები საერო საზოგადოებისათვის“ (გვ. 432; კურსი-
 ვი ჩემია, — ა. ბ.). ოღონდ ვერც იმას დავივიწყებთ, რომ თავის შემ-
 დეგდროინდელ ნაშრომში („ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველე-
 ბა“) ვ. ნოზაძეს უკვე პრინციპული ხასიათის კორექტივი შეაქვს (გა-
 მორიცხული არაა, რომ ჩვენი კრიტიკის შედეგად) თავის წინანდელ
 შეხედულებაში. ვეფხისტყაოსანის საზოგადოება, განმარტავს ახლა
 მკვლევარი, „ქრისტიანულია თავისი ზნეჩვეულებით, მაგრამ არა
ბერმონაზური ასკეტიკური ცხოვრებით, არამედ თავისუფალი, ჩვე-
 ულებრივი, ზოგად ქრისტიანული ზნით წარმოდგენილი“ (გვ. 371;
 კურსივი აქაც ჩემია, — ა. ბ.).

დასასრულ კვლავ უნდა დავუბრუნდეთ აკაკი პაპაევს ზემოთ და-
 მოწმებულ წერილს — „მადლიანი მჩხრეკელი“. აკაკი პაპაევს თბილი-
 სიდან მიუღია და დანიშნულებისამებრ უახლებია ადრესატისათვის
 ერთგოვანი ხელმოწერილი ლექსი, რომელიც ვიქტორ ნოზაძის
 ნამდვილ აბოლოგიას წარმოადგენს:

პატივცემულ ვიქტორს, რუსთაველის დიდ მოამაგეს:

რუსთაველის სიტყვის იცი მიგნება,
 ღრმად სწვდები აზრებს, შოთას დანათესს.
 საქართველოში შენმა წიგნებმა
 ვარსკვლავებით შემოანათეს!

24. 2. 62
 თ ბ ი ს ი

ერაყელი მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“
შესახებ

1980 წელს ერაყში ქალაქ მოსულის უნივერსიტეტის ორგანოში „ალ-ჯამია“ (№ 5, გვ. 27 — 29) დაიბეჭდა ბაღდადის უნივერსიტეტის პროფესორის დოქტორ ჯალილ ქამალ ად-დინის სტატია „არაბები ძველ ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“. ფართო საკითხი, რომელიც სტატიის სათაურშია დასმული, ავტორმა განიხილა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველზე.

არაბულ სამყაროში არცთუ ნათელი წარმოდგენა აქვთ ქართველებსა და საქართველოზე. ამან განაპირობა ჯ. ქამალ ად-დინის სტატიის შესავალი ნაწილი, სადაც მან ერაყელ მკითხველს ჩვენი თავი წარუდგინა: „ქართველებს, როგორც აღმოსავლეთის ხალხს, — წერს მკვლევარი, — ადათების, ტრადიციებისა და იდეალების მხრივ ბევრი რამ აქვთ საერთო არაბებთან. მათი საერთო თვისებებია: თავისუფლების სიყვარული და მისი განდიდება, ადამიანური დიდსულოვნება და მით სიამაყე, სულიერი სილამაზის ძიება ხორციელზე ადრე, მისწრაფება სიბრძნისაკენ, სახელის მოხვეჭისა და კულტურისაკენ — ფულის, თანამდებობებისა და წოდების მოხვეჭამდე, სისპეტაქე და გულწრფელობა სიყვარულში, მეგობრობასა და ამხანაგობაში, ოჯახურსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში, უანგარო თავგანწირვა სამშობლოსთვის, სახელისა და ადამიანური ღირსებებისთვის ბრძოლაში“. როგორც ვხედავთ, ეს წარდგინება მშვენიერად არის შესრულებული და რაოდენ გადაჭარბებულიც არ უნდა იყოს ხოტბა, უცხო ადამიანის ასეთი აზრი უდაოდ სასიამოვნოა ჩვენთვის.

ჯ. ქამალ ად-დინმა მკითხველს წარუდგინა რუსთაველიც. მკვლევარი აღნიშნავს, რომ რუსთაველი, ქართული ლიტერატურის სიამაყე, თავისი ეპოქის ერთ-ერთი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი იყო.

ერაყელი მკვლევარი მოკლედ ეხება პოემის სიუჟეტს. მისთვის



როსტევეანი და ავთანდილი, ყოველგვარი პირობითობის გარეშე, უბრალოდ არიან. რაც შეეხება ტარიელს, ის ქართველია (და არა ინდოელი) პოემის შინაარსი მას მოაგონებს გილგამეშის ეპოსს. ტარიელსა და ენჭიდუსს, გილგამეშსა და ავთანდილს შორის მისი აზრით დიდი მსგავსებაა. მსგავსებას ხედავს იგი ფირდოუსის „შაჰ-ნამესთანაც“, მაგრამ ამავე დროს „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს ნამდვილ ქართულ პოემად.

ჯ. ქამალ აღ-დინი თვლის, რომ რუსთაველი განიცდიდა აღმოსავლური პოეზიის გავლენას, იმ პოეზიისას, რომელიც განადიდებს გონიერებას, სიბრძნეს, თავისუფლებას, მამაცობას, სისპეტაკეს, გულწრფელობას, ჭეშმარიტ მეგობრობას, ნამდვილ სიყვარულსა და სამშობლოსთვის თავდადებას. მას მოყავს რუსთაველის აფორიზმი „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“... და ადარებს არაბული რაინდობის მეხოტბის, გამოჩენილი პოეტის ალ-მუთანაბის (X ს.) ერთი ლექსის სტრიქონებს:

„იტხოვრე სახელოვნად, ან მოკვდი ღირსეულად, აღმების ფრიალსა და პოროლთა ძგერებაში. მოკვდი ისე, რომ მძიმე იყოს ეს დანაკლისი და არა უსახელოდ, როგორც ცხოვრობდი. სახელი ეძიე, ჯოჯოხეთის ალიც რომ გწვავდეს, მონობას ეხსენ, თუნდ სამოთხე გჭონდეს მარადყამს“...

რაინდისათვის მამაცობა აუცილებელია, მაგრამ მარტოოდენ ეს არ არის საკმარისი, — წერს ერაყელი მკვლევარი, — ზამს ჭკუას გონებაც. დიდი ალ-მუთანაბის თანახმად გონება პირველ ადგილზეა, მამაცობა კი — მეორეზე: „თვით ის საპყარი, ჩვილს რომ ვერა სძლევეს, ჯაბანს გათელავს. საფრთხეს აცილებს მხოლოდ რაინდი, ფონს გაეა იოლად მამაცის გონება“. ასევე ფიქრობს ქართველი რუსთაველიც, რომელიც თავის პოემაში გმირ არაბ ავთანდილს, სადაც საჭიროა გამოაყენებინებს ძალას, ზოლო იქ, სადაც განსჯაა საჭირო — ჭკუა-გონებას.

რუსთაველის დამოკიდებულება ქალისადმი, — წერს ჯ. ქამალ აღ-დინი, — უკავშირდება მის დამოკიდებულებას სიყვარულისადმი. რუსთაველთან სიყვარული, ისევე როგორც მამაცობა, ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობაა. მას სწორად ესმის ტრფობის სიხელე არაბებთან („მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა“...). თავის მკითხველს თუ მსმენელს იგი მიჯნურს წარმოუდგენს იმ ადამიანად, რომელიც მზად არის თავი გასწიროს სატრფოსათვის. ნამდვილი სიყვარული ჭეშმარიტად დიდი გრძნობაა, რომელიც ქანცავს სულსა და სხეულს, ალ-მუთანაბის სიტყვებით, „როცა დიდია სურვილები, სხეულები იღლებიან მათ შესრულებაში“. მკვლევარი იხსენიებს სიყვა-

რულის ერთ-ერთ მსხვერპლს, არაბ ურვა იბნ ხაზნამს, რომელიც ავე
აგვიწერს თავის ტანჯვას:

„იამაჰას და ნაჯდის (მხარეებია არაბეთში — გ. ჯ.) მისნებისათვის არა დავიშურებ რა, რომ განვეკურნეთ. რაც კი შეეძლოთ — მანუტგეშეს და შემილოცეს, როგორც იცოდნენ, ბოლოს კი მითხრეს: ვფიცავთო ალლაჰს, მხოლოდ მას ძალუქს შენი მორჩენა. ვერას გავაწყობთ ჩვენ იმასთან, რასაც შენი ნეკნები ფარავს (ე. ი. სიყვარულით დაკოდილ გულთან — გ. ჯ.)“. დამოწმებულია სხვა არაბი პოეტის სიტყვებიც: „მე მიყვარს სატრფო ერთადერთი და არა მსურს, რომ სხვაზე გავცვალო. მხოლოდ ისა მწადს, ჩემი რომ გახდეს და თუ გამშორდა, სხვა მის გარდა არავინ მინდა“.

ჯ. ქამალ ად-დინის აზრით, ქართველებთან და არაბებთან საერთოა მეგობრობის, სიყვარულისა და ტრფობის საფუძვლები. ქართველი მიჯნურის (მამაკაცის) ტანჯვა ტრფობით გახელებული არაბის ტანჯვის მსგავსია. იგივე ითქმის ქართველი და არაბი ქალების სიყვარულის შესახებაც. მკვლევარი თვლის, რომ რუსთაველთან სიყვარული უზრიულია, ისეთივე, როგორც უზრიული სკოლის პოეტებთან.

საკითხის ამგვარი დასმა ახალი არ არის რუსთაველოლოგიაში. შეგახსენებთ, რომ უზრიული ლირიკა არის არაბ ბედუინთა სატრფიალო ლირიკა. გადმოცემით, ამგვარი ლექსების შეთხზვით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჰიჯაზის ერთ-ერთი ტომის — უზრას პოეტებმა. ისინი უმღერდნენ უბიწო, პლატონურ სიყვარულს უბედური შეყვარებულებისას, რომლებიც ერთმანეთს სასტიკმა ბედმა დააშორა. თავად ალლაჰის ნებით წარმოქმნილ საბედისწერო, თითქმის მისტიკურ სიყვარულს იდეალური ქალისა მიჯნურისთვის მოაქვს მხოლოდ ტანჯვა, რომლისგანაც ხსნა სიკვდილსაც კი არ შეუძლია. უზრიული სიყვარული გამსჭვალულია ფატალიზმით, უსაშველო სევდითა და განწირულობის გრძნობით. უზრიულ ლირიკაში გმირი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ინარჩუნებს ერთგულებას მხოლოდ ერთი სატრფოსადმი. ამ ლირიკის მუდმივი სიუჟეტია სატრფოს იძულებითი გათხოვება, შეყვარებული მამაკაცის ტანჯვა და სევდა. უზრიული სიყვარულის სიუჟეტები მოგვიანებით აღმოსავლეთის ხალხების მრავალ რომანულ ეპოსს დაედო საფუძვლად. ელემენტები ამ სიყვარულისა არის „ვეფხისტყაოსანშიც“, მაგრამ, არსებითად, რუსთაველთან სიყვარული განსხვავებულია. როგორც აღნიშნავს აკად. ალ. ბარამიძე, რუსთაველის შემოქმედების საგანია არა მისტიკური, საღმრთო, საზეო მიჯნუ-

რობა, არამედ საამქვეყნო, მიწიერი, ზორციელი, ანუ სხვანაირად, რე-
ალური, მატერიალური, ბუნებრივი, ადამიანური გრძნობა.

გ. ქამალ ად-დინი, სამწუხაროდ, არ იცნობს ქართულ რუსთველო-
ლოგიურ ლიტერატურას (რომლის საუკეთესო ნიმუშების აღმოსავ-
ლურ და ევროპულ ენებზე თარგმნაც საშუაო საქმეა). იგი „ვეფხისტყაოსანს“
არაბი მკითხველისა და მკვლევარის პოციზიებიდან უდგე-
ბა და ეს არცაა გასაკვირი. ამის საფუძველს მას აძლევდა პოემის ნა-
წილობრივი „არაბული ფონი“, რომელიც უყოყმანოდ, ჭეშმარიტე-
ბად მიიჩნია მკვლევარმა. მიუხედავად ამისა, მისი ცდები—პარალელე-
ბი დაუძებნოს რუსთაველის სიბრძნეს არაბულ პოეზიაში, რომელიც
საერთოდ აღმოსავლური პოეზიის შემადგენელი ნაწილია, ვფიქრობთ,
ყურადღებას იმსახურებს. „ვეფხისტყაოსნის“ არაბული თარგმანი კი,
რომელიც 1984 წელს დაიბეჭდა დამასკოში, ვიმედოვნებთ, მყარ სა-
ფუძველს შექმნის არაბულ ქვეყნებში პოემის უფრო სერიოზული
შესწავლისათვის.

რუსთაველის სურათზე

სულმნათო! მადლი შენს გამჩენს!
დიდება ერსა შენს მშობელს!
და ძეგლად სამარადისოდ
ნეტარსენება ამ სოფელს!..

შენ ნიშნად უკვდავებისა
ერს მოვლენიხარ განგებით,
ვით ცისარტყელა წარღვნისა
უცნაურისა ჰანგებით.

სულმნათო ჩვენცა გვასწავე
ევ საიდუმლო ეღერისა,
რომ აგვისრულდეს წაღილი,
მგოსანი ვიქმნე ერისა;

რომ ჩემის მღერით აგზნილი
რაყიფი ტარიელობდეს:
ქაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი,
ნესტანისათვის ხელობდეს!..

მაშინ, ვით ჩვენსა მნათობელს,
სახელი აღგემატება,
და შენი სახე ივერთა
გულს ძეგლად დაეხატება.



**ჩვენი
პუბლიკაცია**

სიტყვა თესლია, ხალხი ნიადაგი, თამაგად და
პატიოსნურად ხალხში გატყორცნილი მართალი
სიტყვა უნაყოფოდ არ რჩება... რომ არ გზონია
იმისთანა ალაგს ამოდის, არ იპარება.

სიტყვა თესლია! ხნული კი კაცის გული: იმ
ჩამარდნილი სიტყვა არ ძრება, მხოლოდ დრომდე
მიმალულია და ნილ-ნილა ღვივის, რომ უმედეგ
თავი იჩინოს.

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს.

ა კ ა კ ი

ლილი აკაკი

პუბლიკაცია მოამზადა

შუშანა მგელაძე

მწერალი ქალი კატო მიქელაძე დედაჩემის — საფო მგელაძის უაზროესი მეგობარი გახლდათ. ჩვენს ოჯახში ათეული წლების მანძილზე ინახება მისი ლაინტერესო მოგონება აკაკი წერეთლისა და კატო მიქელაძის შეხვედრაზე პარიზში. ვფიქრობ, ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ მკითხველს გავაცნობ ამ მოღვაწე ქალის მოკლე ბიოგრაფიას.

კატო მიქელაძე დაიბადა 1877 წელს სოფ. კულაში (ქუთაისის მაზრა), მამამისი, დავით მიქელაძე, იყო ჩვეულებრივი ქართველი თავადი, რომელსაც შვილების მომავალზე არ უზრუნვია, ცხოვრობდა უდარდელად და ბოლოს გაღატაკდა. კატო იგონებდა: „რაც თავი მახსოვს მე არ მაგონდება მშობლიური კერა. ორი წლიდან, რაც დედა მომიკვდა, ვიზრდებოდი ნათლიას ოჯახში, დაბა სუჯუნაში“. კატოს ნათლია ყოფილა მათი ოჯახის გამდლის შვილიშვილი, გაბუნის ასული, კუხალაიშვილის ცოლი, რომელმაც თავს იღო კატოს პატრონობა.

8 წლის კატო შეუყვანიათ ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში. უკანასკნელი ჰირისუფლის სიკვდილის შემდეგ კატომ დატოვა სასწავლებელი, ცხოვრობდა ნათესავეებში და სწავლასა და დამოუკიდებელ ცხოვრებას მოწყურებული, ცდილობდა თავი დაედგინა შექმნილი ვითარებისაგან. ნათესავთა დახმარებით 1897 წელს თბილისის საბეზო ინსტიტუტში შევიდა, რომელიც 1900 წელს დაასრულა. დაინიშნა სამსახურში დაბა ცხინვალში (გორის მაზრა), სადაც ზშირად უსასყიდლოდ და საკუთარი ფულით ნაყიდი წამლებით მკურნალობდა ავადმყოფებს. ამასთან ერთად ეწეოდა კულტურულ მოღვაწეობას, იყო ორგანიზატორი ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სცენის მოყვარეთა

წრებისა, წარმოდგენების გამართვისა. თავის ბინაზე აწყობდა ციებს ჰიკიენის თემებზე ქალებისათვის.

კატო მიქელაძის პირველი ლექსი „სურვილი“, დაიბეჭდა 1892 წელს „კვალში“ (№ 14). შემდეგ ბეჭდავდა „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში 1901—3 წწ. 1903 წ. მარიამ დემურისა და ნატო გაბუნას დახმარებით კატო მიქელაძე მოსკოვს გაემგზავრა პედაგოგიურ კურსებზე შესასწავლად, სადაც ნაშვილ მსმენელად იქნა მიღებული. 1906 წ. აღექსანდრე ხახანაშვილისა და სოფიო ამირჯიბის ხელისშეწყობით წავიდა „შვეიცარიაში, სადაც პეტრე ზუბალაშვილის დახმარებით ცხოვრობდა, 1907 წ. ქენევიდან პარიზში გადავიდა და დაუახლოვდა ემიგრანტთა წრეს. მათი დახმარებით ბელგიაში, ბრიუსელის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. 1914 წ. ომის დაწყების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და ქუთაისში დაიღო ბინა, სადაც კერძო გაკვეთილებით ცხოვრობდა. 1917 წლის, მარტიდან ქუთაისში ბეჭდავდა ყოველკვირეულ საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთს „ხმა ქართველ ქალისა“ (გამოვიდა 1917 წელს 32 ნომერი, 1918 წ. 18 ნომერი). გაზეთს დიდ დახმარებას უწყევდა ქართველ ქალთა საზოგადოებრიობა ფინანსიური შეწირულებით. „მწერლობაში მე ვებრძოდი ისეთ ავტორებს, რომლებიც ქალის პიროვნებას აბუჩად იგდებდნენ და ამბობდნენ — თანასწორუფლებიანობა ვერ შესძლებს ქალის აქტიურ მოქალაქედ გარდაქმნასო. ასეთ შეხედულებების წინააღმდეგ გამოსვლამ მე მრავალი მტერი შემძინა და მრავალი ზიანი მომაცენა“ — წერს კატო მიქელაძე თავის მოგონებაში.

* * *

აკაკი წერეთელს მე ბავშვობიდან ვიცნობდი. პირველად ვნახე ის ქ. ქუთაისში, განსვენებული კატო ნიკოლაძის ოჯახში, რომელთანაც იმ დროს ცხოვრობდა მისი დისწული, მწერლის გიორგი წერეთლის ქალიშვილი ელიკო წერეთელი. იგი და მე ქუთაისის ქალთა გიმნაზიის ერთი კლასის მოწაფენი ვიყავით და ერთმანეთთან დავდიოდით. ამ მიმოსვლამ მე შემახვედრა აკაკის. ჩემს ბავშვობისას ბევრი შესანიშნავი თვალტანადი ქართველი ვაჟკაცი მინახავს, მაგრამ არც ერთს მათგანს ჩემზე ის დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორც აკაკის. მისი ზე აზიდული ტანი, ზვესისებური მზიური სახე, მაღალი შუბლა და ფართო კეთილგამომეტყველი თვალები საამური გაკვირვებით შეგაჩერებოდათ. მისი ტკბილი საუბარი, ციური სიცილი და-

უციუყარ შთაბეჭდილებას სტოვებდა. გასაკვირი ის იყო, რომ დიდსა და პატარას აკაკი ერთნაირად ჰხიბლავდა. ეს ბუმბერაზი შეხედულბის კაცი კი არ გვაშინებდა ბავშვებს, არამედ გვიზიდავდა, გვათბობდა. პატარებთან მას თავისებური მომზიბლავი ენა ჰქონდა. აკაკი არ ჰგავდა იმღროინდელ გაბღენძილ ქართველ ინტელიგენტებს, რომლებიც ბატონკაცურად გამოიყურებოდნენ და რომლებთანაც ლაპარაკს არათუ ბავშვები, დიდებიც კი ვერ ბედავდნენ, თუ უმაღლესი დიპლომი არ ჰქონდათ. აკაკი იყო ნამღვილი ხალხოსანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ ქართველი ხალხოსანი. აკაკი უფრო ხალხის შვილი იყო, ვიდრე თავადიშვილი. მას თანშეზრდილი ჰქონდა ხალხის სულისკვეთება, ქართველი ხალხის კულტურულ-ფსიქოლოგიური თავისებურება, რომელიც გულწრფელად უყვარდა და რომლის დაცვისთვისაც მთელი ძალ-ღონით იბრძოდა. აკაკი უბრალო ხელოსანთან ამხანავურად საუბრობდა, რისთვისაც მას, ისე როგორც ალ. ყაზბეგს, ძრახავდნენ კიდევ იმღროინდელი მედიღურობით გაბღენძილი ფარიხეველნი.

ბავშვობის შემდეგ აკაკის იშვიათად შევხვედრივარ. 1909 წელს, იუბილეს გადახდის შემდეგ აკაკი თავის ცოლშვილით პარიზში ჩამოვიდა. იმ ხანებში მე პარიზში ვსწავლობდი. რა გავიგე აკაკის ჩამოსვლა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

აკაკი დაბინავდა დიდი ქართველის ნიკო ნიკოლაძის პირველ ცოლთან, რომელიც იმ დროს პარიზში ცხოვრობდა.

პარიზში პირველად აკაკის შევხვდი გრიგოლ გველესიანის ოჯახში, რომელიც იმ ხანებში თავისი ცოლ-შვილით იყო ჩამოსული. აკაკი რომ უცხოეთში დაეინახე, სამშობლოს მოწყურებულმა ისეთი სითბო ვიგრძენი, თითქოს მთელი საქართველო იდგა ჩემს წინ და არა მარტო ერთი მისი უკვდავი შვილი, ერთი დიდი ქართველი. რამდენიმე დღის შემდეგ მივედი აკაკისთან. ესამოვნა ჩემი ნახვა, გამომკითხა ჩემი ამბავი, სად ვცხოვრობ, როგორ ვცხოვრობ და სხვა. დამაწერინა ჩემი მისამართი. ამ დროს აკაკის ცოლიც გამოვიდა თავის ოთახიდან, რომელთანაც მე ოცი წლის წინ გაცნობილი ვიყავი. ის ყოველწლიურად ჩამოდიოდა პარიზში თავისი შვილით — ალექსით. აკაკის შვილი პროფესიით ინჟინერი იყო, მაგრამ, ვინაიდან მუსიკის დიდი მოყვარული იყო, მას თავისი პროფესია მიტოვებული ჰქონდა და საოპერო დასის ანტრეპრენიორობას ეწეოდა. ეს დასი მას პარიზშიც ჩამოყავდა. დედასა და შვილს მე ახლოს ვიცნობდი, ერთმანეთთან მიმოწერაც გვქონდა. აკაკის ცოლი იმ ხანებში საგრძნობლად მოხუცი იყო.

თავის დროზე ის ლამაზი ქალი იქნებოდა. მის მოხუც სახეზე ტირილი რუსული სილამაზე იხატებოდა. შთამომავლობით იგი არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. ამასთანავე დიდად ნებიერი და თავისებური ახირებული ხასიათისაც იყო. მაგრამ ბუნებით სადა და გულკეთილი, მცოდნე ევროპული ენებისა, ბევრის მკითხველი და ლიტერატურულად დიდად განათლებული. ის იყო შვილი ოქროს მრეწველ ბაზილევსკისა, მას გაგიყებით უყვარდა თავისი ვაჟი ალექსი, ურომლისოდაც ერთი დღეც არ შეეძლო გაძლება.

აქვე უნდა შევეხო იმ დიდ სიცრუეს, რომელსაც აკაკის შესახებ საქართველოში ავრცელებდნენ, თითქოს აკაკის თავის ცოლის დიდი ქონება გაეფლანგოს.

აკაკის ცოლისათვის მე ბევრი რამ გამომიკითხავს ჩვენი დიდი პოეტის შესახებ და სხვათა შორის ერთ დღეს ამ საგანზედაც დავეკითხე მას. აი რა მიპასუხა: „ჩემი დიდი ქონებიდან არა თუ აკაკის, მე თვით არაფერი არ მერგო. ჩვენ ორი დანი ვიყავით, ძმა არ გვეყოლია. ჩემი უფროსი და ცოლად გაჰყვა სიღამონ-ერისთავს, კაცს დიდად გარყვნილს და მეზანქოეს. ჩემი რწმუნებული იყო ჩემი და, მან კი თავისა და ჩემს რწმუნებულად თავისი ქმარი გახადა, რომელსაც ჩვენს ქონებაზე სრული მინდობილობა მისცა. ჩვენი ასეთი ნდობა მისმა ქმარმა და ჩემმა სიძემ იმ გვარად გამოიყენა, რომ ჩვენ ცარიელზე დაგვტოვა, ყველაფერი გაგვიფლანგა. მე მაშინ ახალგაზთხოვილი ვიყავი აკაკიზე, როცა ჩემი სიძე ფუქსავატმა ცხოვრებამ თვითმკვლელობამდე მიიყვანა. სასიკვდილოდ დაჭრილმა სიღამონ-ერისთავმა აკაკის ნახვა მოისურვა. დაჭრილი აკაკის ცოცხალი დაუხვდა, მასთან მიხლოებულ აკაკის ჩემმა სიძემ ხელი დაუჭირა, აკოცა და უთხრა: — „მე შენთან დამნაშავე ვარ და მამატიეო“. აი საქმის ნამდვილი ვითარება.

ამბობენ, აგრეთვე, ვითომ აკაკის თავის ცოლი არ ყვარებოდეს და მასთან გაყრილი ყოფილიყოს. არც ეს არის მართალი. ფაქტიურად საქმე იმაშია, რომ აკაკის ცოლს, ევროპულ ცხოვრებას მიჩვეულს, ს. სხვითორში და ქუთაისში ყოფნა არ შეეძლო. აკაკის კი იმდენი შეძლება არ ჰქონდა, რომ პეტერბურგში ან თბილისში ეცხოვრა. აი რა იყო მიზეზი მათი ცალკ-ცალკე ცხოვრებისა და არა ერთმანეთის სიძულვილი.

ცოლ-ქმარი ყოველწლიურად ნახულობდნენ ერთმანეთს: ხან აკაკი მიდიოდა იმდროინდელ პეტერბურგში და ხან ნატალია პეტრეს ასული ჩამოდიოდა საქართველოში და რჩებოდა რამდენიმე ხანს,

ზოგჯერ ს. სხვიტორში და ზოგჯერ თბილისში, აკაკის მეგობრის ნი-
ნე მაჩაბლის ოჯახში დაბინადებოდა ზოლმე. ტასო მაჩაბლის
აკაკის ცოლს დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა და არაერ-
თხელ აუწერია ჩემთვის მისი მაღალი ადამიანური თვისებები.

პირადად მე ტასო მაჩაბელს არ ვიცნობდი. ის გამაცნო აკაკის
ცოლმა იმ დღეს, როცა აკაკის ვასაფლავებდით და რომელიც მას
გვერდით ედგა.

აკაკის პარიზში ჩამოსვლისა და ცხოვრების დროს მე ვცხოვრობ-
დი პანთეონის გვერდით, ფოსე სენ-ჟაკის ქუჩაზე, მეექვსე სართულში,
სადაც მეჭირა საშუალო ფართობის ერთი აივნისანი ოთახი. ერთ დღეს
სტუმრად მეწვია მადამ დე-სენ-ვიქტორი, თავის ქალიშვილით, რომლე-
ბიც იმ ზაფხულს გავიცანი ლივრში (30 კლმ. დაშორებულია პარიზს),
მარკიზა დე-სევინიეს სახელობის პანსიონში, სადაც მე ყოველ ზა-
ფხულს ვატარებდი.

ვზივართ სამთავენი ოთახში და ვიგონებთ ლივრის პანსიონს. ამ
დროს კონსიერჟი (მეკარე) მირეკავს, რომელიც მეუბნება: „თქვენთან
სტუმრები მოდიან“. ჩავედი ძირს ერთი სართულით, რომ გამეგო, თუ
ვინ იყვნენ ჩემი სტუმრები და, ჩემს გოაცებას საზღვარი არ ჰქონდა,
როდესაც აკაკი თავის ცოლ-შვილით დავინახე.

ის სახლი, სადაც მე ვცხოვრობდი, ძველი შენობა იყო და ლიფტი
არ ჰქონდა. შეეწუხდი, გაგონილი მქონდა, რომ აკაკი გულით დაავა-
დებული იყო. აკაკიმ დამინახა ქვემოდან და შემომძახა: „ქალო, მაგ
ცაში რამ აგიყვანაო“. შევარდი მაშინვე უკან ოთახში, ვამცნე ჩემს
სტუმრებს თუ ვინ მესტუმრა, მოვიხადე მათ წინაშე ბოდიში, წამოვავ-
ლე ხელი ორ სკამს და სასწრაფოდ ძირს ჩავიბრინე. ისინი უკვე პირ-
ველ სართულზე ამოსულიყვნენ. მეორე სართულზე დაფუდგი სკამე-
ბი ორთავე ცოლ-ქმარს, ამგვარად ისინი თვითველ სართულზე ისე-
ნებდნენ და თანაც ვსაუბრობდით. ნახევარი საათის შემდეგ ყველანი
მეექვსე სართულზე ავედით და ოთახში შევედით. მადამ დე-სენ-ვიქ-
ტორი ფრანგი არისტოკრატის წრის ქალი იყო, კომუნის მომსწრე, ბევ-
რის მნახველი და ბევრ გამოჩენილ პირთა ნაცნობი. აკაკი რომ და-
ინახა კარებში შემოსული, ჩუმად ჩაილაპარაკა: „ღმერთო ჩემო, რა
მშვენიერი კაცია“. გავაცანი მას აკაკი და მოვახსენე, რა დიდი ადამი-
ანი იყო შემოსული ჩემს პატარა ოთახში. აკაკი ფრანგულად არ ლა-
პარაკობდა, სამაგიეროდ აკაკის ცოლმა და მადამ დე-სენ-ვიქტორმა სა-
ერთო ენა გამოიხატეს და ბევრი იმუსაიფეს. ერთი საათი დაჰყვეს ჩემ-
თან, შემდეგ სტუმრები ყველანი ერთად წამოდგნენ. მე დიდოს სი-

ფრთხილით ჩავაცილე აკაკი, ნატალია პეტრეს ასულს კი თავისი შვილი ალექსი შევლოდა. განშორებისას აკაკიმ მითხრა: „ხვალ შენც ჩემს მემკვიდრეში იქნებიან მოდი, იაშა ნიკოლაძის ატელიეში ერთად წავიდეთ“. ჩვენს პატივცემულ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს მაშინ იაშას ვეძახ-ლით.

ევსტეპერდი მიმავალ აკაკის და ჩემი სული და გული თან მიჰყვებოდა. დავბრუნდი ჩემს ოთახში. ახლა ის თითქოს გადასხვაფერებულად მომეჩვენა. სიამაყით ვათვალისწინებდი იმ ადგილს, სადაც რამდენიმე წუთის წინ საქართველოს უდიდესი შვილი, უკვდავი ქართველი იჯდა.

მეორე დღეს დილის ათ საათზე მივედი აკაკისთან, დამინახა თუ არა, მომადიხა: „სალამ ალექსეუმ“ და მომეგება. ყველანი სახლში იყვნენ. იმ ზანებში პარიზში ასამართლებდნენ მაღამ სტენელს — მარჯარიტა ყაპის, რომელსაც ქმრისა და საკუთარი დედის მოკვლას აბრალებდნენ. სალაპარაკო თემად ყველას ამ ქალის სახელი ეკერა პირზე.

ის იყო მხატვარი სტენელის ცოლი, ხნიერი, მაგრამ შეძლებული კაცისა, რომლის სიმდიდრის გამო მშვენიერი ახალგაზრდა ქალი თავის სურვილის წინააღმდეგ მშობლებს გაუთხოვებიათ. გათხოვების შემდეგ ცხოვრებაში გამოსულს დამოუკიდებელი ხასიათის მარჯარიტა ყაპის ქმრისაგან გაყრა მოუსურვებია, მაგრამ მის ქმარს, სტენელს, იმ ზომამდე ყვარებია, რომ ყოველგვარ დათმობაზე წასულა და მის წინაშე განუცხადებია: „ოღონდ ნუ მომშორდები და როგორც გენებოს, ისე იცხოვრო!“ ასეთი პირობის შემდეგ დარჩენილა ის ქმრის გერქვეშ, სადაც თავისუფლად თავის ნებაზე ცხოვრობდა. მიჯნურობაში არ ყოფილა ზნეობრივი ქალი, საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორიდან დაწყებული უმაღლესი წრის მამაკაცებს ხელათმანციით იცვლიდა, რის გამო აღნიშნული წრის მამაკაცების ცოლები დიდი მძულვარებითა და საიდუმლო მტრობით იყვნენ მისდამი გამსჭვალულნი. 1909 წელს ერთ დღით სტენელის ოჯახში ასეთი სურათი ნახეს: სტენელი და მისი სიდედრი ბაწრით მომხრჩვალი თავიანთ ოთახებში იატაკზე ეყარნენ და თვით მარჯარიტა ყაპი ლოგინზე ბაწრით დაკრული და პირში ბანბაჯაჩრილი. ბოროტმოქმედნი პოლიციამ ვერ აღმოაჩინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს მკვლელითა თვით მას დააბრალეს და ერთ მშვენიერ დღეს სენ-ლაზარის ციხეში ჩასვეს. აშკარა იყო ბოროტმოქმედება ამ ქალის გასაბახებლად და დასაღუპად იყო მოწყობილი. ყოველი პატიოსანი დაკვირვებული ადამიანი თანა-

უგრძობდა მადამ სტენელს. პარიზის პრესა კი სტექდა და სტექდა წინააღმდეგ.

ქალი სასამართლომ, რასაკვირველია, გაამართლა და ციხიდან გამოსულმა მეორე დღესვე დასტოვა პარიზი და გადასახლდა ლონდონში.

იმ დილით ჩვენც იმ ქალის საქმეზე ვლაპარაკობდით, რომლის პროცესზე დასასწრებლად ზოგი ას და ორას ფრანკს იხდიდა. აკაკის ებრალებოდა ეს ქალი ისე, როგორც მე და კმაყოფილი ვრჩებოდით, რომ აკაკიც ამ ქალის შესახებ ჩემი აზრისა იყო.

ჩვენს საუბარში მანქანაც მოადგა კარებს. აკაკი თავის ოთახში შევიდა, ქუდი და ჯოხი გამოიტანა, ჩავჯექით და გავუდექით ნიკოლაძის ატელიეს გზას.

გზაში აკაკი სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ საუბრობდა. გული დამეწურა, ეტყობოდა, გრძობდა სიკვდილის მოახლოვებას, რაც მას სინამდვილეში ექვსი წლით ზურგს უკან ედგა. შემდეგ თავის ნაწერებზე ჩამოაედო ლაპარაკი. მას ძალიან აწუხებდა ის გარემოება, რომ მისი ნაწარმოებების შეათედი ნაწილიც კი არ იყო გამოცემული. ამასთანავე, ისიც აღნიშნა, რომ მის ზოგიერთ ლექსს კომენტარი ესპირობოდა: „ბევრი ისეთი ლექსი მაქვს დაწერილი საჭირობოროტო საკითხზე, რომელიც პოეზიის მხრივ დიდს არას წარმოადგენს. ამ ლექსებს კომენტარი სჭირდება. თუ ამის აღნიშვნა ვერ მოვასწარი, რადროს რა თემაზე დავწერე ისინი, მკითხველს არაფერს მისცემს და ეს ჩემთვის ძალიან სამწუხარო იქნება“.

ამ საუბარში მივადექით კიდევ იაშა ნიკოლაძის ბინას. შიგ რომ შევედით, მასპინძელთან ერთად ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი) მოგვეგება, რომელიც იმ დროს ნიკოლაძის ატელიეში ცხოვრობდა და თავისუფალ დროს თიხის ქანდაკებით ერთობოდა. ერთი მისი გამოქანდაკებული თავი თაროზე იდგა, რომელსაც, როგორც მაშინ ვადმომცეს, ცნობილმა მოქანდაკე სუდბინინმა ყურადღება მიაქცია, ურჩია სერიოზულად მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის და ექვსი თვის სასწავლო ფულიც გადაუხადა. თაროზე მრავალი ქანდაკება იდგა, სხვათა შორის აკაკიმ ყურადღება მიაქცია ერთი მოხუცი კაცის გამოქანდაკებულ სახეს, გაიშვირა ამ ქანდაკებისაკენ ჯოხი და მასპინძელს ჰკითხა — ეს ვინ არის?!

— ეგ თქვენ ბრძანდებით,* — უბასუხა ნიკოლაძემ.

* დღეს ეს ქანდაკება ოპერის ბაღში დგას თბილისში.



— უკაცრავად, მე ეს სრულიად არ გახლავართ, — მიუგო ^{წაკაცი.} /

— თქვენ, პოეტებს, ქანდაკების ბევრი არაფერი გაგეგმებათ, ^{არაფერსაც ვერ გეგმობთ} მილით უბასუხა ნიკოლაძემ, რაზედაც აკაკიმ გულიანად გაიცინა. ეს სიცილი ყველას გადაგვედო და ატყდა საერთო ხარხარი.

1909 წელს, ორ დეკემბერს პარიზელმა ქართველებმა აკაკის პატივსაცემად კაფე „ვოლტერში“ ბანკეტი გამართეს. იმ დღეს მე აკაკისთან ვიყავი და ბანკეტზე ერთად წავედი — აკაკი თავის ცოლ-შვილით, ნიკოლაძის ყოფილი მეუღლე და მე. ბანკეტს დაესწრნენ: ნიკოლოზ დოლობერიძე (კიათურის შავი ქვის მრეწველი), შემთხვევით ჩამოსული მომღერალი ნანობაშვილი, ალექსანდრე გაბუნია (ისკანდერი), გრიგოლ გველესიანი და მთელი იქ მყოფი ქართველი სტუდენტობა. ბანკეტის დიასახლისი იყო მელანია გველესიანი. სიტყვები წარმოსთქვეს ალ. გაბუნია, გრ. გველესიანმა, ალექსანდრე ჯანელიძემ (დღეს ცნობილმა პროფესორმა), იოსებ ჭეიშვილმა და სხვებმა. აკაკიმ ყველას საერთო პასუხი ვასცა. ბოლოს მეც ავიღე სიტყვა, რომლის დასრულების შემდეგ მქუხარე ტაში ვაისმა. მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ ეს ოვაცია ჩემს გულს სრულიადაც არ უგრძენია, ხოლო როდესაც აკაკი, სახეგაბრწყინებული ფეხზე წამოდგა, ღვინით საესე ჭიქა ხელში აიღო და ჩემს საპასუხოდ პირი მოიბრუნა ჩემსკენ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

აი მისი პასუხი: „როცა შეტყობა უნდათ წინასწარ ამინდისა, ბარომეტრში ჩახედავენ ხოლმე. რომელიმე ერის, ხალხის გაცნობა თუ გვინდა, ჯერ ქალები უნდა ვავიცნოთ, როგორც ეროვნების ბარომეტრი. როცა საქართველო იდგა, მაშინ ქართველი ქალიც, როგორც დედა, როგორც ცოლი და როგორც მოქალაქე განთქმული იყო. იმ საუკუნეში, როცა საქართველო დასცეს, ეს დაკნინება ქალებს უფრო დაეიტყო. დღეს ბევრ ქალს ნახავთ ჩვენში, რომელთაც დაეწიყებული აქვთ მისი „წმინდათა წმინდა“ და ქართულად ვეღარ ახერხებენ ლაპარაკს თუ არა სოფლელი ქალი. სხვები კი მიმოწერასაც ვეღარ ახერხებენ ერთმანეთში. სასწავლებელს ამთავრებენ და თავს იმით იმართლებენ, რომ არ გვასწავლიდნენო. მაგრამ, ეს ტყუილი თავის შართლებაა. იქ, სადაც შობილან და გაზრდილან, ადვილია ენის შესწავლა, რომ გულიდან ამოფხვრილი არ ჰქონდეთ სრულიად ქართველობა! ქართველი ქალები თავს რომ ერთად მოიყრიან, უცხო ენაზე ლაპარაკობენ და ერთ მათგანს რომ შეეშალოს, ვერ გამოთქვას კარგათ ამ უცხო ენაზე, სხვები სასაცილოდ აიგდებენ და ქართული რომ არ იციან, ის არაფერი. ამის შემხედლავი იმედმიხდილი ვიყავი ამ სიბერის



დროს. მაგრამ ახალმა მოძრაობამ სხვა დამანახვა: ახალგაზრდა ქალები მზად იყვნენ რომ სამსხვერპლოდ თავი დაედევთ საქმისათვის. სწორედ გზით მიდიოდნენ თუ არა, ამაზე არას ვიტყვი, აღენიშნავ მხოლოდ, რომ დღევანდელმა ქალებმა სული ძველებური დედების გამოიჩინეს, საკეთილო საქმე შეგრჩენიათ და იმედია დროის შესაფერად კიდევ აღადგენთ ძველ სახელს. ეს პირველი ნაბიჯი თქვენ შეგხვდათ და საპიროა წაღმართად გადადვათ.

გისურვებთ ამ უცხო ქვეყანაში, რომ საკეთილოდ დაუბრუნდეთ სამშობლოს“.

5 დეკემბერს მე მივედი აკაკისთან, საღამო ქაში იყო, აკაკი მზიარულად მომეგება და მითხრა:

— შენი სიტყვა ხომ ლამაზი და ლამაზი იყო, მაგრამ, იცი ქალო, ისეთი ლამაზი იყავი, როცა ლაპარაკობდი, რომ თვალი ვეღარ მოვაშორე.

— ეს მისთვის, რომ სიტყვას თქვენ წაართო ჩემი ენა კი არ გელაპარაკებოდათ, აგრეთვე მთელი ჩემი სული და გული და ეს სულიერი აღფრთოვანება სახეხედაც მეხატებოდა.

— აბა, ახლავ დაწერე შენს მიერ წარმოთქმული სიტყვა და მომეცი, — მითხრა აკაკიმ.

მეც შევედი მეორე ოთახში და შევუდექი წერას. აი, ჩემს მიერ ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვა: „დიდო მგოსანო! დღეს ჩვენთვის უცხოეთის ცივი უჩვეულო ატმოსფერო თბილსა და სასიამოვნებლო გრძნობად შეიცვალა ჩვენს გულში და თავი სამშობლოში იგვეგულვება, მხოლოდ უფრო განათლებულსა და ბედნიერში. ის ვინც ბავშვობიდან საყვარელი იყო ჩვენთვის, აქ გყავს, ჩვენი ერის ბურჯი, სათაყვანო სულიერი აღმზრდელი.

ნახევარი საუკუნე იბრძოდი ჩვენი ტანჯული სამშობლოს გამოსახსნელად, ჩვენი ეროვნული ცხოვრების ასაღორძინებლად. ამ ნიადავზე ერთხელაც არ შეგიწყვეტია არც შენი უკვდავი ჩანგის ქლედა და არც მამულიშვილური ბრძოლა.

კავკასიონის მთებიდან შენი „დაფი და ნაღარა“ სხვადასხვა ხმაზე გაჰკიოდა, რომ სასოწარკვეთილი, მიძინებული ერისათვის ძილი გავგფრთხო და კვლავ სასიცოცხლო გმირული სული შთაგებერა! ბავშვები გებრალეობდით და ჩვენი სამშობლოს ტანჯვას იმდენად სუბუქად გადმოგეცემდით, რამდენადაც ჩველი იყო ჩვენი მაშინდელი გრძნობა-გონება.

ჰაუ, ჰაუ, ქორო ნუ ფრენ ამ ეზოში დიდილასო, ვერ მომპარავ, არ გავატან ჩემს პატარა წიწილასო,

გვაფხიზლებდი ჩვენ, ოდესღაც შენს პატარა მკითხველს.



კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო და მტრები კი ყვავ-ყორანო,

ეუბნებოდი დიდებს და შენი სხივოსანი ბასრი გულს უჭრიდა ამ ყვავ-ყორანებს და ერეკებოდა მათ მიჯაჭვული სამშობლოს გამოსახსნელად.

ამ ბრძოლაში რამდენი დაბრკოლება გეღობებოდა წინ, რამდენი ტკივილი განუცდიდა შენს ღვთაებრივი ცეცხლით აგზნებულ გულს! მაგრამ, შენი დიადი უკვდავი სულიერი ძალა იმდენად ძლიერი იყო, რამდენადაც ჩლუნგი და უსიცოცხლო შენი მოპირდაპირენი.

შეუშვადოთ მით ქვეყანას თავლი, ზეცას სანთელიო,
რომ იქ წმინდათ შეიწიროს და ანათოს აქ ბნელიო,
ვინც მე იმ დროს ხელს შემოშლის, ქვეყნის მტერი ის არიო
და მისთვის მაქვს მომართული გესლიანი ისარიო,

დაპკიოდი მათ და ვაი იმ ურჩს, რომელსაც შენი მკრელი ისარი მი-
ზანში ამოიღებდა! საქართველოს ცამ უკვე გუნდრუქად გოვინა შენგან
შემზადებული სანთელი და ხალხის სახელით პატარა გოგონამ თავის
უმანკო ნორჩი გულით იუბილეზე თავლის სახით მოგართვა შენდამდე
თაფლად ქცეული ხალხის გრძნობები, რათა სამარადისოდ დაიტკბო,
ვმირო მგოსანო, ხანგრძლივი დღეღვით მრავალ მწვავე განცდილი მებრ-
ძოლი სული. აღსრულდა შენი შორსმჭვრეტელობა, რომლითაც გვა-
სულდგმულელებდი ჩვენ:

ნაშთი ძველის დიდებისა არ გამჭრა ჯერაც ყველა,
დღესაც მისი შარაენდით ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა.

და ეს ნიშანი ისე არასდროს არ უნახავს საქართველოს, რაც მან
თავისი დამოუკიდებლობა დაკარგა, როგორც შენს საიუბილეო დღე-
სასწაულზე ითქვა. ერმა, რომელმაც თავის უკიდურეს მონობის დროს
წარმოშვა დიდი აკაკი, იმ ერის მონობის ჯაჭვის ქვეშ დაარჩენა შეუძ-
ლებელია. ამირანი შეტოკდა, შეინძრა შენდა პატივსაცემად და მით
თავის სიცოცხლის ძალა დაგვანახა. ყვავ-ყორანები დააფრთხო მისმა
შენძრევამ, ვხედავთ უტყუარ ნიშნებს შენი წინათგრძნობის აღსრუ-
ლებისას:

მოვა დრო და თავს აიშვებს
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთაგმირი,
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაპირი.



ამ ნიშნით შეეკრებილვართ დღესაც აქ და ვთხოვთ მიიღო ჩვენი გულთადი მადლობა იმ ფაქიზი და მამულიშვილური გრძობისათვის რომელთაც გვიღვიძებდა შენი უკუდავი ჩანგის სიმთა ეღერა, როგორც შენი ადამიანობა და შენი ქართველობა. მოგილოცავეთ რა ბრწყინვალედ დაგვირგვინებულ დიად მოღვაწეობას, სასოებით ვსვამ შენს საღღერძელს და ვისურვებ მრავალ წელს გეყავდე ჩვენო სიამაყე, ჩვენო დიდებაე!“.

დავასრულე რა ამ სიტყვის ქალაღზე დალაგება, გამოვედი ოთახიდან და გადავეცი აკაკის, რომელმაც ქალაღი ჩამომართვა და თავის ოთახში შევიდა. ამ დროს აკაკის ცოლი და იმ ოჯახის დიასახლისი გამოვიდნენ. ეს უკანასკნელი მეუბნება:

— იცი ახალი ამბავი? სარაჯიშვილის კანტორას იაშა ნიკოლაძისათვის გამოუგზავნდა შენთვის ასი მანეთი, მხოლოდ იმ პირობით, თუ საქართველოში დაბრუნდები, თუ არა ფული იაშამ უკან უნდა დაუბრუნოს კანტორას!

ამ სიტყვების ვაგონებაზე საშინლად ავენთე. მე ვთხოვე სარაჯიშვილს სტიპენდია. თხოვნა ერთი თვის წინად მქონდა გაგზავნილი თბილისში და, როცა ასეთი შედეგი მიიღო ჩემმა თხოვნამ, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენ და ვუპასუხე ნიკოლაძის ყოფილ მეუღლეს:

— მე თქვენ ვთხოვთ გადასცეთ იაშა ნიკოლაძეს, რომ ფული უკანვე გააბრუნოს. მე იმ ფულის მიმღები არა ვარ. ჩემი წასვლა-მოსვლა სარაჯიშვილისა და მისი კანტორის საქმე არ არის. მე ვთხოვე სარაჯიშვილს სტიპენდია და არა სამგზავრო ფული. მას შეეძლო ჩემთვის უარით ეპასუხა და ეს არც იმდენად გამიკვირდებოდა, ხოლო რადგან ისინი ჩემს მიმართ ასეთ პოლიციურ მეთოდს ხმარობენ, მათგან ფულს არ მივიღებ.

გულმოსული ვიყავი და შექველია ხმამაღლა ვლაპარაკობდი, რამაც აკაკი ოთახიდან გამოიყვანა. აკაკის ცოლი დუმილით მიტკეირდა. ეტყობოდა რომ თანამიგრძობდა. დიასახლისმა აკაკი რომ დაინახა, მიიძახა:

— ამას ხედავთ? ფულს არ ღებულობს! ამბობს უკანვე გაუბრუნეთო!

აკაკი მომიახლოვდა და მითხრა:

— ქალო, მე შენ ჭკვიანი მგონიხარ და ეგ სისულელე რამ გათქმევინა? ფული შენ გამოგიგზავნეს და უნდა მიიღო, წასვლა კი შენი ნებაა, როცა გინდა, მაშინ წახვალ სამშობლოში. სტიპენდიას, მე ვეცდები გიშოვნო. როგორც კი დავბრუნდები საქართველოში, მაგ საქ-

მეს შევეუდგები. თუ მეტი არა, სამ თუმანს თვეში მაინც მოვანერ-
ხებ.

აკაკიმ ოთახში სიარული დაიწყო. ჩვენ ყველანი დავსხედით, ერთ-
ხანს ღუმელი ჩამოვარდა.

— ღმერთო ჩემო, რა საზიზღარია ქართველი შოვინისტური ინტე-
ლიგენცია? მე არ ვიცი, როგორ შეგავერთო ქვეყნისა და ხალხის სიყ-
ვარული მათ სიძულვილთან! — წამოვიძახე მე.

აკაკი შეჩერდა და მითხრა: — ასეთი შეერთება საჭიროც არ არის.
შენ ქართული ისტორია უნდა შეისწავლო, ძველი ნაშთები და სამა-
რეები დაათვალიერო. მე თუ რამე გამიკეთებია, ქალებისა და ახალ-
გაზრდების დახმარებით და ხალხის სიყვარულით. შენ ესეც იცოდე,
რომ ჩვენი ქვეყნის დამლუბველი ჩვენი მეთაურები არიან. ერთობისა
და თანაგრძნობის მაგიერ ისინი ერთიმეორეს ეჭიშვებოდნენ, ავსა და
კარკს ვერ არჩევენ და ვითომ საზოგადო მოღვაწეობით საკუთარ მე-
დიღურობას იკმაყოფილებენ. თუ ყველაფერში „ბაალი აღა“ არ ეძა-
ხე, არაფრით არ დაგზოგავენ. მე რომ სხვა ვერაფერი დამაყლეს, უკა-
ნასკნელ დროს კაცის მკვლელობაც დამწამეს!

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი მწარე სიბრაზით წარმოათქვა,
რომ უღვაშები აებუძგა და იმ დროს თვალწინ საკბენად გაფრენილი
ფუტკარი წარმომიდგა. ყველანი სდუმდნენ. მე უმწარესმა ფიქრებმა
წამიღეს. აკაკი მდუმარედ ოთახში მიმოდიოდა. ამ დროს ზარის ხმაც
გაისმა. შემოვიდა იაშა ნიკოლაძე, მისალმების შემდეგ აკაკიმ უთხრა:

— აბა, ფული ამოიღე, ფული!

— კი მაგრამ, მე ხელწერილი მჭირდება, — უბასუხა იაშამ.

— ხელწერილს მოგართმევთ, — შიუგო აკაკიმ.

იაშამ იქვე დააწყო ასი მანეთი. მე დავწერე ქალაღზე, რომ მივი-
ღე ასი მანეთი იაშა ნიკოლაძისაგან და მოვაწერე ჩემი გვარი და სახე-
ლი.

აკაკიმ ჩამომართვა ქალაღი, აიღო კალამი და ზედ დააწერა:
„მოწმე ვარ. აკაკი“ და გადასცა ნიკოლაძეს.

ფულები ისევ მაგიდაზე ეყარა. ჩინთიერად იმ ქამად ძლიერ გა-
ჭირვებული ვიყავი, მაგრამ ამ ფულის ჯიბეში ჩადება როგორღაც მე-
ზიზღებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ზარის ხმა გაისმა, შემო-
ვიდა ნიკო კურდღელაშვილი, საერთო მისალმების შემდეგ მან აკა-
კის განუცხადა: „ზედ საქართველოში მივდივარ და ხომ არაფერს და-
მაბარებთო“. აკაკი აღდა და თავის ოთახში შევიდა. ნიკო კურდღელა-
შვილი ჩემს გვერდით დაჯდა და მკითხა: — ეს რა ფულებიაო? მეც

ვუამბე, თუ საიდან იყო ეს ფული გამოგზავნილი. მან შეწუხებულმა
მითხრა: — სამგზავროდ ორმოცდაათი ფრანკი მაკლია და არ
სად ვიშოვნო.

— აი, მე მოგცემ. ჩვენ, ქალებს, როგორც ჩანს არად გვაგდებენ
საქართველოში, შენ ვაჟაკი ხარ და უფრო მეტად დაგაფასებენ. ჩემს
მაგივრად შენ წადი, ძმაო, და ეს ორმოცდაათი ფრანკიც ღმერთმა მო-
გახმაროს. და გადაუწყვე მას საჭირო თანხა. ამ დროს ოთახიდან აკა-
კიც გამოვიდა ქალღმერთი ხელში, რომლებიც კურდღელაშვილს გა-
დასცა და უთხრა — „ეს დაბეჭდეთ“.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვეთხოვეთ აკაკის მე და კურდღელა-
შვილი. ერთი თვის შემდეგ პარიზში მომივიდა ჟურნალი „საქართვე-
ლოს მოამბე“, № 9, 1909 წლისა, რომელშიაც აღწერილი იყო აკაკის
პატივსაცემად პარიზში გამართული ბანკეტი და მოთავსებული იყო
ბანკეტზე წარმოქმნილი ჩემი სიტყვა.

სტიპენდია აკაკიმ მე ვერ მიშოვა, მეგონა დაავიწყდა თავისი დაპი-
რება, მაგრამ, როდესაც 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემ-
დეგ ხანებში ქ. ქუთაისში ყოველკვირეული გაზეთი, ე. წ. „ხმა ქართ-
ველი ქალისა“ დავაარსე, რედაქციაში ზოგჯერ ჩემთან შემოდოდა
იმერეთში ცნობილი ინტელიგენტი სერგო ბახტაძე, ძმა ცნობილი
პუბლიცისტისა ილია ბახტაძისა და ერთ დღეს შემდეგი გამომიცხადა:
„კატო, აკაკი შენ ძალიან გაქებდა, ცდილობდა შენთვის სტიპენდიას.
ყველას გვეუბნებოდა, რომ საჭირო იყო შენი დახმარება და წარმო-
იდგინე, ისე გავჯიუტდით, არ დავუჭერეთ და იცი რატომ? მისთვის,
რომ თავადის ქალი იყავი“.

ასეთი იყო წოდებრივი მიქლვარება ქართველ მეშხანებისა, რომ-
ლებიც დემოკრატობდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ არ იყვნენ დაბადე-
ბულნი თავადად.

საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებულმა აკაკი კუბოში ვნახე!

აკაკის

სულმნათო! არა, არ გეთხოვები,
შენისთანები არა კვდებიან,
სხელით მხოლოდ შენ განისვენე,
ხოლო ზეციურ-უკვდავი ზმები
შენის ქნარისა ჩვენთან შთებიან!
და ეს ანდერძი აღმაფრთოვანი
შენის ერისგან დალოცვილია,
როგორც ფოლადში ოქროს ზარნიში,
ქართველთა გულში ჩაჭედვილია...
და თან ლაღდი, ქებათა ქება,
გუნდრუკად ცისკენ აღემართება,
ეს არს სიცოცხლე და უკვდავება...
კურთხეულია შენი ხსენება!

1915



၀၅၄၄၄၀

სწავლა გვძირდება და განათლება, რომ სიზარ-
მაცისა და დაუღმრობას თავი რომორმე დავალ-
წიოთ, თორემ ტყუილია ჩვენი საქმი.

სწავლა წყარო არს ცხოვრების,
სიბრძნე — მისი ნაკადული,
და ნაყოფი მათი ერთად —
შეება, ლხენა, სიხარული.

აკაკი

მეფე — მწიგნობარი

მემატიანემ დავით აღმაშენებლის მწიგნობრული მოღვაწეობა პტოლემეოსის ღვაწლს შეადარა: დავითმა წიგნი „მდიდრად შეიკრიბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხუათა ენათაგან, ძუელნი და ახალნი, ვითარცა სხუამან პტოლემეოს, ამას ზედა ოდენ სასოვან ქმნილმან, და ესეოდენ შეიყუარნა და შეითუნა, რომელ სთქუამცა, თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძრვის“¹. პტოლემეოსთა დინასტიაში არა ერთი სწავლული იყო, მაგრამ ჩვენი ისტორიკოსი აქ პტოლემეოს II ფილადელფოსს უნდა ცულისხმობდეს, რადგან სწორედ მის დროს იქცა ალექსანდრია ელინისტური კულტურის ცენტრად. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ალექსანდრიის ახლადდაარსებული მუსეონისა და ალექსანდრიის განთქმულ ბიბლიოთეკაში შემოკრება იმ დროის ყველაზე გამოჩენილი მეცნიერებისა, ფილოსოფოსებისა, სწავლულებისა, რომლებმაც კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში სრულიად ახალ ერას დაუდეს საფუძველი.

დავითის მემატიანეს ამ შედარებაში არ გადაუქარბებია. დავით აღმაშენებელმაც ჩვენი ერის სულიერი განვითარების სრულიად ახალი გზები დასახა. მან კარგად იცოდა, რომ ქვეყნის აღორძინებისათვის სხვა ფაქტორებთან ერთად საჭირო იყო ღრმად განსწავლული, ენათლებული, მსოფლიო კულტურის მიღწევებს ზიარებული ადამიანები, რომლებიც სათავეში უნდა ჩასდგომოდნენ ქართველი ხალხის შინაგანი აღმავლობის საქმეს. უთუოდ ამ მიზნით უნდა გაეგზავნა დავითს ორმოცი ახალგაზრდა საბერძნეთში. მათ იქაურ სკოლებში უნდა მიეღოთ უმაღლესი განათლება და შეეთვისებინათ საუკეთესო ტრადიციები, რათა შემდგომ შესძლებოდათ ქართული სულიერი კულტურის ღირსეული სამსახური. ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ მეფე დავითის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ქართული კულტურის რთვორც საზღვარგარეთული, ასევე ადგილობრივი ქართული სავანეები იყო,

ხოლო მისი უმთავრესი მიზანი — ქართული კულტურის განხორციელების მძლავრი კერის საქართველოში დაფუძნება. ამ სულისკვეთებით მუშაობდა მწიგნობარ-წიგნობარმა იგი კიდევ შესდგომია გელათში ღვთისმშობლის სახელზე დიდი ტაძრის შენებას. მემატიაზე მოგვითხრობს: „ადგილსა ყოველად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაჲ ვარდაართხა ტაძარი ყოველად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზეშთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა, სიერცითა და ნიეთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა, რომელსა აწ თანამოწმობით ხედვენ თუალნი ყოველთანი“.

თაობათა რწმენაში განმტკიცებული აზრით მეფე თვითონ იღებდა მონაწილეობას გელათის მშენებლობაში: შეჯდებოდა ჯორზე დაგითი, ერთ ქვეს გელათის ტაძარს დადებდა, მეორეს — მარტვილისას, მესამეს — სუჯუნისასო. მას თავისი ხელით ამოუტანია ორი უზარმაზარი ქვა წყალწითელადან. მშენებლობისას გალაენიდანაც გადმოვარდნილა, სამას ხუთი ექიმი მოუყვანიათ, მათ ვერ უშველიათ, სამას მეექვსეს უთქვამს, ირმის რძე მოუხდებო. ამ ექიმსვე მიუთითებია ავშანდაძეზე, რომელსაც თორმეტი მეწველი ირემი ჰყოლია. მანამდე უტყობი ავშანდაძე დავით აღმაშენებლის განკურნების შემდეგ სამეფო კარზე დაწინაურებულა. მისი დამსახურება XV საუკუნეში ავშანდაძეთა გვარის სიგელშიც აღუნიშნავთ.

მეფე აღმაშენებელს თავისი დიდი მიზნის განსახორციელებლად ტაძარში შემოუტყრებია „კაცნი პატოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თუსთა ოდენ სამეფოთა შინა პოენილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ, სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ჯორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანა და დაამკვდრნა მას შინა“. მათ შორის იყო დიდი სწავლული და ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელიც საქართველოში დაფუძნების შემდეგ მუშაობდა „დავითის გამგონეობისა და წყალობათა და თანადგომასა მინდობილი“. მოწვეულთ შორის იყვნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები: არსენ იყალთოელი, ეფრემ მცირე და სხვ.

გელათში დააარსეს აკადემია. აქ, როგორც ეს მიღებული იყო იმ დროის უმაღლეს სასწავლებლებში, ისწავლებოდა შვიდი დისციპლინა: დიალექტიკა ანუ ფილოსოფია-თეოლოგია, რიტორიკა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა (პოეზია). ქარ-

თული აკადემია იყო არა მხოლოდ სასწავლებელი, არამედ თეოლოგიურ-ფილოსოფიური ცენტრიც, სადაც შემოკრებილი იყვნენ ერთ-ერთი სულიერი და ინტელექტუალური ძალები. აქ ეყრებოდა საფუძველი მეცნიერული და რელიგიური აზრის სინთეზირებას. მემატიანის მართებული შეფასებით, „გელათი წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შეუნიერებისად“. ხოლო იმ ეპოქაში, როგორც ვიცით, იერუსალიმს რელიგიური კულტურის ცენტრად მიიჩნევდნენ, აქედან კი — საერო-სამეცნიერო კულტურისა. მემატიანის დახასიათებით, გელათი ორივე საწყისს აერთიანებდა. შემთხვევითი არც ის არის, რომ გელათის აკადემიის ემბლემად მიიჩნიეს კარიბჭის ფასადის პორელიეფი: გადამლილი წიგნი, რომელშიც ჩახაზულია მზე (რ. სირაძე).

სწავლული მეფის სახელს ჟაკეშირებენ საქართველოს მეორე აკადემიის — იყალთოს დაარსებასაც. ამ აკადემიის ორგანიზატორი ყოფილა ქართველი თეოლოგი და მწერალი არსენ იყალთოელი, რომელსაც დავითის ისტორიკოსის თქმით, იცნობდნენ, როგორც „თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათსა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა“. იგი დავითთან მეტად დაახლოებული პირი ყოფილა. ცხადია, არსენ იყალთოელი აკადემიის დაარსებას მეფესთან შეუთანხმებლად და მიზან მალულად ვერ განიზრახავდა. პირიქით, საფიქრებელია, რომ კულტურის ამ ახალი კერის დაარსებისაკენ მას თვით დავითი მოუწოდებდა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ დავით აღმაშენებლის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი ერის ისტორიაში ერთი უდიდესი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის ნაბიჯიც. მეფეს ორი მნიშვნელოვანი თანამდებობა — მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდის ეპისკოპოსისა — გაუერთიანებია. საერო და სასულიერო თანამდებობების ერთი პირის ხელში გადასვლა, ცხადია, სწავლა-განათლების სრულყოფის საქმესაც შეუწყობდა ხელს.

დავითის ისტორიკოსის ღრმა ჩემნით, დავით აღმაშენებლის გონებაშიუწვდომელ სიბრძნეს და მისი სამეფოს საარაყო სიძლიერეს ღვთის შეწევნასთან ერთად, გარდასულ საქმეთა შემეცნება და წიგნის განსაცვიფრებელი სიყვარულიც განაპირობებდა.

მართლაც, ქართული და არაქართული წყაროები ერთხმად მოწმობენ დავით მეფის მრავალმხრივ განსწავლულობას, მის დაინტერესე-

ბას საღვთო წიგნებით, თეოლოგია-ფილოსოფიით, პოეზიით, ლოგიით.

„ქართლის ცხოვრების“ წყალობით ვიცით, რომ დავითი სიყრმიდანვე დასწაფებია საღმრთო წიგნებს. კაცი იფიქრებდაო, მოგვიტზრობს მემბტიანე, რომ დავითი მხოლოდ ამ წიგნებით ცოცხლობდა და სულდგმულობდა. ეს წიგნები შეადგენდა მის საზრდოს, ყველაზე ტკბილსა და საწადელს. ეს წიგნები იყო მისი შვება, განცხრომა და სარგებელიო. დავითს თავისი განუწყვეტელი მიმოსვლისა თუ ლაშქრობების დროს წიგნები მუდამ თან ჰქონია ჯორთა და აქლემთა კიდებულიო. ცხენიდან გარდახდომის უმალ წიგნს მოიკითხავდა, მას დაეწაფებოდა და ვიდრე უკიდურესად არ დაიღლებოდა, კითხულობდაო.

სერობის შემდეგაც, ძილისა თუ სხვა საქმის ნაცვლად, თურმე წიგნს მიაშურებდა, თვალი რომ დაეღლებოდა, სასმენელს შეუნაცვლებდა, სხვას გადასცემდა საკითხავად და მას ზერელებდა კი არ უსმენდა, არამედ — მთელი გულისყურით. წაკითხულს უბრუნდებოდა, შეკითხვებს სვამდა, ხშირად თვით განმარტავდა წაკითხულის აზრსა და მნიშვნელობას.

დავითი თურმე ნადირობის დროსაც კი ვერ იშორებდა წიგნს. სწორუბოვარი მონადირე და მოისარი, მხოლოდ მაშინ გადადებდა საკითხავს, როცა მსახური ნიშანს მისცემდა და ნადირის დადევნების ყამი დადებოდა.

მემბტიანე დავითის წიგნისმოყვარულობის თვალსაჩინო მაგალითად ასახელებს ერთ ფაქტს. მეფეს ჩვევად ჰქონია კითხვის დასრულებისას წიგნის ბოლოში ნიშნის დასმა. დაუთვლიათ და „სამოციქულოს“ ოცდაოთხი ასეთი ნიშანი ჰქონია წლის ბოლოს დასმული. „სამოციქულოში“ კი, როგორც ვიცით, შედის ახალი აღთქმის რამდენიმე წიგნი: საქმე მოციქულთა, შვიდი პატარა ე. წ. კათოლიკე ეპისტოლე, 14 ეპისტოლე პავლე მოციქულისა და აპოკალიპსი ანუ გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა.

ყველასთვის ცნობილია ისიც, რომ ერთხელ მეფეს ლამის საბედისწეროდ გახდომია წიგნის სიყვარული და წიგნით თავის შექცევა. ვადაწყვეტი ბრძოლის წინ დავითი კითხვას ისე გაუტაცია, რომ მტერი ლამის თავზე წამოსდგომია. ზოგს საყვედურიც კი დასცდენია ამის გამო. ერთი სიტყვით, მოუცლელი მეფის ყველაზე გადაუდებელი საქმე წიგნი ყოფილა.

სწავლული მეფის ინტერესები მწერლობის ყველა სფეროს სწვედ-



ბოდა. მას დიდი გულისყური გამოუჩენია ერთი ლიტურგიკული ძეგლისადმი, რომელიც ანდრია კრიტელის სახელთანაა დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ანდრია კრიტელი VII საუკუნის დასასრულისა და VIII საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო მოღვაწე იყო. მის შემოქმედებაში თავისი ღრმა შინაარსითა და პოეტურობით გამოირჩევა „გალობანი სინანულისანი“, რომელსაც უჩვეულოდ დიდი მოცულობის გამო „დიდი კანონი“ უწოდეს. სხვათაშორის, იგივე კანონი თავისი სრულყოფილების გამო ქანრის თხზულებათა, ე. ი. კანონთა, მეუფედ მიიჩნეის.

საქართველოში ანდრია კრიტელის შემოქმედებისადმი ინტერესი აღრიდანვე გამოუჩენიათ, ხოლო „დიდი კანონი“ ქართულ ენაზე გადმოუთარგმნია ჯერ ექვთიმე ათონელს, შემდეგ გიორგი ათონელს, მაგრამ ორივე თარგმანი დაცოლებული ყოფილა დედანს. დავით აღმაშენებელს სცოდნია, რომ „ესრეთ მძიმედ რადმე ტურთად ზედა ესხნეს ორნივე იგი ყოვლისა საქართველოჲსა ეკლესიათა“, ამიტომ აბსენ ბერისთვის უბრძანებია მისი ხელახლა თარგმნა, იოვანე კათალიკოსისათვის კი დაუვალებია „ხმის დადება“. მათ ღირსეულად შეუსრულებიათ მეფის დავალება. „დიდ კანონს“ ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია მეფეზე და თავადაც შეუთხზავს დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულების პოეტური აღსარება — „გალობანი სინანულისანი“.

ვარაუდობენ, რომ „გალობანი სინანულისანი“ არ არის დავით მეფის ერთადერთი მხატვრული ნაწარმოები. მას უნდა ჰქონოდა დიდგორის ბრძოლაში ქართველი მხედრობის გამარჯვების გამო დაწერილი ოდა-ჰიმნიც, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

დავით აღმაშენებლის სინანულის საგალობელი კი არის მეფის არა მხოლოდ ზნეობრივი მრწამსის გამომხატველი დიადი ძეგლი, არამედ მისი ღრმა განსწავლულობის ამსახველი შთაბეჭედავი დოკუმენტიც. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ამის ნათელყოფას სინანულის საგალობლის კონკრეტულ სახეთა გახსნით.

დავით აღმაშენებლის საღვთისმეტყველო განათლება საყოველთაოდ აღიარებული ყოფილა თანამედროვეთა მიერ. მაგალითისთვის ერთ ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ცნობილია, რომ ქართული და სომხური ეკლესიების გათიშვის შემდეგ საქართველოში ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხი დიოფიზიტური და მონოფიზიტური მიმართულებების დაპირისპირება იყო. „ყველა წვალებათაგან, — წერს კ. კეკელიძე, — რომელთა კვალი დარჩენილა ქართულ პოლემიკურ მწერლობაში, ჩვენ წინაპრებს ამოძრავებ-

და უფრო მონოფიზიტობა და მისი ფრაქციები, განსაკუთრებით კი სომეხთა ანტიკალკედონიტობა“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მონოფიზიტ სომეხებს დავით მეფისათვის მიუმართავთ თხოვნით, მოეწვიათ კრება, რომელზედაც სიტყვისგებით გამოეძიათ ჭეშმარიტი რჯულა იმ პირობით, რომ „უკეთუ იძლიენენ სომეხნი, და იქმნენ თანაერთკმა სჯულისაჲ და თჳსი სჯული შეაჩუენონ; ხოლო უკეთუ სძლიონ სომეხთა, ესოდენ მიემადლოს, რათა არღარა გვწოდეთო მწვალებელად და არცა შეგუაჩუენებდეთო“. დავითს, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა მიუძღვია მომავალი დისპუტისათვის და მასში მონაწილეობის მისაღებად მოუწვევია ქართლის კათალიკოსი იოანე, ეპისკოპოსები, მეუღაბნოენი, მეცნიერნი და „ბრძენნი კაცნი“, მათ შორის განთქმული მთარეშნელი და განმანათლებელი არსენ იყალთოელი. პაექრობა ცისკრისას დაწყებულა და გაგრძელებულა „ვიდრე ცხრა ეამამდე“. შეთანხმებისათვის ვერ მიუღწევიათ და ორივე მხრიდან „ცუდ სიტყუათა პაექრობასაც“ ჰქონია ადგილი. მაშინ დავითს განუცხადებია: „თქუენ, მამანო, სიღრმეთა სადამე შესრულ ხართ და უცნაურთა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი, და ჩუენ ვერა-რას უძლებთ ცნობად, ვითარცა უსწავლელნი და ყოვლად მსოფლიონი. და ესე საცნაურ არს თქუენდა, რამეთუ მე შორს ვარ სწავლულებასა და მეცნიერებასა, ვითარცა მკედრობათა შინა აღზრდილი. ამისთვისა უსწავლელთა და ლიტონთა და მარტივთა მიერ სიტყუათა გერახოთ თქუენ“.

ისტორიკოსის თქმით, დავითმა „წინადაუდგრომელი“ და „უცილობელი“ მაგალითებისა და იგავების ახსნა-განმარტებით მოწინააღმდეგენი „დაანთქნა, ვითარცა მეგუპტელნი, და დაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყუელ, ვითარცა ოდესმე დიდმან ბასილი ათინას შინა“* „უღონო ქმნილმა“ მწვალებლებმა აღიარეს ცხადად ძლეულება თჳსი“. დავითისთვის კი უთქვამთ: „ჩუენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ეხედაეთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომელისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი“. საყურადღებოა მემატინის დასკვნა: „და ესრეთ ფრიად მამბრალბელნი თავისანი მიიქცეს სირცხულეულნი, არღარა ოდეს მკადრებელნი ამისნი ოდესცა“. „ქართლის ცხოვრების“ მოხმობილი ადგილიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია: დავით აღმაშენებელს თავისი ღრმა განსწავ-

* იგულისხმება ბასილი დიდის ცნობილი პაექრობა ათენში სომეხებთან.



ლულობითა და მეცნიერებით უმზელა ანტიქალკედონიტი სომხები უსჯულოებასა და მწვალებლობაში, რაშიც გლინდება დავითის მიმართება ქალკედონის საეკლესიო კრებით დაკანონებული დოგმისა და ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ. ხოლო ის ფაქტი, რომ დავითმა გაუსწრო თავისი დროის რჯულის მეცნიერებსა და სწავლულებს, იმას ამტკიცებს, რომ მას თეოლოგიურ დებულებათა დრმა წვდომისა და გააზრების განსაკუთრებული უნარი ჰქონია.

საინტერესოა მუჰამედ ალ-ჰამავის ცნობაც, რომლის თანახმად მეფე დავითი ისლამის დიდი მცოდნე ყოფილა და განჯის ყადს 'ხშირად იმაზეც კი ეკამათებოდა, თუ ყურანი როგორ და საიდან წარმოდგა.

დავით აღმაშენებლის უთუოდ მწიგნობრული ინტერესებიც განსაზღვრავდა მის დამოკიდებულებას არაბი პოეტებისადმი. იბნ-ალ-ჯაუზის მოწმობით, დავითს სუფიებისა და პოეტებისათვის თავშესაფარი აუგია, ხშირად ქონებრივადაც დახმარებია და მათთვის სადღესასწაულო მეჯლისებიც გაუმართავს თურმე. მისივე ცნობით, მეფე დავითი შვილითურთ (დემეტრეთურთ) პარასკევობით მეჩეთს ეწვეოდა ხოლმე, სადაც ლოცვასა და ყურანის კითხვას უსმენდა.

ქართული და უცხოური საისტორიო წყაროები ერთხმად მოწმობენ დავით აღმაშენებლის რჯულშემწყნარებლობას. მიუთითებენ, რომ დავითის მრავალეროვან სამეფოში თავს კარგად გრძნობდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები. ალ-ფარიკის ცნობით, დავით მეფე მუსლიმანებს ისეთი პატივისცემით ექცეოდა თურმე, რომ ისეთ მოპყრობას ისინი ბალდადშიც (ე. ი. ხალიფას სატახტო ქალაქშიც) ვერ იხილავდნენ.

ხოლო სომეხი ისტორიკოსი მათე ურპაელი შემდეგნაირად ახსაათებს ქართველ მეფეს: „იყო მეფე დავითი წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთის მოსაგობით და მოყვარული სომეხთა ტომისა“³. დავითი რჯულშემწყნარებლობას იჩენდა ებრაელთა მიმართაც⁴.

აღნიშნულ პოლიტიკას კიდევაც მოპყოლია საერთაშორისო მნიშვნელობის შედეგები. როგორც ლევან ალექსიძე წერს, „ქართველი მეფეების რჯულშემწყნარებლობა ყველა სარწმუნოების მიმართ, უცხოელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის პოლიტიკა, განამტკიცებდა და ზრდიდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტს, ანეიტრალებდა სხვადასხვა ხალხებს შორის არსებულ რელიგიურ შეუწყნარებლობას, ამკიდრობდა მათ პროგრესისათვის მებრძოლი საქართველოს დროშის ქვეშ. ასეთი პოლიტიკის შედეგად სუსტდებოდა სელჩუკთა აგრესიის რელიგიური საფუძველი, რაც ობიექტურად აძ-

ლიერებდა საქართველოს სამეფოს საზღვრების უშიშროებას⁴⁵ და ვით აღმაშენებლის ეპოქაში შექმნილი იყო რეალური საფუძველი მანოზმის მაღალი იდეალების განსახორციელებლად. ეს ქართლმეფოს ძლევამოსილებას მოწმობდა.

მაგრამ დავით აღმაშენებლის რჯულმემყნარებლობა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მეფე განურჩეველი იყო რელიგიურ მიმდინარეობათა მიმართ, საერთოდ, ხოლო ქრისტიანობის მიმართ, კერძოდ. დავით აღმაშენებელი, რომელიც თავის სინანულის საგალობელში მიიწერს და ინანიებს ყოველგვარ ცოდვას, რაც კი ადამიანს შეეძლო ჩაედინა, იტყვის: „დალათუ ესრეთ განუხრწენ ყოველნი გრძნობანი და ყოველად ხრწნილება ვიქმენ, გარნა არავე აღვიხუენ ჳელნი, არცა დაედევ სასოებაჲ ჩემი ღმრთისა მიმართ უცხოჲსა, არცა უცხოთესლი რაჲმე სარწმუნოება საწუთრელი ვყავ სულისა, გარეშე მისსა, რომელი მასწავევს ღმრთისმეტყუელთა შენთა“.

საეკლესიო დავით აღმაშენებლის შესახებ XIII საუკუნის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწის ნიკოლოზ გულაბერიძის მიერ მოწოდებული უაღრესად საინტერესო ცნობა, რომელსაც პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება და მასში გადმოცემული ამბავი მიიჩნია იმ ეპოქისათვის მეტად გაბედული სკეფსისისა და თავისუფალი აზროვნების გამომხატველ მოვლენად. საკითხის ნათელსაყოფად საჭიროდ მივიჩნევთ აღნიშნული მასალის სრულად გათვალისწინებას. ნიკოლოზ გულაბერიძე თავის თხზულებაში „საკითხავი სუეტი ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“ ცდილობს ახსნას, რას მოასწავებს „სუეტი ნათელი“ და რატომ იხილება იგი ხშირად ბერის სახედ. გულაბერიძის განმარტებით, სუეტი ნათლისა „ერთ ნათლად შეერთებული სამებისა წმიდისა“ ნიშანია. მაგრამ რას უნდა მოასწავებდეს მისი „ბერი კაცის“ სახედ ხილვა? ნ. გულაბერიძე „ბერი კაცის“ სახეს უკავშირებს „ძუელი დღეთა“-ს ბიბლიურ სიმბოლოს. იგი ყურადღებას ამახვილებს დანიელის წინასწარმეტყველებაზე, სადაც ნათქვამია: „ვხედევდ, ვითარმედ საყდარნი დაიდგინეს და ძუელი დღეთა დაჯდა, და შესამოსელი მისი ვითარცა თოვლი სპეტაკი, და მთაჲ თავისა მისისა ვითარცა მატჯლი განწმენდილი, საყდარი მისი ალი ცეცხლისა, ეტლის თუალნი მისნი ცეცხლისანი მოტყინარე (დანიელ. 7, 9). დანიელისავე წინასწარმეტყველებით, „ვიდრე არა მოვიდა ძუელი დღეთა და მსჯავრი მისცა წმიდათა მადლისათა და ჟამი მოიწია და მეფობა დაიპყრეს წმიდათა (დანიელ. 1, 22). როგორც ვხედავთ, დანიელის წინასწარმეტყველებაში „ძიელი დღეთა“, ე. ი.



ღვთაება, წარმოდგენილია ბერიკაცის სახით („თმა თავისა მისისა, ვა-
თარცა მატყლი განწმენდილი“). საგულისხმოა, რომ ფსევდო-დიონისე
არეოპაგელის მიხედვით ღვთაების გამოცხადება შესაძლებელია
„მცოვანადცა და ჭაბუკათცა“, ვინაიდან „სიბერიოთა უკუე პირველთა-
განობასა და დაუწყებლობასა მოასწავებს, ხოლო სიჭაბუკითა და-
უბერებლობასა“.

ნიკოლოზ გულაბერიძის მოსაზრებით, „ძუელი დღეთაჲ“ და „ბე-
რი კაცი“ ღვთაების ერთსა და იმავე ასპექტზე მიუთითებენ და ამი-
ტომ იხილვების „სუეტი ნათელი, ვითარცა ძუელი დღეთა“. გულაბე-
რიძე ჩამოთვლის იმ ადამიანებს, „რომელნიცა ღირს არიან ხილვისა
მისისა“ და მათ შორის ასახელებს დავით აღმაშენებელსაც.

ნ. გულაბერიძის გადმოცემით, მირიან მეფე იმის გამო, რომ სვე-
ტიცხოველის მრავალთაგან დაურიდებლად შეხება სიწმინდის შეუ-
რაცხყოფად მიუჩნევია, „შეშისა ფიცართა მიერ დაფარა შიშლოება
იგი სუეტისა მის და თუალთაგან სახილველობა მისი უჩინო ყო“. მაგ-
რამ ფიცრის მახვილით აგლეჯა ადვილად ხერხდებოდა. მაშინ მირი-
ანის ძე, მეფე რევი, შეშინებულა „უკუე მეფობასა მისა, ნუ უკუე
სრულად განწიშლდეს სუეტი იგი წმიდა სამარადისოსგან ფიცართა
მათ და ნათელისა და წარპარვისა და ამის მიზეზისათვის განიზრახა,
რათა სრულად ქვეთკირითა აღმოქმნას გარემო სუეტისა მის“. მეფეს
სისრულეში მოუყვანია თავისი განზრახვა და როგორც ნ. გულაბერი-
ძე აღნიშნავს, „ესრეთ ვიდრემე ჰგეის მოდღეინდელად დღემდე“. და-
ვით აღმაშენებელს თურმე ამ ქვეთკირით გადაბურული კონქის მი-
მართ გასჩენია დაეჭვება; „რამ უწყი, თუ რა არს კოქსა ამას შინა,
ანუ რამსა თაყუანისცემითო“. მაგრამ დავით აღმაშენებელს შუალამი-
სას უხილავს, „თითქოს სუეტსა ზედა ზე თავსა ზედა მჯდომარე იყო
მოხუცებული ვინმე სახედ ძუელისა დღეთასი“, რომელსაც უთქვამს:
„დავით, დავით არა უწყის თუ ვინა ვარ აქა შინა, რომელთა ესე მხე-
დავ და ესე უწყოდე შენ და ყოველთა, რამეთუ რომელსა აქუნდეს
სასოება ჩემდა მომართ მტკიცე, არა ოდეს სირცხვილელუ იქმნეს და
ნუ ურწმუნოებ ჩემდა მომართ ყოვლადვე, რამეთუ რომელნი ურწმუნ-
ოებდნენ, მიიღონ თავისა თვისისა სასჯელი“. დავით აღმაშენებელს
მეყსეულად დაუტოვებია „ცხედარი“, ამხედრებულა „ჰუნესა ზედა“
და ცისკრის ლოცვისას მიულწევია ეკლესიად. იოანე პატრიარქსა და
მცხეთის მოყუასთ გაპკვირვებით მეფის უყამო და უცხო ღროს მი-
სვლა. ისინი შეძრწუნებული უყურებდნენ დავითს, რომელიც „წინაშე
სუეტისა ცხოველისა დავრომილი პირსა ზედა თვისა ცრემლით

იატაქსა დაალტობდა და ითხოვდა მსურველედ შენდობასა პიტაგორას
კტომბათაჲს და ურწმუნოებისა“.

ძნელია ნიკოლოზ გულაბერიძის თავისთავად ამ საინტერესეს
მოცემის ისტორიული უტყუარობის დაბეჯითებით მტკიცება, მაგრამ
ერთის თქმა კი შეიძლება: დავით აღმაშენებლის ცხოვრების ამ ეპი-
ზოდში მხოლოდ „ვაბედული სკეფისი“ და „თავისუფალი აზროვნე-
ბის“ გამოვლინება კი არ ჩაქს, არამედ ღვთისმორწმუნეობაც.

დავით აღმაშენებლის სახელთან დაკავშირებული წერილობითი
ძეგლები ნათელყოფენ დავით აღმაშენებლის მსოფლმხედველობრივი
სისტემის მთლიანობას და მის სრულ თანხედრას ქრისტიანულ თეო-
ლოგიასთან, ხოლო თავის სინანულის საგალობელში დავითმა სწო-
რედ ღვთისმშობლის დოგმის ისეთი ღრმა გაგება შემოგვთავაზა, რო-
გორც მხოლოდ ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიასა და
საეკლესიო ისტორიაში ზედმიწევნით განსწავლულ ადამიანს შეეძლო.
მკითხველის ყურადღებაც სწორედ ამ მიმართებით გვინდა გავამახვი-
ლოთ.

„გალობანი სინანულისანი“ დაწერილია ჰიმნოგრაფიული კანონის
მიხედვით. იგი შედგება 9 გალობისაგან. ოღონდ მეორე გალობა სა-
ეკლესიო პრაქტიკაში შემუშავებული წესის მიხედვით გამოტოვებუ-
ლია ამ საგალობელშიც. თითოეული გალობა აერთიანებს 4 მუხლს,
ანუ დასდებელს, ტროპარს. გამონაკლისია უკანასკნელი გალობა, სა-
დაც ოთხის ნაცვლად 5 დასდებელია, ყოველი გალობის ბოლო დას-
დებელი ღვთისმშობლის თემას ეძღვნება და მას „ღვთისმშობლისანი“
ეწოდება. ასე რომ, დავითის სინანულის საგალობელში ღვთისმშობ-
ლისადმი მიძღვნილი 8 დასდებელია.

სინანულის საგალობელში გამოხატული თვალსაზრისით, ქალწულ-
მა „სიტყუაჲ განაზრქო ჯორცითა და კარცითა მიწისაჲთა“, ნობდა
„ჯორცქმნაჲ სიტყუასაჲ“. ამ გამონათქვამებში თითოეულ სიტყვას შე-
ძენილი აქვს თეოლოგიური ცნების მნიშვნელობა და დაკავშირებუ-
ლია ქრისტიანული მოძღვრების კარდინალურ საკითხებთან. „ჯორცქმ-
ნა“ ზუსტად გამოხატავს სიტყვის, ლოგოსის განსხეულების არსს და
მისი შეცვლა სხვა სიტყვით, როგორც ამას იოანე დამასკელი მიუთი-
თებს, სრულიად შეუძლებელია. იგი შემდეგნაირად მსჯელობს: „ეს-
რეთ უკუე სხუა ვიდრემე არს შეერთებაჲ და სხუაჲ განჯორციელება,
რამეთუ შეერთებაჲ უკუე მხოლოსა შეყოფასა ოდენ ცხად-ჰყოფს,
ხოლო თუ რაჲსა მიმართ იქმნა შეყოფაჲ, არასადა! ხოლო განჯორ-
ციელებაჲ, რომელ არს განკაცებაჲ, ჯორცთა მიმართ, ესე იგი არს,

კაცისა მიმართ შეყოფასა ცხადყოფს, ვითარ-იგი განცეცხლებამ ცეცხლისა მიმართ შეერთებასა“. მაშასადამე, განხორციელება, ხორციქმნა ნიშნავს განკაცებას და მიუთითებს ღმრთისა და კაცის შეერთებაზე. „განხორციელებამ უკუე შეერთებამ არს კორცთამ, ხოლო კორცქმნამ სიტყუსამ, ვითარმედ თვთ იგი გუამი სიტყუსამ უტყვევლად გუამ-ექმნა კორცთა და ვითარმედ ღმერთმან ვიდრემდე კაც იქმნა და კაცი ღმერთ ქადაგებულ არს, რამეთუ ღმერთ-სიტყუამ კაც იქმნა უცვალეზელად“.

ჰიპოსტასი სიტყვისა გარდაუქმნელად იქცა ჰიპოსტასად ხორცი-სა, ე. ი. დასაბამი ხორცისა სიტყვის ჰიპოსტასია, ხორცს არა აქვს დამოუკიდებელი თვითება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხორცი მიწიერი არ არის, „რამეთუ უკუეთუ ზეცით გარდამოსრულ არიან კორცნი და არა ჩუენისა ბუნებისაგან მიხუმულ არიან, რამ არს საკმარება განხორციელებისა? რამეთუ განკაცებამ სიტყუსა ღმრთისამ ამისთვის იყო, რათა თვთ იგი მცოდველი და დაცემული და განხრწნილი ბუნებამ მძლე იყოს თავისა თვისისა და ესრეთ განათავისუფლოს ხრწნილებისაგან“. ამიტომ ამბობს დავით აღმაშენებელი, რომ ქალწულმა „სიტყუამ განაზრქო კორცითა და კარვითა მიწისათა“ — ღმერთი ხორცითა და სხეულით დაემსგავსა მიწიერებს, ადამიანებს.

დავით აღმაშენებელი ქალწული დედისაგან სიტყვის შობას ახალს უწოდებს („ამისთვის ქალწული დედა და შობამ ახალი სიტყუსამ იქმნა“), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შობას სხვა შობა უნდა უსწრებდეს. მართლაც, თეოლოგიის თანახმად, ქრისტესთან ორი შობაა დაკავშირებული: პირველი შობაა მამისაგან უდედო, მეორე — უმამოდ დედაკაცისაგან. „შობამ ახალი“ უყამოდ შობილი სიტყვის ყამში განხორციელებას ნიშნავს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „გალობანის“ შემდეგი ადგილი: „სისხლთა ქალწულებრივთაგან კორცნი ღმრთისანი და ახალი შეზავებამ იქმნა, ღმერთი და კაცი“. ახალი შეზავება ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი თეზისია, რომლითაც იგი უპირისპირდება ერეტიკულ მიმდინარეობებს და ქალწულისაგან ღმერთ-მამაკაცის შობის თვისობრივად სრულიად ახალ მოვლენას გამოხატავს.

„ეკლესიასტეს“ მიხედვით საწუთროში არაფერი არ არის ახალი: „და არარამ არს ყოველივე ახლად მზესა ამას ქუეშე, რომლისათვის ტყოდის და თქუს ვითარმედ ესე ახალი არს. მიერთვანვე ქმნულ

არს საუკუნეთა მათ ყოფილთა უწინარეს ჩუენსა“. ქრისტიანული დოგმატიკა ეყრდნობა „ძველი აღთქმის“ ამ დებულებას და ერთადერთ სიახლედ მხოლოდ ქრისტეს შობას მიიჩნევს: „ღმერთად სრულყოფილი და სრულ კაც იქმნების და აღესრულებოს ყოველთა ახალთა უახლესი და მხოლოდ ახალი მზესა ქუეშე, რომლისა მიერ განუზომელი იგი ძალი ღმრთისაა საცნაურ იქმნების, რამეთუ რაა უფროდ არს კაც-ქმნასა ღმრთისასა“. მაშასადამე, ერთადერთი სიახლე, რაც მზის ქვეშ განხორციელდა, ეს ქალწულისაგან ღმერთკაცის შობაა. დავით აღმაშენებელიც იტყვის: „არა უხილავს მზესა ქალწული დედაჲ, თუნიერ შენსა“.

„საგალობელში“ საგანგებოდ მახვილდება ყურადღება მარიამის ღვთისმშობლობაზე. ძეგლში გატარებული თვალსაზრისით, ბრალთაგან დაიხსნებიან ისინი, ვინც „ღმრთისმშობლად ქადაგონ წმიდაჲ ქალწული დედაჲ“. ერთგან კი ასეთი მიმართვაც გვხვდება: „საკუთრად ღმრთისმშობლად გქადაგებთ უხრწნელო ქალწულთა“. აღნიშნული ადგილებიც კონკრეტული თეოლოგიური შინაარსით არის დატვირთული. საქმე ისაა, რომ იოანე დამასკელის ჰომილიების თანახმად, ღვთისმშობლის სახელი შეიცავს ხორცქმნის მთელ საიდუმლოს. ქრისტიანული სამყაროსათვის, როგორც ა. პარნაკი წერს, theotokos იქცა ისეთსავე ლოზუნგად, როგორც homousios“. „ქვეშაბრტად და სამართლად ღმრთისმშობელად სახელ-ვსდებთ წმიდასა მარიამს, — გვიხსნის იოანე დამასკელი, — რამეთუ ესე სახელი სრულ-ჰყოფს ყოველთა საიდუმლოსა განგებულებისათა, რამეთუ უკუეთუ ღმრთისმშობელ არს მშობელი უეჭუელად, ღმერთ არს მისგან შობილი უეჭუელად და კაციცა, რამეთუ ვითარმცა დედაკაცისაგან შობილსა ღმერთსა აქუნდა პირველ საუკუნეთა მყოფობაჲ, არა თუმცა კაცად გამოჩინებულ იყო, რამეთუ ძე კაცისაჲ უეჭუელად კაც არს. ხოლო უკეთუ დედაკაცისაგან შობილი იგი ღმერთ არს, ცხად არს, ვითარმედ ერთი არს ღმრთისა და მამისაგან შობილი იგი საღმრთოთაგან და დაუსაბამოსა არსებისა და უკუანაჲსკენელთა ჟამთასა ქალწულისაგან შობილი დაწყებულებისაგან და ჟამიერისა არსებისა. ესე იგი არს კაცობრივისა, რამეთუ ერთსა გუამსა და ორთა ბუნებათა და ორთა შობათა ღმრთის ჩუენისა იესუ ქრისტესცა დაჰნიშნავს ესე“. მაშასადამე, თუ მარიამს ღმრთისმშობელს ვუწოდებთ, მისგან შობილი ყოფილა ღმერთი და ამასთანავე კაციც, რადგან შეუძლებელია ღმერთი გარდაუქმნელად შვას აღამიანმა. თუ მამა ღმრთისგან შობილი სიტყვა ქალწულისაგან განსხეულდა, მისგან იშვა — ეს ამტკიცებს, რომ იესო ქრისტეს აქვს

ერთი ჰიპოსტასი (გუამი), ორი ბუნება და დაკავშირებულია ორ შობასთან.



იოანე დამასკელი აქვე წარმოადგენს ნესტორიანელთა მწვალებელურ შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე. ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლელი პატრიარქი ნესტორი და მისი მიმდევრები წმინდა ქალწულს მარიამ ღმრთისმშობლად არ მიიჩნევდნენ. მათი შეხედულებით, ქალწულმა შვა არა ღმერთი, არამედ ადამიანი, რომელსაც შემდეგ დედისგან დამოუკიდებლად შეერწყა ღვთის სიტყვა. ნესტორი მოითხოვდა მარიამისთვის ეწოდებინათ არა ღვთისმშობელი (θεοτοκος), არამედ „ადამიანისმშობელი“ (ἀνθρωποτοκος), რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია ქრისტიანულ სამყაროში. ბოლოს ნესტორმა შეარბილა თავისი თვალსაზრისი და მარიამს უწოდა „ქრისტესმშობელი“. ეს ტერმინები კი სრულიად სხვაგვარად აყენებდა სოტერიოლოგიის ქრისტიანულ დოგმატს. ნესტორიანელთა ერესი ეფესოს მსოფლიო კრებამ დაამო.

„გარდამოცემის“ მიხედვით. „ქრისტეს მშობელად არსადა ვიტყვთ წმიდასა ქალწულსა“, რადგან ქრისტე ნიშნავს ცხებულს, ხოლო ცხებულ იყო „დავით მეფეცა და მღვდელ-მთავარი აპრონ, რამეთუ ესენი იყვნეს, რომელი იცხებოდეს, მეფობაჲ და მღვდლობაჲ და ყოველნი კაცნი ღმერთ-შემოსილი შესაძლებელ არს, რათა ითქუმოდეს ცხებულად, არამედ არა ბუნებით ღმერთად“, ვითარ იგი ღმრთის მბრძოლი ნესტორ ქალწულისაგან შობილისასაცა ღმერთ-შემოსილად კადნიერ იქმნა თქუმასა, ხოლო ჩუენდა ნუ იყოფიან ღმერთ-შემოსილად თქუმაჲ ანუ გულისკმის-ყოფაჲ მისი, არამედ ღმერთად განკორციელებულად“.

მაშასადამე, დავით აღმაშენებლის მიმართვა წმინდა მარიამისადმი როგორც საკუთრად ღვთისმშობლისადმი, გამოხატავს საეკლესიო კრებათა მიერ შემუშავებულ თვალსაზრისს სიტყვის ხორცქმნის საკითხზე და უპირისპირდება ნესტორიანელთა თვალთახედვას. დავითის მიმართება ნესტორიანული ერესისადმი აღბეჭდილია 1123 წლის ანდერძშიც, სადაც ნათქვამია „ხოლო შენ, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, განყოფასა მისსა კორცთაგან განყავ იგი ნაწილისაგან ცხოვნებულთაჲსა და შური იძიე, ვითარც მგმობარსა შენსა ნესტორსა შედა“.

„გალობანი სინანულისანი“ იმეორებს ეკლესიის მამათა თვალსაზრისს ღვთისმშობლის ხატის თაყვანისცემის არსის თაობაზეც. დავით აღმაშენებელი იტყვის. „საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ,

უხრწნელო ქალწულო, და გუარწამს, ვითარმედ პატივი ხატისა შენსა
საა შენდამო წიაღმოვალს ღმრთისმეტყუელთაებრ, და ცუდგენულნი
მოქცევასა ანიშებ მის მიერ, ვითარცა ცხადჰყოფს თვატარნივენი
მარჩობლთა სოფელთაჲ, სიკეთე ეგუპტისაჲ, ღირსი მარიაჲ“.

ამ მუხლში უკუფენილია მნიშვნელოვანი პერიოდი ქრისტიანული
რელიგიის ისტორიიდან. როგორც ვიცით, VII საუკუნეში თავი იჩინა
ხატმზრძოლობის აქტიურმა მიმდინარეობამ, რომელიც თითქმის მთე-
ლი ასი წლის მანძილზე გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა ხატების
წინააღმდეგ.

ქრისტიანულმა აღმსარებლობამ სცადა ხატთაყვანისმცემლობის ფი-
ლოსოფიური და მორალური დასაბუთება, რითაც განამტკიცებდა
ქრისტიანულ შეგნებას და დაიცავდა მას გადახრებისაგან. ამ მიზარ-
თულებით ყველაზე დიდი წარმატება ხვდათ იოანე დამასკელისა და
თეოდორე სტუდიელის შრომებს. ხატმზრძოლობის წინააღმდეგ მი-
მართული წმიდა პოლემიკური ლიტერატურიდან ქართულად შენახუ-
ლა მხოლოდ იოანე დამასკელის ორი შრომა: „სიტყუაჲ წმიდათა ხატ-
თათჳს“ და „სიტყუაჲ სიტყუსაგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმი-
დათა ხატთა“. იოანე დამასკელის თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხზე
სრულად არის წარმოდგენილი აგრეთვე „გარდამოცემის“ საგანგებოდ
დაწერილ თავში — „ხატთათჳს“.

ხატთაყვანისმცემლობამ საბოლოო აღიარება ნიკეის VII საეკ-
ლესიო კრებაზე ჰპოვა. როგორი იყო ის დებულებები, რამაც საბო-
ლოოდ დაასაბუთა ხატთა თაყვანისცემის ქრისტიანული არსი?

იოანე დამასკელის აზრით, თაყვანისცემის საფუძველია ბასილ
დიდის მიერ გამოთქმული შემდეგი თეზა: „პატივი ხატისაჲ პირმოშოასა
მის სახისა აღვალს“. აზრი ნათელია: პატივისცემა ხატისა გადადის
მის პირველ სახეზე, ე. ი. იმაზე, ვინც გამოსახულია ამ ხატით. იოანე
დამასკელის თანახმად, ამით უნდა იყოს ასახსნელი ის გარემოებაც,
რომ ადამიანები ერთმანეთს თაყვანს ვცემთ, „რამეთუ რაჲსათჳს თა-
ყუანის ვსცემთ ურთიერთას, არ თუ ვითარცა ხატად ღმრთისა შექმ-
ნილნი?“ მაშასადამე, როდესაც ადამიანი ღმრთის ხატისაებრ შექმ-
ნილ ადამიანს თაყვანს სცემს, ეს პატივი ღვთაებაზე გადადის.

ბასილ დიდის ზემოთმოხსნილი თვალსაზრისი გატარებულია და-
ვით აღმაშენებლის თაოსნობით 1103 წ. მოწვეულ რუის-ურბნისის
კრების ძეგლისწერაშიც: „ცხად არს ვითარმედ თაყუანისმცემელი ხა-
ტისა ღთისაჲ, თაყუანისცემს მის მიერ. მაგინებელიცა სადმე ხატისა

ლთისაჲ, ღმერთს ავინებს უეჭველად, ვითარცა წმიდათა შორის დიდნი
ბასილ ესრეთ დასწერს ამას“.

პატრისტიკული თვალსაზრისით, ხატთაყვანისმცემლობაში პატივი მიმართულია არა ნივთისაკენ, არამედ ზედ გამოსახულისკენ. „თაყუანისუცით არა ნივთსა, არამედ გარდამოხატულსა, ვითარცა — იგი არა ნივთსა სახარებისასა, არცა ჭუარისა ნივთსა თაყუანის უსცემთ, არამედ დასახელებასა“. აგრეთვე, „ღმრთისა დედისასაცა, ვინაფთჳან მისდა მიმართი პატივი მისგან კორც-შესხმულისა მიმართ აღიყვანების“.

იოანე დამასკელი გვიხსნის იმ ფაქტსაც, თუ რატომ არ დასტურდება ხატები ძველ აღთქმაში. მისი აზრით, „უმწუერვალესისა უცნობლობისა და უღმრთოებისაჲ არს დამსახველობაჲ ღმრთისაჲ“, რადგან „უხილავისა და უსხეულოისა და გარეშეუწერელიისა და დაუსახველისა ღმრთისა ვინ შემძლებელ არს ქმნად მსგავსებისა?“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ღმერთი „ქეშმარიტებით კაც იქმნა ცხოვრებისათჳს ჩუენისა“, განცხადდა იგი და გვეჩვენა არა როგორც აბრაჰამს, ან წინასწარმეტყველებს, არამედ „არსებით განკაცნა ქეშმარიტად, ვიდრდა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის იქცეოდა“, მხოლოდ მას შემდეგ იქნა შესაძლებელი მისი გამოხატვა თვითმხილველთაგან. იოანე დამასკელი ამავე თავში გადმოგვცემს თქმულებას ხელთუქმნელი ხატის შესახებ, რომელიც ქრისტეს ხატის პირველსახედ ქცეულა.

„გარდამოცემის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანში დაცულია ცნობა ღმრთისმშობლის ხატის შექმნის თაობაზეც: „ლუკაცა მახარებელმან და მოციქულმან გამოუსახა და მისცა თაყუანისსაცემელად და სამსახურებად ეკლესიასა ხატი დედოფლისა ჩუენისა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, რომელსა იგი შუენის პატივისცემაჲ, ვითარცა დედასა უფლისა ჩუენისასა“.

„გალობანი სინანულისანი“ მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ცოდვილთ ღმრთისმშობლის ხატის საშუალებით ვინმეზებათ მოქცევა და აქვე ასახელებს მარიამ ეგვიპტელის მაგალითს: „საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ, უხრწნელო ქალწულო, და გურწამს, ვითარმედ პატივი ხატისა შენისაჲ შენდამო წიალმოვალს, ღმრთისმეტყუელთაებრ, და ცოდვილთა მოქცევასა ანიშებ მის მიერ, ვითარცა ცხად ჰყოფს თეატროჲ იგი მრჩობლთა სოფელთაჲ, სიკეთე ეგვიპტისაჲ, ღირსი მარიამ“.

გადმოცემის თანახმად, მარიამ ეგვიპტელი VI საუკუნეში ცხოვრობდა და უზნეო ცხოვრებას ეწეოდა. იგი მონანიების შემდეგ ღმრთისმშობლის ხატს დაუხსნია და მოუქცევია. ამის შესახებ მოგვითხრობს

უცნობი ავტორის „ცხოვრება და მოქალაქობა და სინანული“
სისა მარიაჲ მეგვებელისაჲ“.

საგულისხმოა, რომ ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ტროპარ-
თა შორის მოთავსებულია მარიამ ეგვიპტელისადმი მიძღვნილი ტრო-
პარებიც. დავით აღმაშენებელსაც შეუტანია თავის საგალობელში მა-
რიამ ეგვიპტელის ხსენება, რათა „უსასოქმნილ ცოდვილთათვის“ მო-
ეტანა ცოცხალი მაგალითი ღვთის კაცთმოყვარეობისა.

გფიქრობთ, დავითის სინანულის გალობათა „ღვთისმშობლისანის“
ანალიზი ერთხელ კიდევ ასაბუთებს მწიგნობარი მეფის ფართო გა-
ნათლებას და მის ორთოდოქსულ დამოკიდებულებას ღვთისმშობლის
დოგმისადმი.

ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედ-
ვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ 347.
2. კ. კაკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 487.
3. ლ. დავლიანიძე, მათე ურპაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, საქარ-
თველო რუსთაველის ხანაში, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვ-
ნილი კრებული, თბ., 1966, გვ. 247—248.
4. შ. კრიხელი, ქართველი ებრაელები ფეოდალიზმის ხანაში, საქართველოს ებრა-
ელთა სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, 1945.
5. ლ. აღუქსიძე, უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართა უფლებრივი
მდგომარეობა, კრებული: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები,
თბ., 1968, გვ. 169.
6. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის
გამოცემა, თბ., 1961, გვ. 85.
7. რ. მიმინოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები,
სადოქტორო დისერტაცია, ნაწ. 1, თბ., 1967 (დაცულია თსუ ბიბლიოთეკაში),
გვ. 441.
8. А. Гарнак, История догматов. Общая история европейской культуры,
СПб., т. VI, стр. 361.



ნარსულის
ფურცლები

... აწმყო ნაშობი წარსულსაბან, მშობილია
მომავლის და მიტომაც, ეს სამი ღრო ბანუწუვითა-
ლი ჟაჰვით არის ერთმანეთი ბადამული.

ვინც წარსულს ივიწუებს, ის მომავალშიც ხელს
იღებს და მართო აწმყოში შეჩირებული, უსულ-
დგვულო, საპირუტუვო ფარბალში რჩება.

აკაკის საიუბილეო

ჯერ ერთი წელიწადიც არ იყო გასული იმ საშინელი და შემხარავი ტრაგედიიდან, როცა თავის სამშობლოში სიცოცხლეს გამოასალმეს დიდი მოღვაწე და მწერალი ილია ჭავჭავაძე. ჯერ კიდევ შეუმზარილი სისხლის შემდეგ რა ეხეიმებოდა საზოგადოებას, მაგრამ სწორედ ერთგვარი პროტესტის ნიშნად ზარზეიმით ჩატარდა აკაკი წერეთლის პოეტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რაც მთელმა საქართველომ ილღესასწაულა. სამშობლომ სიყვარული და პატივისცემა მიაგო აკაკის და გამოხატა მწუხარება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო.

საიუბილეო საქმადისის ერთი ფურცელი იყო „აკაკის საიუბილეო კრებულის“ გამოცემა, რაც 1908 წელს განახორციელა საიუბილეო კომიტეტმა.

„კრებულის“ პირველი წერილი — „სამშობლოსადმი“ ეკუთვნის ია ეკალაძეს. ეს პატარა თხზულება მას „შორეული რუსეთის ერთ-ერთ გადაღუპულ ქალაქიდან“ გამოუგზავნია. შორიდან გონების თვლით წარმოიდგენს თავის „პაწია, მაგრამ ტურფა სამშობლოს“. სამშობლოს მაცოცხლებელი მზის სხივის სითბო ვერ აღწევს მის სადგურამდის, „ცივა იმ ქვეყანაში და სიცვივს დაუმონებია ბუნებაც, ცხოვრებაც, ხალხიც. გავერანებულ ყინვას გაუთოშავს, შეუტკრავს, გაუფიცრავს იქაურობა... ვინ, ვინ დაჰკრა პირველად ბარი ამ დამზრალ მხარეს, ვინ ჩაუყარა პირველი საძირკველი აქაურ ძალმომრეობას, ვინ?!“

წერილში ია ეკალაძე ხატავს XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, როცა ერი უმოქმედობისათვის იყო განწირული, მაგრამ... მის გულში დაგუბებულმა ბოლმამ წარმოშვა კაცი, რომელმაც თქვა: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო!“ და ეს ხმა მოედო მთასა და ბარს, ტყესა და ველს, ჭალას და ხეებს. ყველაფერი შეიჩხრა, შეიშუშუნა, სული ჩაედგა მძინარს. ადამიანმა მონად ქცევა იუკადრისა, გამოფხიზლდა, აღფრთოვანდა და დაიძახა: „დიდება, დიდება თა-



წიგნის გარეკანი. მხატვარი მოსე თოიძე

ვისუფლებას“... სიმართლემ გაიმარჯვა, ბტერი დაფრთხა... ეაშა მამულ-
ლიშვილებს, აკაკის მსგავს წინასწარმეტყველებს...”

თედო რაზიკაშვილმა აკაკის უძღვნა ლექსი “ფშაველის შემონათ-
ვალი“.

თმა-წვერით ვერცხლად ქცეულო,
გვიმლერი განთიადზედა,
ჩვენ, შენით მოხიბლულებსა,
თვალი გვაჭირავს შენზედა,
ნუ ჩაგვიქრები, მნათობო,
დღეს ნუ შეგვიცვლი ბნელზედა!

სტეფანე ძიმისტარაშვილს უსათაურო ლექსში პოეტი მნათობლისა-
თვის შეუდარებია. მას დასჯილი ხალხის მოსარჩლეს, სამშობლოსათ-
ვის თავგანწირულს, მოუსყიდველ მგოსანს, ენაბასრსა და პირდაპირს
უწოდებს.

მედგარ შრომით მიზნისაკენ
მიდიოდი ქედუხრელი,
შრომის ნაყოფს მოესწარი,
გახდი ქვეყნის საყვარელი.

ვაშა, ვაშა შენსა სახელს
და შენს მშობელს პატიოსანს!..
ვაშა ერსაც, რომ იძლევა
ქვეყნისათვის შენებრ მგოსანს!..

დომენტი თომაშვილსაც (ოყრეშიძეს) უსათაურო ლექსი მიუძღვ-
ნია აკაკისათვის:

ვითა შექურა წყვილაღში
ობლობდი, მარტოხელობდი,
დარაჯად უდექ ქვეყანას,
მოვაკაცობდი, ქველობდი,
დაკარგულ სატრფოს ძებნაში
ავთანდილ-ტარიელობდი,
ტბილ-ქართველობდი თავათვე,
მუსიკობ-რუსთაველობდი!

წარსულის მოგონებით აწმყო დროით შექმნილ დარდს იქარვებდა
ბოეტი, მომავალს ოცნებით ესაუბრებოდა, მახვილი კალმით მტერს
ასამარებდა, ქართვლის დედას ათამამებდა, მშობელი ქვეყნის ვარაშს
უბით ატარებდა, წალკოტში ნერგი დაუარგავს და უხარებია, საშობ-
ლო ხატისათვის, ხოლო ქვეყანა სახატისათვის შეუდარებია...

ალექსანდრე ცაგარელი აკაკის მიესალმა წერილით: „აკაკი, გიზა-
როდენი!“ რომელშიც სინანულს გამოთქვამს ქართული საზოგადოე-
ბის დასებად და ჯგუფებად დანაწილების გამო და აკაკი მიაჩნია „ერ-
თობის იდეალების“ განხორციელების, ამ იდეალის სულის ჩამდგმე-
ლად. მისთვის „იყო მხოლოდ ერთი საქართველო და მგოსანი ნახევარი
საუკუნე ამას თავს ევლებოდა და დასტრიალებდა, როგორც არწივი
თავის წიწილებს“. ამასთან, ხან მოსთქვამდა, ხან გალობდა ძლევის
ხმაზე. „ეხლაც, ნახევარი საუკუნის დღეობის გამო დღესასწაული
აკაკის პატივსაცემად გამართული აღმოსავლეთის საქართველოს დედა
ქალაქში, თბილისში, მოასწავებს იმავე ერთობას ამერ-იმერისას.
ღმერთმა ინებოს, რომ დაფნის გვირგვინით შემკულის მგოსნის იდე-
ალი „ერთობისა“ შეიქმნას წინამორბედი ჩვენი ერის გაერთიანებისა,
ძმობისა და სიყვარულისა“.

„უბედურება კაცის ჭკუის მასწავლებელია“ — წერდა ალექსანდრე
ცაგარელი, — ამიტომ ქართველი ხალხი მისმა უბედურებამ უნდა ვა-
მოაფხიზლოს, გაამხნეოს, გააერთიანოს ძმობასა და სიყვარულში, აზ-
როვნებაში და სარწმუნოებაში თავისი ენით, სწავლა-განათლებით,
ხელოვნებით, მოქალაქეობით, ბრძნული განწყობილებებით“.



ალექსანდრე ხახანაშვილი აკაკი წერეთლის „მარგალიტივთაჲსთაჲსი“ ბილ ქმნილებებს“ მსოფლიო გოდების პოეზიაში მოაქცევს. მეფე სოლომონ — ებრაელი, ომარ ჰაიამ — სპარსელი, ბაირონი — ინგლისელი, ლეოპარდი — იტალიელი, აკაკი წერეთელი — ქართველი; ყველას შესისხლხორცებული აქვს სალირიკო პოეზია, როგორც ყველა უკმაყოფილო პოეტს. აკაკის სვე მოწამებრივად მიიჩნია მკვლევარმა, რადგან მან განიცადა ბევრი ვაება, მეგობრის დაღატი, სატრფოსაგან დავიწყება, ცხოვრების სიტკბოს ნაცვლად მწარე სამსალა, ია-ვარდის ნაცვლად ჭინჭრით მოფენილი გზა. ამიტომ არის აკაკის პოეზია მიკუთვნებული „მსოფლიო გოდების“ პოეზიას.

ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა არ დაიშურეს აკაკის მიმართ სიყვარული, შარავანდედი, ქება-დიდება. დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარის) მცირე უსათაურო ლექსი არის სწორედ დიდი პატივისცემისა და უზადო სიყვარულის გამოხატულება:

იქ მთანი მყინვარ-იალბუზისა
 ცამდე ასულნი, მიუწვდომელნი,
 აქ ეელნი რიონ-ალაზნისა,
 სულის და გულის დამატკობელნი;
 იქ ზღვა — მრისხანე, მღელვარ-მშუფთათვი
 და საშინელი მისი ღრიალა,
 აქ კი ბუღბუღი, ნაზად მსტვენავი
 და ნაკადულის ტკბილი ჩხრიალი!
 აი ბუნება ჩვენი ქვეყნისა,
 როგორც სამოთხე აყვავებული
 და პანგოც შენა პოეზიისა
 მისებრ მშვენიერ და დიდებულნი!..

ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ იროდიონ ევდოშვილმა ბევრი ლექსი დაწერა ეროვნული გრძნობის გამოღვიძება-გაძლიერებაზე. სოციალ-დემოკრატი პოეტი წინამურის ტყვიამ გამოაფხიზლა და დაინახა საშობლოს ნამდვილი მტერიც და მოყვარეც. ამ კრებულში დაბეჭდილი მისი უსათაურო ლექსი — „მთა შეთოვლილა, ბარს ნისლი აწევს...“ ორი ვითარების დაპირისპირებას გამოხატავს: რკინის ბორკილი, ვერაგი მტერი, ცეცხლით გადაწვეარი დაბა თუ სოფელი ერთი მხრივ და მგოსნის ჩანგის იმედიანი სიმღერა, ორი ზღვის გაერთიანება აქაფებულ ტალღათა კამარით — მეორე მხრივ.

ორთიან სიმები, კავკასიის მთაც
 ღვართქაფს მოისვრის, ბოზოქრობს; გმინავს,

კვლავ ბრძოლის ველზე ხელში უჭირავს
თავისუფლების დროშა ამირანს!



აი, მგოსანო, ორმოცდაათ წელს
სამშობლოსათვის შენი ამაგი.

გვწამს: ერის გულზე, თავისუფალზე
აღიმართება ეგ შენი ჩანგი!

იაკობ ფანცხავას „კრებულში“ დაუბეჭდავს წერილი, რომლის შინაარსი ასეთია: აკაკი წერეთელი შოთას თხოვს „მასწავლე საიდუმლო ჟღერისა, რათა მგოსანი ვიქმნე ერისა“-ო. აკაკი მისწვდა საიდუმლოებას ხმოვანებისა და იქმნა მოლექსედ ერისა. მისი ლექსი ყველასათვის გასაგებია, სულში ჩამწვდომი და მისი ამაძგერებელი, დიადი და შეუდარებელია მისი ხელოვნება ლექსთა მარგალიტის ჩამოსხმაში, მსუბუქი და ნარნარაა, ადვილად გასაგებია მისი სიტყვა; აკაკიმ ქართული ენა გააფაქიზა, ნარნარ ჰყო სასმენად, გაამდიდრა, მრავალი ფერი მისცა. აკაკის პოეზიის ენა გაეროვნდა, აკაკიმ სკოლა შექმნა, საქართველოში მგოსნობა დღესაც აკაკის ლექსის გარეგნულობის გამოჩნატვაა. ლექსს პოეტმა ეროვნული შინაარსი მისცა.

სანდრო შანშიაშვილი ლექსით ულოცავს თავის დიდ თანამედროვეს იუბილეს — „შენც სუმბული ხარ, დიდო მგოსანო, ერის გულს ეტრფი, უღვიძებ ფიქრებს, ციური ხმებით უტკბობ სმენასა, რომ ცოთოლვით აქდერ ჩანგის ნაზ სიმებს...“

ხან აჩრდილი ხარ ივერიისა,
მუდამ თანა სდევ, არა ჰშორდები;
სიამაყითა მოიგონებენ
შენს დიდსა სახელს შვილიშვილები!..

სვიმონ ყიფიანის „მყინვარი“ ალეგორიული სურათია აკაკის პოეზიის სიმაღლისა და უკვდავებისა: ჭექა-ქუხილი და ჯოჯოხეთის გრილია ხშირად მათაა მწვერვალებზე, რომელთა უმაღლესი მყინვარია. ეს ძალთა ტეხა დროებითია. მზის სხივზე ახალი ძალით და ბრწყინვალეობით კვლავ აღმართულა მწვერვალი — უკვდავი მამა-მყინვარი. „ვაშა, ჩვენს მამას, ვაშა ჩვენს ძალას, ვაშა ოჯახსა“. მყინვარი, სხივოსანი მყინვარი თავის შვილებს მიმართავს: „იყავით მარჯვედ! ვერა მტერი ჩვენ ვერას დაგვაკლებს“.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია აკაკის უძღვნის ეტრულს — „სინათლისაკენ“: „საშინელებაა, კენესის ქალი, სიბნელით მოცული და

განწირული. სასოწარკვეთილს საამო ჟღერა მოესმა, ცას ბინდი მიწა
დებოდა, ცარგვალის სიმაღლიდან შუქის სვეტი ჩამოეშვა და დაეცა
მიმავალი მოხუცის სახე გამოკვეთა. მოხუცს ხელში ჩანგი ჰქონდა
სასოწარკვეთილ ქალს იმედისაგენ სწრაფვა გაუძლიერა. სინათლის მა-
ძიებელი ქალი ჩანგის სიმების ხმიანობას მიჰყვება და მომავლის იმე-
დიან გზაზე გადის...“

„კრებულში“ დაბეჭდილია იაკობ გოგებაშვილის წერილი სათაუ-
რით — „ქართული პოეზიის იალბუზი“, „აკაკი პატარა საქართველოა!
აკაკის შემოქმედება ბროლსავით გამჭვირვალეა, კამკამა მორევია, რო-
მელიც ამიტომ შეიძლება ზედაპირულადაც მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ
არ არის იოლი ანკარა წყალში ფსკერამდის ჩასვლა. საარაკო კაშკაშე-
მა შეიძლება მოატყუოს ადამიანის თვალი და იოლი ეგონოს მის სი-
ღრმეში ჩაწვდენა და კენჭთა ხელში მოგდება! არა! აკაკის პოეზია
ღრმაა, თუმცა გამჭვირვალე. მასში გაერთიანებულია იშვიათი კაზ-
მულობა, სიმაღლე აზრისა და სიღრმე გრძნობებისა. საბედნიეროდ,
სამშობლოში აკაკის გარდა სხვებიც არიან ასეთივე თვისებების მქო-
ნენი: რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ
ორბელიანი, ვაჟა-ფშაველა... აკაკიმ პოეზიის სკოლა შექმნა, ბევრს
ჩვენებურ პოეტს აზის აკაკის სიტყვის ბეჭედი, ისინი პატარა აკაკები
არიან, გარდა ვაჟასი, რომელიც თავისი გენიოსური ნიჭით არ ემორ-
ჩილება აკაკის“.

სოსიკო მერკვილაძეს „მწარე მოგონება“ წარმოუდგენია ამ კრე-
ბულისათვის, რომელშიც 1882 წლის 25 ენკენისთვის ამბავია გადმო-
ცემული, რაც ავტორს აქამდე საიდუმლოდ შეუუნახავს და ახლა ამე-
ლავნებს. საქმე ეხება თბილისში, ორახელაშვილების სასტუმრო „ივე-
რიაში“ აკაკის მოკვლის განზრახვის ჩაშლას. ვინმე ს... ე-ი დამე შე-
პარულა აკაკის ოთახში და ხანჯლით პოეტის მოკვლა დაუპირებია,
მაგრამ წერილის ავტორს გადაუჩრჩენია, სოლო მკვლელი, აკაკის
თხოვნით, გაუთავისუფლებიათ.

ივანე გომართელმა „კრიტიკულ ესკიზში“ პარალელები გაავლო ბა-
ირონ-ბარათაშვილსა, ვიქტორ ჰიუგო-ილია ჭავჭავაძესა და პუშკინ-
აკაკი წერეთელს შორის. როგორც ისინი არიან ინგლისურ-ფრანგულ-
რუსული ლიტერატურის მაღალი რანგის მაჩვენებლები, ისე ქართვე-
ლი მწერლები არიან ქართული ლიტერატურის გამაძლიერებელნი და
უცხოური ლიტერატურის სიმაღლემდე ამზიდველნი. აკაკის პოეზია
გენიალურია, ღირიკა მუსიკისა და პოეზიის ნაერთია, მის შემოქმე-

დებაში დაუნჯებულა ერის სულსკვეთება, ფიქრი, გრძნობა, მისწრაფება, გულისსადები.

აკაკის პოეზია ეროვნულია, ამავე დროს მსოფლიო ლირიკის მოხმაურებაა. ეროვნულ ნადაგზე მან შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის პოეზია. აკაკი წერეთელმა „უკვდავყო ქართული პოეზია და ქართული ენა და ამით უკვდავყო თავისი თავიც“.

ლადო კატოძე (ლადო გეგეჭკორის ფსევდონიმი) ლექსით მიესალმება პოეტს და ხოტბას ასხამს მას:

ქართველთ დიდებავ, სულ-მნათო,
ვარსკვლავო, მზებრ სსივოსანო,
ენა მტყველო, გულადო,
სწორ-უპოვარო, მგოსანო!

დიდება შენა მარჯვენას,
კანდლო ჩაუქრობელო,
ბნელაში მყოფთა გუშავო,
და სხივთა უხვად მფრქვეველო!

ივანე ბუჭურაული „მოგონებაში“ აღწერს თავის სწავლას თბილისის სამოქალაქო სკოლაში და იხსენებს ერთ შემთხვევას: ერთხელ, ხუთი გაკვეთილის შემდეგ მას წიგნები აუკრეფია და მეექვსე გაკვეთილზე, რომელიც ქართული ენისათვის იყო განკუთვნილი, დარჩენა არ მოუსურვებია იმიტომ, რომ თუში იყო და ქართველად არ მიაჩნდა თავი. ქუჩაში გამოსულს ერთი ბიჭი დასწევია და უკან დაუბრუნებია. — მასწავლებელმა კარგი რამ უნდა წაგვიკითხოსო. მოსწავლეები ერთ კლასში შეკრებილან. მასწავლებელი, ბ. მ. წ-ძე (ალბათ მოსენათაძე — ს. ხ.) ავიდა კათედრაზე, ამოიღო ჯიბიდან წიგნი და აღფრთოვანებით დაიწყო: „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა...“ „დამახსოვდა ის სიამოვნების წუთები!.. როგორც მჭრელი მახვილი, გამიარეს ამ სიტყვებმა მანამდისინ ყრუ გულში... მთელი ჩემი არსებით სმენათ გადავიქეცი. შემდეგ და შემდეგ გაღვიძებულმა გულმა თრთოლა დამიწყო, ძარღვებში სისხლი აღუღდა და აჩქეფდა...“ „თორნიკე ერისთავი“-ს ბრძოლის აღწერას ისე უმოქმედია ბუჭურაულზე, რომ ყელში რაღაც მობჯენია, მოკუმული მუშტებით ზეზე წამოვარდნილა და თვალთაგან ცრემლი გადმოფრქვევია... „მასწავლებელმა ვაათავა და ამზანავების ხმაურობამ გამომიყვანა იმ ტკბილ ოცნებიდან, რომელშიაც სასიკეთო ეუმზერდი, ვით ცოცხალთ ნინოს, თამარს და ქეთევანს... დიდებულ დავითს, ლომგულს, ამასთან გულკეთილს და სათნო

გმირ ორბელიძეს და ძველ არწივს, ეხლა წმიდა მამას თორნიკეს...
ამ გმირთ აათროლეს პირველათ ჩემი გული და ჩააწვეტეს აღმადრ-
თოვანებელი, მამულისადმი უკვდავი სიყვარული!..“ ამთავრებულ
ვის მოგონებას ივანე ბუჭუბურაული.

ლექსში „პოეტი“ შიო მღვიმელი ასე მიმართავს აკაკი წერეთელს:

პოეტო, გული ეგ შენი,
ზღვა არის დაუშრეტელი,
გიმზერთ და ვსტკბებით დღეის დღით
ყველა, აქ შენი მკვრეტელი.

იოსებ მჭედლიშვილი აკაკი წერეთელს, მამა-მგოსანს მორიდებულ
ლექსს უძღვნის. იგი მირონცხებულის ყოველ დანახვაზე ბავშვივით
იციინის, ღელავს, მისკენ ხელს იწვდის და სიხარულს გულით ემღევა,
მეტის ღზენით ეესება გული და დიდი პოეტის შეხედვა აღედგებს და
აღაგზნებს მეტყველების უნარწარმეულს.

ბ. გულიაშვილიც მცირე ლექსით მიმართავს ერის ნუგეშს, მამუ-
ლიშვილს, რომლის ჩანგის ჟღერა საფლავშიაც კი ეყურება მკვდარს!
ავტორი აღტაცებულია, რომ აკაკის პოეტურმა ხმამ იგიც მკვდრეთით
აღადგინა:

მოველ შენს კარსა, გიძვნა სალამი
და ქართველ ხალხის სადიდებელათ
მადლით გიკურთხოს ღმერთმა კალამი!

იასონ წერეთელმა დაბეჭდა ნაწყვეტი პოემიდან „გოგასეულის
კოშკი“, რომელიც ალეგორიული ნაწარმოებია, აგებული საქართვე-
ლოსა და რუსეთის ურთიერთობაზე.

კ. კვინიხიძე ლექსით მიმართავს აკაკის, მამულის სასიქადულო
შვილს, ორმოცდაათი წლის ქველ მუშაკს, ჩვენი ქვეყნის გრძნობის
ლაშქარს. მისმა ლექსებმა სამშობლოს მოაგონა ქნარი რუსთაველისა,
გაამხნევა და ააძგერა ქართველის გული. —

ვაშა შენს შრომას, დიდო მგოსანო!
ერის დიდების გამომსახველო!
შენით აღგზნილი, აღტაცებული,
ვაშას შეგძახის დღეს საქართველო!

კოტე მაყაშვილისათვის აკაკი წერეთელი „დიდი მოხუცია“, მცვე-
ლი ივერთა სულის დიდი საუნჯისა, სამშობლოს კაეშნისა და სიხა-
რულის მესაიდუმლე.

მითომც ჩვენ გულში დიად-ნათელი
 დგას შენი ძეგლი კლდეზე მაგარი,
 მას ვერ მოსპობენ ვერც მტრისა ხელი,
 ვერც თოვლი, წვიმა, ცეცხლი და ქარი!
 გიკურთხოს ცაჲა ჰაღარა თავი,
 მგოსანო ტბილო და საყვარელო,
 ვით საქართველომ შენ გყო უკვდავი,
 ისე უკვდავ ჰყავ შენ საქართველო!

პასიკო ლორთქიფანიძე „ექსპრომტს“ უძღვნის აკაკის:

სმენა დამტკბარი, გრძნობა გამთბარი
 განვშორებოდი ქვეყნიერებას
 და შევსცქეროდი ალტაცებული
 თქვენს სახეს ღვთიურს, მშვენიერებას.
 შევსჩერებოდი ბაგეს მღიმარეს
 მუსიკურ სიტყვებთ წარმომშობელსა,
 აზრებს საამოს, გულის წარმტაცსა
 თქვენივე ნიჟთა შემამკობელსა.
 ბევრგვარი იყო თქვენი თქმულობა,
 ხან შურის ძებნა და ხან წრფელობა,
 ხან მოგონება სიჭაბუკისა,
 ხან სიყვარული, მისგან ხელობა.
 კვლავაც, მგოსანო, ეგე ჰაღარა
 ნუ შეგაფერხებს, ძალა შენია,
 გეტრფის ყმაწვილი, გეტრფის მოხუცი,
 ქება-დიდება შენ დაგშენია.

საიუბილეო კრებული მთავრდება გიორგი ქიზიყელის (გიორგი ავალიშვილი უნდა იყოს) ლექსით — „დიდება შენს ღვაწლს, ერის ლამპარო“... ავტორი ეტრფის აკაკის დროშას, ტანჯვაში ნაწრთობს, მტრის ლახვრით გაწეწილს, რომელსაც ამშვენებს წარწერა: „მიყვარს სამშობლო, ერი დაობლებული. მსურს აღვადგინო დაცემული, ვისთვისაც ძგერს გული“. ეს აკაკის მოწოდება უკვე რეალიზებულია, რადგან ავტორს უკვე ესმის ხმა საამო, დამატკბობელი ერისა, დაღაღისი სამშობლოს მიმართ, დაუტყბრომელი გუგუნე აღშფოთებული ზღვის ტალღებისა, რომელთაც უნდა დაარღვიონ მონობა ერის.

ასეთი მიმზიდველი შინაარსით და წრფელი ზრახვებით აღსავსეა ეს საიუბილეო გამოცემა. სამწუხაროა, რომ არ ვიცით, რა აზრი ჰქონდა იუბილარს ამ მისთვის მიძღვნილ სამახსოვრო გამოცემაზე.

იაკობ გოგებაშვილი და ქველი
ქართული მწერლობა

ქართული პედაგოგიური აზროვნების კლასიკოსს, მშობელი ერის მოჭირნახულეს იაკობ გოგებაშვილს სიამაყის გრძნობას ჰგვრიდა საქართველოს წარსული, აღაფრთოვანებდა ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი დიდებული სულიერი კულტურა. იგი კარგად იცნობდა და სათანადოდ აფასებდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობასა და საერო ლიტერატურას, გულისყურით სწავლობდა ძველ ძეგლებს, კრიტიკულად განიხილავდა სადისკუსიო პრობლემებს.

იაკობ გოგებაშვილი აღიზარდა ქართლში, სოფ. ვარიანში, ადგილობრივი საეკლესიო მოღვაწის ოჯახში. მამამისის დახმარებით ბავშვობაში იაკობს კარგად შეუსწავლია საღვთისმეტყველო წიგნები. იგი ჯერ გორში, სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, 1849 წლიდან კი — თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1855 წელს. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1861 წელს ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში, მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ საღვთისმეტყველო დისციპლინების შესწავლა და კიევის უნივერსიტეტში ისმენდა გამოჩენილი პროფესორების ლექციებს. იაკობს სთავაზობენ უნივერსიტეტში დარჩენას საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის შესაძლებლობას არ აძლევს. იგი ბრუნდება სამშობლოში, ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში, იწყებს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. მას, როგორც ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თანამოსაგრეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ მოღვაწეს, ყურადღებიდან არ გამოორჩენია ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ბუნებრივია, ის უყურადღებოდ ვერ დატოვებდა მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ი. გოგებაშვილის ზრუნვა ქართულ

ხელნაწერებზე. მას ნათლად ესმოდა ძველი ქართული ხელნაწერების მნიშვნელობა, ენერგიულად ზრუნავდა მათ დაცვა-შენარჩუნებაზე. ბევრი ძველი ქართული ძეგლი მან ხელნაწერების საშუალებით გაიცნო და შეისწავლა. თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“, თეიმურაზ მეორის „ხილთა ქება“ და ზოგიერთი სხვა თხზულება ი. გოგებაშვილმა ხელნაწერებში წაიკითხა. ამასთანავე, იგი ენერგიულად ზრუნავდა ძველ ხელნაწერებში შემონახული ძეგლების პუბლიკაციაზეც. მისი მონაწილეობით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ (1888 წ.), მონაწილეობდა აგრეთვე „ვისრამიანისა“ და „არჩილიანის“ გამოცემათა მომზადებაში. თვით გამოაქვეყნა ნაწყვეტები გ. ჩოლოყაშვილისა და თეიმურაზ მეორის თხზულებებიდან.

ი. გოგებაშვილის ღრმა რწმენით, ჩვენი „ეროვნული არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი იყო ქართული ეროვნული ლიტერატურა“. მას ეამაყებოდა, რომ ქართველობამ „შექმნა მდიდარი ათასწლიანი ლიტერატურა და კულტურული ერების სიმალდემდე ავიდა“.

დიდი პედაგოგი ეროვნული სიამაყის გრძნობით აცხადებდა: „ქართველები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ წიგნს, მწერლობას წარმატებათა მიღწევის საქმეში“. ის სწორად ითვალისწინებდა ძველი ქართული მწერლობის ისტორიული განვითარების გზას, ქართველ მწერალთა მთარგმნელობითი საქმიანობის მიზანდასახულობას და ორიგინალურ შემოქმედთა მოღვაწეობას, როდესაც წერდა, რომ ქართველები „მხურვალედ შეუდგნენ ჯერ საღვთო წიგნებისა და სასულიერო-ზნეობრივი შინაარსის თხზულებათა თარგმნას, შემდეგ კი ხელი მიჰყვეს თავიანთი ლიტერატურის გამდიდრებას ფილოსოფიური და ისტორიული შინაარსის წიგნებით“. მან სწორად შენიშნა, რომ ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება და ზრდა-განვითარება ძველ საქართველოში საერთო საქმედ იყო მიჩნეული და ამ საქმეში აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი.

ი. გოგებაშვილს ესმოდა, რომ ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის უკანასკნელ ხანამდე მოტანა ერთობ ძნელი იყო, რადგან ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე უხდებოდა ბრძოლა მოძალბებული მტრის წინააღმდეგ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და საუკუნეთა მანძილზე გამოტარებას აფერხებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის-სისუსტეც. მაგრამ, — როგორც ი. გოგებაშვილი წერდა, — „ქართველთა სიყვარულმა თავისი

ლიტერატურისადმი სძლია ბარბაროსთა ათასწლოვან შემოსევას და გადაარჩინა ის მოსპობას“. სხვათა შორის, მისი აზრით, მწვერვალის სიყვარულმა განაპირობა ბევრი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის ქართულ ენაზე გადაარჩინა: „ამ ფენომენალური სიყვარულის მეოხებით ქართულ ენაზე გადაარჩა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის მრავალი ნიმუში, რომელიც კაცობრიობისათვის საბოლოოდ დაკარგული ითვლებოდა“.

ამჟამად საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძველი ქართული მწერლობის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობასა და მეცნიერულ ღირებულებას მკაფიოდ ავლენს სხვა ხალხებთან ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობა და ამ ურთიერთობის შედეგად ქართულ ენაზე შემონახული ძეგლები, რომელთა ორიგინალები დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში, დღემდე მიკვლეული არ არის, ან ცნობილია განსხვავებული რედაქციით. მაგრამ იმ დროს, როდესაც ი. გოგებაშვილი დამოწმებულ სტრიქონებს წერდა, ნ. მარის მუშაობას აღნიშნული მიმართულებით მცირე ხნის ისტორია ჰქონდა, ხოლო კ. კეკელიძე ჯერ არც კი იყო გამოსული მეცნიერულ ასპარეზზე.

აქვე შევჩერდებით კიდევ ერთ ფაქტზე. როგორც ცნობილია, ძველი ქართული მწერლობა მეფე-დიდებულთა სასახლეების გარდა ეკლესია-მონასტრებშიც ვითარდებოდა. ი. გოგებაშვილი ითვალისწინებდა მონასტრების კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობას და ასკვნიდა, რომ ისინი „იყვნენ არა მარტო ლოცვისა და მარხულობის ადგილნი, არამედ სწავლისა და განათლების ლამპრები ჩვენს ქვეყანაში“, ისინი „ავრცელებდნენ სწავლას და ზნეობას ხალხში“.

საინტერესოა მისი ცნობები გარეჯაზე, მცხეთის დიდ ბიბლიოთეკაზე, იყალთოს აკადემიაზე, გელათზე, ალავერდზე, ჩვენი „განათლების და სწავლის აკვანზე“ — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, საზღვარგარეთ არსებულ უმნიშვნელოვანეს კერაზე — ათონის საგანებზე და ა. შ.

ი. გოგებაშვილი საფუძვლიანად იცნობდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, ყურადღებას ამახვილებდა მის სიმდიდრეზე და აღფრთოვანებით საუბრობდა მასზე — იხსენიებდა ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის წარმომადგენლებს, ახასიათებდა მათ საქმიანობას, იმოწმებდა მათ ნაწარმოებებს და ა. შ.

ი. გოგებაშვილი არა მხოლოდ ზოგადად იცნობდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, არამედ, კერძოდ, ღრმად იცნობდა ბიბლიასა და ჰაგიოგრაფიას. სამეცნიერო-პედაგოგიკურსა თუ კრი-



ტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში იხსენიებდა ბიბლიურ წიგნებს, ასახელებდა ბიბლიურ გმირებს, იგონებდა ბიბლიურ ეპიზოდებს. იმოწმებდა ციტატებს ბიბლიიდან და ა. შ. ბიბლიური წიგნების შესუფძელიანი ცოდნა ჩანს მის „ბიბლიურ ისტორიაში“, რომელიც ახლახანს მიაწოდა მკითხველს გამომცემლობა „მერანმა“. მოთხრობა „გამარჯვებული დედაც“ ბიბლიური ეპიზოდის ვადამუშავება და პოპულარულად გადმოცემაა. ასევე იცნობდა ის ქართულ ჰაგიოგრაფიას, რასაც ადასტურებს „ბუნების კარში“ დაბეჭდილი მოთხრობები დავითისა და კონსტანტინესა და არჩილის წამების, აგრეთვე ასურელ მოღვაწეთა და ათონელთა შესახებ.

მართალია, ი. გოგებაშვილი დიდად აფასებდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, მაგრამ იგი, უპირველესად ყოვლისა, პედაგოგი იყო და ეს მწერლობა უპირატესად პედაგოგიკური თვალსაზრისით აინტერესებდა. როდესაც ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის საკითხებზე მსჯელობდა, არასოდეს არ იფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ლიტერატურული საკითხებით, ასეთ საკითხებსაც პედაგოგიკურ ასპექტში განიხილავდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი მსჯელობა რომელიც ვნებავთ ხანის ლიტერატურულ ცხოვრებაზე, ამავე დროს იყო მსჯელობა ამ ხანის სწავლა-განათლების დონეზე. შეგვიძლია სანიმუშოდ დავიმოწმოთ ი. გოგებაშვილის „მოთხრობანი საქართველოს წარსულიდან“, კერძოდ, მისი თავები მიძღვნილი როგორც ადრეული ხანის, ისე დავით აღმაშენებლის, თამარის, ვახტანგ მეექვსისა და ერეკლე მეორის ხანის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისადმი.

ი. გოგებაშვილს ღრმად სწამდა, რომ ძველი ქართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მწერლობის განვითარებასა და განათლების დონის ამაღლებას, რომ „წარსულში სწავლა-განათლების საქმე საქართველოში კარგა მაღალ ხარისხზედ იდგა“. ის ხშირად მსჯელობდა ძველ ქართულ საგანმანათლებლო კერებზე — თბილისისა და თელავის სემინარიებზე, მათ სახელოვან ხელმძღვანელებზე — გაიოზ და დავით რექტორებზე და სხვ. განსაკუთრებით ხშირად ჩერდებოდა იგი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობასა და განათლებაზე, ამ ხანის მოღვაწეებზე. აქ საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ მისი წერილი „რანი ვიყავით გუშინ?“, რომელიც საყურადღებოა როგორც საკითხების მრავალფეროვნებით, ისე მათი აქტუალურობით და საზოგადოებრივი მნიშვნელობით.

ი. გოგებაშვილმა ვრცლად დაახასიათა XVIII საუკუნის ქართლ-

კახეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურული მდგომარეობა, ქართველ მამულიშვილთა საზოგადოებრივი საქმიანობა, მისი შესწავლის საფუძველზე გამოიტანა მან შესაწყნარებელი დასკვნა: „თუმცა საქართველოს მდგომარეობა დიდხანს იყო იმგვარი, რომ ითხოვდა მხოლოდ ხმლის მღვლეარების ხელოვნებას და სრულიად არ უწყობდა ხელს პოლიტიკური აზრების აღზრდასა, მაგრამ მაინც მეთვრამეტე საუკუნის დამლეეს საქართველოს ჰყავდა შვილი, რომელნიც იყვნენ შემკულნი შორსგამჭვრეტელობით და ნამდვილი სახელმწიფო ჰკუთნებდნენ“.

დასახელებულ წერილში ავტორმა ზოგადად მიმოიხილა XVIII საუკუნის ქართული მწერლობა და განათლების დონე. ვინ არაა მოხსენიებული ამ წერილში — „გამოჩენილი პოეტი“ ბ. გაბაშვილი, „ფილოსოფოსნი და რიტორნი“ — მ. ორბელიანი და ს. ლიონიძე, „შესანიშნავი მქადაგებელნი“ — ამბროსი ნეკრესელი და ვარლამ ერისთავი, „სახელოვანი ღვთისმეტყველნი“ — ანტონ პირველი, „დიდებული კათალიკოსი, რომელმაც ქართული ლიტერატურა მთელის ორმოცი თხზულებით გაამდიდრა“, დოსითეოს ნეკრესელი და გაიოზ რექტორი, „შესანიშნავი სასულიერო მწერალნი“ — ალექსი და სოლომონ მესხიშვილები და სხვანი.

ი. გოგებაშვილმა XVIII საუკუნის ქართული მწერლობისა და განათლების საკითხები მთლიანობაში განიხილა, რითაც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა იმ ხანის საქართველოს კულტურული აღმავლობა.

უფრო უკეთ იცნობდა ი. გოგებაშვილი ძველ ქართულ საერო ლიტერატურას. თავის ნაწერებში ხშირად იხსენიებდა ძველ მწერლებს, ახასიათებდა მათ ნაწარმოებებს. იგი, მართალია, უფრო ხშირად რუსთველსა და მის პოემაზე წერდა, მაგრამ სხვა მწერლებსაც არ ივიწყებდა. ამ მხრივ საინტერესოა „ბუნების კარი“, რომელშიც გვხვდება მსჯელობა რუსთველის თანამედროვე მწერლებზეც.

ი. გოგებაშვილი აქ იმეორებდა იმ ცნობებს, რომელთაც ხალხურ სიტყვიერებაში პოვეს დავრცელება და სპეციალურ ლიტერატურაშიც კი დაიმკვიდრეს ადგილი. ამიტომ, მის ნაწერებშიც თავი იჩინა ზოგიერთმა ისეთმა შეცდომამ, რომელიც სხვაგანაც გვხვდებოდა, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ი. გოგებაშვილი საერთოდ მაღალი წარმოდგენისა იყო კლასიკური ხანის მწერლობაზე და დადებითად ახასიათებდა XII საუკუნის მწერლებს. საგულისხმოა, რომ საგმიროსაფალანგო მოთხრობათა კრებულს „ამირანდარეჯანიანს“ უწოდებდა

„შესანიშნავ მოთხრობა-რომანს“, სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოებს
„ვისრამიანს“ — „ფრად შესანიშნავ რომანს“ და ა. შ.

საქართველო
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

რამდენიმე სიტყვა „ვისრამიანზე“. უკვე აღვნიშნეთ, რომ ი. გოგე-
ბაშვილი მწერლობას პედაგოგიკური თვალსაზრისით განიხილავდა და
ძველ ძეგლებს აღმზრდელობითი იდეების მიხედვით აფასებდა. „ვის-
რამიანი“, — თხზულება, რომელიც ასახავს ე. წ. მაღალი საზოგადო-
ების ცხოვრების ინტიმურ მხარეს და დაუცხრომელი სიყვარულის აპო-
ლოგიაა, — ადრე მას არ მოსწონდა, უთუოდ, მისი სატრფიალო-სა-
მიჯნურო ხასიათის გამო, და არც მისი დიდი ტირაჟით (1200 კ.) და-
ბეჭდვის მომხრე იყო. მას შემდეგ, რაც „ვისრამიანი“ ბეჭდურად გა-
მოქვეყნდა (1884 წ.), მან აზრი რამდენადმე შეიცვალა ამ ძეგლზე;
1886 წელს „მეორე საგრამატიკო ბაასში“ და 1894 წელს „საგრამა-
ტიკო შენიშვნაში“ დაიმოწმა, ხოლო „ბუნების კარში“ „ფრად შესა-
ნიშნავ რომანადაც“ კი მიიჩნია.

ი. გოგებაშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა ქართული საკარო-
სახოტბო პოეზიის წარმომადგენლებს — შავთელსა და ჩახრუხაძეს. იგი
არ იზიარებდა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ადრინდელ შეხედუ-
ლებებს ქართველ მეხოტბეებზე. მართალია, შავთელისა და ჩახრუხა-
ძის იდეოლოგია და მსოფლგაგება მისთვის მთლად მისაღები არ იყო,
მაგრამ ამის გამო არ უგულვებელყოფდა მათ თხზულებათა მაღალ-
მხატვრულობასა და ღრმაშინაარსიანობას.

ძველი ქართველი მწერლებიდან ი. გოგებაშვილი ყველაზე მაღლა
აყენებდა შოთა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“. მას სიამაყის
გრძნობით ადავსებდა „განთქმული და უკვდავი“ „ეროვნული გენი-
ოსი“, „წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველთა ერის გონე-
ბის ძალისა, შემოქმედებისა, გენიოსობისა“. მისი რწმენით, რუსთა-
ველი იყო არა მხოლოდ „პირველი პოეტი საქართველოსი“, რომელსაც
„სწორი არ ჰყავს ქართველს პოეტებში“, არამედ „გენიოსი და ტა-
ლანტი“ — ავტორი ზოგადსაკაცობრიო თხზულებისა. მას რუსთველი
მიაჩნდა ერის აზრის გამომხატველად, ხოლო მისი „უკვდავი, სახე-
ლოვანი და პოპულარული“ პოემა, რომელიც ხალხმა ზეპირად იცო-
და და ქართველ ასულებს მზითავადაც ატანდნენ — „დიდებულ და თა-
ვისებურ ქმნილებად“.

ი. გოგებაშვილი მართებულად აღნიშნავდა, რომ „თუმცა რუსთა-
ველის შემდეგ ჩვენამდინ რვაას წელიწადზე მეტმა განვლო და თუმ-
ცა მრავალმა მაღალნიჭიერმა მწერალმა გაამდიდრა მას უკან ჩვენი
ლიტერატურა თავისი ნაწარმოებებით, მაგრამ მისი პოემა დღემდინ შე-



ადგენს უძვირფასესსა და უკეთეს საუნჯეს ქართველის გონებისა და გულისათვის. ამგვარი დაუმკნარი მნიშვნელობა ყოველთვის მხოლოდ გენიოსის ხედვრი და რუსთაველიც ყველასაგან აღიარებულია გენიოსად“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბუნების კარში“ შეტანილი პოპულარული ნარკვევი „შოთა რუსთაველი“, რომელიც დიდი სიყვარულითაა დაწერილი. მასში ავტორმა მოგვაწოდა ბიოგრაფიული ცნობები შოთა რუსთაველზე, ზოგადად განიხილა „ვეფხისტყაოსანი“ და წარმოაჩინა მისი სიდიადე. იგი გულისტყვილით აღნიშნავდა, რომ რუსთაველის ბიოგრაფია „ბინდბუნდით არის მოცული“, წერილობითი საბუთები არ არის მოღწეული, „ქართლის ცხოვრება“, — ფრიად მდიდარი ცნობებით თამარზე და იმის დროზე, — კენტი სიტყვიტაც არ იხსენიებს რუსთაველსა“. ამიტომაც ის მეტწილად ხალხური ცნობების გადმოცემით კმაყოფილდება. მისი ცნობით, რუსთაველი — თანამედროვე და თანამოდგაწე თამარისა, იყო მესხეთის რუსთაველიდან, სწავლობდა რუსთაველის სკოლაში, შემდეგ ტბეთში, გრემში, იყალთოში და ბოლოს საბერძნეთში; განსწავლული და განათლებული მგოსანი ძალზე დაწინაურდა სასახლეში და მოლარეთუხუცესობაც კი მიიღო. აღნიშნული ცნობები, რომელთა სათავე მეტწილად ქართული ხალხური სიტყვიერება იყო, იმ პერიოდში ძალზე გავრცელებული გახლდათ, ი. გოგებაშვილიც უცვლელად იმეორებდა მათ.

აღსანიშნავია ი. გოგებაშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის დამტკიცების ცდა. მას ღრმად სწამდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის ორიგინალური, — ან როგორც თვით წერდა — „თავისებური“, — თხზულება იყო. მისი დაკვირვებით, პოეტმა „მოიწადინა გამოეხატა თამარი, საქართველოს წარჩინებულნი პირნი და აგრეთვე ღირსებანი და თვისებანი ქართველთა ერისა“, მაგრამ ეს გარკვეულ უხერხულობას გამოიწვევდა. ამიტომაც ავტორმა „პოემას მისცა არაკის ფორმა, მოქმედება გადაიტანა არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში და მოქმედნი პირნი არაბების სახელებით გამოიყვანა“. მისი დასკვნით, პოემაში შენიღბულად, ალეგორიულად, შეფარვით გადმოცემულია ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრება, აღწერილია ქართველთა საქმიანობა.

ი. გოგებაშვილი პოემაში ეძებდა ქართველთა დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს და ამით ცდილობდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის დასაბუთებას. მისი განცხადებით, პოემაში „ნათლად იყო დახატული მაშინდელის ქართველების ღირსებანი: პატივისცემა ქალისა,

მფარველობა დაბალის წოდებისა, ძვირად დაფასება ნიჭისა, სამაგალითო ძმობა ჳირსა და ლზინში, ძლიერება სულისა, უშიშრობა ფათის წინაშე და სხვანი“.

რუსთველოლოგიაში ადრეც იყო ცდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებისა. მხედველობაში ვგაქვს არა პოემის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაცია და მისი ისტორიული ანალოგიების დადგენის ცდა (დ. ჩუბინაშვილი), არამედ გმირთა ხასიათებში ქართველთა თვისებების შენიშვნა (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, ა. წერეთელი). მიუხედავად ამისა, ი. გოგებაშვილის ცდა მაინც ყურადღებას იმსახურებს. რუსთველოლოგთა ადრეული გამოკვლევები დავიწყებული იყო, ხოლო ა. წერეთლის კონცეფციას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ამ დროს ი. გოგებაშვილი თავისებურად ცდილობდა პოემის ორიგინალობის დადასტურებას, გმირთა ხასიათებში ეძებდა ქართველთა ნიშან-თვისებებს, ახალ საფუძველს უქმნიდა პოემის ორიგინალობის მტკიცებას. ამასთანავე, ი. გოგებაშვილი არა მხოლოდ ამტკიცებდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობას, არამედ დაუნდობლად აკრიტიკებდა ყველას, ვინც კი ექვს შეიტანდა პოემის ორიგინალობაში, კერძოდ, ი. ჯაბადარსა და ნ. მარს.

ი. გოგებაშვილი ინტერესით აღევნებდა თვალს რუსთველოლოგიურ ლიტერატურას და არც ზემოაღნიშნულ პირთა წერილები დაუტოვებია უყურადღებოდ. ი. ჯაბადარისა და ნ. მარსის მცდარი შეხედულებანი გააკრიტიკა მან თავის ცნობილ წრომში „ბურჯი ეროვნებისა“.

ი. გოგებაშვილს არ მოსწონდა ი. ჯაბადარისა და ნ. მარსის აჩქარებული მსჯელობა, უსაფუძვლო მტკიცება და დაუკვირვებლობა. ის მკაცრად აკრიტიკებდა მათ შეხედულებებს, უღმობლად კიცხავდა მათ არამეცნიერულ მეთოდებს. მას ვერ წარმოედგინა, რომ მწერალი, რომელიც ასე შეიყვარა მშობელმა ერმა და ასეთი უკვადავების შარავანდედით შემოსა, მხოლოდ მთარგმნელი იყო და არა ორიგინალური შემოქმედი. საყურადღებოა, რომ ი. გოგებაშვილი არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობას ამტკიცებდა და მის უარყოფელთ აკრიტიკებდა, არამედ ამასთანავე პოემის ეროვნული საფუძვლების დაქბნით ხალხში ეროვნული ქრძნობის გაღვივებასაც ლაშობდა.

ი. გოგებაშვილი აღფრთოვანებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ დრმაიდურობითა და რუსთველის ცხოველყოფელი აზრით. მისი დასკვნით, „რუსთაველი იყო არა მარტო უნიჭიერესი პოეტი, არამედ ბრძენი, რომელიც აზროვნებით ბევრად წინ უსწრებდა თავის დროსა“.

იგი „ქალს ერთ სიმაღლეზე აყენებდა ვაჟთან“ („ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“); „ძარცვა-გლეჯისა და სხვისაგან მოსულთა ბის მითვისების ხანაში“ ის სიკეთისაკენ მოუწოდებდა საზოგადოებას („რასაცა ვასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!“); ძალმომრეობისა და სოციალური უსამართლობის ეპოქაში ის ყმათა განთავისუფლებას ქადაგებდა („მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“) და ა. შ.

ი. გოგებაშვილს აღაფრთოვანებდა პოემის „მდიდარი და ღრმა შინაარსი, ფრიად ხელოვნური გამონახტულება, მშვენიერი ლექსთწყობილება, სამაგალითო ენა, მიმართულება“ და გული სტკიოდა იმის გამო, რომ პოემა სათანადოდ ვერ იყო თარგმნილი უცხო ენებზე, არაქართველ მკითხველებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა მისი სრულად და ზუსტად აღქმისა და გაგებისა. ამ მდგომარეობის სიმწვავეს შეგრძნებით ი. გოგებაშვილი ერთგან წერდა: „უცხოელნი ჩვენს „ვეფხისტყაოსანს“ იცნობენ უბრალო, მშრალი პროზაული ნათარგმნით, რომელშიც მთლად გამჭრალია ის მომხიბლავი სიმდიდრე და მუსიკა ენისა, რომელიც შეადგენს ერთს უმთავრეს დირსებას ჩვენის ნაციონალურის ქმნილებისას, რამდენად უფრო მაღლა დააყენებდნენ ისინი შოთას უკვდავ პოემას, თუ მათ ქართულის ენის ცოდნა ნებას აძლევდეს თვითონ დედნის კითხვით გამოსცადონ ნეტარება, რასაც ჰგონობს ქართული გული და გონება“.

პოემის მხატვრული სამოსლის შენარჩუნებისა და უცხო მკითხველთან სრულყოფილად მიტანის სურვილით აიხსნება ი. გოგებაშვილის ზრუნვა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად თარგმნაზე. მას, როგორც ირკვევა, გარკვეული კავშირი ჰქონია ა. ლაისტთან, როდესაც ეს უკანასკნელი რუსთველის პოეტურ ქმნილებას გერმანულ ენაზე თარგმნიდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. გოგებაშვილი ხშირად სარგებლობდა რუსთველის გამონათქვამებით, თავის ნაწერებში იმოწმებდა მის სიტყვებს, აფორიზმებს და ა. შ. ამასთანავე, თავის სახელმძღვანელოებშიც შეჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები თუ ცალკეული სტროფები.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ ი. გოგებაშვილის მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენასა და გამოცემაში. გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილმა გადაწყვიტა რუსთველის პოემის ტექსტის მეცნიერულად დადგენა. ი. გოგებაშვილმა, რ. ერისთავმა და ი. მეთუნარჯიამ



სპეციალური წერილით მიმართეს ქართველ საზოგადოებას და სთხოვეს დახმარება ამ საშვილიშვილო საქმეში. მალე შეიქმნა ქართველ მწერლებს რაღათა კომისია (გ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი და სხვ.), რომელმაც კარგად გაართვა თავი წამოწყებულ საქმეს და დიდებულად გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ 1888 წელს.

ამრიგად, ი. გოგებაშვილი საფუძვლიანად იცნობდა „ვეფხისტყაოსანს“, ვაჟკაცურად იმალღებდა ხმას მის ხელმყოფელთა წინააღმდეგ და გულმოდგინედ ამტკიცებდა მის ორიგინალობას, მონაწილეობდა ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში და ზელს უწყობდა რუსთველის ბრძნული გამოხატვამების პოპულარიზაციას.

ი. გოგებაშვილი კარგად იცნობდა აღორძინების ხანის ქართველ მწერლებსაც. კერძოდ, იცნობდა და ასახელებდა თეიმურაზ პირველის „ვარდულუბლიანსა“ და „ქეთევან დედოფლის წამებას“, არჩილის „გაბაასებას თეიმურაზისა და რუსთველისა“, ი. სააკაძის „დიდმოურავიანსა“ და სხვ. საფუძვლიანად იცნობდა ის „მაღალნიჭიერ მწერრალს“ — სულხან-საბა ორბელიანს და მის „შესანიშნავ თხზულებას“. მართალია, კარგად იცნობდა და ხშირად იყენებდა კიდევ მის ლექსიკონს, მაგრამ უფრო მეტად აღფრთოვანებული იყო „სიბრძნე სიკრუის წიგნით“, მისი იდეური მიზანდასახულობითა და აღმზრდელობითი მოძღვრებით. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სულხან-საბა ორბელიანსა და ი. გოგებაშვილს შორის გარკვეული სულიერი ნათესაობა შეინიშნება.

ი. გოგებაშვილი ხშირად მიმართავდა სახელოვანი წინამორბედის მოძღვრებას, იმოწმებდა მის აზრებს, იხსენიებდა მის არაკებს, ეხმაურებოდა მათი გალექსვის ცდებს, ხალხში ავრცელებდა „ზნის მასწავლებელ არაკებს“ და ამტკიცებდა მათ ორიგინალობას.

ი. გოგებაშვილი „სიბრძნე სიკრუისას“ ორიგინალობას ისევე დაბეჯითებით ამტკიცებდა, როგორც რუსთველის პოემისას. მას დაუშვებლად მიაჩნდა ქართველი ხალხის ამ უდიდესი მწერლების მთარგმნელ-მიმბაძველებად გამოცხადება.

ი. გოგებაშვილი კარგად იცნობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელოვან აღზრდილს ვახტანგ მეექვსესაც, ხშირად იხსენიებდა მას, იმოწმებდა მის ეპიტაფიას, იწონებდა მის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. მისი დასკვნით, ვახტანგმა „დასტოვა ჩვენს ისტორიაში ცხოველი, ნაყოფიერი და უკვდავა კვალი“.

ი. გოგებაშვილის აზრით, ვახტანგთანაა დაკავშირებული ჩვენი

ეროვნული კულტურის აღორძინება, „ქართული მწიგნობრობის გა-
ვიძევა“, სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობის გაჩაღება და ქართული
„მიწათმოქმედების განვითარების განყოფილება“, „მიმქრალი განათლების გა-
ვიძევა“, „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება, „ქილილა და დამა-
ნას“ თარგმნა და ა. შ.

ი. გოგებაშვილს კარგად შეუნიშნავს ქართველი საზოგადოებრიო-
ბის სწრაფვა ევროპული კულტურისა და მეცნიერებისაკენ. ამის სა-
ილუსტრაციოდ ის ვახტანგის ხანის ქართული კულტურის აღმავლობას
იმოწმებდა: „რა ძალით სწყყუროდა ჩვენს ერს ევროპის ნათელი და რა-
გვარი გაუმაძღრობით მოხდებოდა მისი. დაწაფება დასავლეთის განათ-
ლებაზედ და მეცნიერებაზედ, ცხადად გვიჩვენებს ის ყველა მესტო-
რიეთათვის გასაცვიფრებელი ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც
დაიბადა საქართველოში ვახტანგ მეექვსის დროს, რა წამს ცოტაოდენ-
ნის ჭუჭყუტანიდგან ჩვენში შემოაშუქა ევროპის ნათელმა, გამოიყვა-
ნა ლიტერატურულ ასპარეზზე იმგვარნი მაღალნიჭიერნი მწერალნი,
როგორც ვახუშტი და სულხან ორბელიანი და მოკლე ხნის განმავლო-
ბაში გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა არაერთი მაღალმნიშვნელოვა-
ნი და უკვდავი ქმნილებითა“.

ი. გოგებაშვილის ყურადღებას იპყრობდა ვახტანგის ვაჟი ვახუშ-
ტი ბაგრატიონიც, „მაღალნიჭიერი მწერალი“, რომელმაც „მთელი თა-
ვისი ნიჭი და დრო მოახმარა უცხოეთში ქართულის მწიგნობრობის
აღორძინებასა“. შემთხვევითი არაა, რომ ი. გოგებაშვილი საგანგე-
ზოდ აღნიშნავდა ვახუშტის უცხოეთში მოღვაწეობას. ის იცნობდა რუ-
სეთს ვახიზნული ქართველი მწიგნობრების კულტურულ-საგანმანათ-
ლებლო საქმიანობას და სათანადოდ ესმოდა ამ მოღვაწეობის მნი-
შვნელობაც. სავსებით მართალი იყო ი. გოგებაშვილი, როდესაც
წერდა: „ვახუშტი, იოსებ სამეხელი და მათნი თანამეწიენი, აღზრდილ-
ნი და დასრულებულნი ეროვნულ ნიადაგზე, რუსეთში ნაყოფიერად
შრომობდნენ ქვეყნისათვის და, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ღრმა
კვალი დასტოვეს ჩვენს ცხოვრებაში“.

დიდად აფასებდა ი. გოგებაშვილი „გენიოსსა და ტალანტს“, „მე-
ტად ნიჭიერ პოეტს დ. გურამიშვილს, რომლის თხზულებანი ბრწყინ-
ნავენ მშვენიერი და მეტად ადვილი ქართული ენით“. რამდენჯერმე
იმოწმებდა კიდევ მის ბრძნულ გამონათქვამებს. მაგალითად, ერთ შემ-
თხვევაში დამოწმებული აქვს ცნობილი სიტყვები: „ჭკუა უხმარ არს
ბრწყინათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“; სხვა შემთხვევაში გამო-
იყენა დ. გურამიშვილის ცნობილი სტროფი („ეთ მამალი სხვის მა-



მალსა...“). „საგრამატიკო ბაასში“ დამოწმებულია „დავითიანის“ ერთი ტაეპი: „ჩემს უკან მდევართ გარდევურჩი იმ წოლით დლითა სტრუქტურული გელოგიაში მითა“. ი. გოგებაშვილმა „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ უხვად შეიტანა დ. გურამიშვილის თხზულებათა ნაწყვეტები.

ი. გოგებაშვილი იხსენიებდა აღორძინების ხანის ქართული მწერლობის სხვა წარმომადგენლებსაც, კერძოდ, „გამოჩენილ ნიჭიერ პოეტს“ ბესიკს, „რიტორსა და განსწავლულ მსაჯულს“ ს. ლიონიძეს, მემატიაწეებს — ფ. გორგიჯანიძეს, ს. ჩხეიძეს, პ. ორბელიანსა და ო. ხერხეულიძეს, განსწავლულ ბატონიშვილებს — იოანეს, თეიმურაზსა და სხვებს.

ჩვენი მიმოხილვა არ იქნება სრული, თუ არ მოვიხსენიებთ საქართველოს ისტორიული წარსულის ღრმა ცოდნით დაწერილი მოთხრობები — „ასპინძის ომი“, „თავდადებულნი ქართველნი“ და სხვ. ამ მოთხრობებით ი. გოგებაშვილი ახალგაზრდობას უღვიძებდა ინტერესს საქართველოს წარსულისადმი, უძლიერებდა ერისა და ქვეყნის სიყვარულს, უქადაგებდა მაღალ ზნეობრივ პრინციპებს, უკარნახებდა ადამიანის ღირსებათა პატივისცემას. ი. გოგებაშვილის მიზანი ახალგაზრდობის პატრიოტულ-დემოკრატიული სულისკვეთებით აღზრდა გახლდათ. სათანადო მასალის მოსაპოვებლად მიმართავდა წარსულს და, როგორც ჩანს, საკმაოდ პოულობდა იქ შესაბამის ფაქტებს. არსებითად ახალგაზრდობაში ეროვნული გრძნობის გაღვივებას ისახავდა მიზნად მისი მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედებაც.

ი. გოგებაშვილს კარგად ესმოდა, რომ ახალგაზრდობის აღზრდაში, მთავალ თაობათა სულიერ ფორმირებაში მწერლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ამიტომაც პედაგოგიურ მოღვაწეობაში იყენებდა წერილობით ძეგლებს, სახელმძღვანელოებისათვის საგანგებოდ არჩევდა პედაგოგიური თვალსაზრისით საინტერესო ნაწარმოებებს, ენობრივად ხვეწდა, ტექსტებში შეჰქონდა ლოგიკურად გამართლებული ენობრივ-სტილისტიკური შესწორებანი. მისი რედაქტორული შალაშინი შეეხო ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, ვაჟასა და სხვათა ნაწერებს. ბუნებრივია, რომ მან გაასწორა და გააშალაშინა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებიც. სახელმძღვანელოებში შეიტანა რამდენიმე ძველი ავტორის (რუსთველი, სულხან-საბა ორბელიანი, დ. გურამიშვილი, გ. ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ მეორე, გ. ფრალიშვილი) თხზულებანი. სწავლული რედაქტორის ზელი არც მათ დაჰკლებიათ. თუ გავითვალისწინებთ ი. გოგებაშვილის ბრძოლას ქართული ენის სიწმინდისათვის, სრულებით არ იქნება გასაკვირი მისი მოქმედება. როგორც

ცნობლია, ის დიდი მოქალაქეობრივი შემართებითა და მეცნიერული/კეთილსინდისიერებით იბრძოდა მშობლიური ენის სიწმინდისა, მწერლობისა, ტკიცისათვის, ახალი ქართული ლიტერატურული ენის მწერლობასა და ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის; თავისი ენერგიული მოქმედებით მან მართლაც გააძლიერა ქართული ლიტერატურული ენის ეროვნულ-ხალხური საფუძვლები. მწერლობის ენა დაუახლოვა ცოცხალ ხალხურ მეტყველებას. ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელებისას ის არ ერიდებოდა ცნობილი ქართველი მწერლების ენის შესწორებასა თუ გამარტივებას.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში — „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ დაბეჭდილია ძველი ქართველი ავტორების თხზულებები. რამდენიმე სიტყვა ამ საკითხზე.

1. რუსთველის პოემიდან „დედა ენაში“ შეტანილია შემდეგი ბრძნული გამონათქვამები:

აესა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების!

მათგან პირველი ორი დაბეჭდილია უცვლელად, ხოლო მესამე ოდნავ გამარტივებულია.

„ქართული წერის დედანში“ შეტანილია ერთი აფორიზმი („სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“) და რამდენიმე სტროფი.

„ბუნების კარში“ დაიბეჭდა შემდეგი ნაწყვეტები: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, „ნადირობა“, „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“ და სხვ. ი. გოგებაშვილი რუსთველის ტექსტს თითქმის უცვლელად ბეჭდავდა.

2. „დედა ენაში“ განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი „სიბრძნე სიცრუისას“ იგავ-არაკები.

ი. გოგებაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა სულხან-საბა ორბელიანის ტექსტს, გულდასმით მუშაობდა მასზე და სურდა იგი ახალგაზრდობისათვის უფრო ადვილად გასაგები გაეხადა. ამ მიზნით აზუსტებდა იგავ-არაკების სათაურებს, ტრადიციული სახელწოდების ნაცვლად მათ ურჩევდა, მისი აზრით, უკეთესსა და შესაფერისს; ამარტი-

ცემდა ენობრივ ფორმებს, არქაიზმებს ცვლიდა საყოველთაოდ გავრცელებული და ყველასათვის გასაგები სიტყვებით; ზოგჯერ კუმშავდა ტექსტს, ზოგჯერ რამდენადმე ავრცობდა თხრობას, ურთაუდაზნებდა ა. შ.

3. „დავითიანიდან“ „დედა ენაში“ დაბეჭდილია შემდეგი ბრძნული გამონათქვამები:

ყრმა სწავლაში მომწვიდღების, რკინა ცეცხლში გარბილღების,
სწავლის ძარი მწარე არის, კენწეროში გატბილღებას.

დამწერლობის (ხელის) ნიმუშად იქვე დაბეჭდილია „დავითიანის“ ერთი ნაკვეთიდან („სწავლა მოსწავლეთა“) ამოღებული ორი სტროფი. იგივე სტროფები გამოვრებულია „ქართული წერის დედანშიც“. უხვადაა წარმოდგენილი „დავითიანის“ სტროფები „ბუნების კარშიც“. იქ დაბეჭდილია „დავით გურამიშვილის ლექთაგან დატყვევება“, „ტყვეობიდან გაპარვა დავითისა“, „სწავლა მოსწავლეთა“ და სხვ. თუ არ ჩავთვლით ორიოდე უმნიშვნელო ცვლილებას, ი. გოგებაშვილს „დავითიანის“ ენისათვის ხელი არ უხლია, ოღონდ რამდენამდე შეუკუმშავს ტექსტი. ერთი მხრივ, ამოუღია ის სტროფები, რომლებშიც ავტორი რამდენადმე საყვედურით მიმართავდა ღმერთს, მეორე მხრივ, ტექსტი გაუთავისუფლებია გავრცობილი თხრობისა და დეტალიზაციისაგან, რადგან ეს მის სახელმძღვანელოს არ შეეფერებოდა.

4. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სახელმძღვანელოებში დაბეჭდილი „ხილთა ქება“. ი. გოგებაშვილმა „დედა ენაში“ ადრევე (1865 წ.) შეიტანა თეიმურაზ მეორის „ხილთა ქების“ 14 სტროფი. შემდგომ გამოცემებში მხოლოდ ორ სტროფს ბეჭდავდა.

„ბუნების კარის“ პირველ გამოცემაში (1868 წ.) დაბეჭდილია ზემოაღსახელებული 14 სტროფი, ხოლო შემდგომ გამოცემაში, მაგალითად, ოცდამეერთეში (1912 წ.), ერთვის 7 სტროფი გ. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქებიდან“.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების შედგენისას თეიმურაზ მეორისა და გ. ჩოლოყაშვილის დასახელებული ნაწარმოებები გამოცემული არ იყო. როგორც ჩანს, ი. გოგებაშვილი მათ გაცნო ხელნაწერებში. ასე, რომ, სახელმძღვანელოების შემდგენელი „ხილთა ქების“ პირველი პუბლიკატორია, მართალია, მის მიერ გამოქვეყნებული ტექსტების შედარება ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას მიერ გამოცემულ ტექსტებთან ერთგვარ სხვაობას წარმოაჩენს, მაგრამ ეს სხვაობა საესებით უმნიშვნელოა, და, უცილობლად, ხელნაწერთა ვარიანტული ჩვენებით აიხსნება და არა რედაქტორის ჩარევით.

დიდი მწიგნობრის მეცნიერული თვალთახედვის
ერთი ასპექტი

იაკობ გოგებაშვილის სახელი და პიროვნული ღვაწლი ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების ერთი ნიშანსვეტთაგანია. ქართველი კაცის ცნობიერებაში იაკობის ფენომენი ჩვენს უპირველეს წიგნს „ღედა ენას“ უკავშირდება: წამოიშართება ვეებერთელა პიროვნება პედაგოგისა, მოქალაქისა, მამულიშვილისა, თავისი მრავალმხრივი ნაღვაწით დამშვენებულისა. ამ ნაღვაწის შინაარსში იმთავითვე შემდეგი იქნა დანახული: „პატრიოტიზმის განუწყვეტელი და მახვილი პროპაგანდა, ქართველი ხალხის ეროვნული ღირსებისა და საუკეთესო წარსულის სიყვარული, დიადი მომავლის დაუშრეტელი და შეუდრეკელი იმედი, ქართული ენის უფლებების დაცვა, ქართველი ახალგაზრდობის ინტერესების საგუშაგოზე შეუპოვრად და შეუცვლელად დგომა...“ და ბევრიც სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა („იაკობის სამრეკლო, გვ. 182).

ჯეროვნად არის გაცნობიერებული, აღნუსხული და შეფასებული ი. გოგებაშვილის პედაგოგიური ნაღვაწის რაობა და მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ გასული საუკუნის 70—80-იანი წლებიდან განსაკუთრებით ინტენსიური ვახდა არა მარტო პედაგოგიური, არამედ, და უპირველეს ყოვლისა, მისი საზოგადოებრივი, პუბლიცისტური მოღვაწეობა. იაკობი ამ პერიოდში წარმოგვიდგა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელად, რომლის ცხოვრების აზრად იქცა ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა. ამის გამოხატულებაა მისი მრავალი პუბლიცისტური, მეცნიერული ხასიათის წერილები და გამოკვლევები, რომლებიც იბეჭდებოდა საქართველოს თუ მის გარეთ გამომავალი პერიოდიკის ფურცლებზე. „დროება“, „ივერია“, „მოამბე“ „მეურნე“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „საქართველო“, „წყარო“, „ჩვენი გზა“, „ისარი“, „ჯეჯილი“, „მეგობარი“, „შრომა“, „სახალხო ფურცელი“, „ნოვოე ობოზრენიე“,



„რუსსკი კურიერ“, „რასსვეტ“ — აი, არასრული ნუსხა იმ გამოცემებისა, რომელთა ფურცლებზეც იბეჭდებოდა ი. გოგებაშვილის მგზნებარე პატრიოტიზმით აღსავსე წერილები და ნარკვევები. ამას უნდა დამატოს ის ნაშრომებიც, რომლებიც ცალკე წიგნების სახით დაისტამბა და რომლებიც მძლავრი ეროვნული პათოსის გამო თავის დროზე დიდად პოპულარული იყო. ასეთთა შორის აღსანიშნავია „ბურჯი ეროვნებისა“ ანუ „ძირითადი უკუღმართობა“, „რანი ვიყავით გუშინ“, „ნარკვევი ქართული და რუსული ენების შედარებით ენათმეცნიერებაში“, „სახელმწიფო ენა ქართულ დაწყებით სკოლებში“ და ბევრიც სხვა. აქაც, მეცნიერული კვლევის პრინციპებით ნიშანდებულ ამ ნაშრომებშიც, ი. გოგებაშვილისათვის ამოსავალია ეროვნული თვალთახედვა. ამითაა შეპირობებული ამ ნაშრომთა მიზანიც: ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება, ჩვენი სულიერი ცხოვრების ყველა მასაზრდოვებელი წყაროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებისადმი დაქვემდებარება. მისი მხედველობის არეში მხოლოდ ეროვნულად ფასეული და ვარგისი შედიოდა, ხოლო იმას, რაც სცილდებოდა ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებს, იგი უკუაგდებდა და უარყოფდა.

ი. გოგებაშვილის ეს პოზიცია მოქალაქეობრივი მრწამსის სიმადლემდე აქვს აზიდული. ამის საუკეთესო გამოხატულებაა მისი ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა“. ეს ნაშრომი 1890 წელს ჯერ ცალკე წერილებად იბეჭდებოდა „ივერისა“ (№ 100, 101, 102, 104) და „მწყემსში“ (№ 12, 17, 19, 20) სათაურით „ძირითადი უკუღმართობა“. წერილებს დიდი მოწონებით შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა. ამიტომ ი. გოგებაშვილმა წერილები გადაამუშავა, სრულპყო და 1892 წელს იმავე სათაურით ცალკე წიგნად გამოსცა. კიდევ უფრო დიდი პოპულარობის გამო, წიგნი მეორედ 1903 წელს დაისტამბა სათაურით „ბურჯი ეროვნებისა“. შემდგომში ეს ნაშრომი შევიდა მისი პედაგოგიური თხზულებების II ტომში, აგრეთვე მისი თხზულებების სრული კრებულის II ტომში.

ი. გოგებაშვილის მეცნიერულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან ამ ნაშრომზე ვამახვილებთ ამჯერად ყურადღებას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მასში ყველაზე ნათლად გამოიკვეთა ი. გოგებაშვილის მოქალაქეობრივი მრწამსი — ყველაფრის, მათ შორის მეცნიერული კვლევა-ძიების, იმეამად გაშლილი ეროვნული მოძრაობის მიზნებს დაქვემდებარება და მეორეც, ამ ნაშრომმა ითამაშა გარკვეული მძლავრი იმპულსის როლი XIX საუკუნის 80-90 წლებში ერთი ფრიალ საინტე-

რესო ტენდენციის გამოკვეთაში. საქმე ეხება ამ პერიოდში აკადემიური მეცნიერული კვლევა-ძიების დაპირისპირებას ეროვნული მოთხოვნის ინტერესებთან. ეს ტენდენცია ჩვენში იმთავითვე იქნა გამოხატული და თავისი შინაპრსით თუ მნიშვნელობით იმავე საუკუნის 60-70-იან წლებში ცნობილ, ეგრეთ წოდებულ „მამათა და შვილთა“ ბრძოლას გაუთანაბრეს (კ. კეკელიძე).

XIX საუკუნის აკადემიური მეცნიერება, განსაკუთრებით ფილოლოგია, გარკვეულ ასპექტში დასცილდა იმჟამად საყოველთაოდ გავრცელებულ განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებას. ზოგ შემთხვევაში მეცნიერული ჭეშმარიტების ძიების წაწყენებული, ემოციონდაცლილი, ეროვნულ თვალთახედვას მოკლებული ტენდენცია ცხარე დისკუსიისა და მკაცრი კრიტიკის ობიექტად გადაიქცა. ამ დისკუსიის ერთ გამოვლენას სწორედ ი. გოგებაშვილის ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა“ წარმოადგენს. აქ ი. გოგებაშვილი აშკარად დაუპირისპირდა უსიციოცხლო აკადემიზმს, უფრო იმიტომ, რომ მეცნიერული სიმართლის ძიების გრძელ გზაზე ქართული აკადემიური მეცნიერების ცალკეული დებულება (რომელიც საოცრად სწრაფად იძენდა ნაბეჭდ სახეს) კვლევა-ძიების მსვლელობაში, საკითხში ჩაღრმავების კვალად, არაიშვიათად თვით ამ დებულებათა ავტორების მიერ ცხადდებოდა შეცდომად. ისინი სწორდებოდა, ახალი დებულებების წამოყენების საფუძვლად იქცეოდა. ამაში არც არაფერი იყო გასაკვირი, რადგან ასეთია საზოგადოდ მეცნიერული აზრის ძიების შინაგანი ბუნება. მაგრამ კონკრეტულად ქართულ სინამდვილესთან, მის იმდროინდელ სასიცოცხლო ინტერესებთან მიმართების თვალსაზრისით მათ დიდი ზიანის მოტანა შეეძლოთ (და გარკვეულწილად, ალბათ, მოჰქონდათ კიდევაც) ეროვნული მეობის, ეროვნული თვითმყოფადობის მაუწყებელი მასალის ძიების პროცესში, ამ ქვეყანაზე არსებობის უფლების ძიების რთულზე რთულ ვითარებაში აკადემიური მეცნიერების ნებისმიერი წარმომადგენლის სავარაუდო ნათქვამი უცილობელ ჭეშმარიტებად აღიქმებოდა. ამ ნათქვამს აიტაცებდა საქმეში ჩაუხედავი მკითხველი (მით უფრო ქართველი ერის მტერი, მისი სულიერი კულტურის ღირსების დამდარების მოსურნე) და მერე იმ მეცნიერს ბევრიც რომ ემტკიცებინა, გუშინ რაც ვთქვი მართალი არ არის, შევცდი, ჭეშმარიტებას დღეს მივაგენიო, — ჩვენს მოშულართა თვალში ამას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ცდომილება მაინც ჩვენი სულიერი კულტურის სიმდარის ფაქტად აღიქმებოდა. ამ სახიფათო ტენდენციას კარგად ხედავდნენ XIX საუკუნის განმათავისუფლებელი მო-



ძრავობის ლიდერები, მათ შორის ი. გოგებაშვილიც. ამიტომაც უპირისპირდებოდნენ ისინი აკადემიური მეცნიერული აზრის ისეთ მოვლენას, როცა ეს აზრი ჯერ საბოლოოდ დასრულებული არ იყო, ჭეშმარიტება ჯერაც ცხრა მთას იქით იყო საძებარი, თუმცა ეს აზრი მაინც გავრცელებული და სხვების მიერაც იყო გაზიარებული. ამას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, მათ შორის ი. გოგებაშვილიც, ჩვენი სულიერი კულტურის რაობის იმ უიშვიათესი ცოდნის წყალობით გრძნობდნენ, რომელსაც შეიძლება ინტელექტუალი ადამიანის გუჟამანი ეწოდოს. სწორედ ამ გუჟამზე იყო დაფუძნებული ი. გოგებაშვილის პოზიცია: მეცნიერება ეროვნულ ინტერესებს უნდა იცავდეს. იგი უნდა ეძიებდეს ეროვნული სულის ზეობისა და ძლიერების დამადასტურებელ მასალას. მეცნიერება, მათ შორის აკადემიურიც, თავის ჩაგრულ ერს უნდა ესარჩლებოდეს. ცივი აკადემიზმის დრო შემდეგ დადგება, მაშინ, როცა ერი მოიპოვებს მსოფლიო კულტურისან ერთა შორის თანაარსებობის უფლებას. ამიტომ პირველ ყოვლისა, ეროვნული ღირსებანი უნდა წარმოჩინდეს, ერის სულიერ ძლიერებაზე მიმთითებელი მასალა უნდა გამოიშუქდეს. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს ნაკლის მიჩუმათების მოთხოვნას. ნაკლი უნდა აღინუსხოს, მაგრამ განზოგადების გზით ხალხის ეროვნული ხასიათის უმთავრეს ნიშნად არ უნდა გამოცხადდეს. სწორედ ამ შინაარსით არის აღბეჭდილი ი. გოგებაშვილის ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა“. ი. გოგებაშვილი ასე აყალიბებს და ასეთ გამართლებას უძებნის თავის ნაშრომს: „...ყველა პატარა ერი დიდს სახელმწიფოსთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქმნას თავისი ენით, ლიტერატურით, ხალხისნობით. საუკეთესო ღონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა, თავისებურობისა. ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი; ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებანი მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უძევს უწმინდესი გრძნობა — მამულის სიყვარული — და უზენაესი მიზანი — დაცვა თავისი ერის სიცოცხლისა, ამ „ღვთის ქმნილებისა ქვეყნიერებაზედ“... ამ გამოსარჩლებას იშვიათად არ მოსდევს უსიამოვნო შედეგი მოსარჩლეთათვის, მაგრამ მათ ამ შემთხვევაში ამხნევეს ის დიდებული ეთიკური ანუ ზნეობრივი აზრი, რომელიც ერთმა ჩვენმა პოეტმა ლამაზად გამოსთქვა ამ ლექსით: „რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია, საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბე-

დისავან დაჩაგრულია“ (ი. გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, ტ. II, გვ. 231—232).

ი. გოგებაშვილი ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“ მრავალ-
ლემას განიხილავს. მთავარი საგანია ქართული ენა, მისი ბუნების
თვითმყოფადობა, მშობლიური ენის მნიშვნელობა ადამიანისათვის,
ქართული ენის მდგომარეობა რუსულთან მეზობლობის ვითარებაში,
რუსულ ენაზე სწავლა-განათლების მოსურნე ქართველთა გაკიცხვა,
ასეთ ქართველთა აზროვნების გადაგვარების და ამ გზით გონებრივი
სრულქმნილობის საშიშროების წარმოჩენა, ქართული ენის, მწერლო-
ბის მეცნიერული შესწავლა აკადემიური მეცნიერების მიერ და მისი
პოზიციის კრიტიკა.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ი. გოგებაშვილის ეს ნაშრომი გარ-
კვეულ პუნქტებში საოცრად ეხმიანება დღევანდელობას. ზოგჯერ
ნაშრომის დაწერის თარიღს რომ არ დავხედოთ, გუშინ და დღეს და-
წერილი ეგონება კაცს. ეს განსაკუთრებით ი. გოგებაშვილის იმ მსჯე-
ლობაზე ითქმის, რომელიც ზოგიერთი ქართველის მიერ შეიღების რუ-
სულ სკოლაში შეყვანას შეეხება. მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგა-
ნია. ამჯერად კი საინტერესოა ჩვენი დიდი მწიგნობარი მამულიშვი-
ლის მეცნიერული თვალთახედვის ერთი ასპექტი, მისივე სიტყვებით
რომ ვთქვათ, „ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი“ და მიდგომა
საკვლევი საკითხებისადმი. ამ ასპექტში განიხილავს ი. გოგებაშვილი
ქართული ენის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას მაშინდელ
ლინგვისტიკაში. იგი საკითხში საკმაოდ გარკვეულ პიროვნებად წარ-
მოგვიდგება. თავის დაკვირვებებში წარმატებით მოიმარჯვებს უსლა-
რის, ფოხტის, ფიხტეს, პოტენიას და სხვათა კვლევა-ძიებითს შედე-
გებს. მისთვის საესებით გამოკვეთილია და დასაბუთებულად ევრო-
პელ მეცნიერთა აზრი ქართული ენის ბუნების თვითმყოფადობაზე, იმ
განსაკუთრებულ ადგილზე, რომელიც ქართულ ენას უკვე იმ დროს
მიაკუთვნეს ლინგვისტებმა ევროპულ ენათა შორის. ამასთან დაკავ-
შირებით ნაშრომში ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა: „ჩვენი ქართული
ენა ისეთს განსაკუთრებულს მოვლენას შეადგენს ენათა შორის, რომ
ზოგნი მეცნიერნი იძულებულნი არიან აღიარონ იგი განცალკევებულ
თავისებურ ენად და არ მისცენ ადგილი არც ტურანულ და არც ინ-
დო-ევროპულ ენათა შორის (ბურჯი ეროვნებისა, გვ. 218). ევროპელ
მეცნიერთა ეს პოზიცია ი. გოგებაშვილისათვის მთლიანად ქართული
სულიერი კულტურის თვითმყოფადობის აღიარებაცაა, რადგან მისთ-
ვის ენა, კერძოდ კი მშობლიური ენა, მხოლოდ საკომუნიკაციო საშუ-

აღება არაა. ენა, დედა ენა არაა სამოსი, რომელიც შეიძლება ადამი-
ანმა იოლად გამოიცვალოს. „მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამი-
მიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში,
მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას
ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურ
აგებულებაზედ“ (ბურჯი ეროვნებისა, გვ. 208). ი. გოგებაშვილის
აზრით, დედა ენა განსაზღვრავს ადამიანის აზროვნების მიანერას, მის
ფსიქიკურ ბუნებას და კერძოდ, მხატვრული აზროვნების ყაიდსაც.
ამიტომ თუკი დედა ენაა თავისთავადი, ასეთივეა აუცილებლად ჩვენი
სულიერი კულტურა და მისი უპირველესი გამოვლენა — მწერლობა.
ამიტომ ი. გოგებაშვილისათვის ბუნებრივი იქნებოდა და კანონზომი-
ერიც, რომ მის თანამედროვე აკადემიურ ფილოლოგიურ მეცნიერე-
ბას ისეთივე თვალთ შეეხედა და ისევე შეეფასებინა ქართული მწერ-
ლობა, როგორც უცქერდნენ და აფასებდნენ ქართულ ენას ევროპე-
ლი მეცნიერები. მაგრამ ი. გოგებაშვილის თანადროულ აკადემიურ
ფილოლოგებში სრულიად საპირისპირო თვალსაზრისი იყო გავრ-
ცელებული და ჩვენმა მწიგნობარმა ამ, მისთვის მიუღებელი, თვალ-
საზრისის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ პლანში გაანალიზა მან ქართუ-
ლი მწერლობის ცალკეულ ნიმუშთა კვლევა-ძიება და სასტიკი კრიტი-
კის ქარცეცხლში მოაქცია აკადემიკოსი ნ. მარი, მისი მეცნიერული
თვალსაზრისი, მისი კვლევის შედეგები. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ,
რომ ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“ ი. გოგებაშვილი ნ. მარს არსად
არ ასახელებს. ამას იგი მეცნიერისადმი რიდის გამო კი არ აკეთებს,
არამედ პოზიციის მნიშვნელობას ანიჭებს იმ ადამიანისადმი და-
მოკიდებულებაში, ვინც თუნდაც მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ეროვ-
ნულ ინტერესთა უგულვებელყოფას ბედავს. მაგრამ ნაშრომში ი. გო-
გებაშვილის კრიტიკის ადრესატი რომ ნ. მარია, ამაზე ი. გოგებაშვი-
ლის მიერ განხილული (უფრო ზუსტად გაკრიტიკებული) საკითხება
მოგვითხრობს. ესეც რომ არ იყოს, ეს საკითხი თავის დროზე ივანე
ჯავახიშვილმა გაარკვია და ი. გოგებაშვილის ნ. მართან პოლემიკის გან-
ხილვა-შეფასებას სავანგებო ნაშრომიც კი უძღვნა (ივ. ჯავახიშვილი,
მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფილისი, 1904). ივ. ჯავახიშვილმა
აკადემიური მეცნიერების პოზიციიდან სწორად და პირუთვნელად
შეაფასა ი. გოგებაშვილის პოზიცია და საერთოდ „გამოსარჩლებითი“,
„აღვოკატური“ დამოკიდებულების მნიშვნელობა ჩვენი ხალხის სული-
ერი კულტურის შესწავლაში.

პრობლემა, რომელმაც ცხარე კამათი გამოიწვია, ეხებოდა ქართუ-



ლი მწერლობის ზოგიერთი ცნობილი და თავმოსაწონი ძეგლები მომავლობას, უფრო ზუსტად, ამ ძეგლების მომდინარეობას აღწერს. ლური, კერძოდ, სპარსული სამყაროდან, რასაც იმხანად ამტკიცებდა აკადემიური მეცნიერული ფილოლოგია და მათ შორის ნ. მარც. ასეთ ძეგლებად ცხადდებოდა „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვ. უფრო სწორად, სპარსული წარმომავლობისად მიიჩნეოდა ამ ნაწარმოებების სიუჟეტური ქარგა, „სიბრძნე სიცრუისას“ ზოგიერთი არაკი. აღნიშნულის მტკიცების საფუძველი იყო ერთ შემთხვევაში, ამ სიუჟეტური ქარგის წარმომავლობაზე თვით ავტორის (შოთა რუსთაველის) მინიშნება, სხვა შემთხვევაში ამ ნაწარმოებების მსგავსი ამბების არსებობა სპარსულ ლიტერატურაში. ეს თვალსაზრისი ერთგვარი ამოსავალი დებულების როლს თამაშობდა ნ. მარის იმ პერიოდის ნაშრომებში და არა მხოლოდ ნ. მარისა. აღნიშნული თვალსაზრისი მთარულ, გარკვეულად მიღებულ მეცნიერულ იდეად და მიგნებად ცხადდებოდა რუსულ აკადემიურ ფილოლოგიაში (და არა მარტო ფილოლოგიაში). ხოლო ქართული აკადემიური ფილოლოგია XIX საუკუნის 80—90-იან წლებში რუსულთან განუყოფლობით ხასიათდებოდა (ალბათ იმის გამო, რომ ქართული აკადემიური მეცნიერების წარმომადგენელთა უმეტესობა იმხანად რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწეობდა). ეს თეორია, რომელიც მეცნიერებაში სიუჟეტების სპარსული წარმომავლობის სახელწოდებით დამკვიდრდა, რუსი მეცნიერის ესეგვლოდ მილერის სახელთანაა დაკავშირებული. ვ. მილერი ამტკიცებდა, რომ რუსი ხალხის ფოლკლორში (და წიგნიერ ლიტერატურაშიც!) დაფიქსირებული მრავალი სიუჟეტი სპარსულიდან არის ნასესხები. სესხება კი კავკასიის რეგიონის შუამდგომლობის გზით ხორციელდებოდა. ვ. მილერი იმდენად დარწმუნებული იყო თავისი მოსაზრების სისწორეში, რომ სპარსულიდან ნასესხებად გამოაცხადა რუსებისათვის ისეთი თავმოსაწონი ზეპირსიტყვიერი ძეგლი, როგორც იყო ბილინა „ილია მურომეცის ბრძოლა შვილთან“. ამ ბილინის სიუჟეტური ქარგის „დედაწი“ იგი ხედავდა როსტომის ზურაბთან ბრძოლის ამბავში, რომელიც სპარსელებს „შაჰნამეში“ ჰქონდათ დაფიქსირებული და რომელიც ქართულ ფოლკლორსაც ჰქონდა გათავისებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სპარსულიდან სესხების იდეა თავისთავად მეცნიერულ სიახლეს მაინცა და მაინც არ წარმოადგენდა. იგი უფრო მსოფლიო ფოლკლორისტიკისათვის კარგად ცნობილი თეოდორ ბენფეის ნასესხობის თეორიის მოდიფიცირების ცდა იყო, მსესხებელ-

გამსესხებელი არეალის დაკონკრეტების და მისი რუსულ სინამდვილე-
ლესთან მისადაგების გზით. თუშცა შემდეგში თავად ვ. მილერმავე აღნი-
შა ამ იდეის მცდარობა. მან ეროვნული ფოლკლორის გენეზისის
კვლევა ეროვნულ ისტორიასა და ყოფას დაუკავშირა და ამ გზას სხვე-
ბიც, მათ შორის ზოგიერთი ქართველი მკვლევარიც გაჰყვა. მაგრამ ეს
მოხდა გვიან. ასე იყო თუ ისე, ქართული აკადემიური ფილოლოგი-
ური მეცნიერების წარმომადგენლებმა ეს იდეა აიტაცეს. აიტაცეს
ერთ შემთხვევაში, როგორც მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა, ხოლო
მეორე შემთხვევაში, როგორც გარკვეული პერსპექტივების შემცველი
ქართული სულიერი კულტურისათვის. ამ თეორიის მეცნიერული
„კემარაიტება“ კი ერთ შემთხვევაში იმიტომ ირწმუნეს, რომ სპარ-
სულ კულტურულ არეალთან საქართველოს ხანგრძლივი მეზობლობის
წყალობით მასთან სიახლოვეზე მიმანიშნებელი უხვი მასალა ჩვენში
მართლაც არსებობდა. მეორე მხრივ, ამ თეორიის მონაცემებზე და-
ყრდნობით სცადეს ქართული სულიერი კულტურის (ზეპირსიტყვი-
ერების, მწერლობის) თავისთავადობის მტკიცება, იმის ნათელყოფა,
რომ ქართული კულტურული არეალი უბრალო „შუამავალი“ რეგი-
ონი კი არ იყო, არამედ სწორედ იგი წარმოადგენდა იმ ფენომენს,
რომლისაგანაც სესხულობდნენ სპარსელებიც, ბერძნებიც და ჩრდი-
ლოელი მეზობლებიც კი. ამის მტკიცების ტენდენციას ყველაზე ნათ-
ლად გიორგი წერეთლის, აკაკი წერეთლის და სხვათა გამოკვლევები
შეიცავდა. ეს მტკიცება მათ ქართული სულიერი კულტურის თავისთა-
ვადობის საბუთს უქმნიდა.

ნ. მარი (და ზოგი სხვაც) მეორე გზას გაჰყვა. მან ღრმად ირწმუნა
ვ. მილერის აზრის სისწორე (ამის ერთი მიზეზი ალბათ მისი ახალ-
გაზრდობაც იყო). ირწმუნა და გულმოდგინედ შეუდგა ქართულ მწერ-
ლობაში სპარსული ლიტერატურის ზეგავლენის ძიებას. შეუდგა და,
წინასწარ მომარჯვებული აზრით მასალასთან მისულმა, მძიმე შეცდო-
მებიც დაუშვა. მართალია, შემდგომში, ქართველოლოგიაში კვლევა-
ძიების გადრმავეების კვალად მან ნაწილობრივ შეიცვალა აზრი (ეს
ი. გოგებაშვილმაც აღნიშნა), მაგრამ XIX საუკუნის 80—90-იან წლებ-
ში და ცოტა მოგვიანებითაც იგი ჯერ კიდევ ენერგიულად ეძებდა
ქართულ მწერლობაში სპარსიზმების კვალს. სწორედ ეს მისი ძიე-
ბები გახდა ი. გოგებაშვილის კრიტიკის საგანი და არა მარტო „მშრ-
ლი“ კრიტიკისა, არამედ კვლევა-ძიების ამ პრინციპებისადმი ეროვნ-
ული ღირსების დაცვის მოთხოვნის ფორმით წამოყენებული, განსხ-
ვავებული, მეცნიერული პოზიციის დაპირისპირებისა.



მაინც როგორ შეაფასა ი. გოგებაშვილმა ნ. მარის პოზიცია და მისი კვლევა-ძიებითი შედეგები? რასაკვირველია, უარყოფითად, მაგრამ ეს სიტყვა სრულიადაც ვერ გამოხატავს იმ რისხვას, რაც ი. გოგებაშვილმა ნ. მარს დაატეხა თავს. ი. გოგებაშვილი განსაკუთრებით იმან აღაშფოთა, რომ ნ. მარმა „...ლალად გამოაცხადა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმანია ლექსად სპარსული პროზული მოთხრობისაო, და მის დედანს მოკლე ხნის განმავლობაში აღმოვაჩინო“ (ბურჯი ეროვნებისა, გვ. 233). ი. გოგებაშვილის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია იმანაც, რომ ნ. მარი ამტკიცებდა სპარსულიდან ნასესხები, „თარგმანი უნდა იყოს მეტ-ნაკლებობით“ ისეთი ძეგლიც ჩვენი მწერლობისა, როგორცაა „სიბრძნე სიცრუისა“. შემდეგ ი. გოგებაშვილმა განაზოგადა ნ. მარის მიერ ქართული მწერლობის ცალკეულ ძეგლზე გამოთქმული აზრი და იგი იმ შეცნიერად გამოაცხადა, რომელიც „მთელს ძველს ქართულ ლიტერატურას თარგმანს ეძახის“ (ბურჯი ეროვნებისა, გვ. 233). თუმცა ი. გოგებაშვილი ამასთან დაკავშირებით იმასაც აღნიშნავს, რომ ნ. მარი „ამ აზრს წინაღ უფრო მკვახედ ამბობდა, ახლა მორბილდა; მაგრამ მხოლოდ მორბილდა; აზრი კი არ შეუცვლია, თუმცა ბევრი ახალი ფაქტი აღმოჩნდა მის გასამტყუნებლად“ (ბურჯი ეროვნებისა, გვ. 233). ი. გოგებაშვილს გულს განსაკუთრებით ის უკლავდა, რომ ასეთ აზრს ავითარებდა თანამემამულე, მაშინ, როცა „უცხო ტომის მწერლები გულმხურვალე მოსარჩლენი განოდრიან საქართველოს წარსულისა“. ასეთებად იგი ასახელებს სუგორინს, კონდაკოვს, მათ გამონათქვამებს ქართული მწერლობისა და კულტურის თვითმყოფადობაზე. მას განსაკუთრებით ხიბლავს გულაკის მიერ გაზეთ „კავკაზში“ გამოთქმული აზრი: „...ვეფხისტყაოსანსა“, ეს ნაციონალური ქმნილება, იპყრობს იმისთანა დიდებულ აზრებსა, რომელნიც ღირსნი არიან მოიფინონ მთელს მსოფლიოში“ (ბურჯი ეროვნებისა, გვ. 234). ეს ფაქტი ი. გოგებაშვილს იმაში არწმუნებს, რომ, თუ თავს დავანებებთ ნ. მარის აზრს და „მხნედ შევუდგებით ჩვენის ეროვნების აღორძინებას, ევროპიულ განათლებას ვადენინებთ ეროვნულს მიღებში, შევძლებთ თავისებური წვლილი შევიტანოთ იმ დიდებულს მსოფლიო სალაროში, სადაც იკრიბება მთელის კაცობრიობის ჭკუის, გულის, ფანტაზიის და ხასიათის ნაყოფი“ (ბურჯი ეროვნებისა, გვ. 235).

ასეთია ი. გოგებაშვილის დამოკიდებულება ნ. მარისადმი, სპარსულიდან ნასესხობის იდეისადმი. ნასესხობას იგი ეროვნული სულიერი კულტურის თვითმყოფადობის თეზისს უპირისპირებს. ეროვნუ-

ლი კულტურისათვის თვითმყოფადობის კუთვნილი სტატუსის აღ-
გენაში ხედავს იგი კაცობრიობის სულიერი კულტურის საგანძურში
ჩვენი წვლილის შეტანის ტრადიციის განახლების გზას, ქართული
კულტურისათვის წართმეული ფუნქციის დაბრუნების საშუალებას.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ ი. გოგებაშვი-
ლი მთლად მართალი არ იყო ნ. მარის კრიტიკაში. მან გარკვეულად
გადააჭარბა, რაზეც საგანგებოდ მიუთითა კიდევაც დიდმა ივანე ჯა-
ვახიშვილმა ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“. ამიტომ აქ
ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. და ეს ამჟამად არცაა არსებითი.
დრომ და შემდგომმა კვლევა-ძიებამ ნ. მარსაც ბევრჯერ შეაცვლევინა
აზრი და ისიც კარგად გაარკვია, რაში იყო ნ. მარი მართალი და რაში
ცდებოდა. მთავარი ისაა, რომ ი. გოგებაშვილი ჩვენი ერის საზოგადო-
ებრივი ყოფის რთულ ვითარებაში — მოძღვრად გაშლილი ეროვნულ-
განმათავისუფლებელი მოძრაობის პირობებში, როცა ძალზე დიდი
იყო ფასი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის
თვითმყოფადობის მტკიცებისა, დაუპირისპირდა მეცნიერულ თეორი-
ულ სახელდებულ მცდარ აზრს, — მშრალი, უსიცოცხლო აკადემიზმის
გამოვლენას ქართულ ფილოლოგიაში და ერის სასიცოცხლო ინტერე-
სების სამსახურში მისი ჩაყენების მოთხოვნა წამოაყენა.

დიდმა მწიგნობარმა ქართული მწიგნობრობისა და მწიგნობრების
მშობელი ერის ინტერესების სადარაჯოზე დგომის აუცილებლობა იქა-
დავა.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი

ნიკოლოზ ბერძნიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა — ლიტერატურული, ჟურნალისტური, ფოლკლორისტული, ეთნოგრაფიული, არქეოგრაფიული და საგამომცემლო საქმიანობა — ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, იგი მხოლოდ სპეციალისტებისთვისაა ცნობილი.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე XIX ს-ის 50-იან წლებში გამოვიდა და მთელი თავისი ნიჭი და ენერგია სრულად და პატიოსნად მოახმარა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებას.

ვიდრე უშუალოდ ნიკოლოზ ბერძნიშვილის მოღვაწეობის მიმოხილვას შევუდგებოდეთ, აუცილებელია ორიოდ სიტყვით გავიხსენოთ XIX საუკუნის 50-იანი წლების საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება.

ესაა წლები, როცა საქართველოს, ნაცვლად მთავარმართებლისა, განაგებს მეფისნაცვალი. სამეფისნაცვლო კი სამთავარმართებლოსთან შედარებით იმ უპირატესობით სარგებლობდა, რომ მხარის მმართველობას მინიჭებული ჰქონდა გარკვეული ადმინისტრაციული ავტონომია. კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა ისარგებლა იმ უფლებებით, რასაც მას ეს ადმინისტრაციული ავტონომია აძლევდა და ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოში კულტურულ-ლიტერატურული და ჟურნალისტური მოძრაობის გამოსაცოცხლებლად. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მიხეილ ვორონცოვს იმდენად ქართველთა კულტურული დაწინაურება არ აღარდებდა, რამდენადაც ჩვენი სულიერი ცხოვრების რუსიფიკაცია. იგი ცბიერი, მაგრამ ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო. მისმა დაკვირვებულმა გონებამ იმთავითვე შენიშნა, რომ საქართველოს სრული კოლონიზაცია სამხედრო მეთოდებით, ხიშტებით, მათრახებით, ყოველივე ეროვნულის ძალმომრეობითი ჩახშობით ვერ განხორციელდებოდა. ამიტომ, მიხე-



ნიკოლოზ ბერძენიშვილი



ილ ვორონცოვმა გადაწყვიტა ქართველი თავადაზნაურობა ტიზმის მოთავიდან ერთჯერ მოკავშირედ გადაექცია. და, წოდებრივი პრივილეგიითა თუ სხვა საშუალებებით, მან ქართველი თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი ცარიზმის პოლიტიკის ერთ-ერთ ბურჯად აქცია. პარალელურად, იგი თეატრისა და ჟურნალის დაარსებით, კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურული საქმიანობის წახალისებით ნაციონალური ღირსების აღიარების ილუზიას ჰქმნიდა. შედეგად მალე მიიღო — სულ რამდენიმე წელიწადში. გერონტი ქიქოძის სიტყვებით, ქართველი თავადაზნაურობა გადაჰყვა „წვეულებებისა და საცეკვაო საღამოების გამართვას და ფუქსავად დროსტარებას. ქართველი მიწათმფლობელი არისტოკრატის ერთი ნაწილი დაუახლოვდა მეფისნაცვლის სასახლეს და უმაღლეს რუსის მოხელეობას, ზერელედ შეითვისა ევროპული კულტურა და ქონებრივი გაღატაკების და ეროვნული გადაგვარების გზას დაადგა. რუსულად ლაპარაკი ამ წრეში მაღალი კულტურის მაშვენებელ ნიშნად იქცა, მეორე ნაწილი სოფლად დარჩა, თავის ბუნავში შექცრა და გონებრივად გაიყინა“¹.

ახლა მოვუსმინოთ ნიკო ავალიშვილს. აი, რას წერდა იგი 1869 წელს: „მეტად გამჭრიახი გონებისამ (ვორონცოვმა — თ. ჯ.) იმრიგად დაიწყო საქართველოს მართვა, რომ საბოლოოდ ანადგურებდა მას და მადლობასა და ქება-დიდებასაც იმსახურებდა მისგანვე. ქართველთა უმეტესობას ჭკუა-გონებას იჭამდის უბნელებდა, რომ დიდხანს ვერ შეიგნეს მისი გამანადგურებელი პოლიტიკა... თ. ვორონცოვმა მშვენივრად იცოდა ჩვენი თავადაზნაურობის ისტორიული გავლენიანობა ხალხზე. მისი გულუბრყვილობაც შეიგნო, ნებისყოფის სისუსტეც — ჩვენში რომ ზრდილობად და სულგრძელობად არის მიჩნეული, იცოდა შფოთიანი წარსულით მისი ბუნების მოქანცულობა, მასთან მისი წოდებრივი და ქონებრივი სიძლიერე, გავლენიანობა და პირდაპირ იმაზე მიიტანა იერიში ღიმილითა და ალერსიანად“².

და დასასრულ, მოვუსმინოთ თვითონ მიხეილ ვორონცოვს. ამონაწერი მისი წერილიდან რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველისადმი: „ვბედავ ვიფიქრო, თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, თქვენ ინებებთ და სცნობთ, რომ ასეთ საქმიანობას შეუძლია ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და გემოვნების განვითარებას, ზნეობის ამაღლებას და ამ გზით „ტუზემცების“ რუსებში გათქვეფას“³.

ასე ისხამდა ხორცს და მკვიდრდებოდა პრაქტიკულად ჯერ კიდევ ეკატერინე II-ის მიერ ჩამოყალიბებული ლოზუნგი — „სხეული ქართული, თული, სული რუსული“⁴.

მაგრამ კავკასიის მეფისნაცვალზე გაცილებით დიდ პოლიტიკოსებსაც მოსდით შეცდომები. საბედნიეროდ, ერთი მძიმე შეცდომა ვორონცოვსაც მოუვიდა. კერძოდ, — ბოლომდე ვერ გაითვალისწინა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის ეროვნული სულისკვეთების სიღრმე, მისი პატრიოტული თავგანწირვა. ეს შეცდომა მას და, საერთოდ, ცარიზმის პოლიტიკას საქართველოში, ძალზე ძვირი დაუჯდა. ვორონცოვის ხელშეწყობით სულ სხვა მიზნით დაარსებული თეატრის, ლიტერატურული ჟურნალის, სასწავლებლების საქმიანობამ სხვა სახე და მიმართულება მიიღო. იგრძნეს თუ არა მცირეოდენი თავისუფლება, ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებმა მყისვე ისარგებლეს ამით და თანამიმდევრულად შეუდგნენ კულტურულ-საგანმანათლებლო, სალიტერატურო-სამეცნიერო და ჟურნალისტური საქმიანობის გაშლა-გადრმავებას და ამ გზით დამსხვრეული ეროვნული თვითშეგნების გამთლიანებას, ქართველი ხალხის სულიერ კონსოლიდაციას.

ასეთია ძალზე ზოგადად ის ისტორიული გარემო, რომლის ფონზეც უნდა განვიხილოთ ნიკოლოზ ბერძნიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი (ბერძენოვი) დაიბადა 1829 წლის 4 სექტემბერს ოსეთში, სოფელ არდონში, მღვდლის ოჯახში. მისი მამა, გიორგი ნიკოლოზის ძე ბერძნიშვილი, წარმოშობით დუშეთიდან იყო. ჯერ დუშეთის დეკანოზი იყო. შემდეგ „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ხაზით მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა ოსეთში. ავრცელებდა ქრისტიანობას, განათლება შეჰქონდა ხალხში, ხელმძღვანელობდა პირველდაწყებითი სკოლების დაარსებასა და ეკლესიების აგებას. ერთხანს იგი კახეთში ცხოვრობდა — იყო ხირსის მონასტრის არქიმანდრიტი.

ნიკოლოზ ბერძნიშვილმა ბავშვობა არდონში გაატარა. აქვე, ოსეთშივე, დაამთავრა კავკასის სასულიერო სასწავლებელი. შემდეგ კი შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში და წარმატებით დაასრულა იგი 1849 წელს. მსახურობდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, ამავე დროს, 1850 წლიდან, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორისტულ ნარკვევებს აქვეყნებდა გაზ. „კავკაზში“.

* * *

XIX საუკუნის I ნახევარში ლიტერატურული აზროვნების განვითარებას დიდად აფერხებდა ეროვნული პრესის ჩამორჩენილობა. ამ მხრივ, დამახასიათებელია ჟურნალ „ცისკრის“ ერთ-ერთი ავტორის სიტყვები — დაწვერდით, წავიკითხავდით და რამდენიმე ხნის შემდეგ ბუხარში შევავდებდითო. აქ ავტორს, უბრალოდ, ქართული ჟურნალის მნიშვნელობისთვის უნდოდა ხაზი გაესვა და ამიტომ ფერები გაამუქა, თორემ სინამდვილეში XIX საუკუნის ქართველები კარგ ლექსებს, ალბათ, ბუხარში არ ყრიდნენ. ხოლო გრიგოლ ორბელიანის თქმით, ჩვენში პოეტები ლექსებს წერდნენ ნათესავეებისთვის, მეგობრებისთვის ან ალბომებში ჩასაწერად. აქაც აშკარა გადაჭარბებაა. შეუძლებელია, ვთქვათ, ნიკოლოზ ბარათაშვილს ან იმავე გრიგოლ ორბელიანს მხოლოდ ნათესავ-მეგობრებისთვის ან ალბომებში ჩასაწერად შექმნათ თავიანთი შედეგები.

პრესას მართლაც უდიდესი როლი ენიჭებოდა. ლიტერატურული აზროვნების განვითარებაში და ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1852 წელს გიორგი ერისთავის მიერ ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ვერ ამაღლდა თავისი დიდი წინამორბედის, სოლომონ დოდაშვილის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ დონემდე. თანაც მალე, მომდევნო წელსვე, შეწყვიტა არსებობა.

1857 წელს ივანე კერესელიძემ აღადგინა გიორგი ერისთავის „ცისკარი“ და ამის შემდეგ ჟურნალი, კარგად თუ ავად, რეგულარულად გამოდიოდა. პეტრე უმიკაშვილის სიტყვებით — „მოხდა ბეჭდვითი დაახლოება მწერლებისა, რომელნიც აქამდინ გაფანტულნი იყვნენ. ასევე ბეჭდვის მაღლით მკითხველიც მწერლებს დაუახლოვდა“⁵.

„ცისკარში“ იბეჭდებოდა ძველი და იმდროინდელი ქართული ლიტერატურის ნიმუშები. მაგრამ ლიტერატურული ცხოვრების აღმავლობისთვის არ იყო საკმარისი მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებების გამოქვეყნება. საჭირო იყო მათი კრიტიკული ათვისება. ლიტერატურული პროცესების ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა, მწერლობის საზოგადოებრივი დანიშნულების დასაბუთება და ა. შ.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი იყო ერთი პირველთაგანი, ვინც ამ სა-

კითხვების გამორკვევას მიჰყო ხელი. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი წერილი, — „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომელიც გაზეთ „კავკაზის“ 1857 წლის № 4-ში დაიბეჭდა და რომელშიც გაანალიზებულია ივანე კერესელიძის „ცისკრის“ პირველ ნომერებში გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწარმოებები. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით ავტორი ყოველგვარი შეღავათის გარეშე, უაღრესად მკაცრად და პრინციპულად საუბრობს ეროვნული მწერლობის საჭირობოთო საკითხებზე. ნიკოლოზ ბერძნიშვილს მალე გამოუჩინდნენ ოპონენტები — ლავრენტი არდაზიანი, ალექსანდრე სავანელი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი და სხვები. გარდა იმისა, რომ ისინი ეკამათებოდნენ კრიტიკოსის ცალკეულ დებულებებს, ერთხმად ამტკიცებდნენ — ამგვარი კრიტიკა „ცისკრისა“ ნაადრევია და მეტისმეტად სასტიკო. გაიმართა ცხარე პოლემიკა, რომელსაც მოჰყვა ნიკოლოზ ბერძნიშვილის ახალი წერილები: „ჟურნალ „ცისკრის“ თებერვლის წიგნაკი“, „ჟურნალ „ცისკრის“ რვა წიგნაკი“ და სხვ. ეს პოლემიკა მკვლევარ მაქსიმე ბერძნიშვილის სიტყვებით, იყო „პირველი მერცხალი ჩვენს საზოგადოებაში კრიტიკული აზრის გამოღვიძებისა“⁶.

პირველივე წერილში ნიკოლოზ ბერძნიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს — „ღროა საერთო ძალებით ხელი მოვკიდოთ მშობლიურ ლიტერატურას, წაეწიოთ და ავიყვანოთ იგი იმ სიმაღლეზე, რომელიც წესით უნდა ეჭიროს თავისი ხნოვანებისა და შედარებითი სიმდიდრის გამო“⁷ და შემდეგ მსჯელობს ლიტერატურაში სინამდვილის რეალისტურად ასახვაზე, ეროვნული თემატიკისა და ტიპურობის საკითხებზე, ქართული პროზის ჩამორჩენილობის მიზეზებზე, მთარგმნელობითი საქმიანობის პრინციპებზე და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა ნიკოლოზ ბერძნიშვილის მსჯელობა თარგმანის საკითხებზე. კერძოდ, იგი სარდიონ ალექსი-მესხიშვილს ედავებოდა მე-18 საუკუნის ფრანგი მწერლის — მარმონტელის „მეუღაბნონის“ — თარგმანის გამო. რეცენზენტი ამტკიცებდა, — და საბუთიანადაც, — რომ ნათარგმნი ლიტერატურა ეროვნულთან ერთად დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ იდეოლოგიაზე და ამიტომ მკაცრად უნდა შეიჩიოს — რას ვთარგმნით და რატომო. შემდეგ იგი დასძენს: საკითხავია რატომ ვთარგმნით მარმონტელის საარქივო მოთხრობას. იმ მარმონტელისა, დღეს თვითონ ფრანგებსაც კი ძლივს რომ ახსოვთ. აქ ისიც უნდა ვივარაუდოთ, რასაც ნიკოლოზ ბერძნიშვილი პრესაში ვერ იტყოდა — მარმონტელის

მონარქისტული იდეების გავრცელება მაშინდელ საქართველოში არა მხოლოდ არასასურველი, არამედ ფრიად სახიფათოც იყო.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი წინ აღუდგა აღმოსავლური, ^{საქართველოს} ^{კომუნისტური} სპარსული პოეზიის გავლენას ჩვენში და თანამედროვე მწერლებს მოუწოდა დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურაზე აეღოთ ორიენტაცია, ჟუმბერ ჭუმბურიძის აზრით, „ნ. ბერძნიშვილი ერთი პირველთაგანია, რომელმაც ნ. ბარათაშვილი მიიჩნია „ბაირონის სკოლის“ პოეტად“⁸. ამასთანავე, იგი ილია ჭავჭავაძის პირველი რეცენზენტია. კერძოდ, ნიკოლოზ ბერძნიშვილმა მაშინვე გამოარჩია „ცისკარში“ დაბეჭდილ ნაწარმოებთა შორის ილიას ნათარგმნი ლექსი „ჩიტი“ და აღნიშნა მისი პოეტური ღირსებები. ეს ფაქტი უთუოდ მიუთითებს რეცენზენტის ლიტერატურულ გემოვნებასა და ალღოზე.

წერილის დასასრულს ავტორი დასძენს — „კვლავ ვიმეორებთ, „ცისკარში“ გვინდა ვნახოთ საკუთარი, ადგილობრივი... ჩვენ გვაქვს საკუთარი ელემენტი, რომელიც მოითხოვს გულმოდგინე განვითარებასა და შესწავლას... [ჟურნალმა ხელი უნდა] მოკიდოს მშობლიური ქვეყნის ცხოვრებას, ჩვენი დიდი პოეტების, — რუსთაველის, ჩახრუხაძის, — შესწავლას, ჩვენი ისტორიის, ეთნოგრაფიის დამუშავებას და უეჭველი გამარჯვება ელის მას არჩეულ, სანაქებო ასპარეზზე...“⁹ აღნიშნულ საკითხთა დაყენება, თავისთავადად, უკვე იმას ნიშნავდა, რომ ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში შემოდიოდა და მკვიდრდებოდა რეალისტური ტენდენციები, მზადდებოდა ნიადაგი ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების აღიარებისათვის. პრობლემათა ამ რიგის გაფართოება, შემდგომი გაღრმავება და დასაბუთება, როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება. ასე რომ, ნიკოლოზ ბერძნიშვილიც უნდა ჩაითვალოს იმ მოღვაწეთა რიგში, რომლებიც შესაფერის ნიადაგს უმზადებდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურსა და მოძღვარს — ილია ჭავჭავაძეს.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი წლების მანძილზე ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. რუსულ („ზაკავკასკი ვესტნიკ“, „კავკაზ“, „სანკტ-პეტერბუგსკი ვედომოსტი“, „რუსსკოე სლოვო“) და ქართულ („ცისკარი“, „დროება“) პრესაში აქვეყნებდა კრიტიკულ-ლიტერატურული ხასიათის ნაშრომებს, პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის და სხვა საკითხებზე. მისი ნაწარმოებები გამოქვეყნებულია, აგრეთვე, აღმანახებში — „ზურნასა“ და „ფეშქეშში“.



რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ ნიკოლოზ ბერძნიშვილის ჟურთიერთობაზე გაზეთ „კავკაზთან“, რომელშიც იგი 1850 წლიდან აქვეყნებდა ნარკვევებს, ხოლო 1855 წლიდან — ე. ვერდერევისკის რედაქტორობის დროს — ინიშნება რედაქტორის უფროს თანამშემუედ. 1855 წლიდან 1857 წლამდე კი, როდესაც ე. ვერდერევისკი შვებულებაში წავიდა და შემდეგ აღარ დაბრუნებულა ამ თანამდებობაზე, გაზეთს ფაქტობრივად ნიკოლოზ ბერძნიშვილი რედაქტორობდა. მან მაშინვე გააღიდა გაზეთის ფორმატი, გააფართოვა ადგილობრივი ცხოვრების განყოფილება. ამ პერიოდის „კავკაზში“ ნიკოლოზ ბერძნიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელშეწყობით დაიბეჭდა არაერთი უაღრესად საინტერესო ისტორიული, ეკონომიკური, სტატისტიკური ხასიათის წერილები, რომლებსაც დღეს პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ნიკოლოზ ბერძნიშვილი ცდილობდა, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად დაეახლოებინა „კავკაზი“ ქართველთა საზოგადოებრივ ინტერესებთან. მაგრამ, ხელისუფლება, რომელსაც თავისი ოფიციალური გამოცემა სხვა მიზნებისთვის სჭირდებოდა, რასაკვირველია, ვერ მოითმენდა რედაქტორის ასეთ „თვითნებობას“ და „კავკაზის“ რედაქტორად დანიშნეს რეაქციული შეხედულებების მქონე ფადეი ბობილევი. ამ უკანასკნელმა კი თავისი მოღვაწეობა ახალ სარბიელზე იმით დაიწყო, რომ „საღვთო ომი“ გამოუტყაბა წინამორბედის შეხედულებებს. კერძოდ, ნიკოლოზ ბერძნიშვილის ზემოაღნიშნულ ლიტერატურულ წერილებთან დაკავშირებით ბობილევი „კავკაზში“ წერდა: „ლიტერატურა არის ხალხის ცხოვრების გამოსახვა, მაშასადამე, იმისათვის, რომ ლიტერატურა იყოს დამოუკიდებელი, საჭიროა, რომ ხალხიცა და ცალკე პიროვნებაც დამოუკიდებელნი იყვნენ. ამ მხრივ ჩვენი აზრით ქართული ლიტერატურის დრო წასულია... საკითხავია, ვისთვის გამოიცემა ქართული ჟურნალი?... ყველა განათლებული ქართველი მონახავს წასაკითხს საგანგებოდ მდიდარს დასავლეთის ლიტერატურაში“¹⁰ და ა. შ.

მიიღო რა შესაფერისი პასუხი ამ და სხვა პუბლიკაციებისთვის, შემდგომ „კავკაზმა“ საერთოდ აიღო ხელი ადგილობრივი ცხოვრების ასახვაზე. ხოლო თუ რომელიმე ფაქტი მაინც დააინტერესებდა, იმასაც გაუკუღმართებულად აწვდიდა მკითხველს.

ამგვარი მიმართულების გაზეთთან ნიკოლოზ ბერძნიშვილს არაფერი ჰქონდა საერთო და მან გაწყვიტა „კავკაზთან“ კავშირი. ხოლო „კავკაზში“, თავის მხრივ, იმით გამოხატა დამოკიდებულება ყოფილ რედაქტორთან, რომ ნიკოლოზ ბერძნიშვილის გარდაცვალების შესა-

ხებ ერთი კულმოკვეცილი ინფორმაცია გამოაქვეყნა და თანაურნი მოახერხა, რომ თავისი მოამავის გარდაცვალების თარეშის შესახებ შალა.



მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ბერძნიშვილის წვლილი ქართული ფოლკლორისტიკის ჩამოყალიბება-განვითარებაში. მართალია, ფოლკლორისტიკა, როგორც ხალხური შემოქმედების შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა, ჩვენში ბოლოდ საბჭოთა პერიოდში გაფორმდა, მაგრამ ამ ფაქტს წინ უძღოდა ტრადიციების ჩამოყალიბების საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი.

ქართული ზეპირსიტყვიერებისადმი ინტერესი აღრეც შეინიშნებოდა, მაგრამ ფაქტოლოგიური მასალის შეკრებასა და პუბლიკაციას განსაკუთრებული ყურადღება XIX საუკუნის 40-50-იან წლებში მიექცა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ზეპირსიტყვიერების, როგორც ეროვნული ხასიათის ამსახველი მასალის წარმოჩენა, რაც ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებას ემსახურებოდა. იმავე 40—50-იანი წლებიდან გვაქვს ზეპირსიტყვიერი მასალის არამარტო აღნუსხვის, არამედ მისი შესწავლა-კლასიფიკაციის ცალკეული ცდები. თეიმურაზ ბაგრატიონთან, დიმიტრი ყიფიანთან, პლატონ იოსელიანთან, ალექსანდრე ორბელიანთან, რაფიელ ერისთავთან, დიმიტრი ბაქრაძესთან, სულხან ბარათაშვილთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად ნიკოლოზ ბერძნიშვილი ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან დგას. იგი პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა ხალხური შემოქმედების მნიშვნელოვან ნიმუშებს — შრომის სიმღერებს, საწესჩვეულებო პოეზიას, შელოცვებს, ისტორიულ, რელიგიურ და მითოლოგიურ გადმოცემებს, ზღაპრებს, ლეგენდებს. განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ნიკოლოზ ბერძნიშვილი ამ მასალას ხშირად ურთავდა წინასიტყვაობას და კომენტარებს.

საგანგებო მიმოხილვის ღირსია ნიკოლოზ ბერძნიშვილის ეთნოგრაფიული საქმიანობა. იგი კრებდა და პრესაში აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის ეთნოგრაფიულ მასალას და, რაც მთავარია, გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი ქართველი ხალხის უძველესი კულტურის, მისი ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, ყოფაქცევის ნორმების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ეთნოგრაფიულ საკითხზე მას პრინციპული კამათი ჰქონდა რაფიელ ერისთავთან. ჩვენ ვერ შევალთ იმის განსჯაში, ვინ იყო მართალი ამ კამათში. მთავარი ისაა, რომ ამგვარი პოლემიკა იმ დროს ხელს უწყობდა კრიტიკული

აზრის გამოცოცხლებას, ეთნოგრაფიული საკითხებით საზოგადოებრიობის დაინტერესებას.



ნიკოლოზ ბერძნიშვილმა დიდი ამაგი დასდო, აგრეთვე, ოსი ხალხის ეთნოგრაფიის შესწავლასაც. იგი თანამედროვეთა შორის ითვლებოდა ოსეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საუკეთესო მცოდნედ და მის ნაშრომებს ამ სფეროში იყენებდნენ, ზოგჯერ ეყრდნობოდნენ კიდევც, ცნობილი მეცნიერები — მაქსიმ კოვალევსკი, ვსევოლოდ მილერი, ნიკოლოზ დუბროვინი და სხვ. მაღალ შეფასებას აძლევდა მათ მარი ბროსე. შესაძლოა, ინტერესმოკლებული არ იყოს ის ფაქტი, რომ დანიელ ჭონჭაძემ თავისი ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ლექსიკოლოგიური ჩანაწერები ანდერძით დაუტოვა ნიკოლოზ ბერძნიშვილს — სიყარმის მეგობარს და თანამოაზრეს. ამ უკანასკნელმა კი ეს მასალა მოაწესრიგა და გაუფხავა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას. მათი ჩაწილი პეტერბურგში გამოაქვეყნა აკადემიკოსმა შიფნერმა. ეს ტექსტები შემდეგ ითარგმნა და გამოიცა ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ნიკოლოზ ბერძნიშვილის, როგორც ეთნოგრაფის, საქმიანობის გვირგვინია მონოგრაფია „თბილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“, რომლის საისტორიო ნაწილი ეკუთვნის დიმიტრი ბაქრაძეს; ეთნოგრაფიული კი — ნიკოლოზ ბერძნიშვილს. ამ ნაშრომის უდაო ღირსებების დამადასტურებლად დაგიმოწმებთ დიდი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის სიტყვებს: „ამ გამოკვლევაში განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა ავტორის ნიჭი, ანალიტიკური გონება, სავნის ცოდნა და ჩინებული პოეტური ენა. მართალია, თბილისზე აქამდეც ბევრი დაწერილა როგორც რუსულ, ისე უცხო ენებზე, მაგრამ „თბილისი ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“ ბევრად სჯობს დღემდე არსებულ ყველა ნაშრომს...“¹¹ ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ეს „ნაშრომი ითარგმნა სომხურ ენაზე და გამოიცა კონსტანტინოპოლში“.¹²

ლიტერატურულ, სამეცნიერო თუ ყურნალისტურ საქმიანობას XIX საუკუნის საქართველოში ძირითადად ქველმოქმედების ხასიათი ჰქონდა — უმეტეს შემთხვევაში იგი მატერიალურად აუნაზღაურებელი რჩებოდა. ნიკოლოზ ბერძნიშვილს მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა და ამიტომ იგი იძულებული იყო დიდი დრო დაეთმო სახელმწიფო სამსახურისთვის, მაგრამ ცდილობდა ლიტერატურული ინტერესები ნაწილობრივ მაინც დამთხვეოდა სამსახურებრივ ინტერესებს. ამიტომ იგი მუშაობას იწყებს კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიაში,

რომელიც მეფისნაცვლის მთავარმართველობის უფროსის ბატონ ალექსანდრე ნიკოლაის ინიციატივით დაარსდა 1864 წელს. კომისიის მიზანი იყო კავკასიის უმაღლესი მმართველობის არქივში ^{გადასწავლა} მასალების სისტემატიზაცია, მათი შესწავლა და გამოცემა. კომისიის მუშაობას სათავეში ჩაუდგა ისტორიკოსი და არქეოგრაფი ადოლფ ბერჟე, ნიკოლოზ ბერძნიშვილი კი კომისიის პირველი მუდმივი წევრი იყო. სულ გამოიცა „აქტების“ 12 ტომი და აქ გამოქვეყნებულ მასალებს დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის ხალხთა ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის ძირითადი მიზანი კავკასიაში ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის გამართლება იყო და ამიტომ „აქტებში“ იმდენად კავკასიის ხალხთა საშინაო ცხოვრება არაა აღწერილი, რამდენადაც მეფის რუსეთის ამ მხარეში შემოსვლის, დამკვიდრებისა და ასიმილაციური პოლიტიკის ისტორია. მამია ღუმბაძის სიტყვებით — „მიუხედავად ასეთი ტენდენციური მიმართულებისა... „აქტების“ დიდტანიან ტომებში, როგორც ჩანს, ბაქრადისა და ბერძნიშვილის საქმიანობის წყალობით შევიდა საქართველოს ისტორიული წარსულისათვის მეტად საყურადღებო მრავალი საბუთი“¹³.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი ავტორია არაერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომისა, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში“, სადაც გაანალიზებულია სულხან-საბას ლიტერატურული მემკვიდრეობა, ხოლო მის მიერ კათოლიკობის მიღების შუქზე განხილულია კათოლიკური რომის პროპაგანდა საქართველოში. მასვე ეკუთვნის მრავალმხრივ საყურადღებო გამოკვლევა „კარაბადინზე“ და ა. შ.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღინიშნოს, რომ 60-იან წლებში ნიკოლოზ ბერძნიშვილის ლიტერატურულმა შეხედულებებმა უცნაური მეტამორფოზა განიცადა. ამ პერიოდიდან იგი უცვლელად სათანადოდ აღარ აფასებდა ძველ ქართულ ლიტერატურას და განსაკუთრებით, სასულიერო მწერლობას. ნინო მახათაძის აზრით — „ნ. ბერძენოვის თვალსაზრისის შეცვლა ძველ ქართულ მწერლობაზე სხვა არაფერია, თუ არა მის მიერ არასწორად გაგებული ლიტერატურის დანიშნულების უტილიტარული პრინციპები“¹⁴.

ორიოდე სიტყვა ნიკოლოზ ბერძნიშვილის საგამომცემლო საქმიანობაზე...

„დროების“ 1869 წლის № 52-ში გამოქვეყნდა წერილი — „ძველი წიგნების გამოცემაზედ“. აქ ნათქვამია: „ამ უამამდე ძალიან ცოტა მე-

ცადინეობა გვიჩვენებს ჩვენ, ქართველებს, რომ ჩვენის ძველი მწერლობისთვის ბეჭდვით მიგვეცა მკვიდრობა და ამ მხრით დაგვეცვა დროა შემსუვრისაგან ჩვენის ისტორიისათვის უძვირფასესი მასალა. ძველ თხზულებებს ზედ დასჩნევიათ ყოველივე, რაც გამოუვლია ჩვენს ერს: ბედი თუ უბედობა, ბრძოლა თუ მშვიდობიანობა, გმირობა თუ სიმუხთლე. ამ თხზულებებში გამოიხატება ჩვენი ქვეყნის ბუნება — იქ ქართველს ესმის თავისი გულის ძგერა, თავისი სიხარული და წადილი, ნაღველი და უიმედობა, ყოველი, რაც იმის ცხოვრებასთან დაახლოვებულა, რასაც კითხულობს — კარგად ესმის და ამიტომ უყვარს, უყვარს ღვიძლ დედასავით“.

ბოლოს ნათქვამია, რომ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლთა ხელნაწერების შეკრება და გამოცემა აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა, ვინაიდან „წარსული ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა დაპყრობის მომავალს იმის ბედნიერებასა“. წერილს ხელს აწერენ ნიკოლოზ ბერძენოვი, პეტრე უმიკაშვილი და გიორგი წერეთელი. ეს იყო გრიგოლ ორბელიანის ინიციატივით შექმნილი საგამომცემლო ამხანაგობა, რომლის მონდომებამ და თავდადებულმა შრომამ მომავალ, 1870 წელსვე გამოიღო ნაყოფი — აღნიშნულმა სამეულმა გამოსცა გურამიშვილის „დავითიანი“. ამ ფაქტის მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ აქამდე პოემის მხოლოდ ცალკეული ნაწყვეტები იყო გამოქვეყნებული დავით ჩუბინაშვილის ქრესტომათიასა და ჟურნალ „ცისკარში“. 1870 წლის გამოცემა, მართალია, არასრული, მაგრამ პირველი ბეჭდური გამოცემაა „დავითიანისა“ და ამ სამედიოშვილო ღონისძიების განხორციელებას დიდი კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობა ჰქონდა. გარკვეული თვალსაზრისით — პოლიტიკური მნიშვნელობაც. რამდენადაც იმ დროს და საერთოდ მთელს XIX საუკუნეში, — კულტურასა და ლიტერატურაზე ზრუნვა უთუოდ გულისხმობდა გარკვეულ პოლიტიკურ მიზანდასახულობასაც. კერძოდ, ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლებას, ჩამოყალიბებას, განმტკიცებას და ამ გზით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას.

ნიკოლოზ ბერძენიშვილის რედაქტორობით არაერთი წიგნი გამოცემა, რომელთაგან გამსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ალექსანდრე დიუმას „კავკაზის“ პეტრე რობოროვსკისეული რუსული თარგმანი (1861 წ.). მანვე ამ გამოცემას საჭირო შენიშვნები და განმარტებებიც დაურთო.

დასასრულ, რამდენიმე შტრიხი ნიკოლოზ ბერძნიშვილის პიროვნების წარმოსადგენად. თანამედროვეთა გადმოცემით, იგი არაერთგვარადა განათლებული და გონიერი, ამასთანავე მორიდებული ხასიათის ჩუმი და უპრეტენზიო ინტელიგენტი. მაგრამ ეს არ უშლიდაო ხელს, — გადმოგვეცემს დიმიტრი ბაქრაძე, — „ყოფილიყო შეურბე-ბელი მტერი პირფერობისა. უცხოთა შორის იგი სიტყვაძუნწი იყო, ახლობელთა წრეში კი მისი საუბარი გამსჭვალული იყო სულიერი სითბოთი, სიცოცხლის სიყვარულით და იუმორით“¹⁵.

სამწუხაროდ, ნიკოლოზ ბერძნიშვილის სუსტმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო ხანგრძლივ დაძაბულ შრომას. იგი გარდაიცვალა 1874 წლის 3 ოქტომბერს, 45 წლისა, ფიზიკური დაუძლურებისგან (უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით ნიკოლოზ ბერძნიშვილისთვის სიცოცხლე მოუსწრაფებია ადოლფ ბერკეს, რომლის მონაწილეობითა თუ ინიციატივით გაუნადგურებიათ ბერძნიშვილისა და დიმიტრი ბაქრაძის მიერ მოპოვებული და „აქტებში“ დასაბეჭდად გამზადებული ისტორიული წყაროები. „ამიტომაც იტყოდა ხოლმე დიმიტრი ბაქრაძე, რომ ნიკოლოზ ბერძენოვი ბერკემ მოკლაო“ — დასძენს ზაქარია ჭიჭინაძე¹⁶).*

მეორე დღესვე „ტიფლისკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებულ ვრცელ ნეკროლოგში დიმიტრი ბაქრაძე წერდა: „მისი სახით დავკარგეთ ჩვენს წრეში გამორჩეული პიროვნება. გამორჩეული ქვეყნის ისტორიის ცოდნით, თავდადებით და ჩინებული ხასიათით... იგი გარდაიცვალა უკიდურეს სიღატაკეში, დატოვა რა გამოუვალ მდგომარეობაში ცოლი და ხუთი მცირეწლოვანი შვილი“¹⁷.

„დროებაში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში კი ნათქვამია: „ჩვენს თანამემამულეებს იმას ვუსურვებთ, რომ მიჰბადონ განსვენებულის მაგალითს საქართველოს ისტორიის, ძველისა და ახალი ცხოვრების გამოკვლევაზედ“¹⁸.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი დაკრძალულია თბილისში, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე, ამჟამად მისი საფლავი დაკარგულია.

* წყაროზე მივვითითა მიხ. ნანიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასწავებთ.

1. გ. ჭიჭიძე, რჩეული თხზულებანი, ტ. III, თბ., 1965, გვ. 219.
2. სოლ. ცაიშვილი, ნიკო ავალიშვილი, თბ., 1955, გვ. 59.
3. იქვე, გვ. 61.
4. ა. სურგულაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968, გვ. 27.
5. პ. ვუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. (ქართული სტამბის წიგნი 1629—1979), ტ. VII, თბ., 1984, გვ. 429.
6. მაქს. ბერძნიშვილი, ნოტა ბენეს ვინაობისათვის, „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941, № 2—3, გვ. 211.
7. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის — ქრესტომათია (შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა), ტ. I, თბ., 1954, გვ. 66.
8. ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 1974, გვ. 117.
9. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ტ. I, გვ. 68—69.
10. იქვე, გვ. 104, 106.
11. Бакрадзе Д. З., Николай Георгиевич Берзенов и его литературная деятельность, Тфл., 1874, стр. 24.
12. მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950, გვ. 185.
13. იქვე, გვ. 43.
14. მ. მახაიაძე, ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთი საკითხი გაზ. „კავკასია“ (მე-19 ს. II ნახ.), კრბ.: „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, V, თბ., 1973, გვ. 115.
15. Бакрадзе Д. З., Николай Георгиевич Берзенов..., стр. 31.
16. ზ. ჭიქინაძე, საქართველოს ისტორიული მასალების დაწვა და დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების 25 წლის შესრულების გამო, „საქართველო“, 1915, № 3—4.
17. Бакрадзе Д. З., Николай Георгиевич Берзенов..., стр. 31.
18. „დროება“, 1874, № 444.

ფსევდონიმების კვალდაკვალ

პავლე ინგოროყვას ფსევდონიმების შესახებ

1924 წლის ჟურნალ „კავკასიონში“ (№ 1—2) დაბეჭდილია ავარი-ელთა ისტორიული ლექსი „რაებადინ ბელადი და ერეკლე მეფე“, რომელიც თარგმნილია ასმიდოდო ზერქეზელის მიერ. სახელის ფორმამ ჩააფიქრა ახალგაზრდა ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე, რომ ეს უნდა იყოს არა ნამდვილი სახელი, არამედ ფსევდონიმი. მკვლევარმა დიდი მუშაობა ჩაატარა დასახელებული ფსევდონიმის გასაშიფრავად და სხვადასხვა მონაცემების მიხედვით სწორად დაადგინა, რომ „ასმიდოდ ზერქეზელი“ არის ცნობილი მწერლისა და მეცნიერის პავლე ინგოროყვას ფსევდონიმი. მანვე გაარკვია ისიც, რომ „კავკასიონში“ დაბეჭდილი პოლკლოდელის ლექსის „წმინდა საკითხავის“, პლატონის ეპიგრამებისა და ანაკრეონტის ლექსების მთარგმნელის ხელმოწერები **As.** და **Asmi** არის შემოკლებული ფორმა **Asmidod**-ისა, ე. ი. ასმიდოდ ზერქეზელისა. რ. ჩხეიძის მოსაზრებები გამოთქმულია წერილში — „ასმიდოდ ზერქეზელის“ გამო“, რომელიც გამოქვეყნდა 1986 წელს ჟურ. „მნათობის“ მეთერთმეტე ნომერში.

რ. ჩხეიძე აღნიშნავს, რომ სიმ. ყაუხჩიშვილს „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“, (ტ. I, 1946 წ.) ანაკრეონტის შემოქმედების განხილვისას სწორედ „კავკასიონიდან“ სანიმუშოდ მოჰყავს ლექსის ფრაგმენტი, მაგრამ ფსევდონიმი **Asmi** გაშიფრული არა აქვს. იგი ასკვნის: „შეუძლებელია სიმონ ყაუხჩიშვილს თავის დროზევე არ სცოდნოდა, თუ ვისი იყო ეს ფსევდონიმი, რადგან, ჯერ ერთი, აღრიდანვე მკვობრობდა პავლე ინგოროყვასთან, და, მეორე, „კავკასიონშიც“ თანამშრომლობდა... მაგრამ, რადგანაც მთარგმნელის ვინაობას არ ამხელს, ეტყობა თვითონ პავლე ინგოროყვამ არ მოინდომა თავისი ფსევდონიმის გახსნა“.



• შემდეგ რ. ჩხეიძე განაგრძობს, რომ არც მიხ. აბრამიშვილისა და ივ. გომართელის მიმოხილვით წერილებში და არც ნ. გურგენიძისა და ი. გორგაძის მიერ შედგენილ 1921—1924 წლების „ქართული ლიტერატურული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ არ არის გაშიფრული As., Asmi და ასმიდოდ ჩერქეზელი. ამასთან, „არც ერთი ეს ფსევდონიმი (და არც ინიციალები — პ. ი.) არ არის შეტანილი გივი მიქაძის „ფსევდონიმების ლექსიკონში“ (1984 წ.)“...

უნდა ითქვას, რომ რ. ჩხეიძის დაკვირვებები სავსებით სწორია. სიმ. ყაუხჩიშვილმა კარგად იცოდა პ. ინგოროყვას ყველა ფსევდონიმი და მათ შორის Asmi-ც. სიმ. ყაუხჩიშვილის წიგნი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ 1946 წ. გამოქვეყნდა. მე ვიყავი წიგნის კორექტორი და ბატონმა სიმონმა წიგნისათვის საძიებლების შედგენა დამავალა, რაც იქვეა აღნიშნული. საძიებლებში Asmi-ს ვინაობა არ ვაგშიფრე, რადგან თვითონ წიგნში ავტორის სურვილის გამო ვინაობა არ იყო გახსნილი. პ. ინგოროყვა წინააღმდეგი იყო მისი ფსევდონიმის გაშიფრვისა. მხოლოდ 1972 წელს, როდესაც ანაკრეონტისებური ლექსის ალ. ჰავჭავაძისეულ თარგმანზე წერილი გამოვაქვეყნე, ვაგშიფრე Asmi-ს ვინაობა (გ. მიქაძე. ანაკრეონტისებური ლექსი. — მაცნე. ვნისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 1, გვ. 162, შენ. 79). დასახელებული წერილი რ. ჩხეიძეს მხედველობიდან გამორჩა.

რაც შეეხება განცხადებას, რომ პ. ინგოროყვას არც ერთი ფსევდონიმი არ არის შეტანილი ჩვენს „ფსევდონიმების ლექსიკონში“, ესეც მართალია. მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენთვის უცნობი იყო პ. ინგოროყვას ფსევდონიმები. რ. ჩხეიძეს უნდა ვაეთვალისწინებინა „ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში მოცემული მითითება, მაშინ უმართებულო საყვედურსაც აგვაცდენდა. აი, რას ვწერთ წინასიტყვაობაში: „წინამდებარე ლექსიკონში მოცემულია ფსევდონიმები და ინიციალები, რომლებიც საქართველოს სსრ წიგნის პალატის მიერ გამოცემულ ფუნდამენტურ შრომაში — „ქართულ წიგნში“ გაშიფრული არ არის ან შეცდომით არის გაშიფრული. ზოგჯერ კი გვარებადაა მიჩნეული“. „ქართული წიგნი“ კი (ტ. ტ. I—III) არის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, რომელშიც აღწერილია 1629—1950 წლებში ქართულ ენაზე გამოცემული წიგნები. პირველ ტომს დართული აქვს ფსევდონიმებისა და კრიპტონიმების საძიებელი, რომელშიც ფსევდონიმების გარკვეული ნაწილი გაუშიფრავია. „ბიბლიოგრაფიის“ შემდ-



გენლები სთხოვდნენ საქმეში ჩახედულ პირებს და, საერთოდ, მკვლევებს, რომ დახმარებოდნენ გაუშიფრავი ფსევდონიმ-კრიპტონიმების ავტორთა დადგენაში. ჩვენი წიგნიც სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა. ე. ი. ჩვენს „ფსევდონიმების ლექსიკონში“ შეტანილია მხოლოდ ის ფსევდონიმები, რომლებიც წიგნებს აქვთ წარწერილი. პერიოდულ გამოცემებში გაბნეული ფსევდონიმები კი ლექსიკონში გათვალისწინებული არ არის. პ. ინგოროყვას ზემოთ დასახელებულ ფსევდონიმური ხელმოწერებით წიგნი არ გამოუცია. ამდენად, ისინი სრულიად მართებულად შეტანილი არა გვაქვს „ლექსიკონში“.

რ. ჩხეიძე წერს: „...ლექსიკონისათვის დართულ ვრცელ შესავალ წერილში, „ქართული ფსევდონიმებისათვის“, ერთი საგულისხმო ფაქტია აღნიშნული.

მკვლევარის ვარაუდით ფსევდონიმი CetP (წიგნში დიდი „P“-ს ნაცვლად წერია პატარა p, რაც უბრალო კორექტურა ჩანს) იშიფრება ასეთნაირად: კონსტანტინე ჭიჭინაძე და პავლე ინგოროყვა (et ლათინურად „და“ კავშირია), იქვე მითითებულია „კავკასიონის“ 1—2 ნომერი და, ცხადია, იგულისხმება კაზიმირ ედუარდის ნოველის, „დამპყრობი“, თარგმანი.

P მართლა პავლე ინგოროყვა უნდა იყოს..., რადგან თარგმანის კითხვისას აშკარად იგრძნობა, რომ საბოლოო რედაქცია მისია... მაგრამ C მეექვსეა, რომ აქ კონსტანტინე ჭიჭინაძე იყოს. მართალია, კონსტანტინე პავლესთან მეგობრობდა და „კავკასიონშიც“ აქტიურად თანამშრომლობდა, ლექსებთან ერთად სახელითა თუ ინიციალებით არაერთი თარგმანი აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ მხოლოდ ლექსების თარგმანები (ხაზგასმა ჩვენია. — გ. მ.). ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პროზაული არაფერი ეთარგმნა, მითუმეტეს, ორიოდე წლის შემდეგ ყურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა მისეული თარგმანი ეპტონ სინკლერის რომანისა „მეფე — ნახშირი“, მაგრამ ცოტა უცნაური მეჩვენება, რომ ედუარდის ნოველა ეთარგმნა პავლესთან ერთად. თანაც მართლა ერთად რომ ეთარგმნათ, პავლე ინგოროყვა ინიციალად დაწერდა არა P-ს, არამედ A-ს (ასმიდოდს), როგორც სხვა თარგმანებს მოაწერა.

ამიტომ მგონია, რომ C უფრო შესაძლებელია იყოს ქეთევან (ქეთო) ბაქრაძე, პავლე ინგოროყვას მეუღლე. რომელიც სწორედ პროზას თარგმნიდა... მთი თანამშრომლობაც უფრო რეალური ჩანს და ფსევდონიმის არჩევის მიზეზიც: CetP — ქეთო და პავლე; თან არც



ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ასოები ერთმანეთზეა მიტყუებული, ოდნავადაც კი არ არის დაშორებული, არამცთუ დეფისით ყოფილი, როგორც, ვთქვათ, ლექსიკონის შესავალშივე კოლექტიური ფსევდონიმის ნიმუშად მოტანილი: „აკ-სიმ-კოლი“ (აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და ნიკოლოზ ჩაჩავა), და „ან-და-დონი“ (აკაკი შანიძე და დავით ყიფშიძე) როგორც ეს ფსევდონიმიც დაიწერებოდა, **ს** რომ კონსტანტინე ჭიჭინაძე ყოფილიყო.

ამის გარდა, არც ის არის აღნიშნული, ფსევდონიმი ერთ პიროვნებას ეკუთვნის თუ ორს — არ წერია არც „თარგმნა“; არც „თარგმნეს“. ასეთი კიდევ უფრო გასაიდუმლოება ფსევდონიმისა იმის მაჩვენებელია, რომ **ს** ქეთევან ბაქრაძეა“.

ჩვენ შედგენილი გვაქვს „ქართული ფსევდონიმების ლექსიკონი“, რომელზეც 40 წელიწადია ვმუშაობთ. ლექსიკონის შედგენისას უშუალო კავშირს ვამყარებდით ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან და ისე ვკრებდით ცნობებს. 1960 წელს კითხვებით მივმართეთ ბატონ კონსტანტინეს, რომელმაც შემდეგი შინაარსის წერილი გამომიგზავნა:

„პატივცემულო გვიცი!

ყველა თარგმანი ჩემი ინიციალებით მეკუთვნის მე. „ახალ კავკასიონში“ ბრიუსოვის ლექსის თარგმანი, რომელსაც მიწერილი აქვს „K“, ჩემია.

„კავკასიონის“ № 1—2-ში მოთავსებულია ნაწყვეტი კაზიმირ ედ-შმიტიდან „დამპყრობი“, რომელსაც მიწერილი აქვს „CetP“—ეს მც და პავლე ინგოროყვა ვართ ერთად.

უტურნალ „მნათობის“ 1924 წლის (ეგებ 25-ს) რომელიღაც ნომერში მოთავსებულია რეცენზია ჩემი ლექსების წიგნზე და მოწერილი აქვს №. ეს არის გალაკტიონ ტაბიძე. მას, ვფიქრობ, ამის გარდა რეცენზია არც დაუწერია.

„ალ“-ის შესახებ ვერაფერს გეტყვით.

პატივისცემით კ. ჭიჭინაძე.

31/V—60 წ.“

ამ წერილის მიხედვით საბოლოოდ დადგენილად უნდა ვაღიაროთ, რომ ფსევდონიმი CetP ეკუთვნის კ. ჭიჭინაძესა და პ. ინგოროყვას. სხვათა შორის, ბატონი კონსტანტინე მეგობრობდა ქეთევან

ბაქრაძესთან, რომელსაც მიუძღვნა ლექსი „ფინიზი“ (ყურნ. „კავკასი-სიონი“, 1924, № 3—4).



მოყვანილი მაგალითიდან ნათლად ჩანს, რაოდენ დიდი სიფრთხილესა და სიფრთხილეს, რათა ერთი ავტორის ნაწარმოები მეორეს არ მივაკუთვნოთ. რ. ჩხეიძე, ისე ლოგიკურად და თანმიმდევრულად ასაბუთებს სწ. ბაქრაძის ავტორობას, კ. ჭიჭინაძის ავტოგრაფი რომ ხელთ არ გვქონდეს, ძნელად თუ შევძლებდით ვინმე დაგვერწმუნებინა ჭეშმარიტებაში.

რაც შეეხება გ. ტაბიძის ფსევდონიმს, მართლაც, კ. ჭიჭინაძის ლექსების კრებულზე მას ვაპოუქვეყნებია რეცენზია ყურნ. „მნათობის“ 1924 წლის მეამე ნომერში. რეცენზიას ხელს აწერს NN (ნომენ ნესციო). თავის დროზე ამის შესახებ ცნობა მივაწოდეთ პოეტის თხოვლებათა აკადემიური გამოცემის რედკოლეგიას, რაც გათვალისწინებული იქნა და გალაკტიონის უცნობი რეცენზია სათანადო მითითებით შეიტანეს გამოცემაში, (გ. ტაბიძე, თხოვლებანი თორმეტ ტომად. ტ. XII, თბ., 1975, გვ. 659. იხ. აგრ. ი. ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძის თხოვლებათა ტექსტოლოგიური საკითხები. თბ., 1965, გვ. 60).

ვინ იყო შიო კარიკატურაშვილი?

გაზეთ „კავკასსკი კრაის“ ყოველკვირეული ილუსტრირებული დამატების 1905 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილია სარედაქციო სტატია სათაურით „კავკასსკი კრაის“ ახალი კორესპონდენტი“, რომელშიც ჩართულია უცნობი ქართველი მხატვრის შიო კარიკატურაშვილის მიერ მიწოდებული ავტობიოგრაფიული ცნობები. აღნიშნული სარედაქციო სტატიის ქართული თარგმანი გამოაქვეყნა გაზეთმა „თბილისმა“ მიმდინარე წლის 24 თებერვლის ნომერში.

გაზ. „თბილისმა“ უთუოდ კარგი საქმე გააკეთა წერილის ქართული თარგმანის პუბლიკაციით, რითაც ყურადღება გაამახვილა მეტად საინტერესო მივიწყებულ წერილზე. ამასთან რედაქციამ პუბლიკაციაზე დართულ მინაწერში მკითხველებს სთხოვა უცნობ მხატვარზე დამატებითი ცნობების მიწოდება: „აქ, ჩვენთან, საქართველოში იქნებ არის ვინმე, რომელმაც გადმოცემით იცის რაიმე ამ მხატვრის შესახებ. გვჯერა, იგი არ დაიზარებს მის შესახებ დამატებითი ცნობების რედაქციისათვის მიწოდებას. ამის გარდა დღევანდელი ვითა-

რება ისეთია, რომ სულაც არ გამოვრიცხავთ, ამ წერილს ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ვინმე ქართველი ან ქართული წარმომავლობის პიროვნება გაეცნოს და დაინტერესდეს — კონგრესის ან სხვა იქაურ ბიბლიოთეკაში მოიძიოს 1903—1907 წლებში გამოსული ჟურნალ-გაზეთების კატალოგი, ან ბიბლიოგრაფიულ საძიებელში მიაკვლიოს შიო კარიკატურაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცნობებს“.

გაზ. „კავკაზსკი კრაის“ სარედაქციო წერილში ჩართულ შიო კარიკატურაშვილის ავტობიოგრაფიის დაკვირვებულ შესწავლა ნათელს ხდის, რომ ის დაწერილია იუმორისტულ სტილში და, თანაც, წარმოადგენს მისტიფიკაციას, განზრახ ვინმეს შეცდენის, მოტყუების ცდას. მწერლები და რედაქციის თანამშრომლები ასეთ ლიტერატურულ ხერხს მიმართავენ, როდესაც სურდათ შეცდომაში შეიყვანათ ცენზურა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები. ისინი ხშირად იყენებდნენ მოგონილ გვარებს ანუ ფსევდონიმებს, ზოგჯერ კი ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ და, მეტი გასაიდუმლოების მიზნით, საგანგებოდ იგონებდნენ სინამდვილეში არარსებულ მწერალს თუ ავტორს — აღწერდნენ მის გარეგნობას, ხასიათს, საქმიანობას, მისი ცხოვრების ამბებს და ა. შ. ნებისმიერი ფსევდონიმი, თუ მას ერთვოდა საგანგებოდ მოგონილი, შეთხზული ამბების აღწერა, წარმოადგენდა ლიტერატურულ ნიღაბს. ხანდახან ლიტერატურული ნიღაბის შემქმნელი, მკითხველის დარწმუნების მიზნით, მისი მოგონილი ავტორი რომ ქეშმარიტად არსებობს, თავის ნაწარმოებს ურთავდა ამ ვითომცდა ავტორის სურათს, თანაც თითქოს დახატულს ნატურალიდან.

ლიტერატურული ნიღბების შესახებ უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება როგორც ქართული, ისე რუსული და უცხოური მწერლობიდან. ასე მაგალითად, ა. ს. პუშკინმა გამოსცა „ბელკინის მოთხრობები“. წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ხელი მოვკიდეთ რა ზრუნვას ი. პ. ბელკინის მოთხრობების გამოცემაზე, რომელსაც ამჟამად საზოგადოებას ვთავაზობთ, გვსურდა მისთვის დაგვეერთო განსვენებული ავტორის ცხოვრების მოკლე აღწერა მაინც“. შემდეგ მოცემულია მისი სიტყვიერი პორტრეტი, მოყვანილია მონაცემები ბელკინის მშობლებზე, მისი ხასიათის შესახებ, ცხოვრების წესზე, საქმიანობაზე, მისი სიკვდილის გარემოებებზე. პუშკინი ცდილობდა მკითხველები დაერწმუნებინა მის მიერ მოგონილი ავტორის რეალურად

არსებობაში, რომლის სახელი, თავისი სახელის მაგივრად, მან მო-
თავსა წიგნზე, დანართით: „გამოცემა ა. პ.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაგისენოთ საკმაოდ გახმაურებული მოჩვენებითი ავტორის კოზ-
მა პრუტკოვის ლექსები. ავტორის ნაწარმოებთა კრებულში მოთავ-
სებულ „ავტობიოგრაფიას“ თან ერთვის კოზმა პრუტკოვის აგრეთვე
შექმნილი პორტრეტი. სინამდვილეში კი დასახელებული გვართ მო-
ღვაწეობდა სამი მწერალი: ა. კ. ტოლსტოი და ძმები ემზიუქნიკო-
ვები.

ცნობილმა ფრანგმა მწერალმა პროსპერ მერიმემ ესპანური ცხო-
ვრების მოტივებზე 1825 წელს გამოსცა პიესების კრებული და მის
ავტორად გამოაცხადა სინამდვილეში არარსებული ესპანელი მსახი-
ობი კლარა გაზული. შემდეგ შექმნა „ლეგენდა“, ე. ი. ვითომდა ავ-
ტორის მოგონილი ცხოვრების აღწერა. კრებულის წინასიტყვაობაში
მოთხრობილია კლარა გაზულის მშობლების შესახებ, მის აღზრდაზე,
როგორ იქნა იგი გამომწვევდელი მონასტერში, როგორ დაიწყო სა-
სტენო კარიერა და ა. შ. მეტი დამაჯერებლობისათვის მოცემული იყო
მხატვრის ფანტაზიით შექმნილი კლარას პორტრეტიც, მიმსგავსებუ-
ლი მერიმეს აღწერასთან.

მოყვანილ ნიმუშებში ჩვენ საქმე გვაქვს ლიტერატურულ ნიღბებ-
თან. ანალოგიური ვითარებაა გაზ. „კავკასკი კრაის“ სარედაქციო
წერილშიც. აღნიშნული წერილი დაბეჭდილია 1905 წელს, რეაქციის
მძვინვარების პეროდში. ეს ის დროა, როცა მეფის ხელისუფლება
სასტიკად უსწორდებოდა ყოველგვარი თავისუფალი აზროვნებისა
და ჯანსაღი პოლიტიკური აზრის მომხრეებს. ამიტომ, ცხადია, არც
პოლიტიკური კარიკატურების ავტორს და არც რედაქციის თანამშ-
რომლებს პრესაში აშკარა გამოსვლა არ შეეძლოთ, რადგან საშიშრო-
ება მოელოდათ. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა, რომ თავდაც-
ვის მიზნით მათ ეწერათ ფსევდონიმებით და ამოფარებოდნენ ლი-
ტერატურულ ნიღბებს.

გაზეთ „კავკასკი კრაის“ სტატიაში ნათქვამია, რომ რედაქციამ
ნიუ-იორკიდან მიიღო უცნობი ქართველი მხატვრის შიო
კარიკატურაშვილის გერმანულ ენაზე დაწერილი
წერილი, რომელსაც თან ახლავს თვითონ შიოს სურათი და მრავ-
ალფეროვანი კარიკატურების მთელი სერია კავკასიურ თემაზე. იქვე
შემოთავაზებულია შიოს წერილის მიხედვით შედგენილი მისი მოკლე
ბიოგრაფია. შემდეგ ვკითხულობთ: „ამასწინათ რედაქციამ ისევ



მიიღო კარიკატურათა სერია, ამჯერად პოლიტიკურ თემაზე. შიოს თურმე მოუხერხებია და პრეზიდენტ რუხველტის მისივე შესულა. პორტსმუტის ამბების დროს იგი გამუდმებით ზღვებია ზიდენტს, მოლაპარაკებისას დელეგაციის წევრთა ჩანახატები უკეთებია და ამერიკულ ყურნალებში დაუგზავნია სხვადასხვა კარიკატურა. ჩვენთვის გამოგზავნილ ზოგიერთ კარიკატურას დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ“.

აქ მოყვანილი ცნობები რედაქციის შეთხზულია, მოგონილია და სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. რად დასჭირდა რედაქციას მკითხველის შეგნებულად შეცდომაში შეყვანა? ამაზე პასუხს თვითონ სარედაქციო წერილიდან ვგებულობთ: უცნობმა მხატვარმა ამჯერად პოლიტიკურ თემაზე გამოგვიგზავნა კარიკატურები, რომელთაგან ზოგიერთს დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ. მამასადამე, ლიტერატურული შენიღბვა მიზნად ისახავდა მეფის ცენზურისა და ქანდარშერის მოტყუებას, შეცდენას, რასაც, უდავოდ, რედაქციამ ყარგად გაართვა თავი.

ახლა ვნახოთ, რა ცნობებს გვაწვდის უცნობი მხატვარი თავისი ცხოვრების შესახებ. იგი წერს, რომ დაიბადა 1862 წლის 28 მარტს გორის მაზრაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მას ფათერაყებით აღსავსე ბავშვობა ჰქონდა. მამა ცხერის ფარას ამწყემსვინებდა, მერე კი სახლიდან გააგდო. ბატარა შიო ჩასულა თბილისში, იქ სწავლა დაუწყია კლასიკურ გიმნაზიაში, უსწავლია მეხუთე კლასამდე. შემდეგ წასულა პეტერბურგში, მაგრამ „თავისუფალი აზროვნებისათვის“ იქიდან გააძევეს და იძულებული გახდა რუსეთი დაეტოვებინა. გაემგზავრა ვერმანიაში, ჩავიდა ბერლინში და სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. მალე მიხვდა, რომ „ევროპაში არ იყო ჭეშმარიტი თავისუფლება“ და გადაწყვიტა ამერიკაში წასვლა. იქ მუშაობა დაიწყო იუმორისტულ ყურნალებში.

შემდეგ შიო განაგრძობს: „მრავალ უცხოურ და რუსულ, მათ შორის ამიერკავკასიის გაზეთსა და ყურნალს ვიღებ და ვკითხულობ... ძალიან მომეწონს გაზეთი „ცნობის ფურცელი“, მისი კარიკატურებიც საკმაოდ გონებამახვილურია. ყველაფერი ვიცი, რაც თქვენთან, კავკასიაში ხდება და ამდენად შემოძლია თქვენს ორგანოსაც მოვაწოდო საჭირობოროტო კარიკატურა... ამასთან დაბეჯითებით გთხოვთ, ჩემი სუ-

რათი ც გამოაქვეყნოთ, ეგებ მიცნოს რომელიმე ჩემმა ძველმა ნაცნობმა...
საქართველო

რედაქციამ იქვე დაბეჭდა შიოს სურათი, რომელიც შესაფერისად მანერით, ყოველგვარი ექვის გარეშე, ავტოპორტრეტი უნდა იყოს.

როგორც ვხედავთ, შიო კარიკატურაშვილიც ყოველნაირად ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს და კვალი აუძნიოს ცენზურას, რისთვისაც განზრახ არასწორად მიუთითებს თავის ბიოგრაფიულ მონაცემებს. ასე მაგალითად: დავიბადე 1862 წლის 28 მარტსო, ნამდვილად კი დაბადებულია 1863 წლის 1 ივლისს; დავიბადე ღარიბი გლეხის ოჯახშიო, დაბადებულია სამხედრო მოხელის ოჯახში; დავიბადე გორის მაზრაშიო, დაბადებულია თბილისში; ჩავედი ბერლინშიო, სინამდვილეში კი იყო მიუნხენში; გავემგზავრე ამერიკაშიო (ნიუ-იორკში), იქ კი არასოდეს ყოფილა და ა. შ.

შემთხვევითი არ არის გადაკრულად ნათქვამი შიოს სიტყვებიც: „ძალიან მომწონს გაზეთი „ცნობის ფურცელი“, მისი კარიკატურებიც საკმაოდ გონებამახვილურიაო“. საქმე ისაა, რომ ჩვენთვის საინტერესო მხატვარი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი იყო დასახელებული გაზეთისა და გონებამახვილური კარიკატურებიც მასვე ეკუთვნოდა (ამ გაზეთში იგი სხვა ფსევდონიმით მოღვაწეობდა).

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც. 1916 წლის იუმორისტული ჟურნალის „ეშმაკის მათრახის“ № 37 მთლიანად მიძღვნილია მისი აქტიური თანამშრომლის კარიკატურისტ „შლინგისადმი“. დასახელებულ ჟურნალში გამოქვეყნებულია რედაქციის თხოვნით დაწერილი „შლინგის“ ავტობიოგრაფია, რომელიც თავისი სტილით, იუმორით, მსგავსი ფაქტებითა და პარალელებით ძალიან ჰგავს შიო კარიკატურაშვილის ბიოგრაფიას. ყოველივე ეს ეჭვს არ ტოვებს, რომ ორივე ავტორის ბიოგრაფია ერთ პიროვნებას ეკუთვნის და „შიო კარიკატურაშვილი“ და „შლინგი“ ერთი და იგივე პიროვნების ფსევდონიმებია.

ვინ არის შიო კარიკატურაშვილი?

ხელმოწერა „შიო კარიკატურაშვილი“ სრული სახის ფსევდონიმია, რომელიც შედგება მოგონილი სახელისა და გვარისაგან. ის წარმოქმნილია ავტორის ნამდვილი სახელის, მამის სახელისა და გვარის დასაწყისი ასოების (ინიციალების) გამოყენებით. ასეთ ხელმოწერას სპეციალურ ლიტერატურაში კრიპტონიმი ეწოდება. კონკრეტულ შემთხვევაში ხელმოწერა „შიო“, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს

ქართულ სახელს აღნიშნავს, მიღებულია ინიციალების გადასმით (ცა-
დადგინებით), ანუ უკუდაწერილობით და იკითხება მარჯვნიდან მარცხენა
ცხნივ, ისე როგორც სპარსულ-არაბულშია მიღებული. ამიტომ ხელ
მოწერა „შოო“ ასე უნდა წაეკითხოთ: ო. ი. შ., ესე იგი: ო ს კ ა რ
ი ვ ა ნ ე ს ძ ე შ მ ე რ ლ ი ნ გ ი. მხატვარს ასევე აქვს მოწერილი
რუსულადაც: Шпо, ე. ი. О. И. Ш. დასახელებული ხელმოწერის
გვართ ნაწილში კი („კარიკატურაშვილი“) გათვალისწინებულია
ფსევდონიმის სემანტიკური, შინაარსობრივი მხარე — მინიშნებულია
ავტორის პროფესია, მისი მოღვაწეობის სფერო. გადაკვრით არის
ნათქვამი, რომ იგი კარიკატურისტია, მხატვარია.

მაშასადამე, საბოლოოდ გაირკვა, რომ ვაზ. „კავკასიური კრაიში“
მოხსენიებული შოო კარიკატურაშვილი არის ო. შმერლინგის ფსევ-
დონიმი. მასვე ეკუთვნის აგრეთვე ზემოთ მოხსენიებული მეორე
ფსევდონიმი „შლინგიც“.

ო. შმერლინგი დაიბადა 1863 წლის 1 ივლისს თბილისში, სამხედრო
მოხელის ოჯახში. საშუალო განათლების მისაღებად მიაბარეს თბილი-
სის რეალურ სასწავლებელში, სადაც ისწავლა მეექვსე კლასამდე. მე-
ხუთე კლასში ყოფნის დროს, 1880—1881 წლებში, დაიწყო ხელნა-
წერი ჟურნალის „კოდოს“ გამოცემა, რომელიც მესამე ნომერზე
შეწყდა.

1881 წ. ო. შმერლინგმა დაიწყო კარიკატურების ბეჭდვა რუსულ
იუმორისტულ ჟურნალ „ფალანგაში“, რომელიც თბილისში გამო-
დიოდა. 1884 წ. შმერლინგი ჩაერიცხა პეტერბურგის სამხატვრო აკა-
დემიაში და წარმატებით დაამთავრა. 1887 წლიდან თანამშრომლობდა
პეტერბურგის ადგილობრივ გამოცემებში: „ზადუშენოე სლოვოში“,
„სინ ოტეჩესტოს“ დამატებაში, იუმორისტულ ჟურნალ „შუტსა“
და გერმანულ იუმორისტულ ჟურნალ „პიპიფაქსში“.

შმერლინგი პეტერბურგიდან ბრუნდება ს. ხან-კენდში (ქ. შუშის
მახლობლად) მამისეულ სახლში. 1891 წ. მიემგზავრება მიუნხენში და
ისწავლას განაგრძობს ცნობილ მხატვართან პროფესორ რუბოსთან. პა-
რალელურად თანამშრომლობს სპეციალურ ჟურნალ „რადფარ ჰუ-
მორში“ („ველოსიპედისტთა ხუმრობა“).

1892 წ. იგი ჩამოდის თბილისში და ბეჭდავს ილუსტრაციებს ქარ-
თულ ჟურნალებსა და სახელმძღვანელოებში („ნაკადული“, „ჭეჯი-
ლი“, „დედა ენა“ და სხვ.).

1901 წ. გამოსვლას იწყებს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ყოველ-
კვირეული ილუსტრირებული ლიტერატურული დამატება. ეს იყო

კავკასიაში პირველი პერიოდული გამოცემა, რომელშიც ჩნდება აღნიშნული ლობრივი მხატვრების და, მათ შორის, ო. შმერლინგის კარიკატურები. ამის შემდეგ იგი საჭირობითად კარიკატურებით დიდი ხნის განმავლობაში ასურათებდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პერიოდულ გამოცემებს. ავტობიოგრაფიაში ო. შმერლინგი წერს: „დიდხანს ელოდა ჩემი კარანდაში სამოღვაწეო ასპარეზს!.. მხოლოდ 9 წლის შემდეგ, სახელდობრ 1901 წელს ა. მ. ჯაბაძარს (ვაზ. „ცნობის ფურცლის“ რედ.-გამომცემელს. — გ. მ.) მოუვიდა თავში ცენიალური აზრი, საძირკველი ჩაეყარა ქართული კარიკატურისათვის. გავუღესე წვერი ჩემს კარანდას, გამოვალვიძე მათრახი ჩემი და აი უკვე 15 წელიწადია, რაც ვიღვწი ქართულ იუმორისტულ პრესაში... მე ვაძლევ ჩემს თავს ნებას სავსე ყანწით ავწიო და ხმამალა ვადავძახო მშვენიერ საქართველოს: ვაუშარჯოს ქართულ იუმორს, ქართულ კარიკატურას!“ (ეურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1916 № 37, გვ. 4—7).

1902—1918 წლებში ო. შმერლინგი იყო ფერწერისა და ქანდაკების სკოლის დირექტორი და პარალელურად თანამშრომლობდა იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში: „ნიშადურში“, „ეშმაკის მათრახში“, „მათრახში“, „მათრახი და სალამურში“, „მოლტში“, „კლდეში“, „საქართველოს“ სურათებიან დამატებაში და სხვ. მისი კარიკატურების ბასრი მახვილი ყოველთვის მიმართული იყო ცხოვრების მანკიერი მხარეებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ერთნაირ „ეშმაკის მათრახის“ საიუბილეო ნომრის მოწინავე წერილში ვკითხულობთ: „...ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, ზოგი ჩენი იუმორისტი ყველა მოწინავე ერთა ლიტერატურას დაამშვენებდა. ერთი ამათგანია ბ-ნ შმერლინგი, რომლის კარიკატურული ნახატები ეს 15 წელიწადია ქართველ და სომეხ საზოგადოებას აცინებს ცრემლიანი სიცილით“ (იქვე, გვ. 3).

1921 წ. იგი პროფესორად მიიწვიეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც გამოზარდა ნიჭიერი ქართველი კარიკატურისტები.

ო. შმერლინგი ითვლება ქართული კარიკატურის ფუძემდებლად. მისი კარიკატურები მრავლად ქვეყნდებოდა ქართულ საბჭოთა პერიოდულ გამოცემებში: „კომუნისტში“, „მუშაში“, „მიწის მუშაში“, „ახალ სოფელში“, „ტარტაროზში“, „ნიანგში“ და სხვ. თავის ილუსტრაციებსა და კარიკატურებს ო. შმერლინგი აწერდა შემდეგ ფსევდონიმებსა და ინიციალებს: 1) ო. ი. მ.; 2) შიო; 3) შლინგი; 4) ო.

შლინგი; 5) თ. შლინგი; 6) თ. ი. შლინგი; 7) ო. ი. შ.; 8) შიო; 9) ო. Шлинг; 10) ო. ი. Шлинг. როგორც გაირკვა, მასვე ეკუთვნის ფსევდონიმი „შიო კარიკატურაშილი“.

თავისი ბასრი სატირული და პოლიტიკური კარიკატურებით იგი შეუპოვრად ებრძოდა ცხოვრების მანკიერ მხარეებს. აღსანიშნავია, მისი დამსახურება ქართული წიგნის ილუსტრაციის განვითარებაში და განსაკუთრებით, ნახატი საბავშვო წიგნის გამოცემის საქმეში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში Rotter-ის ხელმოწერით გამოქვეყნებული იუმორისტული კარიკატურების ავტორად შეცდომით დასახელებულია თ. შმერლინგი. როტერი სხვა კარიკატურისტი და ქართულ პრესაში მოღვაწეობდა შმერლინგის დროს.

თ. შმერლინგი გარდაიცვალა 1938 წლის 3 იანვარს თბილისში.

ქართულ კულტურასა და მეცნიერებას დიდი ამაგი დასდო მისმა ქალიშვილმა რენე შმერლინგმა (1901—1967), რომელიც იყო ქართული ხელოვნების ცნობილი მკვლევარი, ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრული მორთულობის დიდი სპეციალისტი და ქართული პალეოგრაფიის საკითხების ზედმიწევნითი მცოდნე.

იმერეთის სამეფოს სტამბა საჩხერაში

დიდი მეოხნის აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავს ემთხვევა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღი — საჩხერაში გამართული იმერეთის სამეფო სტამბის მიერ პირველი წიგნის გამოშვების 175 წლისთავი.

საინტერესოა თვით ფაქტი იმერეთის სამეფოს სტამბის საჩხერაში არსებობისა.

ცნობილია, რომ საქართველოში (ქ. თბილისში) პირველი სტამბა დააარსა ივანე მჭედვენი 1709 წელს. 1800 წელს, მეფე სოლომონ მეორის დროს სტამბა გაუშარტავთ და წიგნის ბეჭდვა დუწყობათ იმერეთის სამეფოშიც — ქუთაისში. ეს ის პერიოდი იყო, როცა იმერეთის სამეფო მეტად მწვავე პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე (1784—1810 წწ.), დაუინებით იცავდა რუსეთთან იმერეთის სამეფოს შეერთების საწინააღმდეგო პილიტიკას და ბრძოლას ეწეოდა რუსეთის წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში სხვა თავადთა შორის საჩხერელი დიდებული თავადები — წერეთლებიც, რომლებიც ერთ-ერთ გადაწყვეტ როლს ასრულებდნენ იმერეთის სამეფოს სამხედრო და სამოქალაქო საქმეების, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წარმართვაში, ორ ბანაკად გაიყვნენ: ერთნი მეფე სოლომონს მიემხრნენ, მეორენი კი რუსეთის ორიენტაციის მომხრეთა ჯგუფს. ამ ჯგუფს სოლომონ მეორის უმაღლესი სახელმწიფო მოხელე სარდალ-სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი და მისი ვაჟი, სარდალი გრიგოლ წერეთელი უდგნენ სათავეში.

ქუთაისში სტამბას დიდხანს არ უარსებია. ზემოთ აღნიშნული საგარეო თუ საშინაო არეულობის გამო იგი ქუთაისიდან რაჭაში, სოფელ წესში გადაუტანიათ (1809—1811 წწ.), ხოლო მას შემდეგ, როცა სოლომონ მეორემ რუსეთის ტყვეობას თავი დააღწია, თავისი მომხრეებით თურქეთში გაიქცა და იმერეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა, ზურაბ და გრიგოლ წერეთლები რუსეთის მთავრობამ უხვად

დააჯილდოვა ერთგულუბნისათვის, ისინი საჩხერეში გადმოვიდნენ მუღ-
მიე საცხოვრებლად.

ზურაბ წერეთელი და მისი შვილი გრიგოლი როგორც ქუთაისში,
ისე სოფელ წესში სტამბის გამართვისა და წიგნების ბეჭდვის აქტი-
ური მონაწილენი ყოფილან. სოფელ წესში 1811 წელს დაბეჭდილ
წიგნში — („ვაშაკრებილი სახლდესასწაულო“), სახლთუხუცესი ზუ-
რაბ წერეთელი მოხსენიებულია აგრეთვე როგორც „მესტამბეთუხუ-
ცესი“ და ამ წიგნს დაბეჭდვის საფასის ერთ-ერთი გადამხდელი.

ასეც ცნობილია, თუ რა უაღრესად განათლებული და წიგნების
დიდი მოყვარული ყოფილან ზურაბი და განსაკუთრებით კი მისი
შვილი გრიგოლი.

სწორედ ამიტომ ვერ შეგუებიან ისინი დასავლეთ საქართველოში
წაჯნის ბეჭდვის საქმის შეფერხებას, იმერეთის სამეფოს სტამბა მათ
საჩხერეში გადმოუტანიათ და თავის სახლში გაუმართავთ.

ამ სტამბაში პირველი წიგნი — „სამოციქულო“ დაბეჭდილა 175
წლის წინათ — 1815 წლის 18 მარტს.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დაწვრილებით შეგვესწავლა ზუს-
ტად ამ „სამოციქულოს“ ერთი ეგზემპლარი. ეს წიგნი საჩხერის რა-
იონის სოფელ ჩიხაში მცხოვრებ მასწავლებლის თინა იაკობაშვილის
საოჯახო ბიბლიოთეკაშია დაცული.

საჩხერის სტამბაში პირველად დაბეჭდილ ამ წიგნის თავფურცელ-
ზე გკითხულობთ:

„...დაიბეჭდა წიგნი ესე საღმრთო სამოციქულო საჩხერეს სასახ-
ლესა შინა სარდალ სახლთ-უხუცეს ზურაბ წერეთლისასა. საფასის
წარგებითა მისივე ლენერალ-მაიორის და კავალერის თავადის ზურაბ
წერეთლის სარდალთ უხუცესათა. წელთა დასაბამითგან სოფლისა
პტკვ, ვანხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა ჩყიე, თუესა მარტსა,
რიცხუსა აც“ (ე. ი. 1815 წლის 18 მარტს).

წიგნის ბოლო ფურცლებზე კი წერია: — „სტამბისა ამის ყოვლი-
თურთ მმართველი და ზედა მდგომელი საქართველოს მრავალ-მთის
გარეჯის ბერი გაენათის არხიმანდრიტი ზაქარია. სტამბისა ამის ბეჭ-
დვისა მუშაკი რომანოზ მესტამბის ძე მესტამბე დავით ზუბაშვი-
ლი“*..

ეს დავითი უნდა იყოს თბილისის, მოზდოკისა და ქუთაისის ქარ-

* იხ. აგრეთვე „ქართული წიგნი“, ბიბლიოგრაფია, ტომი პირველი, 1941 წ.,
გვ. 89.



თული სტამბის ოსტატის რომანოზ ჩაზმაძე-ზუბაშვილის დაკვირვებით, რომელსაც აგრეთვე მამის ხელობისათვის მოუკიდნია ხელობისათვის ზაქარია არქიმანდრიტი მოხსენებულთა აგრეთვე 1817 წელს საჩხერის სტამბაშივე გრიგოლ წერეთლის საფასწარგებით დაბეჭდილ „სახარებაში“, სადაც წერია:

„...უფალნო და ძმანო! მომიხსენეთ მე მდაბალი და უღირსი არხიმანდრიტი გაენათისა ცოდვილი ზაქარია, რომელმან ფრიადი შრომა თავს-ვიდევ წმიდისა ამის სახარებისათვის და მრავლითა ღვაწლითა აღვასრულე“*.

როგორც ჩანს, ზურაბ წერეთელს საჩხერეში თან წამოუყვანია სტამბის ოსტატი დავით ზუბაშვილი. მაგრამ ცხადია, რომ სტამბის მრავალგვარი სამუშაოს შესრულება მარტო მისთვის ფიზიკურადაც ძნელი იქნებოდა. ამიტომ მათ ადგილზე გამოუნახავთ წერა-კითხვის მცოდნენი, რომელთათვის სსსტამბო საქმე შეუსწავლებიათ. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა სოფელ ჩიხაში მცხოვრები იოსებ გლახუას ძე იაკობაშვილი. სწორედ მას ეკუთვნოდა ზემოთ დასახელებული „სამოციქულო“, რომელსაც მისი შთამომავლები დღესაც დიდი მოწიწებით ინახავენ როგორც ძვირფას რელიკვიას.

როგორც რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა თ. იაკობაშვილმა გვიამბო, მათ ოჯახში გადმოცემით ყველამ იცის, რომ მამა იოსებს, რომელსაც თავის დროის კვალობაზე კარგი ბიბლიოთეკა ჰქონია, ეს წიგნი ყველაზე უფრო ყვარებია, როგორც საჩხერის სტამბის პირველი პროდუქცია, რომლის გამოშვებაში თვითონაც მიუძღოდა წვლილი.

ამავე ოჯახში ინახება სტამბის მუშაკისათვის საჭირო ზოგიერთი ხელსაწყო და ფრთის საწერ-კალამი, რომლითაც იოსები წერდა.

ზემოთ დასახელებული „სამოციქულო“ სრულიად დაუზიანებლად არის დაცული, ჩასმულია ტილოგადაკრულ მაგარ ყდაში. იგი საქმაოდ სქელტანიანია, შეიცავს 288 გვერდს, ზომით 33×21 სმ. საჩხერის სტამბაში 1817 წელს დაბეჭდილი წიგნი — „სახარება“ დაცულია აკაკის მუზეუმში. იგი აკაკის მამის როსტომის საყვარელი საკითხავი წიგნი ყოფილა. ზომით პატარაა (14—10 სმ) და დაბეჭდილია შედარებით წვრილი შრიფტით.

საჩხერეში გამოცემული წიგნები გამოირჩევიან ბეჭდვის მაღალი კულტურით, მხატვრულ-ტიქნიკური ეფაფორიების მაღალი დონით. ეს

* „ქართული წიგნი“, ტომი პირველი, გვ. 88—89.

წიგნები სხვადასხვა ფორმატისაა, მსუბუქია და ადვილად მოსაძებ-
რი. დაბეჭდილია მკაფიო, ადვილად საკითხვი, ნუსხური შრიფტით.
გამოყენებულია შავი და წითელი საღებავი. ტექსტში უხვადაა ჩართუ-
ლი ორნამენტები და ფოთლოვან-ყვავილოვანი თავკაზმულობანი.
წიგნები დაყოფილია თავებად და აქვთ საძიებლები.

ჩვენთვის ცნობილია საჩხერის სტამბაში დაბეჭდილი თერთმეტი
წიგნი, რომლებიც დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნულ და
მოსკოვის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკებში. ზე-
მთხ დასახელებული წიგნების თითო ცალი თ. იაკობაშვილისა და პა-
პუნა წერეთლის პირად ბიბლიოთეკებშია დაცული.

შესაძლებელია, რომ მსგავსი წიგნები ინახებოდეს მოსახლეობა-
შიც. მათი გამოვლენა და შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს საბო-
ლოდ დავადგინოთ, თუ რომელ წლამდე არსებობდა საჩხერეში
სტამბა და რა წიგნები დაიბეჭდა იქ.

თუ „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიას“, (ტომი I, იგვ. VIII) და-



გვეყრდნობით, საჩხერის სტამბაში წიგნები იბეჭდებოდა მხოლოდ 1815—1817 წლებში. მაგრამ ამ აზრს ეწინააღმდეგება სხვიტრევი აკაკის მუზეუმში დაცული ქსოვილზე დაბეჭდილი „ოდიკი“ (საბას განმარტებით, „წმინდა ბარძიმის ქვეშაფენი“), მოტანილი სხვიტორელი წერეთლების საძვალე ადგილიდან. — ევერეთოს მონასტრიდან. ამ „ოდიკზე“ შემდეგი ტექსტია დაბეჭდილი: „ღროსა უკეთილმსახურისა და თვითმყრობელისა დიდისა ხელმწიფისა იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძისა სრულიად როსიისა და სხვათა და სხვათა დაიბეჭდა წმინდა ესე ოდიკი. საჩხერეს, ნებითა და კუროთხევითა ყოვლად უსამღველოესის საიმერეთოს არქიეპისკოპოსის და კავალერიის სოფრონიოსის მიერ, წელსა ჰყვბ, იანერის კ“, ე. ი. 1822 წლის 20 იანვარს.

ამგვარად, ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ საჩხერის სტამბა არა თუ 1817 წელს, არამედ 1822 წელსაც მოქმედებდა. საგულისხმოა, რომ ამ დროს საქართველოში სტამბა მხოლოდ თბილისში და საჩხერეში იყო.

დადგენილია საჩხერის სტამბის ადგილსამყოფელიც — მოდინახის მთის ფერდობზე, მის სამხრეთ აღმოსავლეთით. ამ ადგილს აქაური მცხოვრებლები დღესაც „ნასტამბარს“, ან პირდაპირ „სტამბას“ ეძახიან.

ამ ადგილზე, 1964 წელს განათლების განყოფილების მამხმდელი ვამეცის გ. სადუნნიშვილის ინიციატივით დაიდგა ობელისკი სათანადო წარწერით.

აბაკი და პარსკვლავები

ვარსკვლავებმა რა შეიტყეს, რომ ქართველი ხალხი სულა
უცხო ხალხის გასახარად დაყოფილა, დაქსაქსულა —
სიტყვის: „მამ უნდა შევეერთო!“ — იგალობეს სულთანა,
იგალობეს და... აკაკი წაიყვანეს თავისთანა.

და მოკვდაო! მოკვდა! მოკვდა! ამას ამბობს დღეს ქვეყანა...
და არ მჯერა: მართლა მოკვდა? და არ მჯერა მოკვდა განა?!

თუ ასეა, მაშინ ეს მთა რად დგას ისევ იმეც სახით,
ან ეს ბაღი რად ცახცახებს იმეც ქარის სიცახცახით?!
თუ ასეა, მაშინ ეს მზე, მზე მოკაშკაშ-მოხალისე,
ისევ ისე რად კაშკაშებს, რად კაშკაშებს ისევ ისე?!

და მოკვდაო! მოკვდა! მოკვდა! ამას ამბობს მთლად ქვეყანა...
და არ მჯერა, მართლა მოკვდა?! და არ მჯერა, მოკვდა განა?!

26 იანვარი

1915 წ.

დ ე ა ე ნ ა

ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ხელში პირველად აიღებს, გაშლის და, თითქოს ისევ დაიბადაო, — ამ სამზევოს უცებ სხვაგვარად ხომ დაინახავს და დაინახავს, სხვანაირადაც გაიაზრებს, ჰოდა, იმ დღეს რა დაგვაფიქვებს, ამ უპირველესი წიგნის ყდაზე ამოქარგული ბულბულის სტვენა როცა ერთბაშად იგვიგონეთ და შიშით, არ იგვიფრინდესო, ხელი მაშინვე დავაფარეთ. მისი ტკბილი სტვენა-ჭიკჭიკი, ღამით დამეში გაკიდებული ნაზი ქვითინი განა მას აქეთ არ გვესმის ხოლმე?

...ნეტავ იმ წუთებს, როცა თამაშით გაღაღებულებს დედა ხელში ძლივს ჩაგვიგდებდა და „დედაენას“ სასოებით გადაგვიშლიდა. ეს მაშინ იყო, პირველ გვერდზე უცაბედად დაცვივებულ მძივის იალყთაღმა თვალი ერთბაშად რომ მოგვტაცა და „იაო“ წამოვიძახეთ.

ის პირველი დღე, პირველი თართოღვა განა გუშინდელ დღესაგვით არ იგვაგონდება?

ეს საყვარელი ნინველა სიტყვა ასე ხმოვნად ქართულ ენისათვის თითქოს იმიტომ უყვდრებია, რომ მის ნაღამობას მისივ ანბანის მართლაც ზღაპრულ ცხრაკლიტულის პირველი კარი ასოებჩათვლით და კაკლის წუნგოთი ჩაშავებულ თითის თანდათან იგაყოლებით ფრთხილად შეეღო.

„ია“, „აი ია“. ხმოვან ასოთა — ანის და ინის ასე წაღმა-უკულმა დალაგება-გადალაგებით პირველი სიტყვის და მასთან ერთად პირველი ფრაზის ასე შეკვრა ახლა, რაღა თქმა უნდა, ადვილია, მაგრამ მისი უღერადობის და უდიდესი შესაძლებლობის აღმოჩენა თავდაპირველად განა ასე ადვილი იყო?

რამდენი ფიქრი, რამდენი ჩხრეკა და რუდუნება იყო საჭირო, რომ ქართულ სიტყვათა ამოუწურავ საგანძურში ჩვენს დიდ იაკობს სწორედ ეს სიტყვა ეპოვნა. ამ დიდ სიძნელეს თუნდაც ის აღასტურებს.



რომ მის ძებნას მან თორმეტი წელი მოანდომა. 1865 წელს პირველად გამოქვეყნებულ „ქართული ანბანის“ შემდეგ ბავშვის სულისა და სამყაროს ასეთი ცოდნით, გენიალური ჩაწვდომითა და მხატვრული ტაქტით შესრულებული „დედაენა“ მხოლოდ 1876 წელს დაიბეჭდა. ამ „ის“ ნამით არის ჩვენი ქართული განედლებული. ეს ნამი უსვამს ჩვენს მამა-პაპას, მაგრამ ორად ორი ხმოვნით შედგენილ ერთადერთ ფრაზას ზომ თანხმოვანი ასოც უნდოდა. ბავშვისადმი რა სიყვარული გამოკრთის შემდეგ ასოში, რომელსაც თანი ეწოდება და რომელიც აგრეთვე მიძივს მოგვავაგონებს. არ ეიცო ჩამდვილად ასე იყო თუ არა, მაგრამ მგონია რომ ასე იყო. მგონია, თითქოს იაკობ გოგებაშვილმა ამ „ანისა“ და „ინის“ ქვეშ ასო-ასო იყყოლებული ბავშვის პატარა თითი დაინახა და ამ მესამე ასომაც სუნთქვა უცებ დაიწყო. თითს შემდეგ ორ თანს რომ იტევდა ბავშვის გონება, რა თქმა უნდა, უფრო გაიხსნა და „იას“ „თითიც“ წამოეშველა. და ერთი თითი კი არა „ათი თითი“ და ალბათ გახსოვთ, ამ „ათ თითს“ გვერდში „თათიც“ რომ ამოუდგა.

და ასე, — ყოველი შემდგომი ასო ქვეყანას თითქოს აგანიერებდა. ერთი მათგანი ცხენის ნაღს ჰგავდა, მეორე ჩიტის ღილივით დაჰყვებოდა თვალებს, მესამე სურას და მეოთხე ქოთნის ტარს ან კიდევ კუდრაჟა გოგოს თემებზე დაფრენილ კრელ პეპელას. ყოველ მათგანს რამე ნახატი ასურათებდა: ია, თითი, თხა და... ასო-ნახატი ეს გრძელი რიგი ბოლოს იმითი თავდება, რომ მახეში ცაბმული ჩიტი ხეზე ჰკიდია.

თუ ერთის მხრივ, იაკობ გოგებაშვილისათვის ქართველი ბავშვის ცხოვრებაში ვზის გაწაღდა ძალიან ძნელი საქმე იყო და თავდადებულ შრომას ითხოვდა, მეორეს მხრივ, ქართული ენის დაცვა მაშინდელ შავზნელ ცარიზმისა და ძნელბედობის დროს ხომ კიდევ უფრო ძნელი იყო. თუ დღეს ქართველებს ჩვენი მეობით, კაცურ კაცობით თავი მოგვაქვს და მომავალს იმედის თვალით შევცქერით, ამ დიდ საქმეში ილიასა და აკაკის გვერდით დვაწლი იაკობ გოგებაშვილსაც მიუძღვის.

დღევანდელი ქართული ენის ის უღერადობა, ფრაზის ის მოქნილობა და აზრის გამოთქმის შესაძლებლობა და ქართული სიტყვის იმ მომხიბლავ სიტყვასთან ერთად სიღრმე და სუნთქვა ზომ იაკობ გოგებაშვილის წყალობაც არის. თავისი უზადლო სახელმძღვანელოებით, ხალხურ მოთხრობა-ლექსებით და პატრიოტულ-პედაგოგიური წერილებით ის წლების განმავლობაში მტკიცედ იდგა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების სადარაჯოზე.



ღრმა პრინციპულობა და უდიდესი განათლება, მშობელი ხალხის თავდადებულ სიყვარული და საკვირველი უანგარობა, დღემდე მთელმობილება და მორალური სიწმინდე ამჟამად მას, როგორც აღამიანს. მან უარი თქვა პირად ოჯახურ ბედნიერებაზე და საკუთარი შვილების მამობას ქართველი ხალხის შვილების მამობა ამჯობინა. მისი ერთი აქამდე უცნობი წერილით, კიევიდან 1863 წელს მეგობრისათვის რომ მოუწერია, ნათლად ირკვევა, როგორ აღუღელვებია ის ილია ჭავჭავაძის პირველ ყურნალს. მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში ჩამოსვლას იაკობი იმხანად არ აპირებდა, მშობლიური ახალთაობის დაბადების სიხარულსა და ბრძოლის ყინს იგი ისე გაუტაცია, რომ ბარგი საჩქაროდ შეუკრავს და სამშობლოსაკენ გამოქანებულია.

ორი წელიც და, მშობლიურ მიწა-წყალზე ფეხის დადგმა იაკობ გოგებაშვილს იმით აღუნიშნავს, რომ პირველი „ქართული ანბანი“ გამოუქვეყნებია. თერთმეტი წელიც და „დედაენა“ გამოუტყია, და თუ ქართველი კაცი იქამდე მტერსა და დუშმანს „დედუხისტყაოსნით“ იგერიებდა, ამიერიდან მას ხელში დედაენაც ეჭირა და თავის ნამუსს, კაცურკაცობასა და ქართველობას იმით იცაუდა...

ვინ იცის, მაშინ, როცა თავისივე სახელის ეს საალერსო დასაწყისი იპოვა, გული როგორ აუჯანკალდა; ვინ იცის, რა დეთაებრივი შიღვევებით ათრთოლდა, როცა გონება თითქოს ერთბაშად გაეხსნა და ეს ბაწია ინი და ანი ორი მძივის თუ ქოთნის ტარის ნატეხებივით თავდაპირველად ასე სმონანდ რომ დალაგა. დალაგა და უცებ ია წამოუყუყუნდა. მერე მას იცვრდით შემობრუნებული იგივე სიტყვა ძმურად მოუსვა და ხომ ყველას გვჭერა, გვჭერა, რომ სიხარულით დაიძახა:

— აი იათ!

მერე? ასო ასოს ემატებოდა, აზრი აზრსა და ჩვენი შეგნება ზღვისკენ დაშვებულ მდინარესავით შენაკადებით მატულობდა, მატულობდა და ჩვენც გარდუვალად იმ ოკეანეს ვუახლოვდებოდით, ქართული ენა რომ ეწოდება და ბოლოს, აკი შევეურთდით კიდევ.

(იბეჭდება შემოკლებით)



შინაარსი

მოთხოვნილი ტიპი

მოთხოვნილი, ეკლიანი გზა 7

წიგნი და ცხოვრება

გრიგოლ რობაქიძე, აკაკი 15
 ნოდარ ტაბიძე, აკაკის ეუბრალო 18
 ეთერ არაგვისიძე, აკაკი — ქართული ხალხური სიტყვიერების მოამბე . . . 43
 მზია გოშაძე, აკაკი წერეთელი ილია ზურაბიშვილის თვალთახედვით . . . 58
 დავით მჭედლური, აკაკისა და ვაჟას პოლემიკის გამო 70
 ანდრო ლომიძე, აკაკი და ილია 79

ყალბით და ფუნჯით

მარიამ გაჩეჩილაძე, გრიგოლ ტატიშვილი 89

ბიბლიოთეკები და ბიბლიოფილები

გენადი სადუნიშვილი, აკაკი წერეთლის პირადი ბიბლიოთეკა 105
 ავთანდილ ბენდუქიძე, ომარ ხაიამი ჩემს ბიბლიოთეკაში 121
 თამარ ნუცუბიძე, მეცნიერის წიგნების სამყაროში 137

მსოფლიოს მერიდიანებზე

ალექსანდრე ბარამიძე, „მადლიანი მჩხრეკელი“ 147
 გონა ჯაფარიძე, ერაყელი მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ . . . 160

ჩვენი პუბლიკაცია

კატო მიქელაძე, დიდი აკაკი 167

ძიებანი

ლაურა გრიგოლაშვილი, მეფე-მწიგნობარი 183

წარსულის ფურცლები



სოლომონ ხუციშვილი, აკაკის საიუბილეო	210
ლევან მენაბდე, იაკობ გოგებაშვილი და ძველი ქართული მწერლობა	210
თენგიზ რაჭჭაგაიანი, დიდი მწიგნობრის მეცნიერული თვალ- თახედვის ერთი ასპექტი	224
თამაზ ჭოლოგუა, ნიკოლოზ ბერძნიშვილი	234
გივი მიქაძე, ფსევდონიმების კვლადაკვალ	248
მიხეილ გოგატიშვილი, იმერეთის სამეფო სტამბა საჩხერეში	261
დემნა შენგელაია, დედაენა	266

ლექსები

აკაკი წერეთელი, პოეტი	85
აკაკი წერეთელი, უკანასკნელი ლექსი	86
ანა იურკევიჩი, აკაკის	120
აკაკი წერეთელი, რუსთაველის სურათზე	164
გორგი შერვაშიძე, აკაკის	180
იოსებ გრაშაშვილი, აკაკი და ვარსკვლავები	265

რედაქტორი პ. ლელუვა
ტექრედაქტორი ნ. აფხაზია
კორექტორი მ. ციციშვილი

გადაეცა წარმოებას 1.7.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.90. საბეჭ-
დი ქაღალდი № 1. 60×84^{1/16}. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირო-
ბითი ნაბეჭდი თაბახი 15,81+ ჩაკერა 1,2. პირ. საღებავგატარება 15,34. სა-
ალრ. საგამომც. თაბახი 13,1. ტირაჟი 4000. შეკვეთა № 1045.

ფასი 2 მან.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახ. წიგნის მოყვარულთა საზოგადოების
რესპუბლიკური გამგეობა, თბილისი, რუსთაველის გამზ. 40/1.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გრ. რობაქიძის გამ. № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного
комитета по печати Грузинской республики, пр. Гр. Робакидзе № 7.

521/4



МЦИГНОБАРИ—90
(На грузинском языке)

Республиканское правление ДОК ГССР
им. И. Чавчавадзе
г. Тбилиси, пр. Руставели, 40/1



